

ოცემ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია  
პედაგოგიკისა და ფილოლოგის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

## გულნაზი ხუხუა

# პედაგოგიკური ნარკოლოგი

## ანოტაცია

წინამდებარე წიგნში „პედაგოგიკური ნარკვენები” წარმოდგენილია პიროვნების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. გაანალიზებულია პედაგოგიკის კლასიკოსთა პედაგოგიკურ-კონცეპტუალური შეხედულებების მეცნიერული და პრაქტიკული დირექტულება რეტროსპექტურულ და თანამდეროვების ასპექტში; განხილულია სკოლისა და ოჯახის შეთანხმებული მუშაობის პედაგოგიური მნიშვნელობა სარისხის ამაღლებაში; დასაბუთებულია პედაგოგიკისა და ბიბლიის ურთიერთკავშირი და მისი როლი სულიერ აღზრდაში.

წიგნი განცემულია უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური პროფილის ფაქულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, პედაგოგებისა და მშობლებისათვის; ასევე პედაგოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართე წრისათვის.

**რედაქტორი:** **გრიგოლ დანელია**  
ისტორიკოსი, ბიბლიის მკვლევარი

**რეცენზენტები:** **როზა გაბეჩავა**  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**ლია სვანიძე**  
ფიქტოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**შედეა სალია**  
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,  
საშუალო და უმაღლესი  
სკოლის მასწავლებელი

**დაბაბადონება:** **ალექსანდრე ჯიქურიძე**

© გულწაზი ხუხუ, 2014

ISBN 978-9941-0-6816-4

კუძღვნი აფხაზეთის ომში უგზო  
უკვლოდ დაკარგული მეუღლის  
მურმან დანელიას ხსოვნას.

## შესავლი

მთელი სამყარო, ცა და დედამიწა და რაც მასშია ემორ-  
ჩილება თავისი შემოქმედის მიერ დადგენილ არსებობის,  
მოძრაობისა და განვითარების უზუსტეს კანონებს, კანონ-  
ზომიერებებს, პრინციპებს, ნორმებსა და წესებს, რომელთა  
ოდნავი ცდომილებაც კი იწვევს მის პარმონიულ, შეთანხმე-  
ბულ ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგანპირებულობის  
სისტემურ რღვევას, ფუნქციურ შეფერხებებს: ეკოლოგიურ  
საფრთხეებს, სოციალურ და პოლიტიკურ აშლილობას,  
ეკონომიკურ კრიზისს, სულიერ და ზნეობრივ დეგრადაციას.  
ყველა ეს უბედურება ხდება დვთის უნიკალური ქმნილე-  
ბის, მისი შემოქმედების გვირგვინის – ადამიანის ხელით,  
რომლისთვისაც შეიქმნა მთელი ეს სამყარო. ნაცვლად  
იმისა, რომ მადლიერებით მიეღო ყოველგვარი დამსახურე-  
ბის გარეშე ბოძებული ამხელა, აზრმიუწვდომელი ძღვენი,  
ზომიერად ესარგებლა, ეპატრონა და მოევლო, საერთოდ  
დაივიწყა ყოვლის შემოქმედი ღმერთი და თავისი ცხოვრება  
დვთის მტერსა და მსოფლიოს მაცდუნებელს, სატანა-ეშ-  
მაკს დაუკავშირა, რომელსაც არავითარი წვლილი არ შეუ-  
ტანია სამყაროს შექმნაში.

რატომ გახდა დვთის მსგავსი ქმნილება ასეთი არაადეკ-  
ვატური?

პასუხი მარტივია. ადამიანის სულიერი და ზნეობრი-  
ვი დაცემის უშუალო მიზეზი პიროვნების ფორმირებაში  
აღზრდის, როგორც ერთერთი ფაქტორის უნივერსალური  
როლის უგულებელყოფაა, რაც გამოიხატება ისეთ, ერთი  
შეხედვით უწყინარ დარღვევებში, როგორიცაა: აღზრდისა

და გაზრდის ანუ სოციალიზაციისა და ბიოლოგიზაციის ცნებათა გაიგივება; აღზრდის პროცესის 6-7 წლით დაგვიანება; სულიერობისა და ზნეობრიობის გაიგივება; ბიბლიოსა და აღზრდის მეცნიერების – პედაგოგიკის შეუცვლელი, ადამიანის მასრულყოფილებელი როლის შეუფასებლობა.

წიგნი „პედაგოგიკური ნარკვევები” არის მცდელობა აქ დასმულ პრობლემათა მიზეზების, შედეგებისა და გამოსავლის ძიებისა კლასიკოსების, თანამედროვე პედაგოგიური მიღწევებისა და ბიბლიოს ანალიზის საფუძველზე. ამთავითვე შემიძლია გითხრათ, რომ ცოდნა-გამოცდილების დეფიციტი ნამდვილად არ არის. ამაზე თავის დროზე იზრუნა ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა და შეიძლება ითქვას, გონიერმა ადამიამებმაც. ბიბლიაში და პედაგოგიკურ მეცნიერებაში მკითხველი ყველა კითხვაზე იპოვის პასუხს, რაც კი სჭირდება ადამიანს პიროვნული სრულყოფილებისთვის. პრობლემა იმაშია, რომ არ ვეძებთ ჭეშმარიტებას იქ, სადაც ის არის; სწორად ვერ ვალაგებთ პრიორიტეტებს. კარგად არის ნათქვამი: თუ ექიმის მიერ გამოწერილი წამალი პაციენტმა არ მიიღო, მისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე განა ექიმი იქნება დამნაშავე.

და ბოლოს, ბიბლია არ ეწინააღმდეგება მეცნიერებას. პირიქით, ის „მეცნიერული სიბრძნის უბადლო წყარო და პრაქტიკული სახელმძღვანელო.” თუ როგორ? ამის პასუხსაც ამ წიგნში იპოვით.

გ. ხუხუ

„ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგედებათ”  
(მათე7:7)

## პედაგოგიკა – მეცნიერებათა მეცნიერება

„ქვეყანა, რომელიც მუცნიერების განვითარებისათვის  
არ ზრუნავს, ადრე თუ გვიან კოლონია გახდება”  
შოლიო კიური

კაენის დაბადებას პედაგოგიკის წარმოშობა მოჰყვა.  
კაენის – ზრდას მისი მოთხოვნების – გაზრდა. გაზრ-  
დილ მოთხოვნებს კი – დაკმაყოფილების აუცილებლობა.  
მოთხოვნა–მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცი-  
ლებლობამ კი გამოიწვია გარესამყაროსთან ურთიერთო-  
ბის საჭიროება. მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას  
შორის არსებულმა ბუნებრივმა ბარიერმა კი განაპირობა  
ორ დაპირირსპირებულ მხარეთა: შინაგანი და გარეგანი  
წინააღმდეგობის წარმოშობა, რომელიც განვითარებისკენ  
სწრაფვის თანდაყოლილ ტენდენციაზე მიანიშნებს. ეს გან-  
ვითარების შინაგანი და გარეგანი მამოძრავებელი ძალები,  
რომლებიც არსებობენ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში  
მყოფი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სახით.  
ფილოსოფია ამ მოცემულობას ახსნას უძებნის დაპირის-  
პირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონში, უფრო  
სწორად, განვითარების უზოგადეს ობიექტურ კანონსა და  
პრინციპებში. ეს კი კარგია. მაგრამ მისი დანაშაული იმა-  
შია, რომ ეყრდნობა რა ევოლუციის თეორიას, არ ცნობს,  
სუბსატანციურ წერტილს, ყოვლის შემოქმედსა და მომ-  
წესრიგებელს, არსებულთა მკაცრად განსაზღვრულ კანო-  
ნებსა და პრინციპებისადმი დამქვემდებარებელს და ყოვე-  
ლივე ამის შემმეცნებელ და გამომყენებელ, უნიკალური  
არსების—ადამიანის შემქმნელ უზენაეს ღმერთს.

ადამიანის მოთხოვნილებები და მოთხოვნები მრავალფეროვანია, რასაც განაპირობებს სამყაროს მრავალფეროვანება. ეს არის: ბიოლოგიური და მატერიალური მოთხოვნილებები: კვება, მოძრაობა, ძილი, დასვენება, ჩაცმა, დაცვა, მოვლა – აი, ფიზიკური აღზრდაც; სოციალური მოთხოვნები: სწრაფვა ურთიერთობისაკენ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, დიდობისაკენ, თვითორეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისაკენ; ინტელექტუალური მოთხოვნები: შემძინება, ცნობისმოყვარება, სწავლა-განათლების მიღება; ემოციური: სიყვარული, სიხარული, სიამოვნება, მოწონება, შექება, ნდობის გამოცხადება და ა. შ. მშობლებს კაენისთვის უნდა ესწავლებინათ ჯდომა, დგომა, სიარული, აღება-დადება, მიტანა-მოტანა და ა. შ. – აი, უკვე სახეზეა ფიზიკური აღზრდა; უნდა ეზვენებინათ საგნები და მათი სახელები, აღეწერათ გარეგნობა: ფორმა, ფერი, მოცულობა, სიმაღლე, სიგრძე, სიგანე, სისქე, რაოდენობა ანუ ვიზუალური მხარე. შემდეგ – მისი დანიშნულება, შინაგანი არსი. ეს კი მოითხოვდა კონკრეტულ სიტყვებსა დ წინადაღებებს, რომლის მეშვეობით შედის ცნობიერებაში აზრი. მაშასადამე, საგანი, მოვლენა და მათი ურთიერთმიმართება, თავ-თავიანთ სახელებთან იდენტურ კავშირში აისახება, აღიბეჭდება ფსიქიკის უმაღლეს ორგანოში–ტვინში შთაბეჭდილებებისა და წარმოდგენების სახით. ტვინი კი ახდენს მიღებული ინფორმაციების გადამუშავებას: ახალი-ზს, სინთეზს, შედარებას, კლასიფიკაციას, დიფერენციაციას, გამზოგადოებასა და სისტემატიზაციას, და აზრის შესაბამის ფორმულირებას თეორიის, დებულებების, განსაზღვრების, წესების, კანონების, პრინციპების სახით. აქ კი გამოიკვეთა გონებრივი აღზრდის ორი ელემენტი: პირველი, სწავლების საგანმანათლებლო ფუნქცია ანუ ცოდნის ფონდის დაუფლება; მეორე, სააზროვნო–ინტელექტუალური ოპერაციების ათვისება ანუ სწავლების განმავითარებელი ფუნქცია.

ადამიანისა და ეგას, ადამიანთა მოდგმის ამ პირველ, წინა-

პარ წევილს აუცილებლად მოუწევდათ შვილზე იმის სწავლება, თუ როგორ უნდა მოქცეოდა მის გარემომცველ ბუნებრივ გარემოს: ფლორას, ფაუნას, ასევე საყოფაცხოვრებო ნივთებს, მშობლებს, საკუთარ თავს და ა. შ. მოვლა-პატრონობა, გაფრთხილება, დაცვა, მომჭირნეობა, მოფერება, შრომისმოყვარეობა, სიმართლე, პატიოსნება, სიკეთე და სხვა ქცევისა და ურთიებობების გარკვეული წესებისადმი დამორჩილების გარკვეული მოთხოვნების დაყენება. ეს უბევ გარკვეული საფუძველია ზნეობრივი აღზრდის, რომელიც პედაგოგიკის მეცნიერებაში განიხილება როგორც სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია.

ყოვლისშემოქმედმა ადამიანს იმთავითვე ჩაუდო თავში და გულში ცნობიერებისა და შემეცნების ყველა ატრიბუტი: ფსიქიკური და ინტელექტუალური უნარები, ურთიერობების მოთხოვნილება, ყველასა და ყველაფრის მიმართ ინტერესი, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა, რაც გამოიხატება დაუსრულებლად კითხვების დასმაში: რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ? ყველა ზომებს მიმართავენ პატარები კითხვებზე პასუხების მისაღებად. ყველაფერში იქმნებიან, ხსნიან, შლიან, ზომავენ, ადარებენ, ისევ აწყობენ, რაც ზოგჯერ გამოუდიოთ, ზოგჯერ არა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ ისინი ამ საგნის (ამჯერად სათამაშოს ვგულისხმობთ) დაშლა-აწყობის პროცესში გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას იღებენ, საგანს, მის ნაწილებს შორის კავშირებს უკეთესად ეცნობიან, ამაშია თამაშის დიდაქტიკური მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ბავშვებს ძალიან უყვართ ბუნება: ყვავილები, მსხმოიარე თუ დეკორატიული ხეები, ცხოველები, ფრინველები, მდინარე, ზღვა, ტბა, ჩანჩქერები, ჩიტების ჭიკჭიკი, ანცვიფრებო ციური სხეულები: მზე, მთვარე, ვარსკლავები, ბუნებრივი მოვლენები: დღე და დამის, წელიწადის დროების მონაცემები და ა. შ. რაც ქმნის ხელსაყრელ პედაგოგიურ სიტუაციას, ყველაფერი ეს დაგუბავშიროთ მათ შემოქმედს და ბავშვებს აღვუძრათ ღვისადმი სიყვარუ-

ლი და მადლიერების გრძნობა, რომელიც მოემსახურება მოსწავლეთა სულიერ აღზრდას.

ამ მდგომარეობას აუცილებლად გამოიყენებდნენ სრულ-ყოფილი მშობლები, ადამი და ევა თავიანთი შვილების სულიერი აღზრდისათვის, რომლებიც კარგად იცნობდნენ შემოქმედს და უშუალო კავშირი პქონდათ მასთან. ამას ადასტურებს ბიბლიის პირველი წიგნის, დაბადების მე-3 თავის მე-8, მე-19-ე მუხლებში ჩაწერილი დიალოგი დმერთ-სა და მათ შორის.

ბიბლიიდან და საერთოდ, ბავშვის გონიერივი შესაძლებლობიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ რელიგიური ანუ სულიერი აღზრდაც დედამიწაზე პირველი ბავშვის დაბადებდანვე იღებს სათავეს.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სილამაზის, მშვენიერებისა და პარმონიულისაკენ სწრაფვას ბავშვი ჩვილობიდანვე ავლენს. იგი არჩევს ლამაზ ფერებს, მუსიკის რიტმზე აწყობს მოძრაობას, ტანის რხევას, კარგად გრძნობს სხვის ემოციებს. ადეკვატურად რეაგირებს დადგებით და უარყოფით დამოკიდებულებებზე. იტაცებს ხატვა, ლექსები, ზღაპრები და მისთანანი. აქაც შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ეთანხმება პედაგოგიკა ბიბლიას. მაგალითად, როცა დმერთმა ევა შეუქმნა და წარუდგინა ადამს, მას ძალიან მოეწონა ის და ადფრთვოვანება ლექსად გამოხატა: „აი, ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რადგან კაცისგან არის აღებული”.<sup>1</sup>

მაშასადამე, სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი თანდაყოლილია, ადამიანის გენეტიკაში ჩადებული. ეს შესაძლებლობაც პირველი ცოლ-ქმრის, ადამისა და ევასგან მემკვიდრეობით გადაეცა მათივე გვარისა და ჯიშის შთამომავლობას, კაცობრიობას, რომლის გამოვლინებასა და განვითარებას სპეციალურად გამიზნული პედაგოგიური პირობები და ძალისხმევა სჭირდება. რაც გულისხმობს ესთეტიკური აღზრდის პროცესის ოქორიულ და პრაქტი-

1 დაბადება 2: 23

კულ უზრუნველყოფას.

ინსტიქტის დონეზე, ასე სტიქიურად ჩაისახა პედაგოგიკის ელემენტები პირველი ბავშვის დაბადებისთანავე.

სრულფასოვანი პიროვნების აღზრდა, მისი შესაძლებლობების ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას: გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ, ესთეტიკურ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას გულისხმობს. ასეთი დასკვნა გააკეთა ანტიკური ხანის გენიოსმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. აქ უპყეი იდეების დონეზე ჩამოყალიბებულია სწავლა-განათლებისა და აღზრდის მეცნიერება.

შემდეგში მისი შინაარსი დროისა და სივრცის შესაბამისად დახვეწეს და განავითარეს პედაგოგიკის კლასიკოსებმა.

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელმა, I საუკუნის რომაელმა მეცნიერ – პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ ამ პარამეტრების მიხედვით განსაზღვრა აღზრდის მიზანი და მისცა პედაგოგიკის ისტორიაში განუმეორებელი და შეუცვლელი, ლაკონური და საოცრად ელერადი, უნივრსალური ფორმულირება – „ბრძენი რომაელის აღზრდა,” რომელიც კომპენდიუმში მოიცავს გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. ამ და სხვა უამრავ ასპექტშია გაშლილი მისი 12 ტომიანი სუფთა პედაგოგიური თხზულება „ორატორის დარიგებანი.” წიგნი, რომელმაც პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება მომიტანა.

ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული სკოლებისა და პირადი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე მ.ფ. კვინტილიანემ შექმნა პედაგოგიურ შეხედულებათა მწყობრი მეცნიერული სისტემა, რომელიც, სწორედ, კლასიკური სპარტანულ-ათენური აღზრდის პრაქტიკული ბაზის პირველ თეორიულ-მეცნიერული დაგვირგვინება იყო ზემოთ ხსენებული „ორატორის დარიგებანი.”

პედაგოგიკის კლასიკოსი იან ამოს კომენსკის მიხედ-

ვით, პიროვნების საწყის ფორმას წარმოადგენს ბაგშვი, რომელიც იმთავითვე აღჭურვილია ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებულ სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პოტენციური შესაძლებლობებით. ის წერს: „ფილოსოფოსები ადამიანს უწოდებენ მიკროკოსმოსს („მცირე სამყაროს”), რომელიც შეიცავს შეკვეცილი სახით ყველაფერს, რაც ფართოდ გაშლილი გვევლინება მიკროკოსმოსში; რომ ეს ასეა, დამტკიცებულია სხვა ადგილას. ამნაირად ადამიანის გონება, რომელიც ამ ქვეყნად შემოდის, ყველაზე უფრო შეედრება თესლს, ან მარცვალს, რომელშიაც, თუმცა ბალახის ან ხის ფორმა აშკარად არაა მოცემული, მაინც ბალახი ან ხე მასში ნამდვილად არსებობს. ეს ნათელი ხდება მაშინ, როდესაც მიწაში ჩაგდებული თესლი ქვევით უშვებს ფეხვებს, ხოლო ზევით კი ყლორტებს, რომელიც თანდაყოლილი ძალის მეოხებით შემდეგ გადაიქცევიან შტოებად და ტოტებად, შეიმოსებიან ფოთლებით და მოირთვებიან ყვავილებითა და ნაყოფით. მაშასადამე ადამიანში თესლის მსგავსად, გარედან არაფერია შესატანი, არამედ ის ჩანასახები, რაც თვით მასშია მოცემული, უნდა განვითარდეს, გაიშალოს და ყოველივეს მნიშვნელობა ცალკე იყოს ნაჩვენები. ამიტომად, რომ პითაგორე სტირად ამბობდა, იმდენად ბუნებრივიაო ადამიანმა ყველაფერი იცოდეს, რომ შვიდი წლის ბავშვებაც კი გონივრულად შეეკითხო მთელი ფილოსოფიის საკითხებზე, ის შეძლებდა ყველაფერზე გონივრული პასუხი გაეცა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ გონების მარტოდენ შუქიც კი წარმოადგენს საკმარის ფორმასა და ნორმას ყველა საგნისას.... გარდა ამისა, ჩვენს შიგნით არსებულ გონიერ სულს მოცემული აქვს, როგორც მსტოვარნი და მზვერავნი, ორგანოები, რომელთა მეოხებით ის წვდება იმას, რაც მის გარეთ არის: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება ისე, რომ მას ვერც ერთი ქმნილებათაგანი ვერსად ვერ დაემალება. და, რადგან ხილულ მსოფლიოს არაფერი აქვს ისეთი, რის ან ხილვა „, ან მოსმენა, ან შეყნოსვა, ან

გემოთი გაცნობა, ან შეხება არ შეიძლებოდეს და ამით შეცნობა, თუ რა არის ის და როგორია. ამიტომ არაფერია მსოფლიოში ისეთი, რომლის ჩაწვდომა ადამიანს, აღჭურვილს გრძნობითა და გონებით არ შეეძლოს”.<sup>2</sup> ამ პატარა ამონარიდშიც კი კარგად ჩანს სენსუალიზმის სახელწოდებით ცნობილი შემეცნების ოეორია, რომელსაც ეფუძნება მთელი პედაგოგიკური მეცნიერება.

შემდეგ ფიგურალურად განაგრძობს ავტორი: „განა ეს არ გაასწავლის, რომ ადამიანში, მართლაც, ყველაფერია მოცემული: ლამპარიც, სანთელიც ზეთიც, კვესიც – ყოველივე თავისი მოწყობილობით?! ოღონდ იცოდეს ცეცხლის აგზება, მისი მოკიდება, სანათურის ანთება, და, ის, როგორც თავის არსებაში, ისე დიდ მსოფლიოში მეტად სასიამოვნო სანახაობას დაინახავს მაშინვე, საპვირველ საგანძურს, თუ როგორაა, რიცხვის, ზომისა და წონის მხედვით ყველაფერი შესაფერისად განლაგებული”.<sup>3</sup>

ამ და სხვათა მსგავს აზრებით თუ ვიმსჯელებთ, საკმარისია დავრწმუნდეთ ბავშვის უნიკალურ და განუსაზღვრელ გონებრივ შესაძლებლობებში, მის ღვთიურ წარმომავლობაში, რაც წარმომობს პედაგოგიურ ოპტიმიზმს და განგვაწყობის მისადმი პატივისცემითა და გულისხმიერებით. ბავშვის ეს თანდაყოლილი გონებრივ, ფსიქიკურ და ინტელექტუალური შესაძლებლობები წარმოადგენს პედაგოგიურ მეცნიერებაში დადგენილ აღზრდის ფაქტორთა შორის პირველ, ბიოლოგიურ – მემკვიდრეობითობის ფაქტორს.

პედაგოგიკური მეცნიერება აღზრდას, როგორც მისი კვლევის საგანს, განიხილავს ერთეულთ მთავარ და გადამწყვეტ ფაქტორად პიროვნების ფორმირებაში; განსაზღვრავს მის მიზანს, მინაარსს, კანონებსა და პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერულ საფუძველზე წარმ-

2 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. თბ., 1949, გვ. 48-49

3 იქვე, გვ. 49-50.

მართველ მთავარ, შეუცვლელ და კომპეტენტურ ფიგურას – მასწავლებელს. მასწავლებლის ამ დვორურ ფუნქციას ფიგურალურად გამოოქვამს პედაგოგიკის კლასიკოსი ადოლფ დისტერვეგი. ის წერს: „მასწავლებელი იგივეა სკოლისთვის, რაც არის მზე სამყაროსთვის.“ მაგრამ პედაგოგიკის დანიშნულება მარტო ამით არ შემოიფარგლება.

პედაგოგიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მეცნიერებაა სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ. მის საზღვრებშია მოქცეული მისივე ქვედარგები:

1. ზოგადი პედაგოგიკა, რომელიც წარმოადგენს უკელა ქვემოთ ჩამოთვლი დარგთა მეთოდოლოგიურ საფუძველს;
2. ასაკობრივი პედაგოგიკა: სკოლამდელი, დაწყებითი განათლების, საშუალო სკოლის, უმაღლესი განათლების პედაგოგიკა;
3. სოციალური პედაგოგიკა;
4. სამხედრო პედაგოგიკა;
5. დევექტოლოგია და კორექციული პედაგოგიკა თავისი ქვესისტემებით: სურდოპედაგოგიკა ანუ ყრუმუნჯთა პედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა ანუ უსინათლო (მხედველობადაქვეითებულთა) პედაგოგიკა, ოლიგოფრენო პედაგოგიკა ანუ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის პედაგოგიკა, ლოგოპედია ანუ მეტყველება – მოშლილთა პედაგოგიკა, ემოციურ-გრძნობითი სფეროს მოშლილობის პედაგოგიკა;
6. კერძო ანუ საგნობრივი სწავლების მეთოდიკა;
7. პედაგოგიკის ისტორია.
8. უნდა იყოს აგრეთვე ოჯახური აღზრდის სპეციალიზირებული პედაგოგიკა, თუმცა სკოლამდელი პედაგოგიკა გარკვეულწილად მოიცავს ამას, მაგრამ ის ძირითადად ორიენტირებულია სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებზე – ბაგა-ბაღებზე ეს სხვა თემაა და მასზე აქ არ შევჩერდებით.

ჩვენი მიზანია კიდევ ერთხელ შევიხსენოთ რატომ არის

პედაგოგიკა მეცნიერებათა მეცნიერება. გნათლების შინაარსი მოიცავს ყველა ციკლის მეცნიერებებს, ეს იქნება საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, ტექნიკური თუ სახელოვნებო და ა. შ., რომელიც ისწავლება განათლების სისტემის ყველა რგოლსა და საფეხურებზე. სწავლება კი პედაგოგიკის პრეროგატივაა, რომელიც განსაზღვრავს: რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ?

ყველა სასწავლო დისციპლინის სწავლება ზოგადი პედაგოგიკის თეორიას ეფუძნება. საგნის სწავლების მეთოდიკა ახდენს ამ თეორიების კონკრეტიზაციას მოცემული სასწავლო საგნის სპეციფიკის, შინაარსის, პრინციპებისა და მისი სწავლების მიზნის, საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციების შესატყვისად.; განსაზღვრავს მეთოდებსა და ფორმებს, სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების სახეობებს კონკრეტულ პედაგოგიური სიტუაციების აღქვატურად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველა მეცნიერება, რომელიც ისწავლება განათლების სისტემის ნებისმიერ რგოლებსა და საფეხურებზე, დაკავშირებულია პედაგოგიკურ მეცნიერებასთან სწავლებისა და აღზრდის არსიდან გამომდინარე. ამიტომ, ყველა, სკოლის მასწავლებელი იქნება ეს თუ უნივერსიტეტის პროფესორი, რომელ მეცნიერებას არ უნდა ასწავლიდეს ის, ვალდებულია იცოდეს პედაგოგიკის თეორია და მისი ისტორია, საგნის სწავლების მეთოდიკა. სწორედ, ამ თვალსაზრისით ვთქვით, რომ პედაგოგიკა მეცნიერებათა მეცნიერებაა.

## მასშავლებელი – პედაგოგიკა – მოსავლე!

XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში განათლების სისტემა გაუვალ ლაბირინთებში მოექცა. განათლების რეფორმის სახელით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო, ყოვლად წარმოუდგენელი პარადოქსული აქცია მეცნიერების დოქტორის დიპლომების მეცნიერების კანდიდატებისათვის ხელაღებით დარიგებისა და პროფესორის ცნების ფალსიფიცირებისა; პროფესორის კლასიკური გაგების დაკნინება, სრული, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორის წოდებებად დაქუცმაცება. წარსულისადმი ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, გაუაზრებელ რეფორმათა რეფორმებისა და ოადაც ტრავიალური „აღმოჩენების“ სახელით სრულიად იგნორირებულიქნა მსოფლიოს უმდიდრესი, ეროვნულ და ზოგადგაცობრიული, რეტროსპექტულ-პედაგოგიური ღირებულებები. დაირღვა განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი, ისტორიზმისა და მემკვიდრეობითობის ლოგიკა, თანმიმდევრობისა და სისტემურობის პრიციპი. განათლების სისტემის უპრეცედენტო პოლიტიზირებას მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩამოშლა, ინტელიგენციის „ჩარეცხილებად“ გამოცხადება, პოლიტიკურ-პარტიული ნიშნით პროფესორ-მასწავლებელთა უნივერსიტეტებიდან მასობრივი გამოძევება; პედაგოგიური კადრების პროფესიული მომზადების ძირითადი მეცნიერების – პედაგოგიკის ფსიქოლოგიზირება ე. წ. „თავისუფალი სწავლის თეორიისა“ და „განათლების თეორიების“ უწყინარი პედაგოგიური

სახელწოდებებით. პედაგოგიკურ-ცნებითი ტერმინოლო-  
გიური სისტემის აღრევა; სკოლის სამი გიგანტის: საკლა-  
სო-საგააკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საგან-  
მანათლებლო—აღმზრდელობითი სისტემების ფუნქციებისა  
და დანიშნულების, მიზნისა და პრიორიტეტების, პრინცი-  
პებისა და შინაარსის, მეთოდებისა და ფორმების ერთ-  
მანეთში არევა; სრულიად გაუმართლებელი, არშემდგარი  
XII კლასით სკოლის დამძიმება, თითქოს განუსაზღვრელი  
იყოს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა! მითუმებეს  
იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი აცხადებს: „35 წლის  
იქით ხეც არ მინდა ტყეში“-ო; უკუღმართად გაგებული  
დემოკრატიის სახელით მოსწავლეთა უსარგებლო უფლე-  
ბების გაზრდა მასწავლებლის აუცილებელი პედაგოგიური  
უფლებების შესუსტების ხარჯზე; მასწავლებელთა სასერ-  
თიფიკაციო გამოცდებისა და პროფესორ-მასწავლებელთა  
კონკურსების პოლიტიკურ-პარტიული ნიშნით აჟიტირება;  
(ლამის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამეცნიერო  
ხარისხისა და პროფესიონალიზმის ცენზად გამოცხადება).

თანამედროვე საშუალო და უმაღლეს სკოლებში მთე-  
ლი აქცენტი გადატანილია სწავლების ტექნოლოგიებზე  
ანუ იმაზე „როგორ ვასწავლოთ?“, ხოლო უმთავრესი, სწა-  
ვლისა და სწავლების მიზანი – „რა ვასწავლოთ?“ და  
„რისთვის ვასწავლოთ“ უკანა პლანზეა გადაწეული.

ე.წ. „რეფორმატორებმა“ მექანიკურად და ზოგჯერ და-  
მახინჯებულად ატაცებულ, სრულიად უსაფუძვლოდ გა-  
ფეტიშებულ და არანაირი სიახლის შემცვლელ ანგლო-  
ამერიკულ ე.წ. პედაგოგიურ ტექნოლოგიებს გადააყოლეს  
ეროვნული განათლების უმთავრესი მიზანი. ამ უბადრუკი  
ტექნოლოგიებით შეშფოთებული თვით ამერიკელი მკვლე-  
ვარი ნილ პოსტმანი არ ერიდება მის თანამედროვე ამე-  
რიკული სკოლის კრიტიკას. იგი წერს, რომ სკოლაში  
სწავლება ცხოვრების სწავლებას და არა ცხოვრებისთვის  
ფულის მშოვნელთა აღზრდას უნდა ემსახურებოდეს: „ხში-  
რად საუბარი საშუალებებს ეხება და იშვიათად მიზნებს.

თითქოს ტექნიკოსების ერი ვიყოთ და მხოლოდ ის ვიცოდეთ „როგორ ვაკეთოთ“, ხოლო „რატომ ვაკეთოთ“ კითხვაზე ფიქრის გვეშინოდეს, ან არ შეგვეძლოს<sup>1</sup> და იქვე განაგრძობს ავტორი, რომ მიზანი – ტექნოლოგია ტექნოლოგიისთვის კი არ უნდა იყოს, არამედ ის, თუ როგორ საზოგადოებას ზრდის სკოლა: „გათამამებულ, მომხმარებლების კონგლომერატს, გაავებულ, უსულგულო, უმიზნო მასებს, ინდივერუენტულ, დაბრულ მოქალაქეებს, თუ საკუთარი დირსების, მიზნის, სწავლისადმი პატივისცემის, შეწყნარებლობის მქონე საზოგადოებას?“<sup>2</sup>

იგივე აზრს გამოთქვამს დევიდ პერკინსი თავის ცნობილ წიგნში „გონივრული სკოლები“. ის, „უპირველეს ყოვლისა, სვამს კითხვას: „რას მოვითხოვთ განათლებისაგან?“ რომლის პასუხშია ჩადებული მიზანი: ცოდნის შინაარსის, სიღრმისა და რაოდენობის, მის გაგება-გაზრებისა და პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელთა ერთობლიობას (გაერთიანებას) მივყავართ გენერაციულ ცოდნამდე<sup>3</sup> და იქვე განაგრძობს ავტორი: „გაგების აქტები, აზრობრივი ხატები, გაგმების მაღალი დონეები, დამაჯერებელი წარმოდგენები და პროდუქტიული ოემები (ხაზგასმა ჩვენია – გ. ხ.) მრავალფეროვან მონახაზს გვთავაზობს იმისათვის, რომ ავირჩიოთ, რა ვასწავლოთ (ხაზგასმა – გ. ხ.) გონივრულ სკოლაში“.<sup>4</sup> ოუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პერკინსი სწავლების მეთოდებს, ტექნოლოგიებს არ ცნობს. იგი უბრალოდ სწორად ალაგებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში პედაგოგიურ სისტემებსა და კომპონენტებს პრიორიტეტების მიხედვით. თუმცა ეს საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას პედაგოგიკურ მეცნიერებაში. რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? რისთვის ვასწავლოთ? – პედაგოგიკის კონცეპტუალური ქვაკუთხედია, რომლთაც

1 ნილ პოსტმანი „განათლების მიზანი“, თბ., 2007, გვ. 10

2 იქვე, გვ. 24

3 დ. პერკინსი, გონივრული სკოლა. თბ., 2007, გვ. 53

4 იქვე, გვ. 116

თავთავისი კუთვნილი ადგილი აქვთ მიჩენილი და ორგანულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. პრობლემა, როგორც პერკინსი აღნიშნავს, არა ცოდნის დეფიციტში, არამედ მის გამოყენებაშია. ამისი ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის პედაგოგიკის მიზანმიმართული, აქტიური ფსიქოლოგიზაცია. პედაგოგიკამ, როგორც სწავლა-განათლებისა და აღზრდის, მასწავლებლის პროფესიული მომზადების მეცნიერებამ, თავისი ფუნქცია რომ ვერ შეასრულოს. თუ რატომ? მისი პასუხი ალენ უკლშ დალექსისა და მალთუსის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ცნობილ პროგრამებშია ჩაწერილი.<sup>5</sup>

პედაგოგიკის ცნების განათლების ცნებით ხელოვნური შეცვლა ცვლის და აბუნდოვნებს მათ არსეს და უკარგავს ფუნქციურობას. რატომ? იმიტომ, რომ პედაგოგიკა არის განათლების მეცნიერება და არა პირიქით. მაგალითად, სახელწოდებების შეცვლა: პედაგოგიურ ფაკულტეტის განათლების ფაკულტეტად, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის განათლების თეორიითა და ისტორიით სახელდებას ახლავს გარკვეული გაუგებრობა და ბუნებრივად ბადებს კითხვას – რომელი განათლების? – პედაგოგიური, იურიდიული, სამედიცინო, ფილოლოგიური, მათემატიკური თუ რომელი? ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს პედაგოგებს უფრო ლოგიკური და ნათელი არ არის იწოდებოდეს პედაგოგიურ ფაკულტეტად, როგორც იყო, ვიდრე – განათლების ფაკულტეტად. არავითარ შემთხვევაში არ არის იდენტური განათლების ფაკულტეტი და პედაგოგიური ფაკულტეტი, ან კიდევ განათლების თეორია და ისტორია და პედაგოგიკის თეორია და ისტორია.

პედაგოგიურ მიზანთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდის პედაგოგიკის ისტორია, (თუმცა აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით მასზე, რადგან იგი საკმაოდ კოცლად გვაძეს გაშუქებული წიგნში: „აღზრდის მიზანი 2000 წლის წინ და შემდეგ“ თბ., 1998). აქ მხოლოდ იმას

5 იხ. ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2008, №3, გვ. 64–66

აღვნიშნავთ, რომ აღზრდის ცენტრია მიზანი, დანარჩენი კი მის ირგვლივ ტრიალებს და მას ემსახურება. ამიტომ მიზანის წინ საშუალების დაყენება არაბუნებრივია და პედაგოგიურ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. რომელიც გულისხმობს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პედაგოგიური სისტემების, ქვესისტემებისა და კომპონენტების კერძოდ: პედაგოგიური ამოცანების, შინაარსის, პრინციპების, მეთოდების, ხერხების, გზების, ფორმებისა და საშუალებების აღზრდის მიზნისადმი დაჭვემდებარებულობას. მთავარია პედაგოგიური მიზნის გარკვეულობა და მისი თეორიული და პრაქტიკული დირექტება. პედაგოგიური მიზნის ღირებულება კი მისი შინაარსით განისაზღვრება, რომელიც წესი, საზოგადოებრივი მოთხოვნებითაა განპირობებული. ა. წ. აღ-ით I საუკუნის რომაელმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარტუს ფაბიუს კვინტილიანემ „ორატორის დარიგებანის“ 12 ტრმეულის I წიგნის შესავალში იდეალური პიროვნების უზუსტესი მოდელის წარმოსახვის საფუძველზე ჩამოაყალიბა აღზრდის მიზნის ლაკონური, ფორმით მარტივი და აზრით უღრმესი, დროითა და სივრცით, რასობრივი თუ ეროვნული ნიშნით შეუძლებავი ფორმულა „ბრძენი რომაელის“ აღზრდა. რომელიც კომპენდიუმში მოიცავს განათლებულობას, სიბრძნესა და გონიერებას, ზნეობრიობას, სულიერობას, ესთეტიკურიას და ა. შ.

თანამედროვე გახმაურებული მიზანი აღზრდისა „კონკურენტუნარიანთა აღზრდა“ იმ კაპიტალისტური წყობილების ბუნებას გამოხატავს, რომელიც ჩვენთან თითქმის 100 წლის წინათ იქნა დამხმარებელი, დღეს კი ე. წ. დემოკრატიის მანტიაში გახვეული ბრძანებლობს მსოფლიოში. მას, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, თავისი არსითა და მიზნით ყოველთვის გულისხმობს ორ მხარეს: გამარჯვებულსა და დამარცხებულს. ის სუბიექტს აღმრავს მეტოქეობისა და ძალმომრეობისაკენ, რომ მოიპოვს და გაიფართოვოს გავლენის სფეროები, ისწრაფოს გამდიდრებისა და ფლობი-

საკენ და განზე რჩება ის მთავარი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები, რაც ადამიანს პიროვნებად აქცევს. ეს კი ეწინააღმდეგება, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიას, პუმანიზმს, სოციალური თანასწორობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურას, და, რაც მთავარია – ქრისტიანულ მორალს.

კლასიკურ პედაგოგიკაში აღიარებულ მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით აპრობირებულ არისტოტელესეულ პედაგოგიურ მიზანს, როგორიცაა: ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, ესოეტიკურად, ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბება – სწორედ, ამაში დევს აღზრდისადმი დემოკრატიული და პუმანური მიღგომა. განა შეიძლება დემოკრატიისა და პუმანიზმის გამოვლინების სხვა რაიმე იმაზე უმაღლეს აქტად იქნეს მიჩნეული, ვიდრე არის ადამიანის, სამყაროს ამ უნიკალური, ღვთიური ქმნილების განვითარების განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობების გამოწევევა და მისი ყოველმხრივ პარმონიული განვითარებისათვის შესაბამისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პირობების შექმნა. მით უმეტეს, როცა დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის შესაძლებლობების განვითარება ჯერ კიდევ 1, 1,5%-ს არ აღემატება. გარემო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად არის აღიარებული აღზრდაში. თუ ის მოუწესრიგებელია, უსამართლო და ძალადობრივი, ყალბი და თვალომაგცური, დამანგრევლად მოქმედებს ღირსეული თაობის მომზადებაზე. ადამიანს ყოველმხრივი თუ არა, მრავალმხრივი ჭეშმარიტი ცოდნა და მისი შესაბამისი შეგნება მაინც ექნება, ვის დასჭირდება კონკურენტუნარიანობა?! ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა იქმოვამ თავის ძესთან იქსო ქრისტესთან ერთად ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა.<sup>6</sup> ეს იმას გვავალდებულებს, რომ ჩვენი შემოქმედის ძირითად თვისებებს, როგორიცაა: სიყვარული,

სიბრძნე, სამართლიანობა, ძლიერება, მოთმინება მიმტვევ-  
ბლობა და ა. შ. გარკვეული დოზით მაინც ვირეპლავ-  
დეთ, რომელზედაც უშუალო პასუხისმგებელია სულიერი  
აღზრდა, ბიბლიური განათლება, რომლის კატასტროფული  
დეფიციტია მთელ მსოფლიოში.

ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა, რომელსაც ყველაზე მე-  
ტად სურს თავისი ქმნილების – ადამიანის ბედნიერება და  
მშვიდობიანი ცხოვრება, (რომელსაც ადასტურებს ჩვეთვის  
შექმნილი საოცარი, ულამაზესი და უმდიდრესი სამყარო,  
ცა და დედამიწა და რაც მასშია, კაცობრიობისთვის საკუ-  
თარი ძის იქსო ქრისტეს შემოწირვა და ა. შ.) არასოდეს  
უხსესებია კონკრეტუნარიანები და თავკერძები იყავითო.  
პირიქით, მოგვცა დარიგება: ყველაფერში ჩახედული და  
ყოველმხრივ მომზადებული იყავით ნებისმიერი კეთილი  
საქმისათვის-ო.<sup>7</sup> და ამისთვის საჭირო ფსიქიკურ და ფი-  
ზიკური უნარები ჩაუდო ადამიანს, რომ ის ღირსეული,  
სამართლიანი, მოსიყვარულე და ცხოვრებისუნარიანი ყო-  
ფილიყო, რასაც ცხადად ადასტურებს ჩვენი შეგრძნებათა  
ორგანოების „მსტოვრების“ სასწაულები და სენსუალიზ-  
მის უნივერსალური თეორია. რომელსაც განსაკუთრებული  
ადგილი უკავია პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კო-  
მენსკის „ დიდ დიდაქტიკაში“.

თანამედროვე განათლების სისტემაში აბსურდამდე მი-  
სული ე. წ. სილ ა ბ უ ს ი (ქართულად – ლექციის ვრცელი  
გეგმა, რომელიც ყოველთვის საგულდაგულოდ იხილებო-  
და შესაბამის კათედრაზე, და, ცხადია, არც პედაგოგი-  
კის კათედრა იყო გამონაკლისი, კათედრის გამგის ხელ-  
დასმით მტკიცდებოდა) ჩვენს აწმუნში იქცა გადაულახავ  
პრობლემად. ვერ იქნა და ვერაფრით ვერ ჩამოყალიბდა  
იმ ავადსახსენებელ 9 წლის განმავლობაში მარტივი, მო-  
ქნილი, გასაგები, მეცნიერულად ღირებული და პრაქტი-  
კაში მარჯვედ გამოსაყენებელი სილაბუსის სტანდარტი.  
წარამარა იცვლება, რთულდება, მძიმდება, ტლანქდება და

გამაოგნებელი პედანტიზმის წყალობით სრულიად დაკარგული აქვს მას თავისი შეუცვლელი მაორიენტირებელი, წარმართველი და მაშველი ფუნქცია. ძირითადს, გადამწყვეტს, როგორიცაა სასწავლო კურსის თემატიკა, რაც უნდა ვასწავლოთ, მას კი ჰქვია ე.წ. „დანართი“, რომელიც 1-2 გვერდს არ აღემატება. ხოლო 10-15 გვერდამდე ელემენტარულ, ანბანურ ჭეშმარიტებას უკავია. სილაბუსში მთავარი აქცენტი უნდა კეთდებოდეს იმაზე: რას ვასწავლით? და არა – როგორ ვასწავლით? თუმცა არც ეს უკანასკნელია პედაგოგიკაში უმნიშვნელო. ლექტორის დონე, კვალიფიციურობა, კომპეტენციები ნათლად და ავტომატურად ვლინდება, სწორედ, იმ ე.წ. „დანართში“. როგორ? სრულიად მარტივად. ყოველი სალექციო თემა იმ აზრობრივ საკითხებად უნდა იყოს დანაწილებული, რომელთა წრესაც მოიცავს მოცემული თემა. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითად. ჩამოსახელებულია მხოლოდ თემატიკა სარჩევივით და მორჩა. არსად ჩანს თემის შინაარსი, ბევრგან დუბლირებულია საკითხები სხვადასხვა სიტყვებით, უგულებელყოფილია თანმიმდევრობისა და სისტემურობის დიდაქტიკური პრინციპი.

კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას ე.წ. სილაბუსში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების პროცედურა. საშინელ ანაქრონიზმად ითვლება 2004 წლამდელი ლიტერატურის, მით უმეტეს რუსული ან „არასასურველ“ ქართველი ავტორის მითითება. არავინ დაგიდევს წიგნის ხარისხს, ეროვნულ სპეციფიკურ თავისებურებასთან მის შესატყვისობას, მთავარია ინგლისურიდან იყოს ნათარგმნი და ვიდაცის მიერ რეკომენდირებული, და, მორჩა! რაც უფრო სავალალოა, საქმისადმი ამგვარი „მოდური“ მიღვომით სტუდენტ-ახალგაზრდობას უყალიბდება მცდარი შეხედულება ქართულ კულტურასა და მეცნიერებაზე. თითქოს ქართველებს დღემდე არ გვცოდნია წერა-კითხვა და სულზე მოგვისწრო ანგლო-ამერიკამ! და, თურმე, საქართველოს ისტორიაში პირველად, 2004 წლიდან იწყება ყველაფერი.

ჩვენ აქ იმას არ ვამბობთ, რომ ხედვა და სმენა დაგიხშოთ და საზღვრებს იქით არ გავიხედოთ, ღმერთმა დაგვიფაროს. კაციობრიობას ხომ ერთი ღმერთი და ერთი წინაპარი წყვილი გვევავს – ადამი და ევა. წარდგნის შემდეგ ნოეს სამი ვაჟის: ქამი, სემი და იაფეთის შთამომავალნი, შეიძლება ითქვას – ბიძაშვილები ვართ მთელი კაციობრიობა და რა უნდა გვქონდეს გასაყოფი?! ჩვენ, უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ჯერ ჩვენი, მშობლიური ავითვისოთ კარგად და მერე ის შევადაროთ სხვისას. რასაც იქ უკეთესს დავინახავთ, კი, ბატონო, გამოვიყენოთ ეროვნულისა და ინტერნაციონალური მიღწევების გრივრული დაბალანსების, ზომიერების გრძნობის დაცვით, უკიდურესობაში გადავარდნის გარეშე. როგორც ა. მ. სტოლიარენკო აღნიშნავს: „დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ეროვნულ გამოცდილებას, ხოლო უცხოურს კი – ყურადღებითა და გააზრებულად, რომ უკიდურესობაში არ გადავვარდეთ“.<sup>8</sup>

მაშინ, როცა ამდენს ვსაუბრობთ ეგზისტენციალიზმზე, ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე და ამავდროულად დაჟინებით მოვითხოვთ უცხოური (და თანაც ფსიქოლოგიზმებული) პედაგოგიკის ყაიდაზე გადასვლას, ამით ხომ არ ვეწინააღმდეგებით საკუთარი თავის იდენტურობას?! მექართველი ვარ და ქართველობა მინდა. მხარს ვუჭრ ინტერნაციონალურ მეგობრობას და არა შერწყმას.

ასევე, არანაკლებ პრობლემატურია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ზედმეტი ჩარევა, განსაკუთრებით იმათგან, რომლებსაც არანაირი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ, უფრო მეტიც, ერთი გაკვეთილიც კი არ ჩაუტარებიათ ოდესმე. მაგალითად, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები, ეკონიმისტები და ა. შ.

პედაგოგიური პროცესები მიგანდოთ პედაგოგს, ვისაც უშუალოდ მიჰყავს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ზედმეტი სენტენციებისა და გადატვირ-

8 ა. მ. სტოლიარენკო, ზოგადი პედაგოგიკა, მ., 2006, გვ. 99

თვის გარეშე მიგუშვათ ერთმანეთთან მასწავლებელი და მოსწავლე პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიკური ხელოვნების ჟურნალობით. კონტექსტში: მასწავლებელი—პედაგოგიკა—მოსწავლე. ამასთან დაკავშირებით სრულიად ვეთანხმებით ნილ პოსტმანის მიერ არგუმენტად მოყვანილ თეოდორ როზაკის სიტყვებს: „მეტისმეტად ბევრი ინსტრუმენტი, ისევე, როგორც მეტისმეტად ბევრი ბიუროკრატია, მხოლოდ ხელს უშლის სწავლებისა და სწავლის ბუნებრივ დინებას“... „განათლების პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, უნდა გადაიჭრას მასწავლებლისა და მოსწავლეების გამოცდილებით“.<sup>9</sup>

ამის თვალსაჩინო რეალური მაგალითია რეპეტიტორობის ინსტიტუტი. სიმართლეს შევხედოთ თვალებში და ვაღიაროთ, რომ XX ს. მეორე ნახევრიდან, (მანამდელზე არ ვიცი) აბიტურიენტთა უმცირესი ნაწილის გარდა, რეპეტიტორთან მომზადების გარეშე, უმაღლეს სასწავლებელში არავინ არ ჩარიცხეულა. ე. ი. პედაგოგიკური ცოდნის დეფიციტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მაშ, რაშია საიდუმლო?! სრულიად მარტივ ანალიზს მივყავართ ჭეშმარიტ პასუხამდე. აქ მასწავლებელი თავისუფალია და აქვს საქმისადმი შემოქმედებითი მიღორის, არჩევანის საშუალება, შინაგანი და გარეგანი მოტივი. მატერიალურ და მორალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. შევუძნათ მას იგივე პირობები სკოლაში, და, თქვენ იხილავთ საოცრებებს!

თუმცა ნამდვილი მასწავლებლები ამის გარეშეც მაქსიმუმს აკეთებენ. მაგალითად ერთ სრულიად უბრალო, მაგრამ პედაგოგიკურად ღირებულ მაგალითს მოვიყვან: კერძო საშუალო სკოლა „აისში“ ჩვეულებრივ მივედი 5 საათზე 9 საათზე მიყვანილი ბავშვის, II კლასელი მოსწავლის წამოსაყვანად. კლას-კაბინეტში ვიხილე მასწავლებელსა და მოსწავლებს შორის შემეცნებითი ურთიერთობის ულამაზესი პედაგოგიკური ეპიზოდი. მასწავლებელი

9 ნილ პოსტმანი, განათლების მიზანი. ობ. 2007, გვ. 32

ზის მაგიდასთან და მის ირგვლივ შემოქლრუტუნებულნი არიან რაღაცით უზომოდ დაინტერესებული მოსწავლეები. ვხედავ მაგიდაზე აწყვია ყველა სახის ხურდა ფული, თეთრები. პირველად ვიფიქრე ის, რასაც ყველა ადამიანი გაიფიქრებდა – რაღაცისთვის ფულს აგროვებენ-მეთქი. ნურას უკაცრავად! აღმოჩნდა, რომ დიდ მათემატიკასთან გვქონდა საქმე. გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი ქალბატონი ლალი გურაშვილი თავის მოსწავლეებს, რომლებიც თავიანთი ასაკის გამო ხურდებთან და ფასებთან ჯერ-ჯერობით მთლად კარგად ვერ არიან გაცნობიერებულნი, ახესნითი და კითხვა-პასუხების მეთოდით თვალსაჩინოდ ყველას ერთად და სათითაოდ ავარჯიშებდა მანამ, სანამ „კეთება“ არ ასწავლა, ანგარიშის ცოდნა პრაქტიკულ უნარ-ჩვევამდე არ დაუყვანა. პირველად აქ შევიგრძენი ხურდა ფულის ესთეტიკა. ამ მცირედ პედაგოგიურ ეპიზოდში იყო კომუნიკაცია, ბავშვების სიყვარული, პროფესიული სიამაყე, პედაგოგიკური მეცნიერება, პედაგოგიური შემოქმედება – კრეატულობა, სილამაზე, ყოველივე საუკეთესო. როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი მასწავლებელი არის მასწავლებელ-მოსწავლის პრაქტიკული გამოცდილება. ხოლო გამოცდილება ის ცოდნა და უნარია, რომელიც მიღებულია რაიმე საქმიანობისგან მუშაობის განმავლობაში“.<sup>10</sup>

რაც შეეხება მანდატურებს ანუ პოლიციურ რეჟიმს სკოლაში, ორი, თავთავის მხრივ ღირებული, მაგრამ ერთ-მანეთთან სრულიად შეუთავსებადი ინსტიტუციების ხელოვნურ „შეჯახებას“, რომელმაც მთლიანად დააკნინა სკოლის არსი და ღირსება. 3 მილიონიან ქვეყანაში 32000-მდე პატიმარი და 70000-მდე პრობაციონერი და ამას დამატებული სასკოლო მანდატურიზაცია ხომ არ ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის კრიმინალურ ქვეყნად გამოცხადებას?! მოტივი ყვალასათვის ცხადია: საზოგადოების, დაშინება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, სააკაშვი-

10 მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი. თბ. 2011, გვ. 67

ლისა და მისი ხელისუფლების იძულებით მხარდამჭერთა გაფართოება. სკოლა დაშინების, იძულების კოლონია კი არ არის, არამედ შეგნებულობის, ურთიერთსიყვარულის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებზე აგებული „ცოდნის ტაძარია“. სკოლასა და მასწავლებელს უნდა დაუბრუნდეს თავისი დიდება და დაემსგავსოს ვიტორინო და ფელტრეს ცნობილ „სიხარულის სკოლას“. პოლიცია სასწარაფოდ უნდა იქნეს სკოლიდან გამოყვანილი.

ადამიანებს, საზოგადოებას არაფერი თრგუნავს ისე, როგორც უსამართლობის განცდა. უსამართლობაა ყოველგვარი უბედურების მშობელი. აქ არგუმენტად მინდა მოვიშველიო დიდი თამარ მეფის სამართლთან დაკავშირებული მარად გაუხუნარი სიტყვები, რომელიც ვ. აფრიდონიძეს აქვს ციტირებული თავის წიგნში: „იწყეთ მართლ მსაჯ ულ ება, თუ მე ვიყო დამნაშავე, გვირგვინი, რომელიც მე მაღგია, მომხადეოთ, (ხაზგასმა ჩვენია – გ. ხ.) რადგანაც გვირგვინი არის ნიშანი მეფობისა და არა დვოთისწინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მისდევთ ნურც გვარს, ნურც მთავართა დიდკაცობას და ნურც დარიბთა სიმცირეს. ყველას სიმართლით მოექეციოთ – გლეხსა და თავადს, მცირესა და დიდებულთ, ვიმოქმედოთ ერთად ქვეყნის საკეთილდღეოდ“.<sup>11</sup>

მიუხედავად ამგვარი ქართული მენტალიტეტისა, (რა დასანანია XXI საუკუნეში XII ს. ფეოდალური ხანის სამართლის უზენაესობას მივსტირით) ბევრი მწარე მოსაბონარი დაგვიტოვა „ერთიან ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ხალხის მიერ კანონიერად არჩეული ახალი ხელისუფლების უკვე, მისივე თქმით, ოპოზიციაში გადასულმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა. მაგრამ ბიბლიი გვასწავლის, რომ „არაფერია დაფარული, რაც არ გამჟღავდება და არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამოაშკარავდება“.<sup>12</sup>

11 წიგნიდან ვ. აფრიდონიძე, „მასწავლებელი – ცოდნის ჩაუქრობელი ლამპარი. თბ., 1990, გვ. 32

12 მათე 10:26

ყველას მიეზღვება თავთავისი საქმეებისამებრ. მაგრამ გულსატკენია, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, სრულიად გაუმართლებლად და დაუმსხურებლად ამის საჭიროება დადგა ჩვენს ანტიკური ცივილიზაციის, კოლხური მოდგმის ერში.

კიდევ უფრო მრავლადაა კრიტიკის საგანი განათლების სისტემაში, მაგრამ ვფიქრობთ, ნაშრომში დასახელებული ფაქტებიც საკმარისია პრობლემების წარმოსაჩენად.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქვე მოვახდენთ კონსტანტაციას იმ ფაქტორებისა, რომლებმაც ჰქონდა სამართლებრივი უფლებების განათლების ბუნებრივი განვითარების კანონზოგებას. აღზრდაში შესაძლო წარმატებების მიღწევას. როგორიცაა: ა) განათლების ძირშივე მცდარი საკადრო პოლიტიკის გატარება; დოქტორის დიპლომების მეცნიერების კანდიდატობის უპირობოდ გაცემა და პროფესორის არსის ფალსიფიკაცია; ბ) წარსულის უმდიდრესი პედაგოგიური მიღწევებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება და უცხოური ტრავიალური აღმოჩენებისადმი მექანიკური, გაუწონასწორებელი მიღვომა; გ) განათლების მიზნისა და საშუალებების პრიორიტეტთა, პედაგოგიკურ ცნებითი ტერმინოლოგიის აღრევა; დ) სილაბუსების გაუმართაობა; ე) XII კლასით სკოლისა და ახალგაზრდების დამბიმება; ვ) სკოლაში პოლიციური რეჟიმის დამყარება და ა. შ.

აღნიშნული პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ გადასაჭრელად, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება გარკვეული რეკომენდაციების ჩამოყალიბება;

1. ჰქონდა განათლებისა და აღზრდისათვის ჰქონდა მარიტი, მოწესრიგებული, სამართლიანი მაკრო და მიკრო გარემო პირობების შექმნა;
2. ფუნდამენტური პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების თანამედროვე პედაგოგიური მიღწევებით შეჯერება და დროის, ადგილისა და სიტუაციის მოთხოვ-

- ნებთან, ეროვნულ მენტალიტეტთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. მეცნიერების კანდიდატებისათვის კამფეტებივით დარიგებული მეცნიერების დოქტორის დიპლომების ბათილად ცნობა;
  4. აღზრდის მიზნის – „კონკურენტუნარიანთა აღზრდის“ შეცვლა „თანაცხოვრებისუნარიანთა“ აღზრდით.
  5. აღსაზრდელის განვითარების პოტენციალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება და მისი სრულყოფისათვის შესატყვისი პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული (პოლიტიკის ხელნებაზე მზარავს გ.ხ.) პორტფელისშექმნა;
  6. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ზედმეტი ხელშემშლელი ბარიერების, უპირველეს ყოვლისა, პოლიციური დამამცირებელი რეჟიმის მოხსნა და თავისუფალი, შემოქმედებითი პედაგოგიური პროცესის აგება ბუნებრივი შუამავლის: პედაგოგიკის მეცნიერების, პედაგოგიური ხელოვნებისა და მათი პირადი ურთიერთობის გამოცდილებათა საფუძველზე, სკოლის უახლეს, მარადიულ და ბუნებრივ მოკავშირებთან, ოჯახთან ერთად;
  7. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სილაბუსების ოპტიმიზირება ეროვნული მენტალიტეტის გათვალისწინებით;
  8. მასწავლებლის მატერიალური და მორალურ-ემოციური სტიმულირება.

## მასწავლებელი ანთიპურ დოკუმენტი და დღეს

„მასწავლებელი სკოლისთვის იგივეა,  
რაც მზე – სამყაროსთვის”  
(ადოლფ დიხტევები)

მასწავლებელს, თავისი პროფესიული დანიშნულებიდან გამომდინარე, გამორჩეული ადგილი ეკავა ანტიკურ ხანაში. ის დიდი ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობდა საბერძნეთსა და რომში, რასაც მოწმობს იმპერატორთა მიერ გამოცემული ბრძანებები და განკარგულებები. მაგალითად 333 წლის 27 დეკემბერს კონსტანტინე იმპერატორმა გამოსცა სპეციალური ბრძანება: „ექიმთა და მასწავლებელთა პრივილეგიების შესახებ,” რომელიც ითვალისწინებდა მასწავლებლისა და მთელი მისი ოჯახის წევრთა ყოველგვარი გადასახადებისა და საზოგადოებრივი დავალებებისაგან განთავისუფლებას და მათი უსაფრთხოების გარანტიას. „ჩვენ მოვითხოვთ – გეითხულობთ ნაწყვეტს აღნიშნული ბრძანებიდან – მათთვის დახმარებისა და პრემიების გაცემას, რათა ისინი მთელი არსებით მიეცნენ პედაგოგიურ საქმიანობას და მეტი მონდომებითა და მომზადებით ასწავლონ მრავალი თავისუფალი მეცნიერებანი და ზემოთ ჩამოთვლილი ხელოვნებანი.” ასევე ცნობილია რომის იმპერატორის ვეპასიანეს განსაკუთრებული ზრუნვა მასწავლებლისა და საერთოდ, განათლების მიმართ. მან მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს კერძო რიტორიკულ აკადემიას სახელმწიფო სასწავლებლის სტატუსი მიანიჭა და სახემწიფო ბიუჯეტიდან უხვად დააფინანსა. ხოლო სკოლის ხელმძღვანელს მაღალი ხელფასი დაუნიშ-

ნა. იმპერატორმა დომიციანემ პედაგოგიური დამსახურებისათვის კვინტილიანეს კონსულის წოდება უბოძა. რაც აღიარებასთან ერთად მის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც უწყობდა ხელს.

ჰასწავლებლის მიმართ უურადდება არც შემდეგ შენელებულა. გრამატიკისა და ოიტორიკის მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რომის იმპერატორებმა არა ერთგზის მიიღეს და სისრულეში მოიყვანეს ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა იმპერატორის ფონდიდან მასწავლებლის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფას, მათ სოციალურ და მატერიალურ დაცვას. იმპერატორმა პირ ანტონმა მასწავლებლებს დაუწესა ახალი პრივილეგიები. მაგალითად: გადასახადების განახევრება და სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება.

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ გამოჩენილი უდიდესი ზრუნვა და პრივილეგირებული მდგომარეობა მასწავლებელს ავალებდა და შინაგანად განაწყობდა კუთილსინდისიერად და სიხარულით მოჰკიდებოდა მასზე მინდობილ საქმეს და წარმატებით აღესრულებინა თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ჰასწავლებლის მიმართ უდრმესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობითაა გამსჭვალული I საუკუნის მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი, პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე. იგი ცნობდა და აღიარებდა მასწავლებლის განუზომელ საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას. „ბრძენი რომაელის” აღზრდას, დირსეული ორატორის მომზადებას უშუალოდ მასწავლებლის სახელს უკავშირებდა და მის დამსახურებად მიიჩნევდა.

კვინტილიანე იცავდა რა მასწავლებლის პრესტიჟსა და უფლებებს, ამავდროულად მას მაღალ მოთხოვნებსაც უყენებდა. „ორატორის დარიგებანის” ავტორს მასწავლებელი ვერ წარმოედგინა ფართო განათლების, დრმა გან-

სწავლულობის, მაღალი ერუდიციისა და კომპეტენტურობის გარეშე. ამ პარამეტრებს მოკლებულ დილეტანტებს კრიტიკის ქვეშ ატარებდა: „არაფერია იმაზე უარესი – წერს ის – რომ ადამიანმა ოდნავ მოსინჯა განათლების გემო და თავი მოაქვს ყოვლისმცოდნედ.” უფრო მეტიც „არაფრად აგდებენ გამოცდილ მოძღვარს და ამაყობენ თანამდებობით. ასეთი ადამიანები საკუთარ თავს ანიჭებენ დიდ უფლებებს, სინამდვილეში კი ველურად დარჩენილები თავიანთ სისულელეებს გადასცემენ ბავშვებს”<sup>1</sup>.

კვინტილიანე მომავალი მასწავლებლის პროფესიული მომზადებისათვის საჭიროდ თვლიდა განათლების სისტემის ამ მიმართულების ყველა საფეხურზე: ჯერ ელემენტარულ ანუ დაწყებით, მერე გრამატისტულ და ბოლოს რიტორიკულ სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკის გავლას. თუ აქ წარმატებით გაართმევდა თავს, მხოლოდ ამის შემდგომ ეძლეოდა სამივე საფეხურის სკოლაში მასწავლებლის თანამდებობის დაკავების უფლება. მასწავლებელი, კვინტილიანეს მიხედვით, როგორც ცოდნის პირველი ცოცხალი წყარო და აღსაზრდელთათვის მისაბაძი მაგალითი, ყოველმხრივ უზადო და წუნდაუდებელი უნდა ყოფილიყო; მასწავლებელი რფიციალურად და მორალურად ვალდებულია ამართლებდეს თავის ამ საპატიო წოდებას; განუწყვეტლივ ზრუნავდეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატებისათვის.

რიტორიკის მასწავლებლისათვის მეცნიერს აუცილებლად მიაჩნდა ლათინური და ბერძნული ენების, ორატორული ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის, სამართლის და გეომეტრიის საფუძვლიანი ცოდნა. კვინტილიანემ ცოდნის წყაროების მოპოვებასთან დაკავშირებული სიძნელეებიც გაითვალისწინა და სამისოდ საჭირო სახელმძღვანელოებისა და დამსმარელიტერატურის სიაც შეადგინა, რათა ბიბლიოგრაფიულ

1 მ.ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანქტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 87

პრობლემებს დაბრკოლება არ შეექმნა ცოდნას მოწყურებულთათვის. წიგნის, როგორც სულიერი საუნჯის, უდიდესი მნიშვნელობა ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან იდებს სათავეს. ცნობილია, რომ მესამე ათასწლეულის დასასრულს შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფო ასურეთში არსებობდა საეციალური სასწავლებელი, რომლის დანიშნულება წიგნების გადაწერა იყო. ქ. ნინევიას სიამაყეს წარმოადგენდა საყოველთაოდ ცნობილი დიდი ბიბლიოთეკა, რომელშიც ათეულ ათასობით თიხის ფირფიტაზე დაწერილი წიგნები ინახებოდა. ამჟამად, ამ ფირფიტის წიგნების ნაწილი მსოფლიოს დიდ მუზეუმებშია მიმოფანტული.

კვინტილიანემ კარგად იცოდა, რომ მასწავლებლისათვის ცოდნა-გამოცდილებით გაჩახჩახებულ თავთან ერთად აუცილებელი იყო ამაღლებული იდეალები და ემოციურ-გრძნობითი ფონი, ადსაზრდელისადმი უპირობო სიყვარული. „მასწავლებელმა – წერს ის – უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიჩინოს მოწაფისადმი მშობლიური სიყვარული, თავისი თავი ყოველთვის უნდა წარმოიდგინოს იმ პირთა როლში, რომლებსაც ანდობენ ყველაზე ძვირფასს, თავიანთ შვილებს“.<sup>2</sup>

კვინტილიანე საჭიროდ თვლის მასწავლებლის სიმკაცრეს, მაგრამ სამართლიანს. სასჯელი, მისი აზრით, მუდამ ზომიერი და ობიექტური უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი და გადაჭარბებული. დასჯა მოსწავლეს უნდა წარმოუდგეს მამაშვილურ ზრუნვად და როგორც თავისი ქცევის შედეგი და არა მის პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ანგარიშსწორებად. „სიმკაცრე – ვკითხულობთ თხზულებაში – არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი, არც ალერსი გადაჭარბებული. ორივე წარმოშობს სიძულვილს ან მობეზრებას“.<sup>3</sup>

აღსაზრდელებთან ურთიერთობაში კვინტილიანე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელში პედაგოგიურ

<sup>2</sup> მ.ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანქტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 84

<sup>3</sup> იქვე, გვ. 85

ტაქტს, ოომელშიც გულისხმობს თვითკონტროლისა და ზომიერების გრძნობას. აღგზნებულობასა და ბავშვის ათვალწერებას არ პატიობს იგი აღმზრდებულს. „მასწავლებელი არ უნდა იყოს – წერს მეცნიერი – გამღიზიანებელი, ნუ ამოიჩემებს იმ მოსწავლეს, ოომელიც დახმარებას საჭიროებს” და იქვე დასძენს: „მას (მასწავლებელს – გ. ხ.) თავად არ უნდა ჰქონდეს ის ნაკლი, რაზედაც უთითებს სხვებს” (იქვე). კვინტილიანეს აზრით, მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს „სწავლებაში უბრალოება, შრომაში მომინება, დიდი მონდომება, მეტის გაცემა, ვიდრე მიღება” (იქვე). მასწავლებელს უნდა შეეძლოს კლასში ინდივიდუალური, ჯგუფური და კოლექტიური მუშაობის პარმონიული შერწყმა, ყველას ერთდროულად და თითოეულის ცალ-ცალკე დანახვა. იგი აქტიურ მოსწავლეთა კითხვებს ხალისით უნდა პასუხობდეს, ხოლო გაჩუმებულებს კითხვებს იქით უნდა უსვამდეს”<sup>4</sup>.

მასწავლებელს არც სიტყვაძუნწობას უწონებს მეცნიერი და არც ფუჭსიტყვაობას. მისი აზრით, შექების სიტყვა ზუსტად მიგნებული და სიტუაციასთან, ბავშვის უნდივიდუალურ სპეციფიკასთან უნდა იყოს მორგებული. გადაჭარბებული ან დაშურვებული ხოტბა-დიდება უსარგებლოა, ზოგჯერ საზიანოც. „პირველი იწვევს თვითდაჯერებას, მეორე – ხელჩაქნეულობას” (იქვე). ასევე მეცნიერ-პედაგოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარჩვევების გადაცემის (სწავლების) უნარსა და მეტყველების კულტურას. გადაცემის უნარში ის გულისხმობს სასწავლო მასალიდან მირითადის, უმთავრესისა და სასარგებლო აზრების დაყვანას მოსწავლის შეგნებამდე, საგნის არსის, შემადგენლობის, დანიშნულებისა და პრაქტიკული ღირებულობის გაგების, დამახსოვრებისა და გამოყენების, ასევე ცოდნის დამოუკიდებლად მოძიების შეგსებისა და გაღრმავების უნარ-ჩვე-

<sup>4</sup> მ.ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანქტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 86

ვების გამომუშავებას. „გამოცდილი და დახელოვნებული დამრიგებელი – წერს ის – ყველაფრისგან უნდა არჩევდეს საუკეთესოს და იქიდან უნდა გადაცემდეს იმას, რაც საჭიროა და სასარგებლო და აბდა-უბდებით არ უტენავდეს თავს. მაშინ მოსწავლეები ადვილად და სიამოვნებით მიჰყვებიან მის კვალს”<sup>5</sup>.

რაც შეეხება მეტყველების კულტურას, ეს კაცობრიობის ფასდაუდებელი საგანძურია. მჭევრმეტყველება კი – მისი ოქროს გვირგვინი! კვინტილიანე მჭევრმეტყველების-გან მოითხოვს სამ კომპონენტს: აზრის სისწორე, სიცხადე, სილამაზე. ამ მახასიათებლების მიხედვით, აშკარად ჩანს ყოველმხრივი განათლების, ლოგიკური აზროვნებისა და ენის სრულყოფილი ცოდნის აუცილებლობა. ამიტომ შეადარა კვინტილიანემ სიტყვა თაფლს, რომელსაც (ა) კიდევ ერთხელ პირდაპირ მოვიყვან ავტორის სიტყვებს, რომ ჩემი იმპროვიზაციებით თავისი ესთეტიკა არ დავუკარგო – გ. ხ.) „უტყვი მწერი სხვადასხვა ყვავილთა წვენებისგან როგორ ამზადებს ადამიანის აზრმიუწვდომელ ნაერთს თაფლს და ნუთუ უნდა გაგვიკირდეს, რომ სიტყვა, ეს ფას-დაუდებელი, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭი მოითხოვს მრავალ მეცნიერებას, რომელნიც სიტყვაში არ ჩანან, მაგრამ საოცარ ფარულ ძალას ანიჭებენ მას და თავს უჩინრად გვაგრძნობინებენ”<sup>6</sup>.

დიახ! როგორც კვინტილიანე ამბობს, მეტყველების კულტურა მასწავლებლის წარმატებული შრომის მძლავრი იარაღია. ამიტომ ის განუწყვეტლივ უნდა აკონტროლებდეს თავის როგორც ქცევას, ისე მეტყველებას, რომ ის არც ცხელი იყოს და არც ცივი.

მოსწავლეებთან ურთიერთობაში მასწავლებელს კიდევ ერთ აუცილებელ მოთხოვნას უყენებს კვინტილიანე – იყოს შემწენარებელი და პქონდეს მოფერების უნარი: „მასწავლებელი უნდა იყოს შემწენარებელი. მის დარიგებას თან

5 ქ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანკტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 86  
6 იქვე.

უნდა ახლდეს დასაშვები ალერსი: ზოგ რამეს შეუქებს, ზოგს კიდევ ან გვერდს აუკლის, ან გადააკეთებინებს მიზეზის მითითებითა და გზის ჩვენებით”<sup>7</sup>. ამასთანავე ისე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომ მოსწავლემ იგი აღიქ- ვას თავის აღმოჩენად, რაც მასში გამოიწვევს აღმაფრე- ნას, აღავსებს გამარჯვების რწმენით და განაწყობს ახალი შრომით აღმავლობისათვის. „არაა ცუდი – გეითხულობთ თხზულებაში – თუ ზოგჯერ მოსწავლე ამოცანას შეავსებს თავისი მოსახრებითა და კიდევაც ტკბებოდეს იმით, რო- გორც საკუთარი ნაწარმოებით. და თუ მასში სიტყვები ისეთი უზუსტო იქნება, რომ გასწორება არ შეიძლებოდეს, მაშინ უნდა აუხსნას იგი ხელახლა და მოსთხოვოს მისი დამუშავება განმეორებით ისე, რომ ამ პროცესს თან ახლდეს ოპტიმისტური, გამამნენევებელი მითითებები, რომ შეძლოს უკეთესად დაწეროს. ამ ხერხის ვარგისიანობა – განაგრძობს ავტორი – პირადად გამოვცადვ, საკუთარი გამოცდილებით. ისიც ხომ მართალია, რომ წარმატების რწმენა ბადებს სურვილსა და მისწრაფებას”<sup>8</sup>.

კვინტილიანეს ნათქვამიდან გამომდინარე, კარგი მასწა- ვლებელი, მოსწავლისათვის პირადი მაგალითის როლს ასრულებს. მას ბაძავს ქცევასა და მოქმედებაში, სიტყვასა და ჩაცმულობაში, ამიტომ იგი ვალდებულია ზრუნავდეს თავის თავზე, სრულყოფდეს ცოდნას, იმაღლებდეს მეტ- ყველების კულტურას, იდგეს ზნეობრივ სიმაღლეზე. მასწა- ვლებელი მოსწავლის მიერ უნდა აღიქმებოდეს კეთილმო- სურნე, განათლებულ და ბრძენ წინამდოლდად.

კვინტილიანეს ღრმა რწმენით, მასწავლებელი თავისუ- ფალი უნდა იყოს ყველანაირი პრობლემისაგან, რომ მის ერთადერთ საზრუნავს თავისი პროფესიული მოვალეო- ბის მაღალ დონეზე შესრულება უნდა წარმოადგენდეს. ამისთვის სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა უზრუნ- ველყოს მისი მატერიალური მდგრმარეობა, მორალური

7 მფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანკტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 83  
8 იქვე 84

მხარდაჭერა, სოციალური დაცვა. ეს პრობლემა, როგორც  
ზემოთ აღვნიშნეთ, შესანიშნავად იყო გადაჭრილი ძველ  
საბერძნებთსა და რომში და, შესაბამისად, ბრწყინვალე შე-  
დეგებიც პქონდათ კულტურის, განათლებისა და მეცნიერე-  
ბის სფეროში.

კვინტილიანეს აზრით, ორგანიზატორული ნიჭითაც უნდა ყოფილიყო გამორჩეული მასწავლებელი, როგორც პე-დაგოგიური პროცესის გონივრული მართვისა და ხელმძღვანელობისათვის ერთერთი აუცილებელი პირობა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში კვინტილიანე გულისხმობდა იმ ძირითად ელემენტთა: ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ და დიდაქტიკურ რესურსთა ლოგიკურ ერთიანობას, რომელიც ქმნის პედაგოგიურ სისტემას და რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მთელი ეს პროცესი. ამ შექანიშმს შემდეგში პედაგოგიკოსებმა „პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიუფიკაციის საფუძველზე“.

კვინტილიანე ასევე საქმის ღრმა ცოდნით საუბრობს მასწავლებლის მიერ პედაგოგიური მეთოდების მარჯვედ გამოყენების ხელოვნებაზე. მისი აზრით, „მასწავლებელი ხშირად უნდა საუბრობდეს კარგ ყოფაქცევაზე და რაც უფრო დიდია შთაგონება, მით ნაკლებად იქნება საჭირო დასჯა“ და ავტორი იქვე განაგრძობს: „მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მოსწავლეებს მიაწოდოს ისეთი დამრიგებლური აზრები, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდეს“<sup>10</sup>. ეს რომ ადვილი საქმე არ არის, კარგად ესმის პედაგოგის კლასიკოსს, ამიტომ მოითხოვს ის მასწავლებლისგან განსწავლულობასა და კრეატიულობას, პროფესიულ გატაცებას. „მართალია, – წერს ის – წიგნის კითხვა საკმარის მაგალითებს იძლევა მიბაძვისთვის, მაგრამ უფრო მეტად მოქმედებს მასზე საყვარელი და პატივსაცემი მასწავლებელი“... აბა, წარმოიდგინეთ თუ როგორ ვართ მიღრეკილნი

9 օ. ծածանելոյ, Ֆյուջողովա, թ. 1983, զի. 237

10 ბ.მ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანქტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 84.

მივბაძოთ მას, ვისაც სულიერად გეყრდნობით”<sup>11</sup>.

კვინტილიანე არა ერთგზის უსვამს ხაზს პედაგოგიური ოპტიმიზმის მნიშვნელობას პედაგოგიურ პროცესში და, საერთოდ, მოსწავლეებთან ურთიერთობაში. პედაგოგიური ოპტიმიზმი, როგორც წესი, ეყრდნობა უხილავის რწმენას ცოდნისა და ლოგიკურ-დიალექტიკური აზროვნების საფუძველზე. მაშასადამე, პედაგოგიური ოპტიმიზმი იმ მასწავლებელთა თვისებაა, რომლებიც დიდი განათლებულობით, ამაღლებული გრძნობებით, უტყუარი ინტუიციითა და ალფოთი გამოირჩევიან, რის საფუძველზეც აღვილად და შეუცდომლად შეუძლიათ განსაზღვრონ მოსწავლის ფსიქო-ფიკური და გონებრივიგ-ინტელექტუალური შესაძლებლობები და შეიმუშავონ პედაგოგიური ზემოქმედების აღეკატურ პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა.

პედაგოგიურ ხელოვნებასთან დაკავშირებითაც მნიშვნელოვან ინფორმაციებს შეიცავს კვინტილიანეს „ორატორის დარიგებანი.” მასში ავტორი გულისხმობს მასწავლებლის მიერ თეორიული ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; მოსწავლესთან, როგორც სუსტ თანამგზავრთან „ფეხის შეწყობის” უნარს. „მასწავლებელი ვალდებულია – ვკითხულობთ ტექსტში – უველავურში მიჰყეს მოსწავლის ბუნებრივ შესაძლებლობებს, ხელი ჩასჭიდოს და კი არ გაუსწროს, ფეხი აუწყოს თავის პატარა და სუსტ თანამგზავრს”<sup>12</sup>. პედაგოგიური პუმანიზმის ამაზე დიდ მაგალითს ვერავინ დაასახელებს პედაგოგიკის ისტორიაში. უფრო მეტიც, ბევრგან და აქაც გამოკვეთილად საუბრობს ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის უნივერსალურ პედაგოგიურ კანონზე, რომელსაც მკაცრად უნდა მიჰყეს მასწავლებელი.

კვინტილიანე არ იწონებს ისეთ მასწავლებელს, თავისი ორატორობით სუსტი მოსწავლეების წინაშე რომ კეპლურის, თუმცა არც გაუბრალოებას და მოსწავლის დო-

11 მ.ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანკტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 27

12 იქვე

ნეზე დასვლას უშვებს. მასწავლებელი უნდა იყოს გაწონასწორებული, ზომიერი, მოსწავლეთათვის გასაგები და მისაწვდომი; ნათქვამი კი – სწორი, ნათელი და ლამაზი. თბილ გრძნობებს მოკლებული და უემოციო მასწავლებელი არ მოსწონს „ორატორის დარიგებანის“ ავტორს. ის წერს: „ისეთივეა მშრალი მასწავლებელი, როგორიცაა ტენიანობას მოკლებული და გაქვავებული მიწა ნორჩი ნერგისათვის“<sup>13</sup>. მასწავლებელმა თავისი უხასიათობით „ბავშვს სწავლა არ უნდა შეაძლოს, რომლის შეყვარება ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია“. <sup>14</sup>

ამრიგად, პედაგოგიის მეცნიერების ფუძემდებელი, I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე თავის „ორატორის დარიგებანში“ მასწავლებლის ისეთ პროფესიულ და პირვნულ თვისებებზე საუბრობს, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ასევე მისაბამია ანტიკური ხანის საზოგადოებისა და ხელისუფლების ჯანსაღი დამოკიდებულება, გონივრული სახელმწიფო საგანათლებლო პოლიტიკა, საერთოდ განათლების სისტემისა და, კერძოდ, მასწავლებლის მიმართ. განუზომელია ანტიკური პედაგოგიის მნიშვნელობა როგორც რეტროსპექტურული, ისე თანამედროვე მეცნიერული და პრაქტიკული დირექტულების თვალსაზრისით.

იმდენი და იმდენჯერ დაწერილა მასწავლებლის პირვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობაზე, მის პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობაზე, მის კომპეტენციებსა და დარგობრივ სტანდარტებზე, რომ სათქმელი თითქმის არაფერი დარჩენილა, საჭიროა პირველ რიგში მათი მოძიება, შემოქმედებითად ათვისება, დროისა და ადგილის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და მისი პრაქტიკული გამოყენების სწავლა. ასე აკეთებდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები, გამორჩეული მასწავლებლები.

13 მ.ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. სანკტ-პეტერბურგ, 1834, გვ. 27

14 იქვე

ისინი წარსულის უმდიდრესი პედაგოგიური ცოდნა-გამოც-დილებისადმი რეტროსპექტრული მიღვომისა და მის სიღ-რმისეული ანალიზის საფუძველზე გამოჰქონდათ ობიექტური დასკვნები, იდებდნენ საუკეთესოს, უნივერსალურს, მეცნიერულად და პრეტიაულად ღირებულს, ადეკვატურად უხამებდნენ არსებულ რეალობას და წინასწარ ჭვრეტდნენ შედეგებსა და შესაბამისად მომავალს.

ქვემოთ კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ მოცემული დასკვნის ობიექტურობას. XVII საუკუნის ჩეხი მეცნიერი, პედაგოგიკის კლასიკოსი იან ამოს კომენსკი მთლიანად მხარს უჭერს და ანვითარებს რა კვინტილიანეს პედაგო-გიურ კონცეპციებს, მასწავლებელს მიიჩნევს საზოგადოე-ბრივი წინსვლის ერთერთ უმთავარეს წყაროდ. მისი ოქმით” „თუ მასწავლებლები თავაზიანი და ალერსიანი იქნებიან მოსწავლეთა მიმართ, არ დააშინებენ მათ მკაცრი მოცემო-ბით, არამედ მიიზიდავენ მამობრივი განწყობილებით, ქცე-ვითა და სიტყვებით; თუ ისე გააცნობენ იმ მეცნიერებას, რომლის შესწავლას ისინი უნდა შეუდგნენ, რომ ბავშვე-ბმა დაინახონ მისი დიდი მნიშვნელობა, მიმზიდველობა და სიადვილე; თუ მასწავლებლები აღუძრავენ მათ სწავ-ლისადმი სიყვარულს იმით, ზოგჯერ შეაქებენ ზოგიერთ გულმოდგინე მოსწავლეს... ერთი სიტყვით, მასწავლებლები მალე მოიგებენ ბავშვების გულს, მაშინ ბავშვებისათვის უფრო სასიამოვნო იქნება სკოლაში ყოფნა, ვიდრე სახლში დარჩენა”<sup>15</sup>.

წახალისების მეთოდი მარადიული და უნივერსალუ-რია. ვისაც რაიმე სერიოზული გამოკვლევა გაუკეთებია პედაგოგიკურ მეცნიერებაში, არასდროს გამორჩენია მხედ-ველობიდან ქების მასტიმულირებელი ძალის აღიარება ანტიკური ხანიდან დღემდე. ამის მაგალითად ისიც საკ-მარისია, რომ 2009 წელს გამოცემულ წიგნში „ეფექტური სწავლება სკოლაში”, რომლის ავტორები არიან რობერტ

15 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1946, გვ. 152

მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინი ი. ფოლოქი, ვკითხულობთ: „სიტყვიერი შექება არის მოტივატორი, რომელიც დამოკიდებულებებისა და ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს იწვევს”<sup>16</sup>. მასწავლებლის ლამის ღვთაებრიობის მაღიარებელი კომენსკი წამითაც არ უშვებს კომპრომისს. მასწავლებლი მის წარმოდგენაში წუნდაუდებელი და უზადოპიროვნებაა, მეორე შემოქმედი, აღსაზღდელთათვის მისაბაძი თვალსაჩინო მაგალითი და სულიერი დასაყრდენი: „მასწავლებელი თვითონ უნდა უჩვენებდეს ყოველივე იმის ცოცხალ მაგალითს, რაც მოსწავლემ უნდა შეისწავლოს”<sup>17</sup>. კომენსკის აზრით, პედაგოგიური წარმატებით მაშინ გაიხარებს მასწავლებელი, როცა მოსწავლეს აღიქვამს როგორც ცვალებადსა და განვითარებად ბიო-სოციალურ არსებას, როცა მასში ხედავს მთელის, სრულის, პიროვნების საწყისს, რომ ყველაფერი საკუთარი საფუძვლიდან გამომდინარებს. „დიდი დიდაქტიკის” ავტორს ამ მტკიცებულების არგუმენტად მოჰყავს ფრინველისა და ხის წარმოშობისა და განვითარების მაგალითი. ის წერს: „ის, რისგანაც ფრინველი უნდა წარმოიშვას შეიკვება წვეთის სახით და გარშემოირტყმება ნაჭუჭით... ხოლო ეს წვეთი ისეთი თვისებისაა, რომ შეიცავს მთელ ფრინველს,... ასევე ხეც, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს იგი, მთლიანადაა მოცემული როგორც თავისი ნაყოფის თესლში, ისე თავის ტოტების სულ უკანასკნელ ყლორტში”<sup>18</sup>. ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანის სრულფასოვან, რესპექტაბელური პიროვნებად განვითარების პოტენციური შესაძლებლობა, იმ წვეთის მსგავსად, ღმერთს იმთავითვე აქვს ჩადებული თავის ამ უნიკალურ ქმნილებაში. აქვე იმიტომ მოგვცა ჩვენმა შემოქმედმა საგანთა სიმრავლე, რომ მან თანდა-

16 მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინი ი. ფოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი. თბ., 2009 წ. გვ. 68

17 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1946, გვ. 301

18 იქვე, 154

თანობით ასაკობრივ და ფსიქიკური შესაძლებლობების მიხედვით მიგვიზიდოს, განგვავითაროს, გაგვავარჯიშოს და გვასწავლოს. გვასწავლოს მასწავლებელმა – ჩვენსა და სამყაროს შორის ამისთვის მოწოდებულმა შუამავალმა<sup>19</sup>.

კომენტარის აზრით, „ისინი (მასწავლებლები – გ. ხ.) დაყენებულნი არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესი მზის ქვეშეთში, არაფერი არ შეიძლება იყოს... მას ანდობენ ყველაზე ძვირფასს – ბავშვს”<sup>20</sup>.

ამრიგად, მასწავლებლის პედაგოგიურ და საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ზემოხსენებულ პედაგოგიკის კლასიკოსთა პედაგოგიური დებულებების ანალიზი იძლევა საშუალებას დასკვნისა, თუ რამდენად განაპირობებს მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაცია: პედაგოგიკის თეორიისა და პედაგოგიური ხელოვნების ათვისების, პრაქტიკული გამოცდილებისა და ეთიკური მახასიათებლების დონე და, რაც მთავარია, სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკური ნება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხსა და ეფექტურობას, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და პრაქტიკულ-პედაგოგიური დირებულება.

19 იან ამოს კომენტარი, რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, თბ., 1949, გვ. 116-129.

20 იქვე, გვ. 116-129

## მასშავლებელი – გაცობილობის მმარბარი

დროსა და კოლექტიურ მეხსიერებას წინ ვეღარაფერი აღუდგება. ბიბლიაში წერია: „არაფერია დაფარული, რაც არ გამჟღავნდება და არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გამოაშკარავდება”<sup>1</sup>. მასწავლებელი ისე აღიბეჭდება თავის მოსწავლეთა გულსა და ცნობიერებაში, როგორც სხეული რენტგენში. პირნათლად ვალმოხდილია ის პედაგოგი, რომელსაც ათეულობით წლების შემდეგ მისი ყოფილი მოსწავლეები, აწ უკვე შემდგარი დირსეული პიროვნებები, ისეთი სიყვარულითა და მოწიწებით მოიგონებენ თავიანთ პედაგოგს, როგორც ეს ბატონ მიხეილ ჯინჯიხაძის შემთხვევაშია.

იდიასეულ „პაცურ კაცობის“ საზომად იაკობ გოგებაშვილს გონიერება და ზნეკეთოლობა მიაჩნდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ადამიანის დირსება განიზომება გონებრივი სიმაღლით, ზნეობრივი სისპენდიუმით და სიკეთით, რომელსაც თესავს იგი თავისი მოღვაწეობით“. მსგავსად ამისა „კაი ყრმობის“ კრიტერიუმად მიხეილ ჯინჯიხაძე აცხადებს ალალ-მართალ გულს, კეთილ საქმეებს და სპერაკ სულს: „მე მწამს კაცის გული წრფელი, საქმე საონო, სული წმინდა“. სწორედ, ამ ეთიკური კანონებით ხელმძღვანელობდა ჭეშმარიტი პედაგოგი ცხოვრების ყველა სფეროში. უაღრესად განათლებულს, უფრო მეტიც, ყოველმხრივ განსწავლულს, პოლიგნოტსა და ენათმეცნიერს, პოეტსა და მთარგმნელს, ჭეშმარიტად სახალხო პედაგოგს ყველა გონებრივი მონაცემი ჰქონდა პირადი კეთილდღეობისათვის

ეზრუნა, მაგრამ არასოდეს გუნდრუკი არ უგმევია „ამა ქვეყნისა ძლიერთათვის”. პოლიტიკურად დევნილი ამბობს: „ლექსს ქურდულად ვწერ, თვით ვკითხულობ, ვზეპირობ და ვხევ” და ეკონომიკურად შეჭირვებული არასდროს არ თმობდა ადამიანურ ღირსებას – მარადიულსა და ამაღლუ-ბულს.

ბატონ მიხეილს სასულიერო განათლება ჰქონდა მი-ლებული, რასაც არ შეიძლებოდა მის სულიერობაზე არ მოეხდინა მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ავლენდა. ახალ სენაკის 6-წლია-ნი სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ამავე სემინარიის რეკომენდაციით ჩაირიცხა თბილისის სასუ-ლიერო სემინარიაში, რომელიც გიმნაზიად გადაკეთდა მისივე სწავლის პერიოდში და წარმატებით დაამთავრა. მისი მასწავლებლები იყვნენ დიდი მწერალი ვასილ ბარ-ნოვი, კრიტიკოს – მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა. მასთან ერთად სწავლობდნენ გიორგი ლეონიძე, სერგი მაკალათია, გრიგოლ სიდამონიძე, შემდეგში ეფრემ II წოდებული – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და სხვა. ცნობილია, რომ ადამიანთა გარემო დიდ გავლენას ახდენს პიროვნე-ბის ფორმირებაში. მაგრამ თვით სუბიექტზე არის ბევრად დამოკიდებული, რომელ თუ როგორ გარემოს აირჩევს. მიხეილ ჯინჯიხაძემ კარგი საზოგადოება აირჩია. იმიტომ, რომ მისი სუფთა და განსწავლული სინდისი ამას კარ-ნახობდა.

1919 წელს მიხეილ ჯინჯიხაძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, მაგრამ ექიმის დიპლომი ვერ მიიღო მძიმე ოჯახური მდგო-მარეობის გამო. ამასთან დაკავშიებით ის გულისტკივი-ლით წერს: „ვხედავდი, რომ ორი კურდღლის დაჭრას ვერ ვახერხებდი. ბოლოს ხელი ჩავიქნიე და შევურიგდი ბედს. გულში კი ვიქადნიდი: რა ვუყოთ, რომ ვერ ვეზიარე უმაღლეს განათლებას. ეპიკურეზი არ იყოს, თუ პოემებს ვერ დავწერ, განცდას მაინც ვიქონიებ პოემებისა–მეთქი

და ჩემს სტუდენტობას წერტილი დაგუსვი”<sup>2</sup>.

მიხეილს, უკვე როგორც დიდი პედაგოგიური გამოცდილების პროფესიონალს, ისევ მიეცა შესაძლებლობა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი ექსტერნად დაემთავრებინა. ბატონ მიხეილს უმოკლეს დროში მოუხერხებია ოთხი კურსის გამოცდების ჩაბარება, მაგრამ დაუსწრებელი განცყოფილების დახურვის გამო ბოლო, მე-5 კურსი ქუთაისში უნდა დაემთავრებინა. სამსახურებრივი და ოჯახური საქმეებით დაკავებულს სოხუმ-ქუთაისში სიარულის დროის უქონლობის გამო თავი დაუნებებია. თუმცა უდიპლომობას უნიჭიერეს, საღად მოაზროვნე, ბრძენკაცად შერაცხეულ, შრომისმოყვარე, მებრძოლი სულის ადამიანისთვის ხელი არ შეუშლია, რომ დირსეულად გაევლო თავისი მძიმე, მაგრამ აზრიანი ცხოვრების გზა.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ ჯინჯიხაძე ბევრგან ეწეოდა იძულებით შრომას ეკონომიური ხელმოკლეობის გამო, მის მთავარ სამოღვაწეო ასპარეზად მუდმივად რჩებოდა განათლების სისტემა, კერძოდ, სკოლა, ახალი თაობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის სფერო. მას თითქმის შემოვლილი აქვს მთელი საქართველოს სკოლები ზედაეწერიდან დაწყებული, თბილისის გამოვლით, სოხუმადე, ხან როგორც დირექტორს, ხან სასწავლო ნაწილის გამგეს, ხოლო მუდმივად კი – როგორც მასწავლებელს. ადგილთა ასე სწრაფი მონაცემები განპირობებული იყო იმდროინდელი არასახარბიერო პოლიტიკური რეჟიმით, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეოცნებე პედაგოგი, ცხადია, არ იყო საბჭოური წყობისათვის მისაღები. 1921 წელს, როცა ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწოდებით სტუდენტობა შეუერთდა ქართულ ჯარს. სისხლისმღვრელ ბრძოლაში მიხეილი ფეხში დაიჭრა. იგი ვერც ბოლშევიკებს ეგუებოდა და ვერც მენშევიკებს. მას

<sup>2</sup> ჯ. ჯინჯიხაძე, სახალხო მასწავლებელი. ობ., 2013, გვ.19

სურდა ეხილა თავისუფალი, დამოუკიდებელი, განვითარებული და ბედნიერი საქართველო, რასაც ვერ პატიობდნენ დირსეულ მამულიშვილს.

პოლიგნოტი პედაგოგი სრულყოფილად ფლობდა ქართულ, მეგრულ, რუსულ, გერმანულ და ლათინურ ენებს. რასაც ადსტურებს ამ ენებზე დაწერილი მისი ლექსები, თარგმანები. და, რაც მთავარია, ამ ენებს (ქართულ, რუსულ, გერმანულ და ლათინურს) ასწავლიდა სკოლაში.

ბატონ მიხეილის კომპეტენტურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ის არა მარტო ენებსა და ლიტერატურას, ქიმიასაც ასწავლიდა გარკვეული დროით. ამაზე მოგვითხოვთხობს მისი ყოფილი მოწაფე, შემდეგში ცნობილი მეცნიერი და უზადო პიროვნება ვალერიან ზუხბაია. ის წერს: „ქიმიის გაკვეთილზე კლასში ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შემოვიდა. – დღეს ჩვენ ქართული არა გვაქვს – დავიძახეთ კლასში ერთბაშად. მიხეილმა გაიღიმა, ხელით მიგვანიშნა დავმსხდარვიყავით და გამოგვიცხადა: მე თქვენ ქიმიაც უნდა გასწავლოთ. აქაც ის ჩვეული ოსტატობით ატარებდა გაკვეთილებს, და, იქვე განაგრძობს მეცნიერი, რომ ჯერ კიდევ არ იყო ქართულ ენაზე ქიმიის ტერმინოლოგია დადგენილი და მთარგმნელს „კისლოტა“ უანგად ჰქონდა თარგმნილი. ჩვენმა მასწავლებელმა გვითხრა: „ჟანგი“ არ მომწონს, უფრო სწორია „მჟავა“ ვიხმაროთ<sup>3</sup>.

ცნობილი პოეტი მურმან ხურცილავა იგონებს: „იმ ხანად ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში მე-9 თუ მე-10 კლასში რატომდაც ლათინური ენის სწავლება შემოიდეს, მასწავლებლად მიხეილ ჯინჯიხაძე დაგვინიშნებს. ლათინურის სწავლებისას მას თითქოს არ უნდა ჰქონოდა ფართო სარბიელი, მაგრამ მასწავლებლის შეუზღუდველი ფანტაზია სასწაულებს ახდენდა, მის ხელში ეს მკვდარი ენა სულს იდგამდა და ცოცხალ არსებასავით ფერქავდა<sup>4</sup>.“

3 ნ. ლემონჯავა, ამაგდარი მასწავლებელი. 1989, გვ.31

4 ქურნ. „რიწა“, 1980, გვ. 154

მიხეილ ჯინჯიხაძის ყოველმხრივ განსწავლულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი პედგოგიური საქმიანობა არაქტიკოს მასწავლებლობით არ შემოიფარგლებოდა, მეცნიერებაშიც იგივე წარმატებით გამოირჩეოდა. მისი ნაშრომი: „ზმნის პირისა და რიცხვის ანალიზი და გაკვათილის თემები”, პედაგოგიურ ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის” ორ ნომერში (1939, №№8,9) დაუბეჭდავთ, მისი ავტორისთვის კი კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მეცნიერ – კორესპონდენტის წოდება მიუნიჭებიათ.

რა დონეზე უნდა იცოდეს არამეგრელმა კაცმა მეგრული ენა, რომელშიც ერთი უბრალო მოქმედება შეიძლება 30–მდე სინონიმური სიტყვით გამოითქას. (მაგალითად: გადახტა–გაგნოსხაპ, გაგნოჟვენგ, გაგნოჯექ და ა. შ.) ამის უქმედ ნივთმტკიცებულებას წარმოადგენს მისი მონოგრაფიული ნაშრომი „სამურზაფანული კილო”, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერვე სამეგრელოში მოძიებული დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალა.

1939 წელს მიხეილ ჯინჯიხაძეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარუდგენია რვა ათას სიტყვიანი „მეგრულ-ქართული ეტიმოლოგიურ-განმარტებითი თარგმნითი” ლექსიკონი, რომელსაც დიდად აღუფრთვანებია ქართველი კორიფეები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გარლამ თოფურია და მაშინვე გაუფორმებიათ ხელშეკრულება მის გამოსაცემად, მაგრამ ეს ბოროტი წუთისოფელი არაფერს აცლის ადამიანს. ვ. თოფურიას თავის კაბინეტში სამუშაო მაგიდა დაუდგია სპეციალურად მიხეილ ჯინჯიხაძისთვის, რომ მას იქ თავისუფლად შეძლებოდა მუშაობა. ამას ადასტურებს ამ ფაქტის თვითმხილველი ქალბატონი მარიამ დალაქიშვილიც. მ. ჯინჯიხაძის რედაქტორობით გამოსულა „ქართულ-გერმანული ლექსიკონი.”

მიხეილ ჯინჯიხაძის მეცნიერული შემოქმედების არეალს წარმოადგენდა ასევე მეთოდიკის სფერო. რაზედაც მეტყველებს მისი მეთოდიკური მონოგრაფიები: „წერითი მეტყველების განვითარება,” „თხრობა, აღწერა, დახასია-

თება”, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა.

შხატვრულად მოაზროვნე შეცნიერი პოეზიაშიც არ იხევდა უკან. მის ლექსებს ასეთ შეფასებას აძლევს უმაღლელესი რანგის შეცნიერი და პოეტი ტიტე მოსია. მოვიტანთ ამონარიდს: „იგი წერდა დიდებულ ლექსებს, პოემებს ქართულ, რუსულ, გერმანულ, მეგრულ ენებზე. თარგმნიდა ქართულიდან რუსულ ენაზე. თავის ლექსებში უმდეროდა სიყვარულს, პატიოსნებას, გულწრფელობას, ამხელდა უსამართლობას, კომუნისტურ რეჟიმთან შეუგუებლობას”.<sup>5</sup> დაწერილი აქვს ტრაგედია „ჯონდი და ვატა”, რომელიც ასახავს 1921–1924 წლების სამეგრელოს ტრაგიულ ისტორიას როგორც პოლიტიკურ, ასევე ზნეობრივ ასპექტში, შელახელ ოჯახურ სიწმინდეს. ასევე ყურადღებას იპყრობს რუსულ ენაზე დაწერილი პოემები: „სიყვარულის ტალღებში” და „ნადეჟდა”, რომელიც 800-ზე მეტი ოქტავასგან შედგება.

მიხეილ ჯინჯიხაძის ზნეობრივი სისპეტაკე ნათლად ჩანს მის სიტყვასა და საქმეში. პოეტს სულ არ ხიბლავს ზნეობას მოკლებული ჩინ-მედლები, არც დიდი ცოდნა, არც სიმდიდრე. მისთვის პიროვნული დირსების საზომია სიკეთე და ზნეობრივი სისპეტაკე:

„მე მწამს კაცის გული წრფელი,  
საქმე სათხო, სული წმინდა,  
აი, მე რას ვცემ თქვენში პატივს,  
აი, მე რა მსურს, ა, რა მინდა”.

მიხეილ ჯინჯიხაძე, მიუხედავად იმისა, რომ თავად განიცდიდა ეკონომიკურ ხელმოკლეობას, ინტელექტუალურ ქველმოქმედებასაც ახერხებდა. სწავლამოწყურებულო სიტყვით თუ საქმით ხელს უმართავდა. 17 წლის ობოლი ბიჭი მარტო ცხოვრობდა ჯარგვალში, განმკითხავი არავინ ჰყავდა. უნდოდა განათლება მიეღო, მაგრამ ასაკობრივი შეუსაბამობის გამო დაწყებით კლასში სწავლა ეუხერხუ-

5 ტ. მოსია, წერილები ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე. თბ., 2012, გვ.106–107

ლებოდა. მიხეილ ჯინჯიხაძემ ეს ახალგაზრდა, სრულიად უსასყიდლოდ, ისე მოამზადა, რომ 6-წლიანი კურსის გამოცდები ექსტერნად ჩააბარა და მე-7 კლასში ჩაირიცხა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა.

დგაწლმოსილ პედაგოგს ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია აკადემიკოს პეტრე შარიასთვისაც. სახწავლო კურსის პროგრამა მოამზადებინა, გამოცდები ექსტერნად ჩააბარებინა და შესაბამის კლასში დასვა.

ერთხელ ქ. გალს სტუმრად სწვევია ერთი მწერალი თემით: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კრიტიკა”, რომელსაც დიდი ილია დაუმსახურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებია. როგორ გგონიათ, ჩეუბით და ყვირილით გაუსწორდა ბატონი მიხეილი უსამართლო კრიტიკოსს, ეს როგორც პარლამენტებში ხდება ხოლმე?! არა, ბატონებო! როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მან ჩვეული სიტყვაკაზმულობით, მტკიცე არგუმენტებით, სრული დელიკატურობით, ბაგრატ ხორავასთან ერთად, ნათელყო თურმე დიდი ილიას პროგრესული იდეები და ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

ბატონ მიხეილის მაღალ, (მართლაც) ელიტარულ გარემოცვას თუ შევავლებთ თვალს, ეს იქნება მისი მასწავლებლები: დიდი მწერალი ვასილ ბარნოვი, კრიტიკოს-მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა; მეცნიერებათა კორიფეუბი: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვალერიან თოფურია; თანაკლასელები: პოეტ-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, სერგი მაკალათია, გრიგოლ სიდამონიძე – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორედ წოდებული; ყოფილი მოსწავლეები: აკადემიკოსი ილია ვეკუა, აკადემიკოსი პეტრე შარია, პროფესორი გ. ჩიქოვანი, დოცენტები ნ. ბასილაია, ანტონ რაფავა, შალვა ხუბუტია, გრიგოლ გამსახურდია, ვალერიან ზუხბაია, ალიოშა სოფია, ნიკოლოზ სოფია, ტერენტი ქეცბაია და სხვა, ადვილად დაგრწმუნდებით, თუ როგორი მაღალი გონიერების პიროვნებასთან გვაქვს

საქმე. თუ ამას დავუმატებთ მის ნამოწაფართა მოგონებებს, თავისუფლად შეიძლება მას ვუწოდოთ „ბრძენკაცი.”

მინდა აქ მოუხმო ბატონ ტერენტ ქეცბაიას ლექსიდან ერთ პატარა ნაწყვეტს, რომლის უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას ძვირფასი მასწავლებლისადმი ყოვლის-შემძლე სიტყვაც კი ვერ იტავს:

„მთას შეეხიზნე, ბრძენკაცო,  
არ ჩამოდიხარ ბარადა  
ნუთუ ბერმუხას ფესვები  
აღარ არგია არადა.  
იქნებ ტოტებიც დაემსხვრა,  
გრიგალმა მოინავარდა.  
ო, დმერთმა ნუ ქნას არწივი  
ფრთებს რომ ვერ შლიდეს თავადა.  
შენი უზადო ქართული  
გაგვიხდა სანუკვარადა,  
შენი ამაგი, აღმზრდელო,  
კისერზე გვაწევს ვალადა.  
ჩამოდი, დაგვარიგოდე,  
გვექენ მოძღვრად და მამადა,  
თორემ გვერწმუნე უღრანში  
ვერ გაგვიგნია შარა და  
ვერც აგვიხსნია უშენოდ  
ცხოვრების რთული შარადა.”

(ნაწყვეტი „მოგვილოცნია ალიდო”, 31.XII. 1963წ. სოხუმი)

ვალერიან ზუხბაია „სპეტაკი სულის ადამიანს” უწოდებს მიხეილ ჯინჯიხეაძეს. მას ახასიათებს როგორც „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის” პიროვნებას: „საშუალოზე მაღალი, შავთვალწარბა, სიმპათიური სახის ადამიანი – ეს მისი გარეგანი მხარეა; ერუდიორებული, უაღრესად განსწავლული, ქართული და რუსული ენების, ლიტერატურის ერთნაირად, ღრმად მცოდნე, მოყვასო მოყვარე, სპეტაკი

სულის ადამიანი. – ეს მისი პიროვნებაა; სასიამოგნო დიქცია, ხმის ლამაზი ტემპი, ტკბილმოსასმენი, ღრმაშინაარსიანი გაკვეთილები – ასეთი იყო ჩვენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მიხეილ ჯინჯიხაძე.”

ათას კეთილ მოგონებებთან ერთად ბატონ ვალერიანს განსაკუთრებით დაამახსოვრდა თურმე მისი გაკვეთილები სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით: „განსაკუთრებით ღრმად ჩამებეჭდა გონებაში მისი გაკვეთილები, სასვენი ნიშნების ხმარებას რომ მიუძღვნა. ეს გაკვეთილები ყველა მის ნამოწაფარს სიცოცხლის მანძილზე თან გაგვევება, რადგან სასვენი ნიშნის გარეშე მოკითხვის ბარათსაც ვერ დავწერთ.”

„სასვენი ნიშნები!” რა საგულისხმო დეტალია საკოლო პრაქტიკაში. ავადსახსენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ე. წ. განათლების რეფორმის მიხედვით, გრამატიკის გაკვეთილი სართოდ ამოღებულია სასწავლო გეგმიდან და შესაბამისად გამქრალია გაკვეთილების ცხრილიდან. ახლანდელმა სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ არ იცის, რა არის არსებითი სახელი, ზმნა, ქვემდებარე, შემასმენელი. და, თუ ვინმემ იცის, ისიც ოჯახის ან რეპეტიტორ – მასწავლებლის წყალობით. სასვენ ნიშნებზე სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს.

ბატონ შალვა ხუბუტია „ძვირფას მასწავლებლად” მოიხსენიებს თავის მასწავლებელს მიხეილ ჯინჯიხაძეს და დიდი პატივმიგებით წერს მის პიროვნულ და პროფესიულ ღირსებებზე: „მიხეილ ჯინჯიხაძის დამსახურება მის მოსწავლეთა წინაშე იყო არა მარტო ის, რომ მან უსაზღვროდ შეგვაყვარა თავისი საგანი, უფრო მეტი... ის გახლდათ, რომ ბატონმა მიხეილ ჯინჯიხაძემ... და სხვებმა, როგორც ძვირფასმა მასწავლებლებმა, აღგვიძრეს დიდი სურვილ–წყურვილი და ინტერესი სწავლისადმი, ისინი

ჩვენთვის ყველაფერში მისაბამნი იყვნენ”<sup>6</sup>.

ბატონ მიხეილი კვლავაც რჩებოდა მასწავლებლად მისი ყოფილი მოსწავლეებსათვის: „ბატონი მიშა – წერს შ. ხუბუტია – თავისი განსაკუთრებული ნიჭით, გამჭრიახობით, ადამიანისადმი ყურადღებით, დიდი გამოცდილებით და სხვა ადამიანური თვისებებით კვლავაც რჩებოდა მასწავლებლად, მრჩევლად თავისი ყოფილი მოწაფეებისათვის მათს პედაგოგიურ მოღვაწეობაში და მეცნიერებაშიც. მისი კონსულტაციით თუ არაოფიციალური ხელმძღვანელობით დაიწერა ცალკეული შრომები და დისერტაციებიც.”<sup>7</sup>

„აი, რატომ გვიყვარდა ჩვენ იგი!“ – ასე იწყებს თავის მოგონებას საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი არჩილ ჯაფარიძე. აფხაზეთის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მოსმენილი მიხეილ ჯინჯიხაძის ლექციების მაღალ ღონებზე გატაცებით საუბრობს ბატონი ჯაფარიძე. მაღალ შეფასებას აძლევს მის პროფესიონალიზმსა და საქმისადმი დამოკიდებულებას: „იგი საუკეთესოდ ფლობდა საგანსა და მისი სწავლების მეთოდ–ხერხებს, თავის ღრმა ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას არ იშურებდა მასწავლებელთა დახელოვნებისათვის”.<sup>8</sup> აქ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ „მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის“ ის უდიდესი საზოგადოებრივი როლი და შენგალობა, რომელსაც იგი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ასრულებდა. ვერაფრით ვერ ვხვდები, რითი ჯობია ევრო-ამერიკული ტრენინგები, რომლითაც ჩანაცვლეს განათლების სისტემის ეს უზარ-მაზარი დაწესებულება. თუმცა ეს სხვა, საკმაოდ პრობლემატური თემაა და ამჯერად მასზე არ შევჩერდებით. მხოლოდ იმას ვიტევით, რომ მასწავლებელი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში იგზავნებოდა ერთ თვიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, ხელფასის შენარ-

6 ნ. ლემონჯავა, ამაგდარი პედაგოგი მიხეილ ჯინჯიხაძე. ობ., 1989, გვ. 35-38

7 იქვე

8 იქვე 32

ჩუნებით. განსაზღვრული სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ საზეიმო ვითარებაში აბარებდა გამოცდებს და იღებდა შესატყვის მოწმობას ანუ სერთიფიკატს.

ბატონი ა. ჯაფარიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიხეილ ჯინჯიხაძის მეთოდურ სახელმძღვანელოს „წერითი მეტყველების განვითარება”, რომელსაც, მისი თქმით, დიდი დახმარება გაუწევია მასწავლებელთათვის მოსწავლეთა წერითი მეტყველების პულტურის ამაღლების საქმეში.

დიდი მაღლიერების გრძნობით იგონებს ის ბატონ მიხეილ ჯინჯიხაძის ოჯახში გატარებულ წლებს და წერილს ასე ამთავრებს: „მაღლიერების გრძნობით ვიგონებ მიხეილ ჯინჯიხაძეს, ამ დიდებული ადამიანისა და საუკეთესო აღმზრდელის სახელს, სახელს ადამიანისა, ვისგანაც ბევრი მისწავლია, ვისი სასარგებლო პედაგოგიური და მეთოდური რჩვა-დარიგებანი გამომიყენებია ჩემი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე”<sup>9</sup>.

ბატონ აბესალომ გადილია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი პატივისცემით იხსენებს ბატონ მიხეილ ჯინჯიხაძესთან საქმიანი ურთიერთობის რამდენიმე ფაქტს, რომელთა მიხედვით კარგად ჩანს ამ დიდი ადამიანის პიროვნება, მისი მორალური სახე და განსწავლულობა. მოქმედება ხდება აფხაზეთის განათლების სამინისტროში სოხუმის რაიონის შრომის საშეალო სკოლის მედლის კანდიდატთა ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი ნაშრომებთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორი ნიკოლოზ სოფია და თავად ბატონი აბესალომი – იმხანად ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, გამოძახების თანახმად გამოცხადებულან სამინისტროში, სადაც დახვედრიათ ტერენტი ქეცბაია – განათლების მინისტრის მოადგილე, გიორგი (კოლია) ბაკარაძე – სასკოლო ინსპექტორი, ცნო-

9 6. ლემონჯაგა, ამაგდარი პედაგოგი მიხეილ ჯინჯიხაძე. ობ., 1989, გვ. 41

ბილი ლიტერატორები: მიხეილ ჯინჯიხაძე და შოთა ხაუმია. ოთხივე იყო საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. პრობლემის სწრაფად და უმტკივნეულოდ მოგვარების შემდეგ, სადამოს სანაპიროზე გაუსეირნიათ და ყავაც მიურომევიათ, სადაც ლექსთა ჯირითი გამართულა. „ჩემდა გასაკვირად, – განაგრძობს ბატონი აბესალომი – ბატონმა მიხეილმა რამდენიმე სტროფიანი ლექსი რუსულად წარმოთქვა. მე ეს ლექსი რომელიმე ცნობილი რუსი პოეტის ლექსი მეგონა. აღმოჩნდა, რომ იგი ბატონ მიხეილის კალმის ნახელავი ყოფილა.”<sup>10</sup>. ეს მეგობრულ ლიტერატურული საღამო დიდი პეადაგოგის მიერ ბატონ აბესალომის შექებითა და საჩუქრით – წიგნზე „წერითი მეტყველების განვითარება” ლამაზი წარწერით – დასრულებულა. ეს თბილი კავშირი შემდეგშიც არ შეწყვეტილა. აღიარებული პედაგოგის კონსულტაციებს ხშირად იღებდა ბატონი აბესალომი.

მიხეილ ჯინჯიხაძის პიროვნებისადმი აღტაცებას ვერ მაღავს ბატონი ოთარ ვახანია – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თავისი მოზომილი სიტყვითა და დელიკატურობით გამორჩეული. მას მიხეილ ჯინჯიხაძის ვინაობის შესახებ პირველად მოუსმენია თავისი სიძის, ასევე ინტელიგენტურობით ცნობილ ბატონ გრიგოლ თვალთვაძის მეშვეობით. თავიდან ბატონ ოთარს ბატონ გრიგოლის მიერ ქება-დიდება თავისი მასწავლებლისა, ცოტა გაზვიადებული მოჩვენებია, მაგრამ მისი ახლოგაცნობის შემდეგ დარწმუნებულა თვალთვაძის შეხედულების სისწორეში. მათი ნაცნობობა სოხუმში, ბატონ ოთარის სახლში შემდგარა: „ბატონი მიხეილი გივი შამუგიამ ჩვენს სახლში მოიყვანა. მაშინ შედგა ჩვენი გაცნობა. დასვენების დღე იყო. საუბარი დიდხანს გაგრძელდა, ვისაუბრეთ მოსწავლეთა აღზრდა-განათლების საკითხებზე, სასკოლო მუშაობის თავისებურებებზე, ჩვენი ქვეყნის ისტორიასა

10 ჯ. ჯინჯიხაძე, პედაგოგის ჩანაწერები ანუ აღსარება, თბ., 1995, გვ. 130-132

და ლიტერატურაზე, ცნობილ ადამიანებზე და ათას სხვა ცხოვრებისეულ რამეზე, მაგრამ მთავარი თემა მაინც სასკოლო ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა გახდდათ.

ამ საუბარმა დამარტიუნა გრიგოლ თვალთვაძის ნათქვამის სისწორეში. ბატონი მიხეილი მართლაც „უნიკალური პიროვნება ყოფილა, ბრწყინვალე ორატორული ნიჭის.“ ან კიდევ „მახსოვეს – განაგრძობს ბატონი ოთარი – საზოგადოებაში ბატონ მიშას გამოჩენისას აუცილებლად სიხარულისა და მოწიწების გრძნობით ვიღაც იწყებდა მოგონებას, თუ როგორი მასწავლებელი იყო ბატონი მიხეილი, რომ ის არა მარტო ასწავლიდა, აყვარებდა საგანს. იმასაც ამბობდნენ, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო შემთხვევაში თუ როგორ ცვლიდა იგი მასწავლებელს ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ისტორიაში, მშობლიურ თუ უცხო ენებში,...“<sup>11</sup>.

ცნობილი პოეტი მურმან სურცილავა დიდი პატივისცემით იხსენებს თავის საყვარელ მასწავლებელს. ის წერს: „მიხეილი ჯინჯიხაძე ერთი იმ იშვიათი პიროვნებათაგანი გახდდათ, რომელთა ცხოვრება მაგალითია თანამედროვეთაოვის და ტკბილად მოსაგონარი წარსული – შთამომავლობისათვის.“... „ჩემი ცხოვრების მანძილზე ცოტა შემხვედრია ასეთი კეთილშობილი, განათლებული, თავმდაბალი და თავისი საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი“<sup>12</sup>.

შურნალისტი ქალბატონი მიმოზა გადელია 2004 წლის 5 მარტით დათარიღებულ გაზეთ „აფხაზეთის ხმა“-ში აქვემდებარებს მიხეილ ჯინჯიხისაძისადმი მიძღვნილ სტატიას: „ბობოქარი სულის ადამიანი,“ რომელშიც ლაკონურად და გასაგებად მიმოიხილავს ამ ღვაწლმოსილი პედაგოგის მოელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც ნათელს პფენს მის პიროვნულ და პროფესიულ ღირსებებს. „მიხეილ ჯინჯიხაძე – გამორჩეული პიროვნება, მრავალმხრივი ნიჭით

11 ჯ. ჯინჯიხაძე, სახალხო მასწავლებელი – მიხეილ ჯინჯიხაძე. თბ., 2013, გვ. 87-88

12 შურ. „რიწა,“ 1980

დაჯილდოებული, განათლებული, მეცნიერულ დონეზე  
მოაზროვნე, ქართული ენისა და ლიტერატურის უბადლო  
მცოდნე, პოეტი და უამრავი შრომების ავტორი, შესანიშ-  
ნავი პედაგოგი.” ან კიდევ: „მისი სკოლიდან სკოლაში  
გადასვლა ჟავალოდ როდი რჩებოდა. ყველგან ტოვებდა  
პატივისცემასა და სიყვარულს ნიჭითა და ცოდნით გამორ-  
ჩეული” – წერს ქალბატონი მიმოზა გადელია.

ამ ღირსეული პედაგოგისა და ჭეშმარიტი მამულიშვი-  
ლის მიხეილ ჯინჯიხაძის ცხოვრება და მოღვაწეობა კიდევ  
ერთი ცოცხალი მაგალითია იმისა, რომ, რა ვითარებაში,  
დროსა და სივრცეში არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი,  
ყველთვის ღირს შრომა, პატივსნება და სამართლიანობა,  
ყველა შემთხვევაში ღირსეულ პიროვნებად ყოფნა.

და, ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ფილოლოგიურ  
მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნაპოლეონ ლემონ-  
ჯავას, მის უამრავ წიგნთა შორის, ერთერთი წიგნის „ამაგ-  
დარი პედაგოგი მიხეილ ჯინჯიხაძე,” თბ., 1989, შესახებ,  
რომელშიც ტიტანური შრომისა და კაცომოყვარეობის  
საფუძველზე მოძიებულ, გაანალიზებულ და სისტემაშია  
მოყვანილი თითქმის მთელი XX საუკუნის საქართველოს  
სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკურ და კულტურული  
ვითარების ისტორიის ძირითადი მონაკვეთები. სწორი მსო-  
ფლმხედველობის მქონე სამეცნიერო და შემოქმედებითი  
ინტელიგენციის საგანმანთლებლო საქმიანობა მძიმე კომუ-  
ნისტური რეჟიმის ფონზე. განსაკუთრებით მასწავლებლის  
პროფესიულ-საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის  
წარმოჩენა.

აკადემიკოს ჯემალ ჯინჯიხაძის 50-მდე წიგნიდან ერთ-  
ერთია „სახალხო მასწავლებელი მიხეილ ჯინჯიხაძე,”  
რომლის უამრავ ღირსებათა შორის მთავარი ღირსება ისაა,  
რომ ავტორმა ერთხელ კიდევ შეგვასხენა ჩვენი უახლესი  
წარსულის სახელოვანი მამულიშვილები, რომლებიც თა-  
ვდადებით ემსახურებოდნენ ახალი თაობის აღზრდისა და  
განათლების, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გან-

ვითარებისა და მოვლა-პატრონობის საქმეს, მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა.

მასწავლებლობა ისეთი პროფესიაა, რომელიც ყველგან და ყოველთვის მზესავით ანათებს და ათბობს. მასწავლებელზე ერთი სიტყვაც რომ არ დაიწეროს, ის ყოველთვის ცოცხლობს ადამიანთა კოლექტიურ მეხსიერებაში და მისი სახელი გადადის თაობიდან თაობებში როგორც ნათელი მაგალითი ადამიანურობისა და პროფესიონალიზმისა. ამის ერთეული მაგალითია ბატონ მიხეილ ჯინჯიხაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

## პატიოლიტურული პიროვნების ფორმირებაში

„აღზრდა ქვეყნად არსებული კოველი ხიკეთისა და  
ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველწაროა”  
რ. ოუენი

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მამოძრავებელ შინაგან და გარეგან ძალას, საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს აღზრდა. საზოგადოების განვითარების დონეს მის წევრთა სრულყოფილების ხარისხი განაპირობებს. ამიტომ მოგვიწოდებს დათის ძე იქსო ქრისტე სრულყოფილებისაკენ: “იყავით სრულყოფილი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი”.<sup>1</sup> მაგრამ პიროვნების სრულყოფა, მიუხედავად მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი პოტენციური შესაძლებლობებისა, ავტომატურად არ ხდება. მას განაპირობებს უამრავი ფაქტორი: ბიოლოგიურმემკვიდრეობითობის, სოციალური გარემოს, მეგა, მაკრო, მიკრო, მეზო და, რაც მთავარია, აღზრდის ფაქტორი. ამათგან ჩვენ შევხებით ყველაზე მნიშვნელოვანს – აღზრდის ფაქტორს.

აღზრდა, როგორც მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური პროცესი, ეფუძნება თავის მეცნიერებას – პედაგოგიკას, რომელშიც უმდიდრესი წარსულისა და თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, განაზღვრულია აღზრდის ყველა, პედაგოგიური სისტემები და კომპონენტები: საკლასო-საგანგეთოდო, კლასგარეშე და სკოლის-გარეშე სასწალო-აღმზრდელობითი სისტემები, პედაგო-

<sup>1</sup> მათე 5:48

გიური მიზანი და ამოცანები, კანონები და პრინციპები, განათლების შინაარსი, ფორმები, მეთოდები, გზები და საშუალებები. და, რაც მთავარია, ამ პროცესის უშუალო რეალიზატორის – მასწავლებლის შეუცვლელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა.

აღზრდა მარტო სწავლება, გარკვეული ცოდნის ფონ-დის დაგროვება არ არის, სწავლების პროცესში წყდება როგოროც საგანმანათლებლო, ასევე განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქციები. კერძოდ: გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური სრულყოფა აღსაზრდელისა. სწავლებისა და აღზრდის რეალური ურთიერთდაკავშირება დახელოვნებული, განსწავლულ და ერუდირებული მასწავლებლის გარეშე, არანაირ ტექნიკურ და დიდაქტიკური თვალსაჩინოებით არ მიიღევა. როგორც რუდოლფ შტაინერი აღნიშნავს: “მხოლოდ ადამიანური ბუნების განვითარების კანონთა მყარ ცოდნას შეიძლება დაეფუძნოს აღზრდის ჭეშმარიტი ბალავერი და განსწავლის საქმეც”<sup>2</sup>.

ყველა პლასიკოსი მეცნერ-პედაგოგი აუცილებელ პირობად თვლიდა აღზრდის ბავშის ბუნებასთან შესაბამისობის კანონის მიხედვით მოქმედების აუცილებლობას, რომელიც ხორციელდება აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპით. პედაგოგიკის მეცნიერებაში აღსაზრდელის ასაკობრივ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს მისი ფიზიკური და ფსიქიკურ-ინტელექტუალური განვითარების თავისებურება. დღემდე ძალაშია დადგენილი ასაკობრივი პერიოდები: სკოლამდელი დაბადებიდან 6-7, უმცროსი სასკოლო 6-7 -დან 11-12, საშუალო სასკოლო 11-12 -დან 14-15 და უფროსი სასკოლო ასაკი 14-15-დან 17-18 წწ. გარკეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული აქსელერაციის პროცესის გათვალისწინებით.

2 რ. შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თაღსაზრისით. მკონტავას თარგმანი. თბ., 1990, გ. 12

შტაინერის აზრით, აღზრდაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ პერიოდებში ადამიანის არსის ძირითადი შემადგენელი წევრების განვითარების კანონზომიერებანი. ეს ნაწილებია: ფიზიკური სხეული – ფორმა; ეთერული სხეული ანუ შინაგანი ბუნება – ზრდა, სქესობრივი მომწიფება, სიცოცხლის წარმომქმნელი ძალა, ასტრალური სხეული ანუ გრძნობითი-ემოციური სფერო და ბოლოს, ყველაზე უმთავრესი, შედეგი – მთლიანი „მე“-ს ფორმირება, რომლის წიადიდან გამოვლინებას იწყებს ღვთაება, შემოქმედის ანარეკლი ღვთის მსგავსება და ხატება. ისევ შტაინერის მტკიცებით, სწორედ „მე“-ს გავლენით იცვლება ფიზიონომია, ჟესტიკულაცია, მოძრაობის სტილი, ფიზიკური სხეულის მთლიანი გამომეტყველებაც.

სრულყოფილი პიროვნების ფორმირება, მთლიან „მე“-მდე დაყვანა, ძირითადად, დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ აღსაზრდელის განვითარების პოტენციური შესაძლებლობების სრულ ცოდნაზე. კონკრეტულად როდის, რა სფეროზე როგორ იმოქმედოს. სწორედ ეს აზრია გატარებული შტაინერის დებულებაში: „აღზრდის ხელოვნებაც ასევე მოითხოვს ადამიანის ყველა შემადგენელი ნაწილის ცოდნას, თუ როგორ ვითარდება დამოუკიდებლად თვითეული მათგანი. აუცილებელია ვიცოდეთ, თუ ადამიანის არსების რომელ ნაწილზე უნდა ვიმოქმედოთ ამა თუ იმ ასაკში და როგორ წარვმართოთ ეს ზემოქმედება მიზანშეწონილად“.<sup>3</sup>

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოლამდელ ასაკში წინა პლანზეა წამოწეული ფიზიკური აღზრდა, მაგრამ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობისა და მიმბაბველობის დაუოკებელი უნარი ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული. ბავშვის განვითარება გარესამყაროს-თან ურთიერთობით იწყება, იმთავითე ავლენს შემეცნებით ინტერესს, უჩნდება უამრავი კითხვა: ” რა არის? ვინ

3 რ. შტაინერი, ბაგშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თალაზრის სით. მ. ერთაგას თარგმანი. თბ., 1990, გვ. 14

არის? რატომ? როგორ? როდის? სად? და ა. შ. ეს არის დვთის მიერ ჩადებული ბუნებრივი განვითარების ტენდენციის გამოვლინება. რომელსაც უნდა შეექმნას შესატყვისი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-სოციალური გარემო-პირობები. ბავშვის არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს მისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით.

ბავშვი თავის ქცევასა და მოქმედებას, მეტყველებას, მანერებს აგებს უფროსებზე მიბაძვით. ამიტომ მიბაძვის ობიექტი უზადო და წუნდაუდებელი უნდა იყოს. სენსუალიზმის თეორიის თანხმად, ადამიანი გარესამყაროს შეიცნობს გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. როგორც ცნობილია, არაუერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ გვქონია. ამავდროულად არც სამყაროშია ისეთი რამე, რომლის შეგრძნება არ შეეძლოს გრძნობათა ორგანოებს, როგორც იან ამოს კომენსკიმ უწოდა მათ, ამ “ჯაშუშებსა” და “მსტოვრებს” – თვალს, ყურს, პირის ღრუს, ცხვირსა და კანს. ამ დვთიური ძღვენით მადლიერმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მ.ფ. კვინტილიანემ დაწერა: “სამარცხვინოა და სიმდაბლე ადამიანი თავის შესაძლებლობების განვითარებაზე არ ზრუნავდეს”<sup>4</sup>-ო.<sup>4</sup> ამ ზრუნვაში ავტორი გულისხმობს ბევრის სწავლას და ბევრზე ფიქრს. იან ამოს კომენსკიც თავის პანპედიაში სწორედ ამას გულისხმობდა, რომ უველამ უველაფერზე უველაფერი უნდა იცოდეს. დღეს ამ შესაძლებლობაში არავის ეპარება ეჭვი, რადგან ის ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში გაზომვადია. ცნობილია, რომ რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია შეგრძნებები, იმის პროპორციულია ადამიანის განვითარების დონე. თვალი – მხედველობის ეს უნიკალური ორგანო, ვიზუალურ კონტაქტს ამყარებს გარემომცველ სინამდვილესთან. შეიგრძნობს ფერებს, ფორმებს, მდებარეობას, მდგრმარეობას, რაოდენობას, სიმაღლეს,

4 მ.კვინტილიანე, ”ორატორის დარიგებანი”, საკტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 36

სიგრძეს, სიდიდეს და ა. შ. დადგენილია, რომ სამყაროს შესახებ ინფორმაციათა 80% მიიღება თვალის მეშვეობით. ამიტომ სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, როცა ჯერ კიდევ კონკრეტული აზროვნების დონეზე იმყოფება ბავშვი, გადამწყვეტი შემქცნებითი მნიშვნელობა აქვს საგანსა და მოვლენებზე უშუალო, ემპირიულ დაკვირვებებს, დიდაქტიკურ თვალსაჩინო მასალებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სმენითი შეგრძნებების როლი სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. სმენის ორგანოს, ყურის საშუალებით შევიგრძნობთ ბეჭრებს, ტონებს, ხმაურს და ა. შ. ბეჭრები ლაგდებიან სიტყვებად, რომელთა საშუალებით ცნობიერებაში შედის ინფორმაცია, გარდაიქმნება შესაბამის აზრად და გამოითქმის ისევ სიტყვის სახით. ტონებით ადამიანი შეიგრძნობს მუსიკას მთელი თავისი მრავალფეროვნებით: ჟღერადობას, მელოდიურობას, რიტმს და ა.შ. რაც შეეხება ხმაურს: ჩქამი, შრიალი, რაკრაკი, ჭიჭიკი, გალობა, ყეფა, ბლავილი, კნავილი და ა. შ., ხმის მიხედვით ბავშვი სწავლობს ობიექტის ამოცნობას და მდებარეობის ორიენტირებას. მართალია, სმენით მიღებული ინფორმაციები 8-10%-ს ითვლის მხოლოდ, მაგრამ თავისი შემქცნებითი ღირებულებით ბევრად აღემატება თვალით მიღებული ინფორმაციების 80%-ს. სმენითი შეგრძნებები ემსახურება აზროვნებისა და მეტყველების კულტურის განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. ამიტომ რაც შეიძლება მეტი ღირებული სმენითი შეგრძნებით უნდა გავამდიდროთ აღსაზრდელის შთაბეჭდილებები.

იგივე ითქმის შეგრძნებათა სხვა ორგანოებზე. შეხებითი, ყნოსვითი და გემოს შეგრძნებები არა ნაკლებ მნიშვნელოვან შთაბეჭდილებებით ამდიდრებს ბავშვის ცნობიერებას სამყაროს შესაბამისი სფეროებიდან.

ბავშვი სწავლობს მაგალითებზე. რასაც ხედავს და ისმენს, ის ხდება მისი ტვინის ბიო-ქიმიური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი და მისი აზროვნებისა და ქმედებუ-

ბის წარმმართველი: “თუ 7 წლამდე ბაგშვი მხოლოდ უგუნურ ქმედებებს ამჩნევს, მაშინ მისი ტვინი ისეთ ფორმებს იღებს, რომლებიც მხოლოდ ასეთივე უგუნური ქმედებების-თვის იქნებიან მომარჯვებული”.<sup>5</sup> ამიტომ აუცილებლად ყურად უნდა ვიღოთ სოლომონ ბრძენის სიტყვები: “ყმაწვილი თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში გაწროვენი და სიბერეშიც არ გადაუხვეს მას”-ო (სოლომონი იგავები 22:6).

აღსაზრდელის აქტივობის სახეები, როგორიცაა: თამაში, სწავლა, შრომა, ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, სტუმრებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან, ბუნებასთან, ცხოვრელთა სამყაროსთან, ხელოვნებისა და ზღაპრების საუფლოსთან, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან მოითხოვს მისგან შესაბამის მიღგომებსა და დამოკიდებულებებს, რომლის ცოდნა-გამოცდილება თავისი ასაკის გამო ჯერ-ჯერობით არა აქვს და თანდათანობით უნდა შეიძინოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, რომელიც ტვირთად არ უნდა ექცეს აღსაზრდელს. როგორც კვინტილიანებმ თქვა: ბავშვს “სწავლა არ უნდა შევაძლოთ, რომლის შევვარება ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია”-ო. შემცნების პროცესი, ეს იქნება თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტში, ბავშვს კმაყოფილებასა და სიხარულს უნდა ანიჭებდეს. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ეს ისეთი ძალებია, რომლებიც ფიზიკური ორგანოების სწორ ფორმირებას განაპირობებენ და არა მარტო ფიზიკურის. ყველამ იცის, რომ, როცა ადამიანი ფიზიკურად და ფიქიცურად ბუნებრივ მდგომარეობაშია, მშვიდი, შრომისუნარიანი და ხალისიანია. ამ წონასწორობის მცირედი დარღვევაც კი საკმარისია, რომ ადამიანი მწყობრიდან გამოვიდეს და თავისი სიტყვისა და ქცევის კონტროლი გაუჭირდეს. ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ შენიშვნებისა და აკრძალვების დამორჩილება. მით უმეტეს, თუ ისინი ნეგატიურ გრძნობებს შეიცავენ. ჩვენი და სხვათა დაკვირვებებიდან

5 რ. შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით. თბ., 1990, გვ. 16

ცნობილია, რომ ბავშვებს ქვეტექსტის ამოკითხვის საოცარი უნარი აქვთ. ისინი ყალბსა და მართალს ძალიან კარგად არჩევენ ერთმანეთისაგან. თუ სიყალბეში გამოგვიჭირა, მერე მართალსაც ფასი არა აქვს მათ თვალში. ამიტომ ბავშვის გრძნობებს ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. იგი ჩვენში უნდა ხედავდეს პატიოსან, მოსიყვარულე, კეთილმოსურნე, მზრუნველ, გამგებ და ყურადღებიან, ზედმიწევნით გულწრფელ ახლობელს, რომელიც არასოდეს გაუცრუებს იმედს. ამაში დაგვეხმარება უპირობო სიყვარული, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემის, აღზრდაში დადგებითზე დაყრდნობის, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობისა და, რაც მთავარია, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და თავისებურებების გათავალისწინების პედაგოგიური პრინციპების შემოქმედებითად, ოსტატურად გამოყენება. პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების გაჯერება სიტუაციის შესატყვისად. ყოველთვის უნდა გვახსოდეს ქრისტეს უნივერსალური სიტყვები: “ყველაფერში, როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ სხვები, თქვენც ისევე მოექეცით მათ, რადგან ეს არის კანონისა და წინასწარმეტყველთა წიგნების არსი”<sup>6</sup>.

როგორც ცნობილია, მოსწავლეს ბუნებრივი, თავისუფალი განვითარებისათვის განათლებასთან ერთად სჭირდება სიყვარული, ყურადღება, გაგება, მხარდაჭერა. სიყვარული ისეთი უნიკალური, ღვთიური ფენომენია, რომელიც ყველა ცოდვას ფარავს, ადაშენებს და ასრულყოფილებს. როცა ერთმა მწიგნობართაგანმა იქსო ქრისტეს ჰკითხა: “რომელია უპირელესი მცნება?” მან უპასუხა: “პირველია გიყვარდეს იგჲოვა, შენი ღმერთი მთელი გულით, მთელი სულით, მთლი გონებით და მთელი ძალით. მეორე კი, მოყვასი საკუთარი თავივით გიყვარდეს. ამ მცნებებზე დიდი მცნება არ არსებობს”<sup>7</sup>. იოანემ დაწერა, ღმერთი თავად

6 მათე 7:12

7 მარკოზი 12:30,31

სიყვარულიათ. ეს ნათლად ჩანს ყოვლისშემოქმედის ქმნილებებიდან, მისი სიტყვიდან და ჩვენდამი დამოკიდებულებიდან. სიყვარულის აზრმიუწვდომელი მაგალითი მოგვცა ყოვლისშემოქმედმა მაშინ, როცა თავისი მხოლოდ შობილი ძის იქსო ქრისტეს სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად კაცობრიობის ცოდვებისგან გასათავისუფლებლად. ამასთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ: “ღმერთმა ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ თავისი მხოლოდ შობილი ძე მისცა, რათა ვისაც ის სწამს, არ დაიღუპოს, არამედ მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს”<sup>8</sup>. ბიბლიაში ლაბარაკია უანგარო, უპირობო, გულწრფელ სიყვარულზე, როგორიც აქვთ ღმერთსა და მის ძეს იქსო ქრისტეს.

სიყვარულის ცნების ამომწურავი განსაზღვრებაა მოცემული პავლე მოციქულის მიერ კორინთელებისათვის მიწერილ პირველ წიგნში, რომელშიც ვკითხულობთ: „ადამიანთა და ანგელოზთა ენებზე რომ ვიღაპარაკო, წინასწამეტყველების ძლვენიც რომ მქონდეს, ყველა წმინდა საიდუმლო რომ ვიცოდე „„, და ისეთი რწმენა მქონდეს, რომ მთების გადაადგილება შემეძლოს, მთელი... ჩემი ქონება რომ სხვების დასაპურებლად გავცე და ჩემი სხეული გავიღო, რათა დავიკვეხნო, მაგრამ სიყვარული არ გამაჩნდეს, არა რაობა ვიქნები’ და იქვე განაგრძობს მოციქული სიტყვას სიყვარულის არსის შესახებ: “სიყვარული სულგრძელი და კეთილია, სიყვარულს არ ჟურს, სიყვარული არ ტრაბახობს, არ ყოყოჩობს, უწესოდ არ იქცევა, თავისას არ ეძებს, არ დიზიანდება და განაწყენებას არ ითვლის, უმართლობით არ ხარობს, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასოდეს მთავრდება”<sup>9</sup>.

ადამიანი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყოველთვის გრძნობდა სიყვარულის გარდამქმნელ, გამაკეთილ შობილე-

8 ოთანე 3:16

9 I ქორინთელები 13:8

ბელ ძალას, ამიტომ თქვა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”-ო.

ადზრდაში ადსაზრდელისადმი უპირობო სიყვარულის სასწაულებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. და, მიუხედავად ამისა, კველას ეძლევა საშუალება ამ დიადი გრძნობის შესახებ არა მარტო მოისმინოს და წაიკითხოს, არა მედ საკუთარ თავზე გამოსცადოს მშობლებმა შვილებთან, მასწავლებლებმა თავიანთ მოსწავლეებთან ურთიერთობაში. სიყვარულის ბიბლიურ გაგებას ეხმიანება ფოსტერ კლაინისა და ჯიმ ფეის შეხედულებებიც: „კველაზე მშვენიერია ის საყვარული, რომელიც არაფერზე არაა დამოკიდებული. ბავშვებისადმი ჩვენი სიყვარული არაფრით არ უნდა იყოს განპირობებული.... ნამდვილი და გულწრფელია ის სიყვარული, რომელიც უპირობოდ ვლინდება მიუხედავად ბავშვის დადებითი თუ უარყოფითი ქცევისა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ვიწონებდეთ მის ცუდ ქცევებს”.<sup>10</sup> როცა სიყვარული განპირობებულია გარე ფაქტორებით, ბავშვის ქცევითა და მოქმედებით, სხვისადმი მისი სიყვარულიც არა თვით პიროვნების, როგორც მისი მსგავსისა და მოყვასის, არამედ ასევე გარკვეული პირობებით იქნება ნაკარნახევი, რასაც ჭეშმარიტ, უანგარო სიყვარულთან არანაირი კავშირი არა აქვს. უპირობო სიყვარულის განსაცვიფრებელი მაგალითი მოგვცა ლვთის ძემ, იქსო ქრისტემ, როცა მან მამის ნების თანახმად უყოფმანოდ გასწირა თავი მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მართლების, ასევე უმართლოთათვის, რომ კველას, ვისაც ამ მსხვერპლის სწამს, მიეცეს გადარჩენის შესაძლებლობა.

ბავშვისადმი სიყვარულის გამოხატვის უამრავი საშუალებებია ცნობილი პედაგოგიკურ ლიტერატურაში, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ კველაზე მარტივი, მაგრამ ძალზე ეფექტური მეთოდები, მაგალითად: ვიზუალური

10 ფოსტერ კ. კლაინი, ჯიმ ფეი, ადზრდა სიყვარულითა და ლოგიკით. მ. 1995, გვ. 210-211

კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, ყურადღება, თანაგრძნობა, ვერბალური მეთოდები, მაგალითი და სხვა.

როგორც შემოთ აღვნიშნეთ, თვალი ადამიანის სულის სარკეა. შეგრძნების ამ უნიკალურ ორგანოს – თვალის საშუალებით გადაიცემა გრძნობები, ემოციები, დამოკიდებულებები, და, „რაც უფრო ხშირად შევხდავთ ბავშვს სიყვარულით აღსავს თვალებით, მით უფრო იულინთება იგი ამ გრძნობით და ივსება მისი ემოციონალური სფერო”.<sup>11</sup> სწორად შენიშნავს ავტორი, რომ ეს საუკეთესო მაგალითია ბავშვისთვის, მასაც ასეთივე გამოხედვა რომ გამოუმჯშავდეს სხვის მიმართ: „თუ ჩვენი თვალები სიყვარულსა და კეთილმოსურნეობას აფრიკვებს, ბავშვი სწავლობს თვოთონაც ასეთი გამოხედვა პქონდებს სხვის მიმართ. თუ ჩვენი თვალები გადიზიანებასა და რისხვას გამოხტავს, ბავშვი ეჩვევა ამავე რეაქციას, სამყაროს მიმართ”.<sup>12</sup>

ცნობილია, რომ ბავშვი ხასიათდება მიბაძვის ზუსტი უნარით. იგი თავის ქცევას, მოქმედებას, მეტყველებას აგებს სხვათა მაგალითზე, ამიტომ მიბაძვის ობიექტი უნდა იყოს უზადო, წუნდაუდებელი. სწორია, როცა ამბობენ, ბავშვი ოჯახის, მოსწავლე სკოლის სარკეაო. როგორც ღრუბელი ერთნაირად ისრუტავს როგორც სუფთა, ისე მდგრიე წყალს, ასევე ბავშვიც. რასაც ხედავს და ისმენს, იმასვე ითვისებს. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მიმბაძველობის უნართან დაკავშირებით პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელს მარკეს ფაბიუს კვინტილიანეს თავის „ორატორის დარიგებანის” პირველი წიგნის პირველ თავში საგანგებოდ აქვს გამოყოფილი საკითხი: „II. რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდნენ ძიძები, მშობლები, ამხანაგები, მასწავლებლები”. მეცნიერ-პედაგოგი მათგან მოითხოვს კარგ გამოთქმასა და კილოს, ზნეობასა და მეტყველებას, განათლებულობასა და კომუნიკატებულურობას. რადგან მისი აზრით, ყრმობის ასაცმი მიღებული სწავლა თუ ჩვევა მეხ-

11 ი. მანიჩენკო, აღზრდის 10 საიდუმლო, ჩელიაბინსკი, 2009, გვ., 6

12 იქვე

სიერებაში დიდ ხანს გასდევს, ისევე, როგორც ჭურჭელს ის სუნი, რომლითაც პირველად გაიქცინთა, და არც იმ სა-ლებავის გადარეცხვაა იოლი, რომელიც ერთხელ ტილოს გადაესვა. ასე რომ, მავნე ჩვევები უფრო ადვილად იდგამს ფესვს და სიკეთე ბოროტებად გადაიქცევა.... ამიტომ აუცი-ლებელია თავიდანვე ყურადღება მიექცეს ბავშვს, რათა იგი არ მიეჩიოს რაიმეს ისეთს, რისი აღმოფხვრაც შემდ-გომში გაძნელდება”.

სიყვარულის გამოვლენის ასევე კარგ საშუალებად ითვლება ფიზიკური კონტაქტი. საოუთი შეხება: მოფერე-ბა, თავზე ხელის გადასმა, მხრებზე მოთათუნება, ხელის გაწოდება, ხელმკლავის გაყრა, ტანსაცმლის გასწორება და ა. შ. ბავშვის ასაკის, დროისა და სიტუაციის ზუსტი გა-თვალისწინებით. რაც ბავშვს აგრძნობინებს მისდამი ჩვენს კეთილ დამოკიდებულებას, სიყვარულს, რომ ის ჩვენთვის ძვირფასია.

აღმზრდელის მშრალი, ოფიციალური და გაშეშეტული გამომეტყველება თრგუნავს ბავშვს და მყისვე იწყებს თა-ვდაცვის ინსტიქტის ამოქმედებას. ასეთი მასწავლებლის შესახებ კვინტილიანემ თქვა: „ისეთივეა მშრალი მასწავ-ლებელი ბავშვებისათვის, როგორც ტენიანობას მოკლე-ბული და გაქვავებული მიწა ნორჩი ნერგისათვის”.<sup>13</sup>

უპირობო სიყვარულის გამოხატვის ყველაზე მნიშვნე-ლოვანი საშუალებაა ყურადღების გამოვლინება. მართალია, ეს საშუალება ვიზუალური და ფიზიკური კონტაქტებისგან განსხვავებით გარკვეულ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ როცა კარგად გავიცნობიერებთ ბავშვის სრულფასო-ვან პიროვნებად ფორმირების გრანდიოზულობას, მაშინათვე დავრწმუნდებით მის უცილობელ პრიორიტეტულობაში, რაც საქმისადმი დადებითად განაწყობს მშობლებსა და მასწავ-ლებლებს, ყველას, ვისაც აღზრდასთან აქვს საქმე.

ბავშვს, როგორც წესი, იმთავითვე უჩნდება სოციოგენუ-

13 მ.ვ. კვინტილიანე „ორატორის დარიგებანი“ ა. ნიკოლსკის თარგმანი, წიგნი II, სანკტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 85

რი მოთხოვნები: სწრაფვა დიდობისაკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, სურს ცნობდნენ, აღიარებდნენ, ენდობოდნენ, ეკითხებოდნენ, აფასებდნენ, პატივსცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ, აწინაურებდნენ, აქებდნენ და ა. შ. როცა იგი ოჯახისა და სკოლის პირობებში ვერ იკმაყოფილებს თავის კანონიერ მოთხოვნებს, ვერ ახდენს თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციას, ერთგვარ კომპენსაციას იკეთებს მის გარეთ. პროტესტის ნიშნად ბავშვთა ერთი ნაწილი თვალთაგან „მიფარებას”, აასიურ მდგომარეობას ირჩევს, უმეტესობა კი სხვაგან ეძებს, ისეთ ადგილს, ისეთ წრეს, სადაც ნებისმიერ ფასად მოახერხებს გაიტანოს თავისი. სამწუხაროდ, იგი ადვილად პოულობს ასეთ მდგომარეობაში მყოფ თანამოაზრებს და იქმნება, მათი აზრით, „მოძულებულთა” ჯგუფი, ძალა, რომელიც ჰველაფერზე მიდის იმისათვის, რომ ყურადღება მიიქციოს, გახდეს კ.წ. „ცნობადი სახე” და აღწევს კიდევაც მიზანს. სკოლა და ოჯახი უძლური ხდება უკვე მათ წინაშე. საქმე სანამ აქამდე მივა, მანამ უნდა მოვასწროთ მასთან დაახლოება, დროის დათმობა, მოსმენა, მისი გრძნობითი ემოციური მდგომარეობის „წაკითხვა” და შესაბამისად იდენტიფიცირება, თანაგრძნობისა და თანადგომის გამოვლინება. რეალური სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ახლანდელ ბავშვებზე გამაღიზიანებლად მოქმედებს გაუთავებელი სენტენციები და მოთხოვნები, შენიშვნები და აკრძალვები. პრობლემას ისიც ართულებს, რომ დროის უმეტესი ნაწილი ბავშვები დაკავებული არიან ტელეკარანებზე თუ კომპიუტერის მონიტორზე ფართოდ და დაუფარავად წარმოდგენილი უხეორო თამაშობების, ძალადობისა და პორნოგრაფიული სცენების ამსახველი სურათებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ფსიქიკასა და ემოციურ სფეროზე, აკადემიურ მოსწრებაზე.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმ ოჯახებში, სადაც აღზრდაა მთავარი, სადაც მშობლები ითვალისწინებენ შვილების სამართლიან მოთხოვნებს, დიდ დროს უთმობენ

მათთან ურთიერთობას და ცდილობენ ამ მოთხოვნების დროულ და გონივრულ დაკმაყოფილებას, იზიარებენ მათ სიხარულსა და წყენას, ეპატიულებიან მათთვის სახურველ ადგილებზე სათამაშოდ, გასართობად, ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, უყვებიან საკუთარ ან სხვათა თავგადასავლებზე, კურიოზებზე, ბავშვურ ოინებზე, უკოტხავენ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან საინტერესო ადგილებს, ერთად აგვარებენ ოჯახურ საქმეებს, ერთად სტუმრობენ ნათესავებსა და მეგობრებს, იდებენ სამახსოვრო ფოტოსურათებსა და ა. შ. ამგვარი ურთიერთობები ავსებს ბავშვის ემოციურ სფეროს, უფაქიზებს გრძნობებს, უმდიდრებს გონებას საზოგადოებრივად ღირებული შთაბეჭდილებებით, უყალიბებს სწორ შეხედულებებს, საფუძველს უყრის ზნეობრივ და ესთეტიკურ კულტურას. და, რაც მთავარია, ასეთი მიდგომა ხელსაყრელ ემოციურ ფონს უქმნის მას, როგორც მოსწავლეს, შემეცნებითი საქმიანობისათვის. ადგილად ემორჩილება სკოლის ჯანსაღ გარემოს, პედაგოგიურ მოთხოვნებს, საინტერესო და ნაყოფიერი ხდება მისთვის მეცნიერულ საფუძველზე ორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მოგებული რჩება სკოლაც, ოჯახიც და, რაც მთავარია – აღსაზრდელი.

რეალური სინამდვილისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იმ ოჯახებში, სადაც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღზრდას ნაკლები ყურადღება ეთმობა, ან მეორეხარისხოვან საქმედ ითვლება, მდგომარეობა სავალალოა. ხელმიშვებულ ბავშვებს მთელი ძირფასი დრო უმიზნოდ და უშინაარსოდ ეფლანგებათ. მათთან საუბარში ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, მათ პგრნიათ, რომ მათთვის არავის სცალია, მათი გრძნობები არავის არ აინტერესებს, მათ ვერ უგებენ, არ უსმენენ, მოსწყინდათ გაუთავებელი მოთხოვნები, აკრძალავები, საყვედურები, დამამცირებელი მიმართვები, რაც არც თუ იშვიათად ბავშვის აგრესიას, დაუოკებელ მდელგარებას იწვევს. ეს კი შეიძლება კონფლიქტის მწვავე საფუძველი გახდეს. ასეთ

შემთხვევაში პ. ჯაინოტი გვირჩევს: „მდელვარე გრძნობების უარყოფას არ გირჩევთ,... აუცილებელია მათი რეალურობისა და ძალაუფლების აღიარება. თუ ასეთ გრძნობებს პატივისცემით მოვეპყრობით და საჭირო კალაპოტში მიუშვებთ, ისინი თქვენს სიცოცხლეს სინათლითა და სიხარულით აავსებენ”.<sup>14</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბავშვებს როგორც კვინტილიანებ თქვა: „იშვიათად აკლიათ ბუნებრივი ნიჭი, უფრო ხშირად აკლიათ მასზე ზრუნვა”.<sup>15</sup> აღსაზრდელთა უმრავლესობა მოკლებულია არა მარტო ზრუნვასა და სიყვარულს, არც თუ იშვიათად მშობელთა და მასწავლებელთა სათანადო ცოდნის დეფიციტის მსხვერპლნიც არიან. ჩვენ რომ არ ვცოდავდეთ დვთისა და ბავშვის წინაშე, აღზრდის პრობლემა ბევრად მსუბუქი იქნება. თანამედროვე უმდიდრესი პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური მიღწევების ფონზე შეიძლება გამართლება პქონდეს ამ პრობლემის არსებობას, იმის გამო, რომ მისი რეალიზატორთა უმრავლესობა ამ მეცნიერებებს ცუდად იცნობს?!

აღზრდა როგორორც საზოგადოებრივი მოვლენა, განსაკუთრებულ მიღგომას მოითხოვს. მართალია, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ყოველთვის ახლავს ბუნებრივი პრობლემები, მაგრამ საქმე მძიმდება მაშინ, როცა აღზრდის უშუალო სუბიექტების – მშობლებისა და მასწავლებლების მშობლიური და პროფესიული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება დაბალია, პედაგოგიკურ – მეცნიერული მოთხოვნები, კანონები და პრინციპები უგულებელყოფილია. პროფესიონალიზმი და ბავშვის სიყვარული ის ძალებია, რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელის უფლებების, გრძნობების, ინტერესებისა და ფსიქიკურ – ინტელექტუალური შესაძლებლობების გაგებასა და პედაგოგიური პროცესის ამ მიმართულებით ორიენტირებას,

14 პაიმ ჯ. ჯაინოტი, მშობლები და შვილები. ობ., 1991, გვ. 51

15 მ.ფ. კვინტილიანე „ორატორის დარიგებანი”, სანქტ-პეტერბურგი, 1834, I წიგნი, გვ.1 (16)

შესაბამისად, აღზრდის პრობლემის უფრო ადვილად გადაჭრას;

მასწავლებელს უნდა შეეძლოს პედაგოგიურ პროცესში გამოვლენილი პრობლემების ტიპოლოგიზაცია, მიზეზების დადგენა და პედაგოგიკურ კატეგორიებში გადატან, მისი თეორიული ანალიზი, შესაბამისი პედაგოგიური გამოსავლის პოვნა და გამოყენება;

საჭირო პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაში მას დაეხმარება მუდმივ მოქმედ პედაგოგიურ სემინარებზე, სათანადო ლიტერატურის პრეზენტაციებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებში მონაწილეობა, ახალი მეცნიერული მიღწევების ათვისება, პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების მუდმივად განახლება-გამდიდრება;

და, რაც მთავარია, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მასწავლებლის შრომის შესატყვისად დაფასება, ცნობა და აღიარება. მისი მატერიალური, სოციალური, მორალური და ემოციური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

აი, მაშინ ნახეთ თუ რა სასწაულებს მოახდენს ბედნიერი მასწავლებელი!

## აღზრდის პროგლემის მიზანთა მიზანი

„აღზრდა, ქვეყნად არსებული ყოველი  
სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა  
და ბედნიერების პრეცენტაცია”  
რ. ოუენი

კაცობრიობა დასაბამიდანვე განვითარების არასწორ, სატანურ გზას დაადგა. ის იმთავითვე მოწყდა თავის გმნებრიურ სრულყოფილ ფესვებს, თავისი ნებით თქვა უარი იმ დვოიურ ნათელ შუქზე, რომელიც ყოველთვის და ყველგან გაუნათებდა ცხოვრების გზას. ორიენტაცია დაკარგული დღემდე დაბორიალებს უკუნ სიბძელეში. იმდენად დაკარგა თავისი დვოიური სახე, რომ დარვინსაც კი აფიქრებინა ადამიანის მაიმუნური წარმომავლობა. გამანადგურებელი ოქები, ძალადობა, მოძმეთა ხოცვა-ულება ძალაუფლებისა და სიმდიდრისათვის, სიცრუე, ქურდობა, გარყვნილება, სიძულვილი, უმადურობა, უპატივცემლობა ყველას და ყველაფრის მიმართ, ყოვლისშემოქმედი დვოის, ერისა და ქვეყნის აბუჩად აგდების შემზარავი ფაქტები აშკარად მეტყველებს ადამიანთა როგორც გონებრივ, ისე სულიერ და ზნეობრივ დეგრადაციაზე. ყალბი პოლიტიკა და მმართველობის უდვოთ სისტემა არის ყველა ბოროტებისა და უბედურების თავი და ბოლო მთელ მსოფლიოში.

არავის ეგონოს რომ ცაგმერივად ვმსჯელობ და არ ვაფასებ იმ მიღწევებს, რაც არის მეცნიერებაში, ტექნიკაში, ხელოვნებაში და ა. შ. მაგრამ ამას არაფერს არა აქვს ფასი მაშინ, როცა მიღიარდობით ადამიანი უბედურია, კაცთა მოდგმის დასახოცად გამზადებული საბრძოლო

იარაღის მხოლოდ ფიზიკური არსებობაც კი საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, ეპოლოგიურ სისტემას, დედამიწას – ჩვენს საცხოვრის პლანეტას, რომელიც ყოვლისშემოქმედმა ღმერთმა თავის ძე – იქსო ქრისტესთან ერთად ასე სიყვარულით, სიბრძნითა და გონიერებით შექმნა, მოროო და მოკაზმა ჩვენი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. უგუნურმა პოლიტიკოსებმა და ტახტმპურობელებმა თვითონ მიიტაცეს ყოველივე საუკეთესო, ხელოქმნილი და ხელოუქმნელი. შოვნისა და განდიდების მანიით შეპყობილებს დაეკარგათ განსჯის, ზომიერებისა და წონასწორობის, რეალობის აღქმის უნარი და სინდისგაუხეშებულები არაფერზე იხვევნ უკან და ვერ აკონტროლებენ იმას, რომ მათ მიერ გაუბედურებულთა მეტად თავად ზარალდებიან, რომ არავის არასოდეს არ შერჩება ნაავმაგარი. უკონტროლო მადააშლილობამ, ეგოცენტრიზმა, მატერიალიზმა და კარიერიზმა, გონებრივ და ზნეობრივმა დეგრადაციამ ადამიანი გამძინვარებულ მხეცად აქცია. მსოფლიო გაიყო მდიდრებად და ღარიბებად. სამკვდრო–სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ მხარეებად. მმართვის ამ უგუნურ სისტემას მოჰყვა სამოქალაქო, ეკონომიური და პოლიტიკური ოქები. უგუნურთა მიერ ხელოვნურად შექმნილ ამგვარ პრობლემათან დაკავშირებით ყველაზე კარგად თქვა თავის დროზე დიდმა იაკობ გოგებაშვილმა: „მცირე ნაწილი კაცობრიობისა ჰყარს სიმდიდრისგან და უმრავლესობა – სიდატაკისგან“-ო. საქართველოს ხელისუფალთ და მათ კლანებს რაც მილიონები და მილიარდები მიუთვისებიათ, ის სამართლიანად და ობიექტურად რომ გადაენაწილებინათ ქვეყნისა და საზოგადოების საჭიროებისამებრ, პირველ ადგილზე დაეკარგებინათ ადამიანი, მაქსიმალურად დაეცვათ მისი პიროვნული ღირსებები, შრომისა და სიცოცხლის უფლება, ასეთ ხელისუფლებას ხელისგულზე დაისვამდა მადლიერი ხალხი. და არც თავად მოაკლდებოდათ რამე. და, რაც მთავარია, ექნებოდათ ხალხისგან მხარდაჭერა, ნდობა და სიყვარული. ნაცვლად ამისა, მახინჯი, პირადი

ამბიციების დასაქმაყოფილებლად დემოკრატიის სახელით მხეცურად ფეხევეშ გათელეს ყველაზე ძვირფასი, ზოგად-კაცობრიული დირებულებები: დემოკრატია და პუმანიზმი.

XXI საუკუნის ქართველ „კოლაბორაციონისტების“ ძალისხმევით დიდი ზიანი მიაღვა საქართვლოს მოსახლეობას: ეროვნულ ცნობიერებას, ქართულ მენტალიტებს, მის მრავალ საუკუნოვან, უმდიდრეს და მრავალფეროვან კულტურას, პიროვნების ლირსებას, განათლების სისტემას, შრომის, საკუთრებისა და, რაც მთავარია, სიცოცხლის უფლებას. ქვეყნის მეთაურმა პირველი, რითაც მან გვაუწყა თავისი მმართველობის დაწყება, ეს იყო მისი ცნობილი სიტყვები: „35 წლის იქით ხეც არ მინდა ტყეშიო.“ შემდეგი გამაოგნებელი მუქარა იყო „ნულოვანი ტოლერანტობის“ გამოცხადება. ეს იყო ავადსახსენებელი 1937 წლის ახალი გამოძახილი, რასაც მოჰყვა ათეულობით (ამბობენ 72-მდე) ახალაზრდის პირდაპირ ქუჩაში დახვრეტა. მე სულ არ გვითხულობ, ისინი დამნაშავეები იყვნენ, თუ არ იყვნენ. ეს მოსამართლისგან უნდა მოვისმინო. ვის აქვს იმის უფლება დედამიწის ზურგზე გამოძიებისა და სასამართლო განაჩენის გარეშე ერთპიროვნულად, სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით ადამიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს. მაშინ რადა საჭიროა იურიდიული კანონი, იურიდიული უმაღლესი განათლება, პროკურატურა, სასამართლო, ადგომკატურა, ციხე და მისთანანი?! დაპატიმრებების სერიებიც არანაკლებ შოკისმომგვრელი იყო. 9 წლის განმავლობაში 320 ათასი პატიმარი და თითქმის ამდენივე პრობაციონერი ჰყავდა სამ მილიონიან ქვეყნას; აქედან ასეულობით ციხეში მოკლულები, დასახიჩრებულები, გაუპატიურებულები; ასობით პოლიტიკური პატიმარი. ამას ჰქონდა ორი მიზანი: პირველი, მოსახლეობის დაშინება, აბუჩად აგდება და დამორჩილება და, მეორე, არჩევნებზე მახეში გაბმულ ხმისმიმცემ ამომრჩეველთა კონსერვაცია. დასმენების, ფარული მოსმენებისა და ჩაშვების ინსტიტუტების ბოროტი გარიგებების მეთოდებით ამჟავება.

ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვირის: „ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში!” და გამუდმებით ლაპარაკობს: ციხეებისა და საავადმყოფოების გრანდიოზულ მშენებლობაზე, ათასობით აფთიაქებს ხსნის ფალსიფიცირებული და ვადაგასული წამლებით სავსეს, და ამ დროს იხურება სკოლები, საბავშვო ბაღები, უნივერსიტეტები (სუბტროპიკული უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტი, ფიზიკური ადზრდის უნივერსიტეტი, უცხო ენათა უნივერსიტეტი და სხვ.), მცირდება უნივერსიტეტებში ფაკულტეტები, იკვეცება სასწავლო საგნები, ან სასწავლო საგნებად ცხადდება ერთი სასწავლო კურსის ცალკეული საკითხები მაამებელთა დასაქმების ინტერესით, იცვლება სახელები, ტერმინები. ვითომდა სიახლის სახელით. მაგალითად, პედაგოგიური ფაკულტეტს ერქმევა განათლების ფაკულტეტი. ამ დროს განათლება გულისხმობს ცოდნის სხვადასხვა საფეხურებსა და მიმართულების დარგებს, მაგალითად: პედაგოგიური განათლება, სამედიცინო განათლება, იურიდიული განათლება და ა. შ.

ქვეყნის პრეზიდენტი რომ სიამაყით იტყვის თავის ინტელიგენციაზე: „ესენი ხომ ჩავრეცხე და კიდევ ჩავრეცხავ”-ო და ამას ზედ მიაყოლებს ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიას და დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებიდან გამოყრის მეცნიერებათა დოქტორებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პარტიულ-პოლიტიკურ ნიშნით და მეცნიერებათა კანდიდატებისთვის დოქტორებისა და პროფესორების წოდებებისა და თანამდებობების ურცხვად, კამფეტებივით დარიგების მსოფლიოში უპრეცედენტო დონისმიებებს გაატარებს; მოახდენს უმაღლეს სასწავლებლებისა და სკოლების სრულ პოლიტიზირებას; სკოლებში ე. წ მანდატურების შეყვანითა და სრული პოლიციური რეჟიმის დამყარებით იამაყებს და სხვა მრავალ განათლების რეფორმის სახელით გატარებულ არაადეკვატური ცვლილებებით, მასწავლებელთა რეიტინგს ნულამდე

დაიყვანს მაშინ, როცა სკოლის მუშაობა შეგნებულობის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, ნდობის, მოსმენისა და გაგების, მასწავლებლის ავტორიტეტის, კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის პრინციპებზე უნად იყოს დაფუძნებული. რასაკვირველია, ეს კითხვებსა და ეჭვებს აჩენს და ნდობის ხარისხი ეცემა.

ცხადია, კანონზომიერებას წინ ვერავინ აღუდგება და შედეგმაც არ დააყოვნა. სამწუხაროდ, ყველაზე მეტად დაზარალდა განათლების სისტემა და პედაგოგიკა – განათლებისა და აღზრდის მეცნიერება. საქმე იქამდე მივიდა, რომ „აღზრდის“ ცნების ხსენებაც კი ცოდვად, ძველმოდურად ჩაითვალა. არადა, საყოველთაოდ აღიარებული პიროვნული ღირსებებია გონიერება და სიბრძნე, ზნეობრივი სისპექტაკე, სულიერი სიმდიდრე და სხვა სიკეთე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სწავლა-განათლებისა და აღზრდის, ღიას, აღზრდის გზით, მასწავლებლის, სკოლისა და ოჯახის, კოლოსალური ძალისხმევით, სახელმწიფოს სწორი, ეროვნულ საძირკველზე დაშენებულ საგანმანათლებლო პოლიტიკით მიიღება, უფრო სწორად ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ, ღვთიურ და ადამიანურ პულტურაზე ორიენტირებული განათლებით მიიღწევა. როცა მოელის ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანირებულობის ღიალებიკია ირდვევა, მაშინ ირდვევა განვითარების ლოგიკა. ამით სატანა-ეშმაკს, რომელსაც იქსო ქრისტემ მსოფლიოს მაცდუნებელი უწოდა,<sup>1</sup> ეძლევა აღზევების, თავის ბოროტ ნებაზე თარეშის საშუალება.

ასევე მნიშვნელოვნად დაზარალდა ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის სწავლების ობიექტური კანონზომიერება. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სკოლის კურსდამთავრებულებმა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ იციან ენის ელემენტარული წესები და ნორმები, სასვენ ნიშნებს თითქმის არ ხმარობენ და თუ ვინმე ხმარობს, უადგილოდ, არადანიშნულებისამებრ, წარმოდგენა არა აქვთ მეტყველე-

1 გამოცხადება 12.9

ბის ნაწილებზე, რა არის არსებითი სახელი? ზმნა? და ა. შ. არც სინტაქსზე, თუ რეპეტიტორ – მასწავლებელთან არ მომზადებულა. სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ სასწავლო პროგრამიდან ბოლომდე ერთი ლექსიც კი არ იცის. სიტუაციის მიხედვით, ლექტორის მიერ მოტანილ ლექსების რესტოველიდან, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ტიტიან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის, ან ვინც გნებავთ სასწავლო პროგრამიდან, გაგრძელებაზე ზედმეტია ლაპარაკი, არც ლექსის ამოცნობა შეუძლიათ და არც ავტორის დასახელება.

მწერლის მსოფლმხედველობაზე, მის შემოქმედებაზე, როგორც ერთმთლიანზე, მის ადგილზე ეროვნულ და მსოფლიო ლიტერატურაში, წარმოდგენა არა აქვთ გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას. მოთხრობებიდან რაღაც ნაწყვეტები, ცალკეული ნაწილები ბუნდოვნად ახსოვთ.

გამოკვლევის მეორე ეტაპზე გამოვლენილ იქნა მოსწავლეთა, აბიტურიენტთა და სტუდენტთა დასახელებულ სფეროში მწირი ცოდნის მიზეზები: პირველი, ქართული ენის გრამატიკა საერთოდ ამოღებულია სასწავლო გეგმიდან და შესაბამისად გამქრალია გაკვეთილების ცხრილიდან. ლიტერატურის გაკვეთილთან არის ინტეგრირებული. ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ ეს დამატებითი, ცოდნის გაგმბა-გაგამტკიცების პრაქტიკული მხარეა თეორიული გრამატიკისა. გულისხმიერ და მარჯვე მასწავლებელი როგორმე ახერხებს ლიტერატურის გაკვეთილზე გრამატიკიდანაც რაღაც ცოდნა მიაწოდოს კლასს, მაგრამ მის სრულფასოვან სწავლებას ვერც ის მოახერხებს. მით უმეტეს საშუალო დონის მასწავლებელები, რომელთა რიცხვი 70%-ზე მეტია, (ეროვნული ცენტრისა და უცხოელი ექსპერტების მონაცემებით) შეძლებენ კი ამ უზარმაზარი ორი დარგის სრულფასოვან ინტეგრირებას. ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ახლა შევხედოთ ამას მოსწავლის მხრიდან. მას ესოდენ მნიშვნელოვან ოფიციალურ დოკუმენტი, როგო-

რიცაა გაკვეთილების ცხრილი, ცალკე საგნად არ უწერია ქართული ენის გრამატიკა. ლიტერატურის გაკვეთილზე კი მთავარია ლიტერატურა, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება ერთი გაკვეთილიც არ ეყოს. გრამატიკაზე კი შეიძლება პატარა საუბარი შედგეს, ან – არა. ახლა როგორია მოსწავლის ფსიქოლოგიური განწყობა ენის მიმართ?! რა თქმა უნდა, ინერტული. მოსწავლე ყოველთვის შეეცდება პირველ რიგში ლიტერატურის მომზადებას. უკვე დადლილი, ზემოდან ასე დაკნინებულ საგანს, გრამატიკას ან მოამზადებს, ან – არა! ასეთია ადამიანის ფსიქოლოგია.

გრამატიკის სწავლების პრობლემას მავანთ-მავანი იმით ხსნის, რომ სკოლის მოსწავლეთათვის ენის თეორიის ცოდნა აუცილებლად არ მიაჩნიათ. მათი აზრით, ამას უმაღლესში ისწავლის ის, ვინც ქართული ფილოლოგიით დაინტერესდება. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, ქართული ფილოლოგიით ვინ ინტერესდება დღეს?! რეალური სინამდვილიდან გამომდინარე, აქვე შემიძლია გიპასუხოთ: – ძალიან ცოტა! იმიტომ, რომ ანგლო-ამერიკანიზაციის წყალობით ქართულ ენაზე თავის სამშობლოშიც კი არ არის სათანადო მოთხოვნა. ყველაზე დაბალ თანამდებობაზეც კი, პირველ რიგში ინგლისური ენის ცოდნას კითხულობენ ე.წ. „სვეტები”, რომლებმაც ისიც კი არ იციან, შოთა რუსთაველი მეფე იყო თუ პოეტი. უცხო ენის ცოდნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ შეგუება მიჭირს მაშინ, როცა ეს მშობლიური ენის ხარჯზე ხდება. ენისა, რომელიც თავისი საკუთარ ანბანით, გრამატიკით, ლექსიკური სიუხვით, აზრის გამოხატვის სიზუსტით, ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურით, დამწერლობით, პოეტურობით, ანტიკურობით და სხვა უამრავი ლირსებით შეგვიძლია ვიამაყოთ. გაიხსენეთ „ოქროს საწმისი!” არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ კი არა, ყოფილი დიდი იმპერიები: საბერძნეთი, რომი და სხვა, როგორ დაკანკალებდნენ თავიანთ ენას, როცა ნახევარი მსოფლიო მათ ენებზე ლაპარაკობდა. ყველა, პროგრესულად მოაზროვნე

ადამიანები, განსაკუთრებით პედაგოგიკის კლასიკოსები (შ. კვინტილიანე, იან ამოს კომენსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაბ რუსო, ა. დისტერვეგი, პესტალოცი, პერბარტი, კუშინსკი, ი. გოგებაშვილი და სხვა) ერთხმად თანხმდებოდნენ მშობლიური ენის შემეცნებით-განმავითარებელ მნიშვნელობაზე. ი. გოგებაშვილი წერს: „დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რევული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა, ნამოქმედარისა.” წარსულის ამ უმდიდრესი ცოდნა-გამოცდილების ათვისების გარეშე შეუძლებელია ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. ეს უკვე ნათლად შეინიშნება უცხოურით ზედმეტად გატაცებულ, განსაკუთრებით ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილსა და იმ ადამიანებში, რომლებიც საკუთარი ისტორიისა და კულტურის ცოდნის დეფიციტს განიცდიან. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს რომაელი ორატორის, ციცერონის გენიალური ნათქვამი: „იმის უცოდინარობა, რაც შენს დაბადებამდე მოხდა, ბავშვად დარჩენას ნიშნავს”-ო.

რაც შეეხება მხატვრული ლიტერატურის სწავლებას, როგორც ცნობილია, მისი დანიშნულებაა ისეთი გრანდიოზული პედაგოგიური ფუნქციების შესრულება, როგორიცაა: შემეცნებითი, განმავითარებელი, ესთეტიკური და აღმზრდელობითი. ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია თანმიმდევრობის, სისტემურობისა და მისაწვდომობის დიდაქტიკურ პრინციპთა (და არა მარტო ამ პრინციპთა) უმკაცრესად, უზუსტესად და შემოქმედებითად, სათანადო პედაგოგიური მეთოდების გამოყენებითა და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული მწერლობის საწყის, ელემენტარული ცოდნის შემდეგ, უფროს კლასებში მოსწავლეთა გადაყვანა უნდა მოხდეს მწყობრ-მეცნიერულ-სისტემურ და სიღრმისეულ სწავლებაზე, კონკრეტულ-ემპირიული აზროვნებიდან აბსტრაქტულ – დიალექტიკურ და ლოგიკურ აზროვნებამდე.

განათლების სააკაშვილ-ლომაიასეული ოეფორმის წევა-ლობით სწავლების პედაგოგიური კანონები და პრინცი-პები მთლიანად უგულებელყოფილიქნა. მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თვითმიზნად იქცა „უცხოური ტექნოლოგიებით თავის გაგიჟება, რომელსაც თვით ამერი-კელ მეცნიერთა კრიტიკა ვერ აცდა. ნილ პოსტმანის სიტყ-ვებით რომ ვთქვათ: „ფსიქოპათიურ ფანატიზმამდე მიაღწია ტექნოლოგიების გაღმერთებამ“?<sup>2</sup> ზოგადად, ტექნოლოგიე-ბის წინააღმდეგი არავინ არაა, თუ ის პირდაპირ თავის დანიშნულების ადგილას გამოიყენება. თვით ტექნოლო-გიის ცნება გულისხმობს ნედლი მასალის მზა პროდუქ-ციად გადამუშავების პროცედურას და უშადო კავშირ-შია უსულო საგნებთან. სიტყვა ტექნოლოგია უნებურად ასოცირდება პურეულის გამოცხობასთან, სასმელებისა და მსგავსთა დაყენებასთან; მანქანათმშენებლობასთან და ა. შ. და არამც და არამც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიასთან. ბავშვის, დვოის ამ უნიკალური ქმნილების, სწავლებისა და აღზრდის პროცესს წარმმართავს მოცემული პედაგოგიური სიტუაციის შესატყვისი მეთოდები და ხერხები, რომელსაც შეიმუშავებენ პედაგოგ-მეთოდისტები. „ნაციონალებმა“ მთელი 9 წლიანი მმართველობის პერიოდში ჩვენი სკო-ლები და უმაღლესი სასწავლებლები გადააყოლეს ევრო-ატლანტიკურ ტექნოლოგიებს, ხოლო პედაგოგიური მიზა-ნი, განათლების შინაარსი (რა ვასწავლოთ? ვინ აღზარ-დოთ?), საერთოდ, არ მდგარა დღის წესრიგში. 2004-2012 წლებში პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სამეცნიერო შრომები მხოლოდ ტექნოლოგიებზე იწერებოდა. უფრო მეტიც, სიტყვა „ტექნოლოგია“ აუცილებლად სათაურშივე უნდა ყოფილიყო გამოტანილი. შრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას ეს ერთი, ჯადოსნური სიტყვა „ტექნოლოგია“ განსაზღვრავდა. მოკლედ, საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში ყველა და ყველაფერი „სწავ-ლების ტექნოლოგიებს“ უნდა მორგებოდა. თურმე, მთავა-

2 ნილ პოსტმანი, განათლების მიზანი. ობ., 2007, გვ. 14

რია საშუალება. სხვა დანარჩენი: მიზანი და არსი?! – რაღა დროისაა?! ტექნოლოგია, უპირველეს ყოვლისა! საქმისადმი ასეთი მიდგომა სიბეცეა და უტიფრობა.

რეალურად არსებულ პრობლემათა ამ მცირე ჩამონა-  
თვალიდანაც ნათლად იკვეთება ქართული მმართველო-  
ბის სისტემის სიმახინჯე, სახელმწიფოს საგანმანათლე-  
ბლო პოლიტიკის ანტიეროვნულობა: კაცომოძულეობა,  
ანტისალხურობა, წარსულისადმი ნიჭილისტური დამოკი-  
დებულება, ეროვნული კულტურისა და ღირებულებების  
მიმართ უპატივცემულობა და გაუფრთხილებლობა, ერო-  
ვნულ და პიროვნული ღირსებების დაკნინება, უცხოურით  
გატაცება, ეგოცენტრიზმი კარიერიზმი, მატერიალიზმი,  
თვითგანდიდება, პირადი კეთილდღეობა, და მრავალი სხვა  
მანკიურებანი. ამ ინსტიქტური ამბიციების გადმერთებამ,  
საკუთარი პერსონის გაკერპებამ მოგვიტანა ის, რაც მივი-  
ღეთ. რადგან ეს მდგომარეობა ქმნის იმ სოციალურ გა-  
რემოს, რომელიც პედაგოგიკურ მეცნიერებაში პიროვნე-  
ბის ფორმირების, სამ ძირითად ფაქტორთაგან, ერთ-ერთ  
ფაქტორად არის წარმოდგენილი. სოციალური გარემო  
თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებითა და სიძლიე-  
რით განუზომელ გავლენას ახდენს ადამიანის და, განსა-  
კუთრებით, აღსაზრდელის მოუმწიფებელ ცნობიერებაზე,  
მისი მიმბაბელობითი ბუნებიდან გამომდინარე. ამ გავლე-  
ნის ხარისხი კი განპირობებულია მისი ღირებულებებით.  
მოწესრიგებული სოციალური გარემო, სამართლიანი სა-  
ზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობა, მმარ-  
თველობის ჯანსაღი სისტემა ქმნის ხელსაყრელ პირობებს  
ყოველმხრივ პარმონიულად: გონებრივად, ზნეობრივად,  
სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად განვითარებუ-  
ლი, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამ  
პირობებს, მოწესრიგებულ სოციალურ და ბუნებრივ გარე-  
მოს, სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს კი ქმნიან  
სწორედ, ეს სრულყოფილი პიროვნებები მიზეზ-შედეგო-  
ბრივი კავშირის ლოგიკით. ბავშვი ღრუბელივით ისრუბავს

რასაც ხედავს, ისმენს. ღრუბეგლი კი ერთნაირად ისრუტავს როგორც სუფთას, ასე ჭუქყიან ნებისმიერ სითხეს. აქ კი ბუნებრივად ჩნდება ადგილი აღზრდის ფაქტორისთვის, მაგრამ ის ავტომატურად არ ერთვება პროცესში. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

როგორც მოგეხსენებათ, სწავლა-განათლებისა და აღზრდის საქმე, მისი ბუნებიდან გამომდინარე, უშუალოდ შემეცნების უნივერსალურ თეორიას – სენსუალიზმს ეფუძნება: „ცოცხალი კონკრეტული განსჭვრებიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ” – აი, ეს არის, ჩვენი დრმა რწმენით, ის აბსოლუტური ჭეშმარიტება, კაცობრიობის იმ მეცნიერულ მიგნებებთაგან, როგორც იძლევა უნიკალურ გასაღებს განათლებისა და აღზრდის, შეგნებული ცხოვრებისათვის ღირსეული თაობის მომზადების სფეროში. როგორც ვხედავთ, შემეცნების ეს თეორიული ფორმულა შეიცავს სამ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიური ეტაპს: I. შეგრძნება და აღქმა; II. წარმოსახვა და გააზრება; III. დამახსოვრება და გამოყენება.

ადამიანი, როგორც ღვთის უნიკალური ქმნილება, თავის შემოქმედისაგან დაჯილდოვებულია შემეცნების უნარით გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. „მისცა მათ აზრი, ენა და თვალები, ყურები და გული, რათა შეეცნო ყოველივე”,<sup>3</sup> რაც ცაშია და დედამიწაზე, რომ ჭეშმარიტების შემეცნებით მიეღო სრულყოფილება. „თვით იდუმალის შეცნობით აღძრა გონება კაცთა” (ეკლესიასტე 3”11), ვინიდან „შემეცნება გონების სრულქმნაა, სრულქმნილება კი – ღმერთთან მიახლოება”.<sup>4</sup> სენსუალიზმის თეორიიდან გამომდინარე, არაფერია სამყაროში, რომლის შეგრძნება და აღქმა, წარმოსახვა და გააზრება არ შეეძლოს ადამიანს, ამ „მსტოვრებისა” და „ჯაშუშების” მეშვეობით. მაგარამ ასევე არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებებში არ გვქონია: არ გვინახავს, არ მოგვისმენია, არ დაგვიყნოსია, არ დაგვი-

3 სიბრძნე ზირაქის 17:16

4 სოლომონის სიბრძნე 6:24

გემოვნებია და არ შევხებივართ. ამ „უნიკალურ-ბუნებრივი შესაძლებლობების გონივრულად გამოუყენებლობასთან დაკავშირებით პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებელმა, I საუკუნის მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ თქვა: „სამარცხვინოა და სიმდაბლე, რომ ადამიანი არ ზრუნავდეს ღვთით ბოძებული გონების განვითარებისათვის”.

ადამიანი განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობებით ევლინება ქვეყნიერებას. მასში იმთავითვე დევს სიკეთისა და ბოროტების მარცვალი. რომელსაც მიეცემა განვითარებისათვის მეტი ხელსაყრელი პირობები, ის განვითარდება. სამწესაროდ, უღვთო ადამიანთა მმართველობის სისტემაში, ყველაფერი უწყობს ხელს ადამიანის სულის დამახინჯებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქვეყნიერებაში არსებული მძიმე რეალური სინამდვილე. მაგალითის გარდამშენელი გავლენა კი საყოველთაოდ აღიარებულია. ბოლო-ბოლო იმ მიზეზების გამოკვლევას ვცდილობთ, რაც იწვეწვს ამდენ უბედურებას დედამიწაზე. ომები, ძალადობა, შიმშილობა, ეპიდემიები, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების მიღება, გარევნილება, ფლობისა და მბენებლობის მანია და სხვა ათასი სისამაგლე, რატომ იპყრობს ადამიანის გულსა და გონებას, როცა მას თავისუფლად შეუძლია გახდეს ღირსეული, რესპექტაბელური, ღვთისნიერი, ბრძენი, გონიერი, ზნეკეთილი, სულიერად სპეციაკი, ყოვლად სრულყოფილ პიროვნება. რატომ ირჩევს ადამიანი უარესს, როცა შესაძლებელია უკეთესის არჩევა?!

აღზრდის მეცნიერება პედაგოგიკა დედამწაზე არსებულ პრობლემებს ხსნის ბიოლოგიურ-მემკვიდრეობითობის, სოციალური გარემოსა და აღზრდის ფაქტორთა გავლენით. ერთი შეხედვით, ეს ფაქტორები მტკიცების საჭმალ ოპტიმალურ არგუმენტად მოსჩანს. მაგრამ კაცობრიობის განვითარების ისტორია თუ თანამედროვე ცივილირებული რეალობა ამ მტკიცებათა ჭეშმარიტებას მხარს ვერ უჭერს.

მაშ, რა გამოსავალია? სად ვიპოვოთ პასუხი? პრობლე-

მა იმაშია, რომ პასუხს, მიზეზთა მიზეზს იქ კი არ ვეძებთ, სადაც ის არის. არ მივმართავთ მას, ყოვლისშემოქმედ დემონტის, რომელმაც ყველაზე კარგად იცის რა სჭირდება თავის უნიკალურ ქმნილებას – ადამიანს, რომ ის იყოს თავისუფალი, ბედნიერი, ცხოვრობდეს სამართლიან და მშვიდობიან გარემოში.

კაცობრიობის ისტორიამ დაამტკიცა, რომ ამაოქბაა და ფუჭი მთელი ქვეყნიურ-ადამიანური სიბრძნე დათიური სიბრძნის გარეშე, რადგან დათის ნებით ხდება ყველაფერი. დათის ნება კი ყველამ უნდა იცოდეს და შეასრულოს. ნოვს რომ ზუსტად არ შეესრულებინა დათის ნება, წარდგნის დროს არავინ გადარჩებოდა დედამიწაზე. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვალდებული ვართ მოვუსმინოთ დმერთს, ჩვენს შემოქმედს, და მივვეთ მის ხელმძღვანელობას, რომელმაც თავისი საყვარელი ძე – იესო ქრისტე შემოგვწირა და მოგვცა შესაძლებლობა მარადიული სიცოცხლისა დედამიწაზე.

აღზრდის პრობლემის მიზეზთა მიზეზი არის უღმერთობა, ჰემმარიტი, დათიური რწმენის უქონლობა. სრული პასუხები აღნიშნულ მიზეზთა მიზეზის შესახებ უფრო დაწვრილებით და ვრცლად იხილეთ, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიაში; ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ გ. ხუხუას წიგნები: 1. ქრისტიანული მორალი და პიროვნების ფორმირება. თბ., 1996; 2. ბიბლია პედაგოგიკა და ჩვენ. თბ., 2009; 3. სტატია – განათლება და ბიბლია. ქ. „პულტურათაშორისი კომუნიკაციები, №6,7, 2009, გვ. 207-213.

## ბარბარული ხელახლა აღზრდის ამბავი XXI საშპონის გადასახედილან

„იმის უცოდინარობა, რაც შენს დაბადებამდე  
მოხდა, ბავშვად დარჩენას ნიშავს“  
ციცერონი

მე-16 საუკუნის ფრანგი პუმანისტი მწერლისა და პე-  
დაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარ-  
მომადგენლის ფრანსუა რაბლეს რომანი „გარგანტუა და  
პანტაგრუელი“ ისეთ პედაგოგიკურ კონცეფციებს შეიცავს,  
რომ თავისი თეორიული და პრაქტიკული დირექტულებე-  
ბით დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. მასში ასახულია  
17 წლის ახალგაზრდის გარგანტუას ხელახლა აღზრდის  
საჭიროების მიზეზი და მიღწეული შედეგი. ნაჩვენებია  
მასწავლებლის განუზომელი პედაგოგიური, საზოგადოე-  
ბრივი და პიროვნული როლი და მნიშვნელობა. მაღალი  
ზნეობისა და კალიფიკაციის პედაგოგის ტიპს განა-  
სახიერებს პონკრატე მასწავლებელი, რომელმაც თავისი  
სასწაულქმედებებით აჩვენა ჭეშმარიტი მასწავლებლის  
განუსაზღვრელი შესაძლებლობები ადამიანის გონების  
განახლებისა და ზნეობრივი სრულყოფის თვალსაზრისით.  
მან აღზრდის პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების,  
მეთოდებისა და ფორმების, სიტუაციის შესატყვის ყველა  
საკორექციო-კომპენსატორული და სარეაბილიტაციო პე-  
დაგოგიური არსენალის მაქსიმალურად გათვალისწინების  
საფუძველზე მიაღწია განსაკვიფრებელ პოზიტიურ შედე-  
გებს. პონკრატე მასწავლებელმა სწორი პედაგოგიური  
დიაგნოსტიკის საფუძველზე ზუსტად დაადგინა ათვლის

წერტილი, საიდანაც უნდა დაეწყო 17 წლის გარგანტუას განათლების საშუალებით ხელახლა აღზრდის პროცესი.

„უკურა პონოკრატემ, უკურა და ნახა რა, გარგანტუას ზნე-ქცევა არ უვარგაო, გადაწყვიტა სხვა რიგ, კეთილმეცნიერებითა განსწავლა იმისი, თუმცადა პირველუამად თავის ნებაზედ მიუშვა, რამეთუ პგონებდა, ბუნება (ბავშვის ბუნება – გ. ხ.) შეუძრაწუნებლად ანაზღეულ ცვალებასა ვერ იტანსო.” როცა დაადგინა პონოკრატემ გარგანტუას აღზრდილობისა და განათლებულობის ნულოვანი დონე „დასტურ მისახედად მიზნისა, პონოკრატემ იქაურ სწავლულთა და მეცნიერთა საზოგადოებას აზიარა გარგანტუა, რათა გვაჯითა და ბაძითა სულიერად ამაღლებულიყო იგი და გასჩენოდა წადილი რედუნებისა და გამოჩინებისა.”<sup>1</sup>

პონოკრატეს აზრით, რომელსაც სწამდა თვალსაჩინო მაგალითის პედაგოგიური ზემოქმედების ძალისა, მაღალი რანგის საზოგადოების გაცნობით გარგანტუას ეძლეოდა საშუალება, რომ ნათლად ენახა განსხვავება მდაბიურსა და მაღალ კულტურას შორის და ამ ფონზე შეეცნო საკუთარი „მე.” ამ კულტურული დონისძიების შემდეგ შეადგინა მეცადინეობის დღის ყოველი საათისთვის გათვლილი პროგრამა.

„მერე მან ისერიგად გაარიგა დრო საწვრთნელად, რომ გარგანტუას ერთი უამიცა უქმდა არ ეკარგებოდა. დილით დაღამებამდისა დია გამოსადევ ცოდნასა იყო დაწაფებული. დილით საღმრთო წერილს გამომეტყველებით წაუკითხავდნენ, რაც ისე ზემოქმედებდა გარგანტუაზედ, რომ იგი მოწიწებითა და სიყვარულით იმსჭვალებოდა უფლისა მიმართ.”<sup>2</sup>

გარგანტუა, სანამ დილის პიგიენით იყო დაკავებული „მოძღვარი ერთხელ უკვე წაკითხულსა, ხელახლა უმეორებდა, უხსნიდა, რასა ვერ ჩაჲხვედროდა ანდა რაიცა გასძნელებოდა.”<sup>3</sup>

1 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 80

2 იქვე

3 იქვე გვ. 81

ვარჯიშის ანუ ერთდაიმავე მოქმედების მრავალგზის განმეორების მეთოდით, აღქმული ცოდნის გაღრმავება— განმტკიცების, გაგების, დამახსოვრებისა და გამოყენების უნი-ჩვევების განვითარებას, ცოდნა-გამოცდილების ინტე-ლექტურულ საკუთრებად გარდაქმნის პროცესს უზრუნ-ველყოფდნენ.

ბუნებრივ გარემოს თვით ბუნებაზე, ანუ ემპირიული დაკვირვების მეთოდით ასწავლიდნენ. „ცისა სარტყელსა უთვალთვალებდნენ, რა დღეშიაო, ვითარ წუხელ იყო ისე-თივეა, თუ არაო და განსაზღვრავდნენ, მზე აწ რა ბურ-ჯზედ აღმობრწყინდბაო და მოვარე რა ეტლს ამოჰყვებაო.”<sup>4</sup>

„ამისა უკან გარგანტუას ტანო აცმევდნენ, თმას უვარ-ცხნიდნენ, უხუჭუჭებდნენ, სურნელთ აპურებდნენ და სრულიად ამ ხნის განმავლობაში წინადღისა გაკვეთილთ ამეორებინებდნენ. იგი ზეპირ უპასუხებდა და თან სულ იმის ცდაში იყო, შემთხვეულობა რამ ცხოვრებისა მოემარჯვე-ბინა.” მის შემდეგ ახალ მასალას სამი სათი უკითხავდნენ და უხსნიდნენ. „მემრე პაერზედ გადიოდნენ, გზა-გზა წაკი-თხულსა სჯიდნენ და სატანვარჯიშოდ ბრაკს მიაშურებდ-ნენ, ანდა სადმე გაიმინდვრებდნენ, ბურთსა გაიგდებდნენ, ჩოგანსა ამოჰკრავდნენ, ეცი მაგასაო, მწევარსაებრ დაედე-ვნებოდნენ, ისევ ისე ხერხიანად იწროობდნენ სხეულსა, ვითარცა წედან სულს იწვრთიდნენ, ძალას თავს აროდეს არ ატანდნენ, უნდოდათ თამაშობდნენ, უნდოდათ – არა. და უკეთუ ოდნავ გაიოფლებოდნენ, ანდა დაიღლებოდნენ, უმალ თავსა ანებებდნენ ფუნდრუკსა, ტანს გულდაგულ შეიმურალებდნენ, გამოიცვლიდნენ პერანგთ.... და საჭმლის მოლოდინში კაფიეტად და გამომეტყველად ზეპირ უბნობდ-ნენ, რაც კი იმ დღისა გაპვეთილით დახსომებოდათ.”<sup>5</sup>

გონებრივ და ფიზიკურ შრომას ერთდროულად ეწეოდ-ნენ. სადილად რომ დასხდებოდნენ, „პირველ ორ-სამ თვესა თან იმის ახსნაში იყვნენ, რას რა თვისებრიობა პქონდა, რა

4 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 81

5 იქვე.

თავისებურება, რა მარგებლობა და რისგან შექმნილიყო, ყველაფერი სუფრაზე მირთმეული პური, ღვინო, წყალი, მარილი, ხორცი, თევზი, ხილი მწვანილი, ბულლო. და, არცა ის გამორჩებოდათ, რა კერძი რა გვარ განემზადებინათ. გზადაგზა გარგანტუამ მცირე რამ ხანში ისწავლა პლინიუსის, ათენოსის, დიოსკორიდინოსის, იულიუს პოლუქესის, გალეონოსის, პროფირიოსის, ოპიანეს, პოლობიოსის, პელიოდორეს, არისტოტელეს, ელიანეს და სხვათა წიგნთაგან შესაბამისად გამოკრევილნი მუხლინი.”<sup>6</sup> ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისების მიზნით ისევ და ისევ გამეორება—ვარჯიშის მეთოდს მიმართავდნენ. „შემდგომად ამისა ისევ იწყებოდა გამაჯანსაღებელი სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურა. „გარგანტუა დანამასტიკის ტოტითა კბილთ გამოიჩიქნიდა, ხელ—პირსა ცივი წყლით გადაიბანდა და უფალსა მადლს შესწირავდა უცხო ქებისა გალობითა, განადიდებდა კეთილმოწილეობასა და მოწყალებასა მისასა.”... მერე „შესაქცევად ონთა იგონებდნენ და მახვილგონებიანად რიცხვთათვისა სწავლაზედ, ანუ არითმეტიკაზედ აგებდნენ.” ამგვარი თამაშით „ისე გაიწავა ისე გავარჯიშდა ხედვითა თუ საქმითად,” რომ მასთან თვით ტუნსტალიც (დიდი ინგლისელი მათემატიკოსი) უკან დაიხევდა.<sup>7</sup>

გარგანტუას კარგად ემარჯვებოდა გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა – სახიობა. იგი „უკრავდა ბარბითსა, სპინეტს, ებანსა, ცხრასარქველიან გერმანულ ფლეიტასა, ვიოლინოსა და ტრომბონსა.”<sup>8</sup>

მას შემდეგ „სამიოდ საათსა თავის უმთავრეს სამეცადინოსა მეცადინეობდა, ე. ი. იმდილამდელ კითხვისა გაპვეთილსა იმეორებდა, კვალად კითხულობდა და ანტიკურ თუ ახლორომაულ ასოთა ლამაზად და სწარაფად გამოყვანასა სწავლობდა.”<sup>9</sup>

6 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 82

7 იქვე

8 იქვე, გვ. 84

9 იქვე, გვ. 83

მეცადინეობას ოომ მორჩებოდნენ, გიმნასტის ხელ-მძღვანელობით გარგანტუა ფიზიკურ წრთობას გადიოდა. რაინდული თვისებების განვითარებას განსაკუთრებული ადგილი ეპავა მის აღზრდაში. ხან ადკაზმულ ტაიჭზე ამხედრებული ვარჯიშობდა „უპეთუ ჯირითსა ვიტვით, ანდა ცხენგალეობასა, გარგანტუას ბადალი არ ჰყავდა.”<sup>10</sup>

ნადირობაშიც უბადლო იყო. „ნადირობითა ცხენდაცხენ ნადირობდა ირემზედ, შველზედ, დათვზედ, ქურციკზედ, ტახზედ, კურდღელზედ, კაკაბზედ, ხოხობზედ, სავათზედ. თუ არადა ბურთაობდა, შეისროდა ტოტოცინა ბურთსა, ფეხსა გაკრავდა ან მუშტსა ამოკრავდა, ჭიდაობდა, რბოდა, ხტოდა.”<sup>11</sup>

არც ცურვაში ჩამოუვარდებოდა ვინმეს გარგანტუა. აქაც აქტიურად ვარჯიშობდა. „ცურაობითა ღრმაში ცურაობდა პირდაღმა, გულაღმა, მხართმოზედ წამოწოლილი,... სენას ხელწიგნიანი გადაცურავდა და... ერთი ფურცელიც არ დაუსველდებოდა.”... „ხომალდზეც ცალი ხელით აებლო-ტებოდა”... „ცალი ხელითა აფლიონსა მართავდა, მეორეთი უშველებელ ნიჩას უსვამდა... ბულინსა ქარის წინააღმდეგ ატრიალებდა. საჭე უცდომლად ეპურა.”<sup>12</sup>

სპორტის ყველა სახეობაში გამორჩეული გარგანტუა „იდგა და ტყორცნიდა ხელშუბსა, რკინის ძელსა, ლოდიანსა, ოროლასა, ზუფინსა, წათსა; მშვილდისარს წამზედ მოზიდიდა, საალყო საბელსა მარტო გამართავდა”<sup>13</sup> ცა-დაწვდილ კოშკზედ ჩამობმულ ბაგირზე აცოცდებოდა, ისევ მარჯვედ ჩამოხოხდებოდა.

„ხესა და ხეს შორის ვეება კოჭსა გასდებდენენ, ჩაავ-ლებდა ხელი იგი, ზედ ჩამოეკიდებოდა და ფეხებჩამო-კონწიალებული შურდულივით გადი-გამოდიოდა წინ და უკან, სიმარდეში მჯობნელი არ ჰყავდა,” „ძელობანაშიც

10 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 84

11 იქვე

12 იქვე

13 იქვე

“უპირველეს ფალავანთ ერკინებოდა.”<sup>14</sup>

„შემდგომად ესე ვითარი სწავლა-ვარჯიშისა უნდა დაუზილათ, გაედვრიჭათ, ტანთ სამოხი გამოეცვალათ.... უპვე შინმოსულნი, ვინემ სადილსა მოლოდინში იყვნენ, ჯერეთ წაკითხულსა რასმე გაიმეორებდნენ და მერმე მიუსხედებოდნენ სუფრასა.”<sup>15</sup>

„სერისა კუდზედ კვლავაც განაახლებდნენ სამხრისეა-მიმდევ გაკვეთილსა და, ვიდრე არ გაბეზრდებოდნენ, თავ-სა არ გაანებებდნენ.”

„სამადლობელ ლოცვას რომ წარმოთქვამდნენ, წავი-დოდნენ და ეწვეოდნენ მეცნავ-მეცნიერთ, ანდა მოგზაურთ, რომელთაც უცხო მხარენი მოეხილათ.”

ელიტური აზროვნების ადამიანებთან შეხვედრების მოწყობით, პონკრატე თავის მოწაფეს უჩვენებდა თვალ-საჩინო მაგალითებს, უქმნიდა სრულფასოვანი ადამიანის იდეალს.

„უძუნ დამეში, სანამ დაიძინებდნენ, გავიდოდნენ ყოვ-ლისა უფრორე საბუსუნო ადგილასა და ცასა გახედა-ვდნენ, უთვალთვალებდნენ კუდიან ვარსკვლავთ, უკეთუ სადმე ჩანდნენ, ანდა მთიქეთა მდებარეობასა, განლაგება-სა, პირისპირ დგომასა და თანამთხვევასა აკვირდებოდნენ.” ონკრატე მასწავლებელი ასე უღვივებდა შემეცნებით ინ-ტერესს თავის მოსწავლეობის ვადაგასულ ახალგაზრდას.

შემდგომ გარგანტუა მოძღვარსა თვისას, პითაგორელთა წესისამებრ, მოკლედ უამბობდა, რაც კი რამ იმა დღეს წაე-კითხა, ენახა, შეეტყო, ექმნა და გაეგონა.” – ასე უტარებდა განმტკიცების ტიპის გაკვეთილს თავისი მასწავლებელი გარგანტუას. ყოველივე ამის შემდეგ „მას უკანთა მოქ-მედ ღმერთსა აღუკლენდნენ, რწმენასა განიძლიერებდნენ, განადიდებდნენ უსასრულოწყალობასა უფლისასა, გარდა-სულისა გამო მადლსა შესწირავდნენ და მომავალსაცა ღვთისავე სახიერებასა მიანდობდნენ.” სწორედ, ყოვლის-

14 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 84

15 იქვე, გვ. 87

შემოქმედი დგთსადმი რწმენა ხდიდა მათ მონდომებასა და ძალისხმევას ნაყოფიერსა და წარმატებულს. სულიერი აღზრდის პრობლემაც ასე ბუნებრივად და ნაყოფიერად გვარდებოდა.<sup>16</sup>

გარგანტუა თავისი ყოველმხრივი განათლებულობით, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებით, ზნეობრივი სისრულით აოცებდა მის გარშემო მყოფთ და მასწავლებელს განადიდებდნენ მიღწეული შედეგის გამო.

ახლა გავაკეთოთ რეზიუმე, თუ რა პედაგოგიური რეკომენდაციებს გვთავაზობს ფრანსუა რაბლე თავის კორექციულ პედაგოგიკაში:

1. აღსაზრდელის მომზადებისა და განვითარების დონის დადგენა, ანუ ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების პრინციპის გათვალისწინება აღზრდაში;

2. თვით აღსაზრდელის დარწმუნება მისი განვითარების პოენციური შესაძლებლობებში, რეალურსა და იდეალურს, მიღწეულსა და მისაღწევს შორის არსებულ განსხვავებათა დაძლევის აუცილებლობაში ანუ პედაგოგიური ოპტიმიზმი;

3. სამოქმედო, სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის, ანუ პროექტის

შედგენა;

4. აღზრდის ძირითადი საშუალებები: მეცნიერება, პრაქტიკული გამოცდილება, მუსიკა, სპორტი და რელიგია;

პროექტის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

- დილით, ადგომისთანავე საღმრთო წერილის წაკითხვა;
- დილის ტუალეტი და პარალელურად წინა მასალის გამეორება;
- ბუნებაზე დაკვირვება, მონაცემების დაფიქსირება და ანალიზი;
- ახალი მასალის ახსნა საუბრისა და კითხვა-პასუხის მეთოდით;

16 ფრანსუა რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თბ., 1991, გვ. 87

- ტანგარჯიში და პარალელურად ახალმოსმენილი მასალის განმტკიცება;
- სადილი აქტიურ შემეცნებითი მაგიდაზე მორთმეული კერძების ფიზიკური და ქიმიური თვისებების, სარგებლიანობის, წარმომავლობისა, მომყვანის, კერძად მომზადებლისა და სუფრის გამწყობის შესახებ;
- თამაში სპორტული ან შემეცნებითი არჩევანის თავისუფლებით;
- მეცადინეობა გამეორება-ვარჯიშის მეთოდით;
- გამაჯანსაღებელ-სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურა;
- ლოცვა;
- დიდაქტიკური თამაში: ამოხსნა, ამოცნობა, პარაგრადის;
- მუსიკალური გართობა;
- გაკვეთილის მომზადება: კითხვა, წერა, ხაზვა, ამოცანების ამოხსნა;
- ფიზიკური ვარჯიში: ჯირითი, ნადირობა, ცურვა, ხელმა...
- ვახშამი;
- გაკვეთილის გამეორება;
- ისევ ბუნებაზე დაკვირვება, დამის მონაცემებისა და რაიმე საგულისხმო ნიშნების დაფიქსირება;
- ტკბილი ძილის სურვებით დამშვიდობება.

ფრანსუა რაბლემ „გარგანტუასა და პანტაგრუელში“ გვიჩვენა ზოგად პედაგოგიკაზე დაყრდნობით კორექციული პედაგოგიკის კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციაზე მორგებული, პედაგოგიური კანონების, პრინციპებისა და მეთოდების შემოქმედებითად გამოყენების პედაგოგიური ხელოვნება და მისი პოზიტიური შედეგები პონოქრატე მასწავლებლის პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში, რაც უფრო სარწმუნოს ხდის პედაგოგიური პროცესის მეცნიერული უზრუნველყოფის, ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე ორგანიზების მარად აქ-

ტუალობასა და ეფექტურობას, საყოველთაობასა და პერმანენტულობას. სწორედ ამას გულისხმობდა პედაგოგიკის გერმანელი კლასიკოსი ადოლფ დისტერვეგი თავის ცნობილ სიტყვებში: „პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების უცოდინარობა უტიფრობა, ხოლო მისი უგულებელყოფა ბარბაროსობაა.“

პონოკრატე მასწავლებელი ცუდი აღზრდის შედეგად ცნობიერება დამახინჯებული უკვე 17 წლის გარგანტუას ხელახლა აღზრდის პროცესს იწყებს პედაგოგიური დაკვირვების მეთოდით პრობლემის დაღვენის მიზნით. იგი იკვლევს გარგანტუას განვითარების ფაქტობრივ მდგომარეობას. ამისათვის მასწავლებელი „დიდ ბავშვს“ საწყის ეტაპზე აძლევს სრულ თავისუფლებას, რაღაც, როგორც ცნობილია, თავისუფლების პირობებში უფრო ადვილად და სრულად ხდება ადამიანის ბუნების, გრძნობებისა და შეხედულებების გამოვლინება, აღზრდის დონის, მისი პოროვნულ—ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების დადგენა. გარგანტუამ იმთავითვე გამოავლინა ეთოპური კულტურის ნულოვანი დონე, რამაც დღის წესრიგში დააკენა ზენებრივი აღზრდის აუცილებლობა. ტლანქი და მოუქნელი გარგანტუას გაკეთილშობილება წარჩინებულ ადამიანებთან ხშირი შეხვედრებით დაიწყო, რომ მას განვითარების მიღწეულსა და მისაღწევს, რეალურსა და იდეალურს შორის განსხვავება თავად შეეგრძნო, აღექვა და გამოვლენილი ხარვეზის საკორექციო აღმზრდელობითი პროცესის ნებაყოფლობითი თანამრნაწილე გამხდარიყო. როცა ნიადაგი მომზადდა და პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის შეგნება ორმხრივი გახდა, აღსაზრდელის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონისა და ასაკობრივი—ინდივიდუალური თავისებურების პრინციპის გათვალისწინების საფუძველზე დაიწყო აქტიური სასწავლო—აღმზრდელობითი პროცესი სასწავლო გეგმების, პროგრამების და დღის განსაზღვრული რეჟიმის მიხედვით. სწავლება მიმდინარეობდა სასწავლო საგნებზე უშუალო,

ემპირიული დაკვირვების, ნატურალური თვალსაჩინოების, ვერბალური ანუ ზეპირმეტყველების, ვარჯისისა და დიდაქტიკური თამაშების მეთოდებით. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ გამეორებისა და განმტკიცების გაკვეთილებს. მეცადინეობას მოსდევდა თამაში, ფიზიკური ვარჯიში, კვება, დასვენება, ძილი. კომპლექსურად მიმდინარეობდა გონიერივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა, როგორც გონებრივი ასე ფიზიკური შრომითი საქმიანობა ღვთის მიერ ბოძებული განვითარების პოტენციური შესაძლებლობების გამოვლინებისა და ყოველმხრივ პარმონიული განვითარების მაქსიმუმის მისაღწევად.

ამრიგად, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ არის მასწავლებლისა და აღზრდის სადიდებელი, გაუხენარი, დროისა და სივრცის დიმენსიონებს გაურჩებული, ზოგადკაცობრიული და მარადისობაში გადასული პედაგოგიური ტრაქტატი, რომელშიც აშკარად იკვეთება აღზრდის ყველა კომპონენტი, როგორიცაა: გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა, პედაგოგიური კანონები და პრინციპები, მეთოდები, ფორმები და საშუალებები.

ფრანსუა რაბლე, აღზრდის ცნობილ ფაქტორებიდან განსაკუთრებით გამოყოფს აღზრდის, მასწავლებლისა და სოციალურ გარემოს როლს ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებულ, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერულ საფუძველზე აგებას. რაბლეს 400 წლის პედაგოგიურ შესედულებებს თავისი უნიკალურობის წეალობით დღემდე არ დაუკაგავს მეცნიერულ-პრაქტიკული დირექტივება. როგორც აბრაამ ლიკოლინი ამბობს: მადლობა ლერთს, რომ არსებობენ წიგნები, რომელიც ადამიანებს შეახსენებენ ხოლმე, რომ მათი აზრები არც ისე თრიგინალურია და ახალი.

## ჯენტლმენის აღზრდის ისტორია

„კაცად მაშინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგე  
და ყოველდღე შენს თაგს პკითხე,  
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე.”  
ო. ჭავჭავაძე

რაინდული აღზრდის კულტურას ერველთვის თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნილი პედაგოგიკის ისტორიაში. მამაცობა, ვაჟკაცობა, კაცურ-კაცობა, მამულიშვილობა, ზნეობრივი გამბედაობა, რაინდობა, ჯენტლმენობა „კაი ემობა” და სხვა მსგავსი სინონიმები ადრეც და დღესაც აღიქმება მამრთა სქესის სიდიადის ხაზგამსმელ ეპითეტებად. ჯენტლმენობა თავისთავში აერთიანებს განსწავლულობას, სიბრძნესა და ურნიერებას, მაღალ ზნეობასა და ესთეტიკურ დახვეწილობას, ფიზიკურ-ფუნქციონალურ მოქნილობასა და პიროვნულ სრულფასოვნებას.

ჯენტლმენის აღზრდის პრობლემას მიუძღვნა პედაგოგიკის ინგლისელმა კლასიკოსმა ჯონ ლოკმა თავისი გენიალური პედაგოგიკური ობზულება „ფიქრები აღზრდის შესახებ” ანუ ჯენტლმენის აღზრდა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბიბლიური დებულება „ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში”.<sup>1</sup> სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ლოკის მიხედვით უდრის ბედნიერებას, და, რაც მთავარია, მისივე აზრით, ბედნიერება და უბედურება თვით ადამიანის ხელშია. თუ რომელს მოიპოვებს, ეს მისი არჩევანია. არჩევანის ღირე-

1 ჯ. ლოკი „ფიქრები აღზრდის შესახებ,” წგ-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა, მ. 1989, გვ. 145

ბულება კი – აღზრდის შედეგი. ფიზიკური აღზრდა და ბავშვის სულის სიკეთისა და საონებისაკენ წარმართვა ისევეა შესაძლებელი, როგორც ნაკადულის მიმართულების შეცვლა – ამბობს იგი. როგორც ფიზიკურ ჯანმრთელობას სჭირდება საზრდო, ასევე სულის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია სულიერი საკვები, ჰეშმარიტი ცოდნა-გამოცდილების მიღება, რომელიც მოითხოვს თავდაღებულ, სისტემურ-თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ და ორგანიზებულ შემეცნებით აქტიურობას, მძიმე ფიზიკურ და გონებრივ შრომას. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ დემოკრიტეს ცნობილი სიტყვები: „სწავლება ახდენს სასწავლებს, მხოლოდ შრომის საფუძველზე;“ ეს აზრი კიდევ უფრო გაამყარა გოეთემ, როცა თქვა: გენიოსობაში ერთი პროცენტია ნიჭი, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ოფლი”-ო. რაც ცხადყოფს, გონებრივ-ინტელექტუალური განვითარებისათვის ფიზიკური სიჯანსაღის, როგორც შრომისათვის საჭირო ძალისა და ენერგიის ძირითად წყაროს განუსაზღვრელ მნიშვნელობას. ე. ი. საქმე ეხება ჯენტლმენის სხეულისა და სულის სიჯანსაღეს, წვრთნასა და გაკაუებას. ასე ფიქრობდნენ ლოკამდელი პედაგოგიკის კორიფეებიც. პედაგოგიკის ისტორიულ წყაროებიდან ვიგებთ, რომ პითაგორეს სკოლაში სწავლა იწყებოდა ტყეში გასეირნებით, შუალედში კავდებოდნენ გიმნასტიკით, ხოლო სასწავლო პროცესი სრულდებოდა ისევ სეირნობით. ანტისთენესთვის პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას არა მარტო როგორც სხეულის გაჯანსაღების წყაროს, არა-მედ როგორც ზენობრივი აღზრდის ერთ-ერთ ფაქტორს. პლატონი მხარს უჭერდა პიროვნების ყოველმხრივ პარმონიული განვითარების იდეას და გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკური აღზრდის სისტემაში ფიზიკურ აღზრდას უთმობდა მეორე ადგილს. არისტოტელეს აზრით, პიროვნების ფორმირება ფიზიკური აღზრდით უნდა იწყებოდეს. კვინტილიანე „ორატორის დარიგებანის ავტორი „ბრძენი რომაელის“ აღზრდაში გულისხმობდა განსწავლულობას,

ზნეპეთილობას, ესთეტიკურ კულტურას, ფიზიკურ სიჯან-სადეს. ამ უკანასკნელში ის ხედავდა შრომისა და თავდაც-ვის უნარს. შრომაში ის მოიაზრებდა როგორც გონებრივს, ისე ფიზიკურ შრომას. მას ფიზიკური აღზრდის მთავარ სა-შუალებად გიმნასტიკისა და შრომის გაკვეთილები მიაჩნდა, რომელიც ძირითადად უფრო სების შრომით საქმიანობაში, აღსაზრდელის ასაკობრივ და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქტიურ მონაწილეობას გულისხმობდა.

ჯონ ლოკი ფიზიკურ აღზრდას არა მარტო როგორც პედაგოგიკოსი, არამედ როგორც უქიმიც, სამედიცინო თვალთახედვითაც განიხილავდა. მისი მოსაზრებები ამ ას-პექტშიც ძალიან საინტერესო და სასარგებლოა. იგი ეხება სხეულის გაკაჟება-გაწვრთვნის ისეთ პროცედურებს, რომე-ლიც, თავისი სიმარტივით, ბუნებრივობითა და ეფექტურო-ბით გამოირჩევა. მისი თქმით, ზედმეტი განებივრებითა და განაზებით ბავშვის ბუნება ფუჭდება, სიზარმაცით ზანტ-დება და ძაბუნდება; რასაც მივაჩვევთ, ის მისი ხასიათის თვისებად იქცევა. მაგალითად, სიცივის ამტანიანობას ხე-ნის შეჩვევის ფაქტორით ადამიანის სახის მაგალითზე. სახე მუდმივად, ზამთარ-ზაფხულ შიშველია, მაგრამ სიცივესაც და სიცხესაც ერთნაირი ძალით უმკლავდება. ავტორს იქვე მოჰყავს ამასთან დაკავშირებით ერთი ფილოსოფოსისა და ათენელის დიალოგი. ათენელის კითხვაზე: „როგორ შეგიძ-ლია ყინვაში და ოოვლში შიშველმა იარო? სკვითი ფილო-სოფოსი კითხვას უბრუნებს: „როგორ ითმენ შენ შიშველი სახით სიცივეს? ათენელი პასუხობს“ „ჩემი პირი მიჩვეუ-ლია ამას.“ ფილოსოფოსმა უთხრა: „წარმოიდგინე, რომ მთელი ჩემი სხეული პირია“.<sup>2</sup> და იქვე აკეთებს ქლასიკოსი ასეთ დასკვნას: „ჩვენი სხეული აიტანს ყოველივე იმას, რასაც ბავშვობიდანვე მიეჩვია.“ შემდეგ აკეთებს ჩამონა-თვალს, სხეულის გაკაჟებასთან დაკავშირებით. მაგალი-

2 ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წე-ში პედაგოგიურ მემკვი-დრება ი-ა კომენსკი, ჯ. ლოკი, შ-შ. რუსო, ი. გ. პესტალოცი. მ., 1989, გვ. 146

თად: სისტემატურად ცივ წყალში ბანაობა. ეს პროცედურა უნდა დავიწყოთ გაზაფხულზე ოთახის ტემპერატურის წყლით, შემდეგ თანდათანობით უნდა გადავიდეთ ჯერ ცივ და მერე გაყინულ წყალზე. თავის „რჩეულ ბიოგრაფიებში” პლუტარქე იტყობინება, რომ ციცერონი და სენეკაც სულ ცივ წყალში ბანაობდნენ თურმე.

ლოკი ასევე საინტერესო რეცეპტებს იძლევა კვებისა და ლოგინის შესახებ. კვების მენიუც უბრალოა და ადვილი, მაგრამ მისი უფექტურობა დროულობასა და ზომიერების პრინციპში მდგომარეობს. მისი აზრით, უმჯობესია ბავშვს სამ წლამდე, საერთოდ არ მიეცეს ხორცი, შემდეგში კი იშვიათად და ამის საჭიროებას პრაქტიკული და სამედიცინო გამოცდილების საფუძველზე დამაჯერებლად ასაბუთებს; დილა—სადამოს რძე, რძის სუპი, წყალში მოხარშული ფაფა, უფრო ხშირად ჭვავის, მცირედი შაქრითა და კიდევ უფრო ნაკლები მარილით. პური ბევრი. კვებაში ღეჭვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. საჭმლის მიღებას დღეში ორჯერ რთავს ნებას თავის აღსაზრდელს.

ჯანმრთელობისათვის ძილის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე განაგრძობს ლაპარაკს პედაგოგიკის კლასიკოსი თავის პედაგოგიკურ შედევრში. „ძილი — წერს ლოკი — უმძლავრესი გამაჯანსაღებელი საშუალებაა ბუნების მიერ (სწორია: ღვთის მიერ — გ. ხ.) ბოძებული”.<sup>3</sup> მაგრამ არა რბილ და ფუმფულა ლოგინში. საწოლი, მისი თქმით, უნდა იყოს რაც შეიძლება მაგარი, მკვრივი, საბანი ფრინველის ბუმბულის და დალიანდაგებული, რადგან ეს ხელს უწყობს სხეულის გამაგრებას, ჯანმრთელობის გაგაუებას. ამასთანავე, ვინც სახლში მიეჩვია ძილს მაგარ ლოგინში, მას არ შეაწებებს უძილობა მოგზაურობისას ფიცარზე, ან უბალიშოდ წოლის გამო, რადგან ის ამას უკვე მიჩვეულია.

ლოკის პედაგოგიური კონცეფცია თხზულებაში „ფიქ-

<sup>3</sup> ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მემკვიდრეობა ია კომენსკი, ჯ. ლოკი, შ-შ. რუსო, ი. გ. პესტალოცი. მ., 1989, გვ. 151

რები აღზრდის „შესახებ” მიმართულია ჯენტლმენის აღზრდაზე, ამიტომ ის გოგონაზე შეიძლება განზოგადდეს სქესობრივი განსხვავების გათვალისწინების საფუძველზე. ამის შესახებ თავად ამბობს: „ჩემს მიერ გადმოცემულ მოსაზრებებში, მხედველობაში მყავდა ვაჟი. ჩემი მსჯელობის მთავარი მიზანი მდგომარეობს ახალგაზრდა ჯენტლმენის ჩვილობიდნევი აღზრდის მეთოდთა გაშუქებაში. ამიტომ არ შეიძლება ეს მეთოდები აღზრდის ზოგად მეთოდებად ჩაითვალოს. თუმცა არც ისე ძნელი იქნება იმის გარკვევა, სქესობრივი განსხვავება აღზრდის რა განსხვავებულ ხერხებს მოითხოვს”.<sup>4</sup>

ქან-ჟაკ რუსომ თავის გენიალურ პედაგოგიკურ თხზულებაში „ემილი ანუ აღზრდის შესახებ” ემილის აღზრდის მაგალითზე გვიჩვენა თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული მამაკაცი. მისი თქმით: „გლეხი ფილოსოფოსივით უნდა აზროვნებდეს, ფილოსოფოსი კი გლეხივით უნდა შრომობდეს.” ავტორი იქვე განაგრძობს, რომ ჩვევას პირველი მოქმედებისთანავე ეყრება საფუძველი და თუ თავიდანვე თვითნებობას მივაჩვევთ, მას დიდობის დროსაც არ მოიშლის. ამიტომ პედაგოგიკოსი მოითხოვს, რომ აღსაზრდელი ადრეული ასაკიდანვე უნდა მივაჩვიოთ შრომასა და აზროვნებას ცოდნა-გამოცდილების მიღების გზით.

ადრექტისტიანულ ეპოქაში განსაკუთრებლი ყურადღება ექცეოდა რელიგიურ აღზრდას სულიერების ამაღლების მიზნით. განათლების შინაარსი ორიენტირებული იყო ბიბლიიზე „რწმენა იდგა ცოდნაზე, მეცნიერებაზე მაღლა.”... „ფიზიკური შრომა მიჩნეული იყო მაღალ განმწმედ საქმიანობად, რომელსაც ადამიანები სულიერი სიწმინდისათვის უნდა მოემზადებინა”.<sup>5</sup> შეა საუკუნეების განათლების სისტემაში, როცა მთავარი ადგილი დაიკავა საერო განათლებაში, წინა პლანზე წამოიწია რაინდულმა აღზრდამ, მთა-

4 ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მექანიზმების აღზრდაზე, კომენსაცია, ჯ. ლოკი, ჟ-ჟ. რუსო, ი. გ. პესტალოცი. მ., 1989, გვ. 147

5 6. ვასაქე, პედაგოგიკის ისტორია. თბ., 2004, გვ. 47

ვარი ადგილი სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას დაეთმო, რომელიც „შვიდი სარაინდო სიქველისგან” შედგებოდა: ცხენოსნობა, ცურვა, შების ტყორცნა, ფარიკაობა, ნადორობა, ჭადრაკისა და შაშის თამაში, ლექსების თხზვა სიმღერების შექმნა.

მართალია, ჯენტლმენობა ძირითადად ფიზიკურ ძალასთან, ზეობასა და სულიერობასთან ასოცირდება, მაგრამ სათანადო განათლების გარეშე არც ერთსა და არც მეორეს არა აქვს ეთიკური და ეთეტიკური, საერთოდ საზოგადოებრივი ღირებულება. მაშასადამე, აქვე, უმაღლ თავის ადგილს იკავებს გონებრივი აღზრდა მთელი თავისი კომპონენტებით, როგორიცაა: ცოდნის ფონდის დაგროვება სამყაროს შესახებ, სააზროვნო ოპერაციების ათვისება, ინტელექტუალურ-სასწავლო უნარების განვითარება და, საბოლოო ჯამში სწორი მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც გონებრივ, ზეობრივ, სულიერ, ეთეტიკურ და ფიზიკური აღზრდის ნაერთს წარმოადგენს. ნაერთს, რომელიც ადეკვატურ განათლებასა და მაღალ შეგნებას ემყარება. მაშასადამე, ჯენტლმენის ფორმირებაში განათლება და აღზრდა იკავებს პრიორიტეტულ ადგილს. ეს დებულება ყველაზე მყაფიოდ ჯონ ლოკმა გამოხატა ზემოთქმულ ყოვლისდამტევ სიტყვაში, რომ ჯანსაღი სული ზის ჯანსაღ სხეულში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ ლოკი აღსაზრდელისადმი სიყვარულსა და პატივისცემას მოითხოვს, საჭირო შემთხვევაში ადეკვატური დასჯის წინააღმდეგი არ არის. რადგან მისი აზრით, დაუსჯელობის სინდრომმა შეიძლება წაახალისოს თვითნებობისაკენ და დაუმორჩილებლობა ჩვევად ექცეს: „ბავშვის დაუსჯელობა – წერს ლოკი – უბრალო დარღვევაზე დიდი არაფერია, მაგრამ ჩვევაა მნიშვნელოვანი”<sup>6</sup> და ავტორი იქვე აკეთებს კომენტარებს,

<sup>6</sup> ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მემკვიდრეობა ი-ა კომენსკი, ჯ. ლოკი, შ-შ. რუსო, ი. გ. პესტალოცი. მ., 1989, გვ. 151

რომ ბავშვის არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო უზნეობა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს, თუ არ გვინდა სუფთა ზნეობრივი ჩანასახები არ გავაფუჭოთ. „თუ წყაროს სათავე მოვწამლეთ, წყლის სიმწარე არ უნდა გაგვიკვირდეს.“<sup>7</sup> რასაც მივაჩიეთ თავიდან, იმ პრივილეგიების ბავშვი დიდობისას არ დათმობს. სწორედ, მსგავსი აზრია გატარებული პ. ბუასტის ცნობილ სიტყვებში: „ნუ აქცევთ ბავშვს კერპად, თორებ გაიზრდება და თაყვანისცემას მოითხოვს.“ ლოკის აზრით, ბავშვის დასჯის საჭიროების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში, მშობლებისგან სათანადო ყურადღების დევიციტია. „ყველაზე – წერს ლოკი – დიდი შეცდომა, რომელსაც უშვებენ აღზრდაში, ეს არის ის, რომ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ბავშვის მიზევას სულიერობის, დამორჩილების, დისციპლინისა და გონიერებისადმი,“ განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, როცა სულიერება ნაზია და უფრო დამყოლი ზემოქმედებისადმი. რადგან მშობლიური სიყვარული აბრმავებს მშობლებს და ვერ აკონტროლებენ ამ გრძნობას. აქვე იძლევა მეცნიერი პედაგოგიურ რეკომენდაციებს: „თუ გინდათ, რომ შვილები გემორჩილებოდნენ, იმთავითვე ეცადეთ, შეიქმნათ მშობლიური ავტორიტეტი“.<sup>8</sup> ცნობილია, რომ ავტორიტეტი გავლენას ნიშნავს. ავტორიტეტული აღმზრდელის სიტყვას კი კანონის ძალა აქვს და მას ნებაყოფლობით ემორჩილებიან აღსაზრდელები. ავტორიტეტის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყოველთვის სუბიექტის პიროვნებიდან, მისი პირადი დირსებებიდან, სუფთა სინდისიდან, სიტყვისა და საქმის ერთიანობისა და მისი საზოგადოებრივ-ზნეობრივი დირებებულებიდან გამომდინარეობს.

ლოკის აზრით, ბავშვი მშობლებში უნდა ხედავდეს საუკეთესო და სანდო მეგობარს, მზრუნველსა და დამცველს, რომელსაც პატივს სცემს და ეყვარება. წინააღმდეგ

<sup>7</sup> ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მემკვიდრეობა ია-კომენსკი, ჯ. ლოკი, ჭ-კ. რუსო, ი. გ. პეტალოცი. მ., 1989, გვ. 151

<sup>8</sup> იქვე- გვ. 153

შემთხვევაში ის სხვაგან დაიწყებს მეგობრებისა და თანამზრანების ძებნას, სადაც თავს თავისუფლად, უფრო კომფორტულად იგრძნობს. ყველაზე რთული შემთხვევაა, როცა მშობლები კარგავენ გავლენას თავიანთ შვილებზე. მას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ამჯერად გამოვყოფდით ორს: პირველი, ყურადღების დეფიციტი, მეორე, გადაჭარბებული ყურადღება. ლოკი მშვიდობიან ურთიერთობაში „ოქროს შუალედს,” ანუ ზომიერებასა და წონასწორობას აღიარებს. მისი თქმით, მშობლები ტვირთად არ უნდა ექცნენ შვილებს, რომ არ ნატრობდნენ: „ბოლოს და ბოლოს როდის მოკვდები, მამა!”<sup>9</sup>

ვაჟის პირველი მიბაძვის ობიექტი ძირითადად არის მამა. მისთვის მთავარი ის არ არის, თუ რას ამბობს მამა, მთავარია, როგორ იქცევა ის. რადგან ადრეულ ასაკში ბავშვისთვის დამახასიათებელია კონკრეტული აზროვნება, ამიტომ მისთვის უფრო მისაწვდომია ვიზუალური შეგრძნებები, ვიდრე ცნებები. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ბავშვის გვერდით მუდმივად უნდა იყოს უფროსი, მშობელი და მასწავლებელი, რომელიც აჩვენებს, ასწავლის, ავარჯიშებს და მისცემს ცოცხალ, კონკრეტულ მაგალითს სწორად აზროვნების, გამართულად მეტყველების, სწორი ქცევისა და მოქმედებისა. როგორც ყველა პედაგოგიკოსი, ჯონ ლოკიც გამორიცხავს აღზრდაში იძულების მეთოდს. მისი თქმით, სასჯელი და ჯოხი არ არის გამოხავალი. ბავშვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ სიამოვნებას და მთელი ძალით გაურბის ტანჯვას, უსიამოვნებას. ფიზიკური დასჯის მეთოდი კიდევ უფრო აძულებს იმას, რის შესვარებისკენ მოუწოდებს აღმზრდელი. ამის საიდუქტრაციოდ ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ის ჭიქა, რომლიდანაც გასმევენ ისეთ სითხეს, რომელიც გწამლავს და გულს გირევს, სასიამოვნო იქნებოდა თქვენთვის რაც არ

<sup>9</sup> ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მემკვიდრეობა ია კომენსკი, ჯ. ლოკი, შ-შ. რუსო, ი. გ. პესტალოცი. მ., 1989, გვ. 153

უნდა სუფთა, ლამაზი და ბეირფასი იქოს ის?"<sup>10</sup> იმულების მეთოდზე მსჯელობიდან ავტორს ასეთი დებულება გამოაქვს: „მონური დისციპლინა მონურ ხასიათს აყალიბებს”<sup>11</sup> და იქვე განაგრძობს: იმ თვისებებს, რომელთა შეჩერებას ჯოხით ვცდილობთ, როცა დასჯის საშიშროებას განერიდება, ორმაგად აინაზღაურებს შეჩერებულს. ძალით შეჩერებული უფრო მეტი ძალით ამოხეთქავს.<sup>12</sup> ჯონ ლოკი წინააღმდეგია ისეთი დასჯის, რომელიც ნაცვლად სინანულისა, მასში ტანჯვას, უსიამოვნებას აღმრავს, თავს მსხვერპლად აგრძნობინებს.

სულიერობის ცნების დეფინიცია თანამედროვე პედაგოგის მეცნიერებაში მთლად ზუსტად და გასაგებად არ არის გახსნილი. მას უფრო მეტად ზნეობასთან აიგივებენ. ხოლო იმ პრინციპულ განსხვავებაზე, რომლითაც ის ბევრად აღმატებულია აღზრდის სხვა კომპონენტებზე, სწორედ, ამ ნაწილშია ხარვეზი, რომელსაც შედეგად ყველაზე დიდი დაცემა მოხდევს, და რომელსაც გონებრივ, ზნეობრივ და სულიერ დეგრადაციას უწოდებენ ხოლმე. სულიერობა პირდაპირ დმერთან, მის რწმენასთან არის დაკაგშირებული, რაც გულისხმობს ხილულით უხილავის დაჯერებას, რომელიც ეფუმნება ჭეშმარიტების ცოდნას დვთისა და მისი ქმნილებების შესახებ. ამგვარი ცოდნის ხილულ წეაროს წარმოადგენს თვით დვთის სიტყვა – ბიბლიია და მთელი ხელოუქმნელი სამყარო: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, (და სხვა მიღიარდობით გალაქტიკები), დედამიწა, წეალი, ჰაერი, ფლორა, ფაუნა და რაც მათშია და ის ურთიერთკავშირები და ურთიერთგანპირებულობა, თანაფარდობა, წესრიგი და პარმონია, ზომიერება და წონასწორობა, სიმეტრია და პროპორცია და ა. შ. რა-

10 ჯ. ლოკი, ფიქრები აღზრდის შესახებ. წგ-ში პედაგოგიურ მემკვიდრეობა ი-ა კომენსკი, ჯ. ლოკი, ჟ-ჟ. რუსო, ი. გ. პეტერაშვილი. მ., 1989, გვ. 153

11 იქვე, გვ. 155

12 პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომენსკი, ჯ. ლოკი, ჟ-ჟ რუსო, ი.გ. პეტერაშვილი. მ., 1989, გვ. 155

მაც „ტიმეოსის” ავტორს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „... რომ მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი – ეს არის სამყაროს ოთხი საწყისი. ღმერთმა ეს ოთხი საწყისი (ანუ „ოთხი გვარი”-პლატონი) მოაწესრიგა იდეებისა და რიცხვების მეშვეობით”.<sup>13</sup> იქვე, 308-ე გვერდზე ანტიკური ფილოსოფიის მამამთავარი, უპირველეს ყოვლისა, მსჯელობს „ჯერ ერთი, ფუძემდებლურ პირველნიმუშზე, რომელიც გონიო საწვდომია და იგივეობრივი”, მარადიულია და უხილავი „და მეორეც, ამ პირველ ნიმუშის ასლზე, რომელიც დაბადებულია და ხილული.” მას მიაჩნია, რომ მთელი სამყარო თავისთავად, მისი ხილული ცითა და ვარსკვლავებით, დედამიწის საოცრებებით, მატერიალური თუ სულიერი სუბსტანციური წრებრუნვით, მოძრაობის უწყვეტი რიტმითა და შინაგანი კანონზომიერებით დათავებრივი ხელოვნების, ყოვლისშემძლე შემოქმედებითი აქტის გრანდიოზული შედეგია; რომ ბუნების გასაოცარ ხიბლს, მის მომნუსხველ მშვენიერებას, სამყაროს მწყობრ და დახვეწილ წესრიგს არქიტექტურულ, მუსიკალურ და პლასტიკურ საწყისთა ერთობლიობა განაპირობებს. პლატონის აღვრთოვანებას ყოვლისშემოქმედისადმი სანტიაგო არგუელიოს სიტყვები ამყარებს: „სამყაროს შექმნისას დემიურგოსი მუსიკოსია, მაგრამ არა მარტო მუსიკოსი, არამედ, საერთოდ, ხელოვანი... ხოლო მის მიერ შექმნილი სამყარო ხელოვნების ნიმუშად გვევლინება.... დიდოსტატი ხელოვანი – დემიურგოსი – ხელოვნების კანონების თანახმად აგებს კოსმოსს”.<sup>14</sup>

პლატონის მიხედვით, მის მიერ 23 საუკუნის წინ ადქმული სამყარო არის ასლი მის შემოქმედ პირველ ნიმუშისა, რომელზედაც არ ითქმის „იყო” და „იქნება,” არამედ არის უქმნელი, უხრწნელი და მარადიული ღმერთი. მართალია, პლატონისეული გაგება ხილული სამყაროს დაბადების, მისი შექმნის შესახებ, მთლად არ ემოხვევა უტყუარ, ბიბლიურ ინფორმაციებს, მაგრამ დასაფასებელია მისი

13 პლატონი „ტიმეოსი”, თბ., 1994, გვ. 313

14 იქვე, გვ. 190

რწმენა, ის მაღალი სულიერობა, რომელსაც იგი ავლენს მარადმყოფი დვთისა და მისი შემოქმედებისადმი.

ჯონ ლოკა, მართალია, ბევრი საგულისხმო და მარადლირებული პედაგოგიური მოსაზრებები დაგვიტოვა, მაგრამ სულიერობის არსებობის ბოლომდე მაინც ვერ ჩაწვდა, როგორც ეს მოხდა პლატონის შემთხვევაში. ლოკი სულიერობაში მოიაზრებს ყველანაირ სიკეთეს, ადამიანის ხასიათის ყველა დადგებით ოვისებებს, მაგრამ ვერ მოახერხა სულიერობის ზნეობრივისაგან, დვთიურის ადამიანურისაგან გამიჯვნა. ამ სხვაობის გაცნობიერების გარეშე კი ადგილი არ რჩება სულიერობას. ამ ხარვეზისგან დაზღვეულია იან ამოს კომენსკისეული შეხედულებები სულიერ აღზრდასთან დაკავშირებით. შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ ეს პრობლემა დიდი წარმატებითა გადაჭრილი იან ამოს კომენსკის პედაგოგიკურ შედევრში, როგორიცაა „დიდი დიდაქტიკა“ და დემკოს პედაგოგიკაში. უკიდურესად ათეიისტურ სოციალისტურ სისტემაში ანტირელიგიურმა იდეოლოგიამ კატეგორიულად აკრძალა დვთის ხეგებაც კი, ხოლო პედაგოგიკის კლასიკოსებს ნაკლად ჩაუთვალა რელიგიური მსოფლმხედველობა. ამას მოჰყვა ცოდვისა და ბოროტების შემკავებელი გონებრივი „ჯებირების“ მორდვევა, დვთიური ნათელის დაბნელება. როგორც დვთის ძემიერო ქრისტემ თქვა, იმდღავრა სატანა-ეშმაკმა და ადამიანი ჩამოაშორა თავის შემოქმედს: „სასიხარულო ცნობა დაფარულია...ურწმუნოთათვის, რომელთაც ამ ქვეყნიერების ღმერთმა (სატანა-ეშმაკმა გ.ხ.) დაუბრმავა გონება, რათა მათზე არ ებრწყინა ქრისტეს შესახებ დიდებულ სასიხარულო ცნობის სინათლეს, რომელიც უხილავი დვთის ანარეკლია“.<sup>15</sup>

პედაგოგიკა დასაბამიდან დღემდე ინარჩუნებს თავის ბუნებრივ არსებობას და მტკიცედ ეყრდნობა პუმანიზმისა და დემოკრატიის საწყისებს. ეს ყველაზე მკვეთრად გაახმოვანა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა მარქუს ფაბიუს

15 2 კორინთელები 4:3,4

კვინტილიანები თავის „ორატორის დარიგებანში”, რომელ-შიც ვკითხულობთ: „ბაგშვებს იშვიათად აკლიათ ბუნებრი-ვი ნიჭი, უფრო ხშირად კი აკლიათ მასზე ზრუნვა”<sup>16</sup>

იან ამოს კომენსკის პიროვნების სრულფასოვნების უმ-თავრეს პედაგოგიურ საშუალებად სულიერი აღზრდა მიაჩ-ნია. რადგან მისი თქმით „ადამიანი შექმნილია საგანთა შეცნობისათვის, ზეობრივი ჰარმონიისათვის და დვთის უსაზღვრო სიყვარულისათვის”, და ავტორი იქვე იძლევა მეცნიერულ და რელიგიური განათლების, ზნეობისა და სულიერების განმასხვავებელ ნიშნებს. „მეცნიერული გა-ნათლება გულისხმობს საგანთა, ხელოვნებათა და ენათა ყოველნაირ ცოდნას. ზნეობაში იგულისხმება არა მარტო გარეგანი ზრდილობა, არამედ მისწრაფებათა ყოველნაირი შინაგანი და გარეგანი საფუძველი. მორწმუნეობაში კი – ის შინაგანი თაყვანისცემა დვთისა, რომლითაც ადამიანის სული უზენაეს დვთაებას უკავშირდება და უერთდება”.<sup>17</sup> ამიტომ იგი მოითხოვს სკოლების, სასწავლო აღმზრდე-ლობითი პროცესის ქრისტიანულ საფუძველზე აწყობას: „თუ გვსურს სკოლები მთლიანად გარდაიქმნას ჭეშმარიტი ქრისტიანობის ჭეშმარიტ საფუძველზე”... „და ვასწავლოთ ის, რაც ზეციერია – ღმერთი, ქრისტე, ანგელოზები...”,<sup>18</sup> და სკოლის მთავარ მიზნად აცხადებს დვთისმოშიშ, დვთის-მოსავი თაობის აღზრდას. ამ კონცეფციის ჭეშმარიტებას მეცნიერი ასაბუთებს შემდეგი სარწმუნო არგუმენტებით:

1. უწინარეს ყოვლისა, საღვთო წიგნების სწავლე-ბა ყველაფერს წინ უნდა უსწრებდეს, რადგან პირველი შთაბეჭდილებანი უკეთ აღიბეჭდებიან, უფრო საიმედოს ხდიან ყოველივე დანარჩენს, რაც ადამიანმა შემდეგ უნდა აკეთოს ცხოვრებაში;

2. ღმერთმა თვითონ გვიჩვენა გზა, თავისი კარიბჭე

16 ქ. ფ. კვინტილიანე „ორატორის დარიგებანი,” წიგნი I, თავი I. ნიკოლა-სკის თარგმანი. სანქტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 3 (32)

17 იან ამოს კომენსკი, რეჟული პედაგოგიური თხზულებანი. ობ., 1949, გვ. 43, 44

18 იქვე, გვ. 274-275

„სადაც თვითონ მოგვევლინა მასწავლებლად, ჩვენ თავის მოწაფეებად გვაქცია, ხოლო წინასწარმეტყველთა ხმა – მეცნიერებად” და მოსეს პირით გვითხრა: „ისმინე, ისრაელ, უფალი ღმერთი შენი მხოლოდ ერთია. მაშ, გიყვარდეს იგი მთელი გულით, სულითა და ყოველი ძალით. აღიბეჭდე გულში ის სიტყვები, რომლებსაც მე ახლა გამცნობ და ჩააგონე ისინი შენს შვილებს და ესაუბრე მათ ამის შესახებ ყოველ ჟამს, ოდეს სახლში ზიხარ, ან გზაში ხარ, დგები ან წვები;”... „მე ვარ უფალი შენი, რომელიც გასწავლის შენ სასარგებლოს და მიმყავხარ იმ გზით, რომლითაც შენ უნდა იარო;” ამიტომ „ქრისტე ამბობს: გამოიკვლიუთ სადგოთ წერილი, რომელიც „ღვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმართლეში აღსაზრდელად”.<sup>19</sup>

3. ღვთიური სიბრძნის ძალასთან დაკავშირებით, აქვე იმოწმებს ავტორი დავითის სიტყვებს: რომ მისი გონიერებისა და ძლიერების საფუძველი ღვთის კანონების ცოდნა და მით ხელმძღვანელობა იყო; და ასევე ავტორს მოკავს იგავებიდან, როგორც თვითონ ამბობს, მოკვდავთა შორის ყველაზე ბრძენის – სოლომონ მეფის ნათქვამი, რომ ღმერთი გაძლევს სიბრძნეს; მისი პირიდან გამოდის ცოდნა და გონება. ის მართალია, რადგან ყველაზე უკეთესად შემოქმედმა იცის თუ რა არის უკეთესი მისი ქმნილებებისათვის;

4. კომენტი გაბეჭდულად ამხელს იმ უღვთო მწიგნობრებს, რომლებსაც „გონება დაუბინდდათ ამაო ბრძობაში და გული მათ უგუნურთა სიბრძლემ მოიცვა,” რომელთა წყალობით „კვლავ აღორძინდა წარმართობა და მეფობს ქრისტიანობის სახით.” ამ უწმინდურობისაგან განწმენდის ერთად-ერთ საშუალებად ბრძენ პედაგოგიკოსს ესახება ადამიანთა მაცდუნებელ შეხედულებათა თავიდან მოშორება და ღვთის მცნებების ცოდნა და მის შესატყვისად ცხოვრება და აზროვნება; რომ „ჩვენ ჩვენი შვილების აღზრდა მივანდოთ ღმერთსა და მის სიტყვას – ქრისტეს;”

5. „კმარა, ქრისტიანებო! უგუნურება უკვე საკმარისად არის ჩადენილი! კმარა. ღმერთი მოგვიწოდებს ჩვენ უკეთესობისაკენ; საჭიროა გავყვეთ მის მოწოდებას;”... „ვინაიდან მხოლოდ დვთის ბაგეა ის წყარო, საიდანაც გამოდის ნამდვილი სიბრძნის ყველა ნაკადული, მხოლოდ დვთის სახეა ის ჩირადდანი, საიდანაც აღმოცენდება ნამდვილი ჰეშმარიტების ჩანასახები... რადგან ესაა ჰეშმარიტი და მარადიული სიბრძნის ჰეშმარიტი გზა, რომლის გარეშე სხვა გზა არ არსებობს.” „ნუ ავურევთ ერთმანეთში ზეციდან მონიჰებულ სიბრძნეს და სიბრძნეს მიწიერს, ცხოველურსა და სატანურს; ნუ შევქმნით იმის საბაბს, რომ ღმერთმა თავისი მრისხანება ჩვენი შვილების წინააღმდეგ მომართოს”.<sup>20</sup>

დიდმა პედაგოგიკოსმა ქრისტიანებს შესთავაზა განათლების რეფორმის ამ მიმართულებით გატარების დღემდე გაუხუნარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პედაგოგიური რეკომენდაციები დვთისმოშიშობის არსის, მისი მნიშვნელობისა და სწავლების შესახებ.

კომენსკის მიხედვით, დვთისმოშიშობა დვთის წყალობაა და გულისხმობს იმას, რომ ჩვენი გული ყველგან და ყველაფერში ღმერთს ეძიებდეს, რომლის კვალი ყველა მის ქმნილებაშია. და, ავტორი იქვე მიუთითებს დვთის პოვნის სამშაბ წყაროზე. ეს წყაროებია: საღვთო წერილი ანუ ბიბლია, მთელი სამყარო და ჩვენ თვითონ.<sup>21</sup>

ბიბლიური სწავლებები იძლევა ჰეშმარიტების, დიდი, გადამრჩენი სიმართლის ცოდნას ყოვლისშემოქმედის, უზნაესი ღმერთის, მისი ძის იქსო ქრისტეს, მათი გრანდიოზული საქმეებისა და სატანა-ეშმაკის ვერაგობის, ასევე ბოროტი მიწიერი სისტემის აღსასრულისა და მმართველობის ახალი სამართლიანი სისტემის – დვთის სამეფოს დამყარების შესახებ; ყოველივე იმის შესახებ: რაც იყო,

20 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი. ობ., 1949, გვ. 274–283

21 იქვე, 260

არის და იქნება.<sup>22</sup>

დვთის რწმენა რომ ჭეშმარიტ და ღრმა ცოდნას ემყარება, ამის შესახებ თვით დვთის ძის – იქსო ქრისტეს სიტყვები მოწმობს, რომელიც ჩაწერილია იოანეს 17:3-ში: „მარადიული სიცოცხლის მისაღებად უნდა გეცნობოდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც შენ გამოგზავნე, იქსო ქრისტეს.”

კომენტი ასევე უცდომლად მიუთითებს დვთის შეცნობის მეორე წყაროზე, ხილულ სამყაროზე, რომელიც თავის აზრმიუწვდომელი მრავალფეროვნებით, სისრულით, წესრიგითა და პარმონიულობით უსაზღვრო მადლიერებისა და დვთისმოშიშობის გრძნობას უნერგავს მის გონიერ ჰქვრებელს. ცა და რაც მასშია: ციური მნათობები – მზე მთვარე, ვარსკვლავები, ტრილიონობით უზარმაზარი გალაქტიკები; ჩვენს საცხოვრისად მორთული და მოკაზმული დედამიწა თავისი მწვანე ხავერდოვანი საფარით, ოკეანები, ზღვები, ტბები, მდინარეები, ნაკადულები, ჩანჩქერები, მოწესრიგებული ეკოსისტემები, ფლორა, ფაუნა, კველაფრის მაცოცხლებელი პაერი და ა. შ. აღქმისა და გააზრების მცირედი უნარიც კი საკმარისია, ყოველივე ამის შემოქმედი დვთისა და მისი ძის იქსო ქრისტეს მიმართ უსაზღვრო სიყვარულით, მოწიწებისა და მორჩილების გრძნობით ადიგსოს ადამიანი.

მსჯელობს რა სულიერობის შესახებ, იან ამოს კომენტი გვთავაზობს დვთისმოშიშობის ჩანერგვის სპეციალურ მეთოდებს. მისი თქმით, ადამიანის სულიერ აღზრდაზე ზრუნვა ადრეულ ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. პირველად უნდა შევასრულოთ ის, რაც პირველია და მნიშვნელოვანი. თუ სრულიად ნორჩ ასაკში სული დვთის სიყვარულით არ განიმსჭვალა, თვით ცხოვრება შეუმჩნევლად ჩანერგავს ადამიანის სულში დვთისადმი უპატივცემლობას, რომელიც შემდეგში დიდი შრომითაც ძლიერს თუ აღმოიფხვრება,

22 იხილეთ ბიბლიაში გამოცხადების 12:7,9,12; დანიელი 2:44; გამოცხადება 21:4

ხოლო ზოგიერთის გულში არასოდეს გაქრება. ამიტომ, განაგრძობს ავტორი, პირველ ადგილზე ღმერთი უნდა და-ვაყენოთ, რადგან „ღვთისმოშიშობის გარეშე ყოველი სხვა ვარჯიშობა ნაკლებ სასარგებლოა, იმ ღროს, როცა ღვ-თისმოშიშობას აღოქმული აქვს ცხოვრება აწინდელი და მომავალი”.<sup>23</sup> ღვთისმოშიშობაში ავტორი გულისხმობს ბი-ბლიაში, მათგა 6:33-ში ჩაწერილ ღვთის ძის იქსო ქრისტეს ცხობილ სიტყვებს: „უპირველესად ეძებეთ (ღვთის) სამეფო და მამის სიმართლე და სხვა დანარჩენი შეგემატებათ.”

თითქმის მთელი საქრისტიანო ლოცულობს ღვთის სა-მეფოზე – „მოვიდეს შენი სამეფო და იყოს შენი ნება როგორც ზეცაში, ისე დედამიწაზე”,<sup>24</sup> მაგრამ ცოტამ იცის მისი მნიშვნელობა. უკანასკნელ ღლებთან დაკავშირებით დანიელში ჩაწერილი წინასწარმეტყველება სხინის, რომ ღვთის სამეფო არის ღვთის მიერ ჩამოყალიბებული მთა-ვრობა, რომელსაც სათავეში მის მიერვე არჩეული მეფე – იქსო ქრისტე უდგას. „იმ მეფეების ღროს ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც არასოდეს დაიქცევა. ეს სამეფო სხვა ხალხს არ გადაეცემა. ის დააქცევს და ბო-ლოს მოუღებს ყველა ამ სამეფოს, თავად კი მარადიული იდგება.”<sup>25</sup> თუ რას მოიტანს ეს სამეფო, მოღით, ერთად წა-ვიკითხოთ გამოცხადების 21-ე თავის მე-4 მუხლში: „მოსწ-მენდს მათ ყოველ ცრემლს თვალებიდან და ადარ იქნება სიკვდილი, ადარც გლოვა, გოდება და ტკივილი, რადგან წინანდელი ყველაფერი მოისპო.”

კომენტარი ზოგადად აღზრდაში დიდ ყურადღებას უთ-მობს პედაგოგიკურ პრინციპებს, მაგრამ სულიერ აღზრ-დაში განსაკუთრებით გამოყოფს ასაკობრივი თავისებურე-ბების გათვალისწინების პედაგოგიურ პრინციპს და, რო-გორც ზემოთ აღვნიშნეთ „მაშინვე, როგორც კი თვალს გაახელს, ენას აიდგამს და ხელსა და ფეხს აამოძრავებს,

23 იან ამოს კომენტარი, რჩ, პედ. ოხ. თბ., 1949, გვ. 262

24 მათე 6:9

25 დანიელი 2:44

ბავშვს უნდა ვასწავლოთ ზეცისკენ ცქერა, ხელების აპყრობა, ვედრება დვთისა და ქრისტესადმი, უხილავი დიდების წინაშე მუხლის მოდრეგა და თაყვანისცემა”<sup>26</sup> ბავშვები – წერს კომენსკი – იმთავითვე უნდა შეეჩიონ იმას, რომ ყველაფერი, რასაც ხედავენ, ესმიო, ეხებიან, აკეთებენ და ითმენენ, განვებას მიაწერონ პირდაპირ თუ არაპირდაპირ (იქვე). გამუდმებით იკითხონ ბიბლია, მონაწილეობა მიიღონ დვთისმსახურებაში და აკეთონ კეთილი საქმე. რადგან დმერთან არის ის, ვინაც იცის დვთის მცნებები და ასრულებს მას. ამიტომ – ასკვნის კომენსკი – ქრისტიანულ სკოლებში ყველა წიგნებს შორის საღვთო წერილს უნდა ჰქონდეს პირველი ადგილი, რათა, ტიმოთეს მაგალითოსამებრ, ყველა ქრისტიანმა ახალგაზრდამ ბავშვობიდანვე ისწავლოს საღვთო წერილი, აღიზარდოს რწმენაში.

დვთის სიყვარულითა და რწმენით აღძრული დიდი პედაგოგიკოსი თავისი რჩევების გასამყარებლად იშველიებს ერაზმ როტერდამელს. რომელსაც მიაჩნია, რომ „საღვთო წერილი ყველასათვის ერთნაირად გამოსადეგია. იგი მისაწვდომია პატარებისათვის, დიდთათვის დიდად საკვირველია და ყოველ სიდიდეს აღემატება; მცირეთათვის იგი მცირეა. არავითარ ასაკს, არავითარ სქესს, არავითარ მდგომარეობას, არავითარ პირობას არ უარყოფს, არამედ ყველას შეიწყნარებს. თვით მზე არ არის იმდენად საყოველთაო და ყველასათვის გადაშლილი, როგორც ქრისტეს მოძღვრება... ოჲ, ნეტავ, საღვთო წერილი თარგმნილი იყოს ყველა ხალხთა ენაზე, რომ მისი წაკითხვა შეეძლოს არა მარტო შოტლანდიელება და ირლანდიელებს, არამედ თურქებსაც და სარკინოზებსაც”<sup>27</sup> ისე აგიხდეთ სანატრელი, როგორც ეს აუხდა ერაზმ როტერდამელს. დღეს ბიბლია ხელმისაწვდომია დედამიწის კიდით-კიდემდე, თარგმნილია თითქმის ყველა სახელმწიფო ენაზე.

მართალია, საღვთო წერილი რწმენას, სიყვარულსა და

26 იან ამოს კომენსკი, რჩ. პედ. თხზ. თბ., 1949, გვ. 262

27 იქვე, გვ. 266

იმედს გვასწავლის, მაგრამ რელიგია ცოცხალი საქმეა და ის პრაქტიკაში უნდა გამოჩნდეს. რადგან, როგორც იაკობის 2:20-შია ჩაწერილი, რწმენა საქმის გარეშე მკვდარია. რწმენა შინაგანია, საქმეები – გარეგანი. შინაგანისა და გარეგანის თანხვედრაშია გულწრფელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფარისევლობა გამოგვივა. ღვთისადმი გულწრფელი მსახურება მისი ნებისამებრ, პიროვნებას უნვითარებს სულის ნაყოფებს, როგორიცაა: „შემოქმედი ღმერთისა და მისი ქმნილებებისადმი სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიკეთე, ყოველივე კარგი, რწმენა, რბილი ხასიათი, თავშეკავება“.<sup>28</sup> ეს კი საფუძვლად ედება პიროვნების ეთიკური და ესთეტიკური კულტურის ამღლებას. და, ასე ყალიბდება ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებული, რესპექტაბელური პიროვნება.

რესპექტაბელური პიროვნებების შესახებ შესაშურინფორმაციებს გვაწვდის ძველი ბერძნული პროზაული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი პლუტარქე ქარონელი თავის ცნობილ „პარალელურ ბიოგრაფიებში.“ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. სპარტელი პედარეტე როცა სამასთა საბჭოს წევრად არ აირჩიეს, მან სახეგაბრწყინებულმა და გახარებულმა შესძახა: „ჩემს საყვარელ ქალაქს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლიაო“,<sup>29</sup> „კოლასელების მიერ წყალში გადასროლილი ბადე მილეთიდან მოსულმა სტუმრებმა ნადავლის ხილვამდე იყიდეს. ბადეს, ყველასთვის მოულოდნელად, ოქროს სამფეხი ამოყვა. ამ ნადავლის გარშემო სტუმრებსა და მასპინძლებს შორის ატყდა დავა. მათი ქალაქებიც ჩაერივნენ დაგაში, რაც ნამდვილ ომში გადაიზარდა. ბოლოს და ბოლოს პითიამ მეომარ მხარეთ უბრძანა, ოქროს სამფეხი ქვეყნის ბრძენთა შორის უბრძნესისთვის გადაეცათ. კოლასელებმა უბრძნესად ჩათვალეს თალესი – გონიერი პოლიტიკოსი და ბრწყინვალე პოეტი

<sup>28</sup> გალატელები 5:22

<sup>29</sup> პლუტარქე „პარალელური ბიოგრაფიები.“ ობ., 1975, გვ.128

და ეს ოქროს სამფეხი სწორედ, მას მიართვეს საჩუქრად. თალესმა მასზე უფრო აღმატებულად ბიასი ჩათვალა და მისდამი პატივისცემის ნიშნად ბოძებული ოქროს სამფეხი მას გაუგზავნა. ბიასმა, თავის მხრივ, იგი მიართვა სხვას, როგორც მასზე უბრძნებს. ასე შემოიარა ყველა ბრძენი აქეთ-იქით გაგზავნილმა სამფეხმა და ბოლოს ისევ თალესის ხელში მოხვდა. მან არც ამჯერად დაიტოვა ოქროს სამფეხი. ბოლოს ეს სამფეხი თებეში გადაიტანეს და იქ ისმენიოს აპოლონიუსს შესწირებ.<sup>30</sup>

ოქროს სამფეხის ისტორია არის ნამდვილი ჯენტლ-მენობისა და რესპექტაბელურობის, ეთიკურ – ესთეტიკურის ამაღლებული მაგალითი. რომელმაც შეუძლებელია არ დააფიქროს ადამიანი და თვითშეცნობის კრიტერიუმად არ გამოადგეს.

ამრიგად, ნაშრომში დასმული საკითხის რეტროს-პექტრულ ასპექტში განხილვით, შევეცადეთ, უბრალოდ, შეგვეხსენებინა ჩვენს თანამედროვეთათვის ჯენტლმენობის არსისა და ლირებულების შესახებ.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 140

## ბუნებრივი აღზოგის პოლეზია ქან-ქაპ ოშაო „ემილში”

„ყველაფერი ის, რაც არ გაგვაჩნია დაბადებისას და  
უიშისოდ არ ვვარგიგართ დიდობაში, მოგვცა აღაზრდამ”  
ქან-ქაპ რუსო

პუმანური პედაგოგიკის ერთერთი ბრწყინვალე წარმო-  
მადგენელი ქან-ქაპ რუსო მეხივით დაუცა თავზე XVIII  
საუკუნის ფრანგული მმართველობის ბოროტ სისტემას,  
იერიში მიიტანა სოციალური უთანასწორობის, ადამიანის  
ბუნებრივი უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ. სიტყვითა  
და კალმით შეუტია ზღვარგადასულ უსამართლობას: რე-  
ვოლუციურმა მოწოდებამ: „მირს სოციალური უთანასწო-  
რობა, გაუმარჯოს კაცთა შორის ბუნებარივ თანასწორო-  
ბას და ბუნებრივ ერთობას” (ქან-ქაპ რუსო „მსჯელობა  
კაცთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძ-  
ლების შესახებ”), რუსო საფრანგეთის დიდი რევოლუციის  
„პატრიოტთა” უსაყვარლეს მასწავლებლად აქცია. მისი  
ბუნებრივი თანასწორობის ჯანსაღი იდეა ეროვნულ საზ-  
დოებს გასცდა და ზოგადპაცობრიულ დირსებად იქცა.  
სერგი დანელიამ სწორად შეაფასა რუსოს შეხედულებები  
ბუნებრივი თანასწორობის იდეასთან დაკავშირებით, როცა  
თქმა: „ქან-ქაპ რუსოს ფილოსოფია იყო მხერვალე პო-  
ტესტი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და თამამი კრიტიკა  
უგუნურობადქცეული საზოგადოებრივი ტრადიციებისა”<sup>1</sup>  
თუმცა ის არასოდეს არ ყოფილა სისხლისღვრის მომხრე.

1 ს. დანელია, ქან-ქაპ რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტემა.  
თბ., 1947, გვ. 44

მას საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესულ გარდამქნელ იარაღად განათლება და ჰუმანური აღზრდა, საზოგადოების გრძნობების გაკეთილშობილება და ზნეობრივი შეგნების ამაღლება მიაჩნდა. რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხის კეთილდღეობა მის კეთილზნეობაზე არის დამყარებული.

უან-უაკ რუსომ ობიექტურად ასახა თავისი დროის მწარე სინამდვილე და გაბედულად ამხილა დესპოტური მმართველობის სისტემური დანაშაული, უსამართლო რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებული რეპრესიების მსხვერპლი ხდებოდა, იმდენად მაღალი იყო მისი მოქალაქეობრივი შეგნება, რომ ის არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ დაბრკოლებას არ უშინდებოდა, ყოველთვის დირსეულად იდგა მოწოდების სიმაღლეზე და ურყევად რჩებოდა თავის ამაღლებულ პოზიციებზე. რადგან სწამდა, რომ „ბუნებრივი მდგრმარეობით ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი არიან. აქ არ არის შრომის განაწილება: თითოეული აკეთებს თავისთვის იმას, რაც მას ესაჭიროება და, მაშასადამე, არც ერთი არ არის მეორისგან დამოკიდებული. მიწა არავის კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს, რომ უმიწო კაცი მიწის მქონე კაცისგან არ ყოფილიყო და-მოკიდებული” და იქვე განაგრძობს ავტორი, რომ „ნაყოფი ეკუთვნის ყველას, მიწა კი – არავის”.<sup>2</sup> რუსო მართალია. დედამიწა და რაც მასშია, მისი შემოქმედი ღვთის კუთვნილებაა. ჩვენ კი მზრუნველმა ღმერთმა ამ სიკეთის გონივრულად და მადლიერებით სარგებლობის უფლება მოგვცა და მისი მოვლა და პატრონობა დაგვავალა. მაგრამ ადამიანმა სათანადოდ ვერ შეაფასა ყოვლისშემოქმედის მიერ წუთისოფლისადმი გამოვლენილი სიყვარული და ზრუნვა და საკუთარი „მე” დააყენა პირველ ადგილზე.

ადამიანთა ხალასი ბუნების ასეთ გაველურებას უან-უაკ რუსო არასწორ აღზრდას, მოუწესრიგებელ სოციალურ გარემოს მიაწერს; შეცდომას თუ დანაშაულს სჩადიან

2 უან-უაკ რუსო „გაცთა შორის უთანასწორობის შესახებ”

ის ადამიანები, რომლებსაც მისი თქმით „თავისი ჭკუის ზღუდე სინამდვილის ზღუდედ მიაჩნიათ.“ მაგრამ რუსოს პედაგოგიური ოპტიმიზმი ერთი წუთითაც არ ტოვებს და სჯერა, რომ ცოდნას ბევრი სასიკეთო რამ შეუძლია. როგორც პორაციუსმა თქვა: „ცოდნით ვერ მოლბეს, არავინაა ისე ველური, ოდონდ სწავლას მან მოთმინებით მიაპყროს უერი.“

რუსომ თავისი გენიალური პედაგოგიური ტრაქტატი „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ აღზრდის არსებულ მახინჯ პრაქტიკას დაუპირისპირა. ბუნებრივი აღზრდის იდეის პრიორიტეტულობა მეცნიერულად დაასაბუთა და მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონისადმი დაქვემდებარება მოითხოვა. ბუნებრივობის ცნება ყოველივე საუკეთესოს პრინციპად გამოაცხადა, ხოლო არაბუნებრივი ანუ ადამიანთა მიერ შექმნილი, რასაც კულტურის მოვლენა ეწოდება, ყოველივე ცუდისა და უგარისობის სინონიმად მოიხსენია. ბუნებრივის უზადობაზე და ხელოვნურის სიბილწეზე საუბრით იწყებს რუსო თავის პედაგოგიურ ტრაქტატს „ემილს.“<sup>3</sup> სადაც ვკითხულობთ: „ყოველივე საუკეთესო მოდის შემოქმედისგან, ყველაფერი მახინჯდება ადამიანის ხელში“.³

თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგიკის კლასიკოსი არ ცნობდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერული უზრუნველყოფის, სწორ, დემოკრატიულ – ჰუმანურ საწყისებზე დაფუძნების, მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ ხელმძღვანელობის პიროვნულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას; მიაჩნია, რომ ბავშვის ფიზიკური და სულიერი ძალები თავისით იზრდებიან. აღმზრდელის მოვალეობა კი ის არის, რომ ააცდინოს ბავშვს გარემოს უარყოფითი გავლენები; არ

3 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 201

შეიძლება ბუნებრივი განვითარების ხელოვნური დაჩქარება. და, აღმზრდელის გამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ისე წარმართოს ბავშვი და ისე უხელმძღვანელოს მის აღზრდას, რომ ის არც კი გრძნობდეს ამ ხელმძღვანელობას და ფიქრობდეს, რომ ყველაფერს თავისი ნებით აკეთებს. რუსო უბრალოდ წინააღმდეგი იყო იძულებითი საშუალებების გამოყენების, როგორიცაა: ბრძანება, აკრძალვა, მუქარა, დაშინება, დასჯა და მისთანანი. აქ საუბარია პედაგოგიკურ მეცნიერებაზე დაფუძნებულ პედაგოგიურ ხელოვნებაზე, აღმზრდელის ოსტატობაზე, რომ მისი პროფესიული ჩარევა შეუმჩნეველი და უმტკიცნეულო იყოს აღსახრდელისთვის.

რუსო აღზრდის პროცესში გარემომცველი ბუნების, მაგალითად, მცენარის მოვლა-დამუშავების ანალოგს ხედავს. ის წერს: „მცენარეს დამუშავების საშუალებით აძლევენ ფორმას, ადამიანს კი – აღზრდის გზით”.<sup>4</sup> მისივე თქმით: ადამიანი რომ დიდი და ძლიერი იბადებოდეს, სანამ ის ამ მონაცემების გამოყენებას ისწავლიდა, მანამ შიმშილით მოკვდებოდა სიღატაკეში. ადამიანთა მოდგმა ამოწყდებოდა, რომ ის ჩვილად არ იბადებოდეს. „ჩვენ ვიბადებით უმწეო – გვჭირდება ძალა; ჩვენ დაბადებისას არაფერი არ გაგვაჩნია – გვჭირდება დახმარება; ჩვენ ვიბადებით აზრების გარეშე – გვჭირდება განსჯა; ყველაფერი, რაც არა გვაქვს დაბადებისას და აუცილებლად გვჭირდება დიდობისას, მას ვდებულობთ აღზრდის მეშვეობით”.<sup>5</sup> ხოლო აღმზრდელად გვევლინებიან ბიოლოგიური ანუ თანდაყოლილი ბუნებრივი მონაცემები, ადამიანები და საგნები. ჩვენი განვითარების შინაგანი პოტენციური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება ხდება ბუნებრივად; ამ ბუნებრივი შესაძლებლობების გამოყენებას ვსწავლობთ ადამიანების-გან; ხოლო პირად გამოცდილებას ვიძენთ საგანთა შეგრძ-

4 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. ჰ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 201

5 იქვე

ნებების გზით. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ, როგოც წესი, ადამიანს პიროვნებად აყალიბებს სამი სახის მასწავლებელი: თავისი ბუნებრივი, ღვთის მიერ ბოძებული ძალები და უნარები, აღმზრდელ—მასწავლებლები, საზოგადოება და მთელი გარემომცველი სინამდვილე.

რუსო გენიალურად ხსნის მოუწესრიგებელი გარემოს უარყოფით გავლენას აღსაზრდელზე. აქაც მცენარე მოჰყავს მაგალითად. ხე, რომელიც რაღაც სიმძიმის მოწოდის გამო მოღუნული გაიზარდა, ამ შემფერხებელი გარემოების მოშორების შემდეგაც ის რჩება ისეთ არაბუნებრივ მდგომარეობაში, როგორიც მან იძულებით მიიღო. მაგრამ თუ განაგრძო მან ზრდა, ისევ გასწორდება.<sup>6</sup> ზუსტად იგივე ემართება, იმ გადახრებს, რომელიც აღსაზრდელმა გარედან მიიღო. „აღზრდა სხვა არაფერია – წერს რუსო – თუ არა ჩვევა?“<sup>7</sup> ჩვევა კი თავისი ბუნებით, ეგზოგენურია, რაც შესაძლებლობას იძლევა იმისა, რომ ცუდი აღზრდით მიღებული ცუდი შედეგი აღმოიფხვრას კარგი აღზრდის, უფრო სწორად, ხელახლა აღზრდის მეშვეობით, როგორც ეს გააკეთა ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელში“ ონოფრე მასწავლებელმა 17 წლის გარგანტუას ხელახლა აღზრდის შემთხვევაში. თუმცა რუსოს სავსებით სწორად აქვს განჯვრეტილი, რომ სანამ საზოგადოებაში არსებობენ ურთიერთ დაპირისპირებული მხარეები: მდიდრები და დარიბები, გაზულუქებულები და მათგან შეჭირვებულ-შევიწროებულები, სანამ იარსებებს უსამართლობა და უმუშევრობის ეპიდემია, იქ ვერასოდეს ფეხს ვერ მოიდგამს შშვიდობა, რეალური დემოკრატია და პუმანიზმი. საზოგადოებაში დარღვეული პარმონია მთელი ძალით ეწინააღმდეგება ბუნებრივს, რაც აღზრდაში თავს იჩენს გაორებულ ადამიანთა სახით, რადგან აღზრდა, რომელიც მიისწრაფვის ორი მიზნისკენ, ვერც ერთს ვერ მიაღწევს და შედგად

6 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. ჰ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 260

7 იქვე, 203

გაორებულ თაობას მიიღებს, რომელიც „თავს ისე აჩვენებს, თითქოს ყველაფერს სხვისთვის აკეთებს, სინდვილეში კი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს”.<sup>8</sup>

ჟან-ჟაკ რუსო მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ პიროვნების ფორმირება უნდა წარიმართოს ბავშვის ბუნებას-თან აღზრდის შესაბამისობის კანონის მიხედვით, რომელიც ურყევად დაეფუძნება აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებებისა და სხვა პედაგოგიური სიტუაციის შესატყვის, ასევე სხვა პედაგოგიურ პრინციპებს. თუმცა პედაგოგიკის კლასიკოსმა კარგად იცის, რომ აღზრდა სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების ერთერთი წამყვანი ფაქტორია და არა – ერთადერთ, რომ მხოლოდ აღზრდის პედაგოგიური კანონები და პრინციპები არ არის საკმარისი იდეალური შედეგის მისაღწევად. ზემოთ სხენებული „სამი სახის მასწავლებლთა“ ერთობლივი, სინქრონული და მიზანმიმართული მოქმედებით მიიღწევა აღზრდის რუსოსეული გენერალური მიზანი – ადამიანში ადამიანური ბუნების განვითარება.

ბავშვის ბუნების, ადამიანური არსების სწორად განვითარებაზე პედაგოგიური ზრუნვა, რუსოს აზრით, უნდა დავიწყოთ ჯერ კიდევ მის მუცლადყოფნიდან და გაგრძელდეს ზრდასრულობამდე ისე, რომ ყველა გარეპირობები მოგებულიყოს მის ადამიანურ არსებაზე და არა პირიქით, ბავშვი მოერგოს გარემოპირობებს, როგორც ეს ხდებოდა რუსოს დროს და, სამწუხაროდ, გრძელდება დღემდე. რუსო ისეთ ბუნებრივ საზოგადოებრივ წყობილებაზე ოცნებობს, სადაც ადამიანები თავიანთი ბუნებისამებრ იქნებიან თანასწორუფლებიანები და ერქმევათ საერთო სახელი „ადამიანური!“ „ემილის“ ავტორი მთელი კატეგორიულობით მოითხოვს ადამიანში ადამიანური ბუნების მაქსიმალურ განვითარებას. მას სწამს, რომ ადამიანად აღზრდილი ადა-

8 ჟან-ჟაკ რუსო „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ წგ-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა იან ამოს კომენსკი, ჯლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი. გ პესტალოცი, მ. 1989, გვ. 199

მიანი ცხოვრების ყველა სფეროში, უპირველეს ყოვლისა, იქნება ადამიანური, რაც არ მისცემს მას არაადამიანურობის უფლებას, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს ის. სწორედ, ამიტომ ადამიანური ბუნების შესწავლა მიაჩნია მას ჭეშმარიტ მეცნიერებად.

რუსო მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ფორმაციიდან გამომდინარე, ოჯახს, საშინაო აღზრდას, კომენსკოსეულ „დედობრივ სკოლას“ ანიჭებს უპირატესობას. ნათე-საური კავშირი, თბილი გრძნობები, უპირობო ბუნებრივი სიყვარული ოჯახს აქცევს უნიკალურ ოაზისად, მყუდრო და უსაფრთხო ადგილად გონიერი მშობლების ხელში, რომლებსაც სწორად აქვთ ადქმული და გაცნობიერებული მეუღლეობისა და მშობლობის სტატუსის უნიკალურობა.

რუსოს არ აქმაყოფილებს მისდროინდელი არც განათლების სისტემა და არც ოჯახური აღზრდის სტილი. მშობლები თავიანთ მოვალეობად თვლიან შვილების საფრთხეებისაგან დაცვას და ეს კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი. საჭიროა მათ აღმზრდელებისაგან ისწავლონ თავდაცვა, დაბრკოლებების გადალახვა, პრობლემების გონივრულად მოგვარება, სწორი გადაწყვეტილებების მიღება, პირადი და სხვათ გამოცდილების სიტუაციის, დროისა და ადგილის შესატყვისად გათვალისწინება. მთავარი მარტო ის არ არის ბავშვი სიკვდილისგან დავიცვათ, მთავარია ვასწავლოთ ადამიანური ცხოვრება. ცხოვრება კი მხოლოდ სუნთქვა, მხოლოდ არსებობა როდია. ის ნიშნავს მოქმედებას, რომ გაცნობიერებული და მიზანმიმართული „გამოვიყენოთ ჩვენი ორგანოები, გრძნობები, უნარები, ჩვენი არსებობის შეგნების მომცემი სხეულის ნაწილები. . . იმან კი არ იცხოვრა მეტხანს, ვინაც მეტი წელი იცოცხლა, არაამედ მან, რომელმაც ყველაზე ძალუმად შეიგრძნო ცხოვრების აზრი. ზოგჯერ ასი წლის ბებერს აბარებენ მიწას, ის კი დაბადებისთანავე მოკვდა“ – ვკითხულობთ „ემილის“ I წიგნში.

მშობლები, რომელნიც უგულებელყოფენ შვილების კა-

ნონიერ მოთხოვნებს და აკეთებენ იმას, რაც თავად უნდათ და მოსწონთ და არა იმას, რაც ბავშვებს მოსწონთ, რუსო ამას ავტორიტარულ მიდგომად აფასებს და მიაჩნია ბარიერად მშობლებსა და შვილებს შორის ბუნებრივ ურთიერთობაში. ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების ბოლო ზღვრის დადგენა შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებელია და აუცილებელი საწყისი პუნქტის, ათვლის წერტილის დადგენა, რაც რუსოს აზრით, აღმზრდელს აძლევს საშუალებას, ბავშვის განვითარების დონისა და ასაკის შესაბამისად აღმზრდელობით დონისძიებათა სისტემის წინასწარგანსაზღვრისა.

რუსო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლა – სწავლების მნიშვნელობას. მისი ოქმით, ცხოველებიც კი ბევრ რამეს სწავლობენ. მათ აქვთ შიმშილის, წყურვილის, სიარულის, ფრენის, ცურვის და სხვა გრძნობები, რომელთა დაკმაყოფილება უნდა ისწავლონ და სწავლობენ კიდეც მშობლების დახმარებით. „სულიერ და მგრძნობიარეთათვის არსებობა, ყველაფერი სწავლების საგანს წარმოადგენს“.<sup>9</sup> მით უმეტეს ადამიანს, ქმნილებათა გვირგვინს, რომელსაც მემკვიდრეობით გადაეცემა განვითარების პოტენციური ბიო-სოციალური და ფსიქიკურ-ინტელექტუალური უნარები ჩანასახის მდგომარეობაში, მისი სრულფასოვან პიროვნებად ფორმირება წარმოადგენს არა მარტო სწავლა-სწავლების, ამასთანავე აღზრდის მთავარ ამოცანას. ამიტომ „ემილის“ ავტორი პირველ ეტაპზე, ფიზიკური აღზრდის ამოცანას, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივ, ფუნქციონალური მოძრაობის განვითარებაში ხედავს.

ჟან-ჟაკ რუსო იხილავს რა ჩვილის ბუნებრივი მოთხოვნილებების მგრძნობელობის გამოხატვის საკითხებს, იგი დეტალებში ეხება იმ ბუნებრივ ენას, რომელსაც ბავშვი იყენებს ენის ადგმამდე ანუ ლაპარაკის დაწყებამდე. ამ

<sup>9</sup> ჟან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ.216

ენას რუსომ უწოდა ბუნებრივი და ყველასათვის საერთო. ეს არის ტირილი და ჟესტიკულაცია. ტირილთან დაკავშირებით ის წერს: „ტირილი, რომელიც ესოდენ უმნიშვნელოდ გვეჩვენება, სწორედ, აქ იბადება პირველსაწყისი ურთიერთობისა გარესამყაროსთან”.<sup>10</sup> ბავშვის ეს პირველი და საერთო ენა სრულად ეხმით ძიებს, მშობლებს, მასწავლებლებს. მაგრამ თუ კი ვერ მივხვდით ტირილის მიზეზს, მისი მოთხოვნის დაქმაყოფილება შეუძლებელია. ბავშვი კი არ ჩერდება და ჯიუტობს, ჩვენ კი ვდიზიანდებით და ვძალადობთ მასზე. ამით იმას ვაღწევთ, რომ მის ცხოვრების დასაწყისშივე საშინელ გაკვეთილს ვაძლევთ. პირველი ტირილი – განაგრძობს იგი – არის თხოვნა. თუ მაშინათვე სათანადო ზომები არ იქნა მიღებული, თხოვნა იქცევა ბრძანებად. გარედან მიღებული შეგრძნებები ბავშვისთვის სასიამოვნოა ან არასასიამოვნო. შესაბამისად მისი რეაქციაც ადეკვატურია. როცა ბავშვი იკმაყოფილებს თავის გრძნობებს, იგი წყნარად არის და სიამოვნებით ერთობა. როცა ამას ვერ ახერხებს საკუთარი ძალებით, ის იწყებს ტირილს და მანამ არ ჩერდება, სანამ არ მიიღებს სათანადო დახმარებას. ტირილის ერთერთი მიზეზი შეიძლება იყოს შიშიც. იმ საგნებს თუ მოვლენებს, რომელიც შეგრძნებაში პქონდა და ბავშვი უკვე შეეჩვია, მის მიმართ გამქრალი აქვს შიშის გრძნობა და ჩვეულებრივ ურთიერთობს. მაგრამ სულ მალე აქ თავს იჩენს მობეზრების ფაქტორი და ახალი საგნების მიმართ ავლენს ინტერესს. მაგრამ უცნობი საგნები ხშირ შემთხვევაში გამოუცდელობის გამო შიშს გვრის ბავშვს. ეს უფრო მეტად მაშინ ხდება, როცა საგანი მახინჯია, საზარელი. ამ შემთხვევაში რუსო გვთავაზობს მარტივ, მაგრამ ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან პედაგოგიურ მეთოდს. აღმზრდელი იდებს ნაცნობ და უცნობ საგანს, სიხარულითა და მოწონებით ხან ერთმანეთს

10 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 219

შეახებს მათ, ხან კიდევ თვითონ ჩაიხუტებს სიამოვნებით. შემდეგ ბავშვს აძლევს არჩევანის თავისუფლებას. ამ დო-მილსა და ფერებაში პატარას უნელდება შიშის გრძნობა და უადვილდება ახალ საგანთან ადაპტაცია. სხვა დროს, სხვა სიტუაციაში, ადვილად ცნობს მას, რადგან მის ცნო-ბიერებაში უკვე დაფიქსირებულია წარმოდგენის სახით და არანაირი შიში არა აქვს უკვე მის მიმართ.

რუსო ხაზგასმით აღნიშნავს თანდაყოლილ ბუნებრი-ვი ცნობისმყვარეობის, როგორც ბუნებრივი განვითარების ტენდენციის, გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის განვითა-რების საქმეში. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ბავშვის ქცე-ვასა და მოქმედებაში. იგი ყველაფერს ეპოტინება, უნდა ყველაფერი ხელში აიღოს. რუსოს თქმით, ბავშვს ამაში ხელი არ უნდა შევუშალოთ. ეს აძლევს მას პირველ და აუცილებელ ცოდნას სამყაროს შესახებ. სწორედ, ასე სწა-ვლობს სითბოს, სიცივის, სიმკვრივის, სირბილის, სიმძიმის, სიმსუბუქის შეგრძნებებს; გრძნობათა ორგანოების მეშ-ვეობით განსაზღვრავს ფერს, ფორმას, სიდიდეს, სიგრძეს, სიგანეს, წონას, ზომას, საგნებს შორის განსხვავებასა და მსგავსებას და ა. შ. იმდიდრებს საწყის ცოდნას საგნებსა და მოვლენების შესახებ. თუმცა არის ისეთი შემთხვე-ვებიც, ბავშვი ყველას და ყველაფრის მიმართ აგრესიას ავლენს. საგნებს აფუჭებს, აგდებს, ამტვრევს, აწვალდებს, წესრიგს არღვევს. ამ ქცევას რუსო განიხილავს როგორც პროტეგებს ბავშვის მიერ თავისი ბუნებრივი სისუსტისა და სხვაზე დამოკიდებულების, თავისი უმწეობის მიმართ, რომელიც თანდაყოლილი ნაკლი: სიამაყე, თავმოყვარეობა, ძალაუფლებისმოყვარეობა, სიბოროტე და ა. შ. უბიძგებს მას საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცოს თავისი ძალა და უპირატესობა. ასევე პარალელს ავლენს ბავშვო-ბასა და მოხუცებულობას შორის და საერთოს ხედავს ორივეს სისუსტეში. მაგრამ, რუსოს აზრით, ყოვლისშემო-ქმედმა იზრუნა იმაზე, რომ დიდი ზიანის მოტანა არ შეძ-ლებოდათ, ამიტომ მათ მცირე ძალა უბობა.

რუსოს მიხედვით, ბავშვი იმთავითვე უნდა იქნეს გამოკვლეული და დადგენილი მისი ბუნებრივი შესაძლებლობები, მიღრეცილებები, დაფებითი და უარყოფითი მხარეები მანამ, სანამ ის ისწავლის სიცრუესა და თავის მოკატუნებას, თვალომაქცობას, რომ როგორც კი მათ მიეცემათ ამის საშუალება, თავიანთი კაპრიზების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ ირგვლივ მყოფი ადამიანები, ისინი შემდეგ ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, ბოროტად ისარგებლონ თავიანთი გავლენებით. ძნელი არ არის იმის შეგრძნება, რომ ამას ისინი აკეთებენ თავიანთი მანკიერებისა და სისუსტეების გადასაფარად და ამ გზით ხდებიან მომაბეზრებელი, ტირანი, ამპარტავანი, ბოროტი, მოუთვინიერებლი. ეს მორალური დევექტები სათავეს იღებს არა თავისი ბუნებიდან, არამედ ბოროტ სულს თვითონ აძლევს ნებას მასში დამკვიდრების, რადგან ჩვევის ძალით მოთხოვნილებად ექცა სხვის ხარჯზე ბრძანებებითა და განკარგულებებით ცხოვრება. ეს იმპერატული სული, სხვაზე ბატონობის სურვილი მაშინაც არ ტოვებს მას, როცა სული და ხორცი დაბალანსებულია და გაწონასწორებული. აღსაზრდელს ასაკობრივ ზრდასთან ერთად უდრმავდება ძალაუფლების სიყვარული და ქედმაღლობისა და ამპარტავნობის გრძნობა. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს თავნებობა, მით უფრო მყარდება და მტკიცდება იგი და ასე იკავებს ბუნებრივი მოთხოვნილებების ადგილს უკვე ჩვევაში გადასული მანკიერება; ჩვევა კი ადამიანის მეორე ბუნებად გარდაიქნება. ასე უშვებს თავის პირველ ფეხვებს გადმონაშობი და ცრუ რწმენები. ასეთი თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობის შემდეგ რუსო აყალიბებს თავის საპრევენციო და საკორექციო პედაგოგიურ რეკომენდაციებს:

- ბავშვის ბუნებრივი ფსიქიკურ – ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემების გამოკვლევა;
- ათვლის პუნქტის დაღვენა და ბუნებრივი გრძნობების განვითარების გაწყვეტილი რგოლიდან პედაგოგიური ლონისმიერების გატარების დაწყება;

- ბაგშვებს ხშირად არ ყოფნით ძალა, იმის დასაკმაყოფილებლად, რასაც მისი ბუნება, განვითარების ტენდენცია მოითხოვს მათგან. ამიტომ საჭიროა მიეცეთ მათ საშუალება თავისუფლად გამოიყენონ ყველა ის ძალები, რითაც დაჯილდოებულნი არიან და რომელთა ბოროტად გამოყენება ჯერ არ უსწავლიათ. ვასწავლოთ საქუთარი ძალების მოსინჯვა;
- საჭიროა დავეხმაროთ სულიერი და ფიზიკური ძალების უკმარისობის ამოვგებაში;
- დახმარების აღმოჩენისას არავითარი დათმობა მათი კაპრიზების, უსაფუძვლო სურვილების მიმართ. მათ არ შეაწუხებს არავითარი კაპრიზები, თუ არ მივცემთ აღმოცენების საშუალებას, ან აღმოცენებისთანავე ჩავახშობთ, რადგან ის ბუნებრივი წარმოშობის არ არის;
- გულისყურით უნდა შევისწავლოთ ბაგშვების ენა და ნიშნები, რამდენადაც მათ ამ ასაკში არ იციან თვალთმაქცობა, ადვილად შეიძლება გავარჩიოთ მათი სურვილები უშუალოდ მათი ბუნებიდან მომდინარეობს თუ კაპრიზებია.

რუსოს აზრით, ამგვარ მონაცემთა ბაზის შექმნის საფუძვებები უნდა შემუშავდეს შესაბამისი პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც სწორ მიმართულებას მისცემს აღზრდის პროცესს. რუსოსეული წესების არსი, მისსივე თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ ბაგშვებს მიეცეთ მეტი თავისუფლება ბუნებრივი მოქმედებისათვის და რაც შეიძლება, ნაკლები ძალაუფლება; შეიქმნას ისეთი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პირობები იმოქმედოს თვითონ თავისი ბუნებრივი გრძნობების შესაბამისად და ნაკლებად იყოს სხვაზე დამოკიდებული, რომ არ გაუტკენეს სხვის ხარჯზე ცხოვრება. ე. ი. ბაგშვის სხვულსა და მის ნაწილებს მიეცეთ სრული თავისუფლება ფუნქციური განვითარებისათვის. ჩვენი ზრუნვა კი უნდა გამოიხატოს უსაფრთხოების დაცვასა და წინსვლისათვის ადეკვატური სო-

ციალური და პედაგოგიური პირობების შექმნაში და, არა მარტო მათში.

ამ და სხვა მაგალითების საფუძველზე რუსოს შესაბამისი დასკვნა გამოიაქვს სწავლა-საწვლების პროცესთან დაკავშირებით: „ბავშვის ცხოვრების აღრეულ ასაკში როცა მისი მექანიკური და წარმოსახვები ჯერ კიდევ პასიურ მდგომარეობაშია, ბავშვი უურადღებას იჩენს მხოლოდ იმის მიმართ, რაც მოცემულ მომენტში მოქმედებს მის გრძნობებზე. ასე რომ შეგრძნებები იძლევა პირველად მასალებს შემეცნებისათვის, გარკვეული თანმიმდევრობით მიღებული წარმოდგენები ამზადებს მექანიკურებას, რომ მან შემდეგში ამავე თანმიმდევრობით შეინახოს და მიაწოდოს გონიერას”.<sup>11</sup> ასე ადვილად და გასაგებად დაგვანახვა „ემილის” ავტორმა შეგრძნებების საფუძველზე შემეცნებითი პროცესის როგორც საგანმანათლებლო, ისე განმავითარებელი და აღმზრდელობითი ასპექტები. გვიჩვენა თვასაჩინოებისა და მაგალითის როლი და მნიშვნელობა აღზრდაში. გამოვლენილი კაპრიზების წარმომავლობის დადგენისა და მისი საკორექციო, კომპენსატორული და საპრევენციო საშუალებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიური ტრაქტატი „ემილი ანუ აღზრდის შესახებ” შედგება ხუთი წიგნისგან. მეორე წიგნში კიდევ ერთხელ უბრუნდება ავტორი ტირილის პრობლებას, თუმცა ამჯერად განსხვავებულ ასპექტში. თუ ბავშვის ბოროტად გამიზნულ ტირილს უშედეგოდ ვაქცევთ, ის დაკარგავს ძალას. თუ როგორ უნდა მოხერხდეს ეს, აქვთ გვთავაზობს სიტუაციის შესატყვის თპრიმალურ მეთოდს. ბავშვი როგორც კი იწყებს გაბმულ ტირილს და თხოვნით ან მოფერებით აღარ შოშმინდება, უნდა ჩავრთოთ განრიდების მეთოდი. სანამ ტირის, მივდივართ მისგან. როცა დარწმუნდება, რომ არ უსმენენ,

11 ჟან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი. ჰ. ჰესტალოცი, მ., 1989, გვ. 217

წყვეტს ტირილს და მყისვე იწყებს შერიგების პროცედურას. ამ შემთხვევაში უკვე მივდივართ დაომობაზე.

რუსო ითვალისწინებს რა ყველა მოსალოდნელ საფრთხეს, რომლისგანაც არც ერთი ბავშვი არ არის დაზღვეული, როგორიცაა: დაცემა, გაკაწრვა, თავის გახეთქვა, ცხირიდან სისხლის წამოსვლა, თითის გაჭრა, თუ სხვა მსგავსი რამ, ის გვირჩევს პანიკის გარეშე მშვიდად დავეხმაროთ. სულერთია, მომხდარს უკან ვერ დავაბრუნებოთ, ის უკვე უნდა გადაიტანოს. ამით ამ ასაკიდანვე ვაძლევთ მას ვაჟგაცობის გაკვეთილს, მცირე ტკივილის უშიშრად გადატანით, ვასწავლით უფრო ძლიერი ტკივილის გადატანას. „მე არ ვისურვებდი, რომ ემილს არასოდეს გამოეცადა ტკივილი და ისე გაზრდილიყო. ტანჯვა – ეს პირველი გრძნობა, რომელიც მან უნდა ისწავლოს, ეს ჩვევა ცხოვრებაში ყველაზე მეტად დასჭირდება”.<sup>12</sup> რუსო ცამდე მართალია, რადგან არასოდეს არ უოფილა ხალხის, პატიოსნად მშრომელი ადამიანების ცხოვრება დალხინებული და უზრუნველი.

სამართლიანად აკრიტიკებს რუსო ზედმეტ მეურვეობას. მისი აზრით, ბავშვს გაფაციცებით ვასწავლით იმას, რასაც უჩვენოდაც ბევრად უკეთესად ისწავლის, ხოლო არ ვასწავლით იმას, რასაც დაუდალავად უნდა ვასწავლიდეთ. ბავშვმა გარეთ სუფთა პაერზე უნდა ირბინოს, ისეტიალოს, ინავარდოს, თავისი ძალები განივითაროს. რაც უფრო ბევრჯერ დაეცემა, მით უფრო ადრე ისწავლის წამოდგომას. თავისუფლების სასიამოვნო გრძნობა, ყველა ჭრილობას გამოისყიდის. რამდენსაც მეტს გააკუთხებ დამოუკიდებლად, მით უფრო ნაკლებად დასჭირდებათ სხვისი დახმარება. ბავშვს ბავშვობა არ უნდა წავართვათ ბარბაროსული აღზრდით მისოვის ბუნდოვანი მომავლის სახელით. სინამდვილეში ყველაზე მხიარული ასაკი

12 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალიცი, მ., 1989, გვ. 223

გადის ტირილსა და დასჯაში, დაშინებასა და მონობაშიც: ხალხნ, იყავით ადამიანური!... გიყვარდეთ ბავშვობა, იყავით მათ მიმართ ყურადღებიანი და მომოქმენი. მიეცით მათ საშუალება დატკბნენ ცხოვრებით. „კაცობრიობას თავისი ადგილი აქვს სამყაროში, ბავშვობას კი – ცხოვრებაში. ადამიანში უნდა დაგინახოთ ადამიანი, ბავშვი კი – ბავშვი“.<sup>13</sup> ეველაზე დიდი სიკეთე რუსოსთვის არის თავისუფლება და არა ძალაუფლება. უფროსებმა მორჩილება კი არ უნდა გაიძულოთ ბავშვს, არამედ მან თვითონ უნდა იგრძნოს მისი საჭიროება, რომ დახმარებისათვის მიმართოს უფროსებს. ბრძენი ადამიანები მყარად ინარჩუნებენ თავიანთ ადგილს, ბავშვებმა ჯერ არ იციან თავიანთი ადგილი. ამიტომ რუსოს აზრით, ბავშვებს საშუალება უნდა მივცეთ, რომ ჩვენი გონივრული მხარდაჭერით იპოვონ და დაიმკვიდრონ ადგილი ცხოვრებაში.

რუსო, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ჯონ ლოკის პედაგოგიურ მემკვიდრეობას, იგი სრულიდ ეთანხმება მის შეხედულებებს იმის შესახებ, რომ ბავშვის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადებას პირველ რიგში სჭირდება ჯანსაღი სხეული. ამიტომ ის პირველ ადგილზე აყვნებს ფიზიკურ აღზრდას. ბავშვის თვითმოძრაობა არის მისი განვითარების საძირკველი. ამიტომ თვითმოძრაობა არ უნდა შეიზღუდოს, რადგან ამ თვითმოძრაობით ვითარდება ბავშვი მუცლიდანვე. გამოცდილებით მიღებული ცოდნა უფრო გასაგები და მტკიცეა, ვიდრე თეორიული წარმოდგენები, ზეპირი სიტყვით მოსმენილი ცოდნა. ადრეულ ასაკში, სანამ ბავშვი კონკრეტული აზროვნების დონეზე იმყოფება, საგნებზე ემპირიული დაკვირვების, უშუალო შეგრძნებების გზით უნდა იცნობიერებდეს მის ირგვლივ არსებულ სინამდვილეს. ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს ტკივილების ატანას, მასთან საკუთარი ძალებით

13 ჟან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი. ჰ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 224

გამკლავებას. ბუნების წიაღში განავარდება, მცენარეებთან, ცხოველებთან უშუალო შეხება, ხეებზე ძრომიალი, მზეზე გარუჯვა, სირბილი, ხტომა თამაში და ა. შ. რუსოს პედაგოგიური რეკომენდაციები ხელს უწყობს აღსაზრდელის ჯანმრთელობას, ფიზიკურ გაკაჟებას, მოქნილობასა და ელასტიურობას; ბუნებრივი გარემოს შესახებ ინფორმაციების ბუნებრივად მიღებას. განსჯა, რუსოს აზრით, აღზრდის მიზანია და როცა აღმზრდელი მას აღზრდის საშუალებად იყენებს, შედეგი ნაკლებია. განსჯა არ აძლევს ბავშვს განსჯის საგანზე რეალურ წარმოდგენას, უშინაარსო სიტყვები რჩება მხოლოდ და არაფრით არ უწყობს ხელს მის განვითარებას. განვენებული მსჯელობით ნამდვილ მსჯელობას ის ვერ ისწავლის, რადგან თვითონ არასოდეს უმსჯელია, მას მხოლოდ მასწავლებლისგან ისმენდა. მსჯელობის უნარის განვითარების საშუალებად რუსოს პრაქტიკული ცდები მიაჩნია; აღზრდის საფუძველი საგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებები უნდა იყოს და არა მასწავლებლისგან მიღებული სიტყვები: „ნურავითარ სიტყვიერ დარიგებას ნუ მისცემთ თქვენს შეგირდს, დარიგება მან მხოლოდ გამოცდილებიდან უნდა მიიღოს.... მე არ მიყვარს ცარიელი სიტყვებისგან შედგენილი ახსნა-განმარტება. საგნები მოგვაწოდე, საგნები! მე არ შევწყვეტ იმის გამეორებას, რომ ჩვენ უზომო მნიშვნელობას ვანიჭებო სიტყვებს. ჩვენი ჭარბსიტყვაობით ჩვენვე ვზრდით მოლაყებებს”.<sup>14</sup> ბევრი, მართლაც არაფერი გაეგებათ რა სიტყვის არსისა, მარიაჟობენ მაღალფარდოვანი უსარგებლო მეტყველებით. რუსო ამ შემთხვევაშიც თანხმობაშია პედაგოგიკის კლასიკოსებთან. განსაკუთრებით კვინტილიანება და კომენსკისთან.

განაგრძობს რა მსჯელობას, რუსო ამბობს, რომ სწავლება უნდა იწყებოდეს კონკრეტულიდან და თანდათანო-

14 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 224

ბით უნდა გადადიოდეს აბსტრაქტულ აზროვნებაზე. „დევ, გონიერას პირველი ოპერაციის დროს მხოლოდ გრძნობები ჰყავდეს ხელმძღვანელებად. არავითარი სხვა წიგნი, გარდა ცოცხალი ბუნებისა, არავითარი სხვა სწავლა-დარიგება, გარდა ფაქტების.”<sup>15</sup> ეს ეხება „დედობრივი სკოლისა” და უმცროს სასკოლო ასაკს, სანამ გონიერივი სიმწიფე აბსტრაქციული აზროვნების საწყის დონეს მაინც არ მიაღწიეს.

რუსო წინააღმდეგია დოგმატური, მზა-მზა, მასწავლებლის პირიდან მოსმენილის უკრიტიკოდ დამახსოვრებისა. სწავლას უნდა ჰქონდეს კვლევა-ძიების ხასიათი. ბავშვი კითხვებით უნდა მივიყვანოთ ობიექტურ დასკვნამდე. ბავშვის თვითმოქმედების გზით შეძენილ ცოდნას თვლის რუსო განვითარების საფუძვლად. მისთვის მთავარია, ბავშვმა ცოდნის აღმოჩნის წესი, კვლევის მეთოდი შეითვისოს თვით კვლევა-ძიებითი შემეცნების პროცესში. მშრალი მეხსიერება არ ავითარებს აზროვნებას. შემეცნებითი აქტიურობისთვის მთავარია ცოდნა ბავშვის მოთხოვნებს, მის ინტერესებს შეესაბამებოდეს. რუსო ამ დებულებას აფუძნებს ემილის აღზრდის ცოცხალ მაგალითზე. ემილი ასტრონომიას, გეოგრაფიას სწავლობს საველე პირობებში კოსმიურ და მიწიერ სხეულებზე უშუალო დაკვირვებით. ამ გზით მიღებული შთაბეჭდილებებით გამდიდრებული გონიერა ადვილად გადადის ცნებებით აზროვნებაზე.

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე საშიშ პერიოდად რუსო თვლის ბავშვის დაბადებიდან 12 წლამდე დროის მონაცვეთს. ამ დროს აღზრდის წესთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და სასარგებლოა დროის მაქსიმალურად გამოყენება და არა მისი მოგება. კვინტილიანე კიდევ უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს ამ მხრივ. ის წერს: „ბავშვს დაბადებიდანვე ჩავჭიდოთ ხელი, ავუწყოთ ნაბიჯები და მიგა-

15 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. ჰ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 224

ცილოთ სიმწიფის კარამდე.” „რატომ არ უნდა მივაჩვიოთ ისინი თავიდანვე კეთილზნეობას?! მართალია, ამ შვიდი წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნა, მომდევნო ერთი წლის ტოლფასია, მაგრამ ტოლფასია წინა წლების საფუძველზე... იმაზე უკეთესს რას მისცემ ბავშვს, ენასთან ერთად კეთილზნეობასაც თუ ასწავლი?! ასე, რომ ნუ უგულებელყოფთ იმ წლებს, რა სარგებელიც არ უნდა მოგვიტანოს შემდგომმა წლებმა. ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად შეიძენს ცოდნას, შემეცნებას და სასურველ წარმატებასაც მიაღწევს და ბაგშვობაში მოგებული დროც სიქმაწვილეში დაეზოგება. ჩვენი რჩევაა, ვასწავლოთ დროის ფასი, მით უფრო რომ, ყოველი მეცნიერების საწყისია მეხსიერება, რომლითაც ბავშვები აგრერიგად არიან დაჯილდოებული”.<sup>16</sup>

დიდებს საერთოდ არ ახსოვთ თავიანთი ბაგშვობა და პატარებს თავიანთი გადასახედიდან აფასებენ, მოითხოვენ მათგან იმას, რაც მათ სურთ. არ ითვალისწინებენ ბავშვის სურვილებსა და შესაძლებლობებს. როგორც ჟან-ჟაკ რუსო ამბობს, ბავშვისგან უნდათ შექმნან მეცნიერი. აი, სად იწყება მათ შორის გზის გასაყარი. ურთიერთობაში წარმოქმნილი დისონანსი აწმილებს ორივე მხარეს, აღმზრდელსაც და აღსაზრდელსაც. გაწმილება კი უმავე მარცხია. არადა მისი თავიდან აცილება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მისი გასწორება. თვითონ ნუ ვიწყებთ აღმოჩენებს საკუთარი სუბიექტური მოსაზრებებითა და შიშველ პრქტიციზმზე დაყრდნობით, არამედ მივმართოთ კაცობრიობის მიერ დაგროვილ უმდიდრეს პედაგოგიურ საგანძურს, ვისწავლოთ მისი შემოქმედებითად ათვისება და პედაგოგიური სიტუაციების, დროისა და სივრცის შესატყვისად გამოყენება. ამის შესახებ სენეკამ კარგად თქვა: ყველა წამალი აღმოჩენილია ჩვენამდე, ჩვენ ისდა დაგვრჩნია, ვისწავლოთ მისი გამოყენება. ან კიდევ „პირ-დაპირ გზას, რომელიც მე ვიპოვე გვიან და ხეტიალით

16 მარკუს ფაბიუს კვინტილიანე, „ორატორის დარიგებანი”, წგ-ნი I, თავი I. სანქტ-პეტერბურგი, მ. 1834, გვ. 6

დაღლილმა, ვუჩენებ სხვებს.” მოდით, და ჯერ ამ გზას გავყვეთ და თავად ავმაღლდეთ, სიმაღლიდან კი უფრო მეტს დავინახავთ. განა ამას არ გულისხმობდა დიდი ნიუტონი, როცა თქვა: მე ჩემს თანატოლთა შორის მაღალი თუ ვჩანდი, ეს იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექიო.

რუსო დაუინებით მოითხოვდა აღზრდის ბავშვის ბუნებასთან, მის ფსიქიკურ-ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებების მაქსიმალურ გათვალისწინებას. რადგან მისი აზრით, აღზრდაში უბრალო შეცდომის დაშვებაც კი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ბავშვის ფაქიზი გრძნობებისათვის. ამიტომ მეცნიერი სავალდებულოდ თვლიდა აღმზრდელთა მიერ ბავშვის ყოველმხრივ შესწავლასა და იმის დადგენას, თუ ვისთან აქვს საქმე, ვინ არის და როგორია ის, რა ცოდნა-გამოცდილების მარაგს ფლობს და რა ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება. უმჯობესია, თავად მას მოვუსმინოთ: „მეორე მოსაზრება... ეხება თითოეული ბავშვის ნიჭიერებას: საჭიროა მათი კარგად გაცნობა, რომ ვიცოდეთ თუ რომელი ზნეობრივი რეჟიმი მოუხდება მას. თითოეულს აქვს თავისი გონებრივი საწყობი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მისი მართვა. „კეთილგონიერო დამრიგებელო! უფრო მეტ ხანს ისწავლე და უფრო კარგად დააკვირდი შენს აღსაზრდელს, ვიდრე პირველ სიტყვას ეტყოდე; მიეცი სრული თავისუფლება, რომ აღმოაჩინო მისი ხასიათის თვისებები; არ აიძულო არაფერში რომ უკეთესად შეიცნო მთლიანობაში”.<sup>17</sup> და, აქვე განაგრძობს ავტორი: ნუ დაგენანებათ აქ დაკარგული დრო და გამოვლენილი მოთმინება, შემდეგში ათმაგად აინაზღაურებთ მას, როცა წარმატებებს იგემებთ.

რუსო მთელი გულით ნატრობს ისეთ აღმზრდელ-მასწავლებლებს, რომელნიც თავად არიან კარგად აღზრ-

17 ქან-ჟაკ რუსო, ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წე-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა, მ. 1989, გვ. 233

დილნი და კარგ მაგალითს მისცემენ თავიანთ აღსაზრდელებს. შემეცნების სენსუალიზმის თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცნობიერებაში არაფერია, რაც შეგრძნებაში არ გვქონია. მაშასადამე შეგრძნებაში მხოლოდ ისაა, რაც ჩვენს თვალწინ, ჩვენს ირგვლივაა: მშვენიერიც და მახინჯიც, ლამაზიც და ულამაზო, ამაღლებულიც და მდაბიურიც, სასარგებლოც და საზიანოც, მისაღებიც და მიუღებელიც, სისუფთავეც და სიბინძურეც, სიყრვარულიც და სიძულვილიც და ა. შ. ბავშვი კი ღრუბელივითაა. ღრუბელი კი ერთნაირად ისრუტავს როგორც სუფთას, ასევე მღვრიე წყალს. მაგრამ როგორც ღრუბელი შეგვიძლია მოვარიდოთ მღვრიე წყალს, ასევე შეიძლება ბავშვი განვარიდოთ უარყოფით გავლენებს. თუმცა, რუსოს მტკიცებით, ამას აკრძალვისა და იძულების მეთოდებით ვერ მივადწევთ. რაც უფრო მეტი აკრძალვები იქნება გამოყენებული, ბავშვს მეტი ცნობისმოყვარეობა და ინტერესი უჩნდება აკრძალულისადმი. ბავშვის ეს განწყობა ძალიან კარგად ესმის „ემილის” ავტორს. თავისი ემილი, სწორედ, ამიტომ მოარიდა ხმაურიან და აჭრელებულ ქალაქს და სოფელში წაიყვანა, რომ ბუნებრივ გარემოში ბუნებრივი აღზრდა მიეღო. ცხადია, რომ დღეს ამის შესაძლებლობა ყველას არა აქვს, მაგრამ ჩვენთვის მთავარია პრინციპი – აღზრდაში გარემოს ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

ახლა მინდა მოვიყვანო ერთი საინტერესო ეპიზოდი „ემილიდან”, რუსომ თუ როგორ ასწავლა და განაცდევინა ემილს საკუთრებისადმი ხელშეუხლებლობის პრინციპი. მიწის ერთ პატარა ნაკვეთში ერთად დარგეს ბობის მცენარე. ყოველდღე ერთად მიდიოდნენ და ზრუნავდნენ, უვლიდნენ, რწყავდნენ და სიამოვნებით აკვირდებოდნენ თუ როგორ ხარობდა პატაწინა ნერგი. სიხარულის გაძლიერების მიზნით რუსო ემილს უუბნება: „ეს შენ გეგუთვნის!” ამით სტიმული მისცა პატარას უფრო მონდომებით ეშრომა, მეტი დრო და ენერგია გაეღო, საკუთრების გემო ეგრძნო.

ერთ მშვენიერ დღეს ემილი სარწყავით ხელში ფეხდაფეხს მიცუნცულებს აღმზრდელთან ერთად. მიადგნენ ნარგავებს და რას ხედავენ?! ბობი ძირფრსვიანად ამოუთხრია ვიდაცას. აღმფოთებულმა ბავშვმა დრიალი მორთო, ნაკადული-ვით სდის ცრემლი. რა ქნან?! დაიწყეს გამოძიება. მათდა გასაკვირად დამნაშავე მებადე აღმოჩნდა. ახლა ჩაეძიენ მიზეზს, თუ რატომ ჩაიდინა ეს მებაღემ. აღმოჩნდა, რომ ეს მისი საკუთარი ბაღი ყოფილა. ამ ნაკვეთზე დათესილი პქონია იშვიათი ჯიშის ნესვი, რომელზედაც ამყარებდა მთელ იმედს: „მე თქვენ გამოუსწორებელი დარტყმა მომაყენეთ და თქვენ თავსაც წაართვით სიამოვნება, მისი გემოთი დამტკბარიყავით” – მიახალა „ბოროტმოქმედებს” განრისებულმა მებაღემ.

შეცბუნებული მოძღვარი და შეგირდი შეეცადნენ ბოდიშებითა და დაპირებებით დაემშვიდებინათ შეძრწუნებული რობერი. ემილმა პკითხა:

– ბატონო რობერ! ხშირად გემართებათ ასე?

– არა, მაპატიე პატარა ბიჭო! მაგრამ შენისთანა ონავარი ბიჭები ხშირად არ ჩნდებიან აქ. არავინ არ პკიდებს ხელს სხვის ბაღს. ყველა პატივს სცემს სხვის შრომას, რომ თავისი საკუთრება უსაფრთხობა იყოს დაცული”.<sup>18</sup>

ჟან-ჟაკ რუსო რობერს სთავაზობს ასეთ გარიგებას. თუ ის მიწის პატარა ნაკვეთს დაუთმობს მათ, ისინი კარგად დაამუშავებენ მას და მოსავლის ნახევარს დაუტოვებენ. რობერი უყოფმანოდ თანხმდება, მაგრამ ფააფრთხილა, თუ მის ნათესებს ისევ შეეხებიან, ის მათ იგივეს გაუკეთებს.

პედაგოგიკის კლასიკოსმა ასე თვალსაჩინოდ დაგვანახვა, თუ როგორ მიაღებინა ემილს, პრაქტიკულად, თვით შრომის პროცესში, კერძო საკუთრების, სხვისი შრომის გაფრთხილებისა და მშრომელისადმი პატივისცემის აუცი-

18 ჟან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ.236

ლებლობის შესახებ პირველსაწყისი ცოდნა, ელემენტერული გაგება სკოლამდელ ასაკში.

ბუნებრივი გარემო, ცოცხალი ბუნება, მიწასთან შეხება „ცერიან ბალახზე გავლა” სიმშვიდეს გვრიდა „ემილის” ავტორს. ეს ყველაფერი წმინდა ადამიანურ გრძნობებს უდ- გიძებდა, ძალას, სიმხეუვეს, წონასწორობასა და პარმონიას უბრუნებდა მძიმე ცხოვრებისგან დაღლილს. „სოფლის პეიზაჟი, სასიამოვნო სანახაობათა ცვლა, სუფთა ჰაერი, კარგი მადა, სიარულით გამაგრებული ჯანმრთელობა, დუ- ქნების თავისუფლება, მოშორება ყველა იმას, რაც მე ჩემს დამოკიდებულლებას მაგრძნობინებს და ჩემს მდგომარეო- ბას მომაგონებს, – ყველაფერი ეს ბორკილებს ხსნის ჩემს სულს და მაძლევს აზროვნების უფრო დიდ გამბედაობას”<sup>19</sup> – წერს „ემილის ავტორი. რუსო არა მარტო ტკბებოდა ბუნების სილამაზით, არამედ აქტიურად შრომობდა კიდეც მკლავებდაკაბიწებული. იგი გონივრული სიამაყით აცხა- დებს: „მე ვმუშაობდი როგორც გლეხი,” და იქვე აღწერს, თუ როგორ სიამოვნებით უვლიდა ბაღს, ვენახს, ფუტკრე- ბის სკას; ინტენსიურად კითხულობდა ცნობილ მეცნიერ- თა, ფილოსოფოსთა, მწერალთა ნაშრომებს, პედაგოგიკურ ლიტერატურას. განსაკუთრებით ხიბლავდა ჯონ ლოკის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, თუმცა ზოგიერთ რამეში არ ეთანხმებოდა. პედაგოგიკის კლასიკოსს ნამდვილი თავი- სუფლების, ხელოუქმნელი შვენიერების, სოფლური იდი- ლიის, სამყაროს ესთეტიკური აღქმის საშუალებას აძლე- ვდა სოფელი თავის ბუნებრივობითა და უბრალოებით. ამი- ტომ სურდა თავისი ემილი სოფელში გაზრდილიყო თავი- სუფლად და ლალად „დედობრივ სკოლის” ასაკში მაინც, რომ ის ბუნებრივი შინაგანი სისუფთავე ასევე სუფთა და ჯანსაღ ატმოსფეროში მომაგრებულიყო, რომ შემდეგში ქალაქის ნეგატიურ გავლენებს ადვილად გამკლავებოდა.

19 ქან-ჟაკ რუსო ემილი ანუ აღზრდის შესახებ. წიგნში პედაგოგიკური მემკვიდრეობა, იან ამოს კომინსკი, ჯონ ლოკი, ქან-ჟაკ რუსო, ი. პ. პესტალოცი, მ., 1989, გვ. 236

უან-ჟაკ რუსო ოხოვნით მიმართავს მშობლებს, მასწავლებლებს, საზოგადოებას, ბავშვების მიმართ იყვნენ ლმობიერნი, გულისხმიერნი, ყურადღებიანი, მომთმენი, მომსმენი, წუხილსა და სიხარულში მოზიარე, მართალნი, გულწრფელნი და მზრუნველნი; რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ მათთან და საჭირო შემთხვევაში, ბავშვადაც კი იქცენ. ნე ჩათვლიან ამ დროს დაკარგულად. სამაგიეროდ ბავშვის ცხოვრების პირველ პერიოდში დახარჯულ დროსა და შრომას, მოზრდილობაში ერთბაშად გამოისყიდიან, მიღწეული კარგი შედეგით უეჭველად გაიხარებენ.

## მეტყველება – სამყაროს საოცრება

„მკელს ხერგლიდან გამოიყვანს  
ენა ტებილად მოუბარი”  
შოთა რუსთაველი

მეტყველება-ეს არის სამყაროს პირველი და განუმეორებელი საოცრება, რითაც ღმერთმა დააჯილდოვა თავისი შემოქმედების გაირგვინიადამიანი. აბა, წარმოიდგინეთ ადამიანები მეტყველების გარეშე? „უტყვი ადამიანები ერთმანეთისგან დაშორებულ კუნძულებს დაემსგავსებოდნენ,” – წერს ენათმეცნიერი. მთელ უკიდევანო სამყაროში ერთადერთი უნიკალური ქმნილებაა ადამიანი, რომელსაც შეუძლია აზრის მიღება და გაცემა, გრძნობების გამოხატვა, ზეპირი და წერითი მეტყველება. ევლუციური თეორიის მიმდევრები დღემდე გვიმტკიცებენ, რომ ადამიანმა ენა აიღგა თანდათანობით ურთიერთობებისა და შრომით პროცესში. ბიბლიაში კი სულ სხვა აზრია ჩაწერილი მეტყველებასთან დაკავშირებით. იაკობის 1:17-ში ვკითხულობთ: „შველა კეთილი საბომვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისგან.” მეტყველების უნარით რომ შექმნა ღმერთმა იმთავითვე ადამიანთა პირველი წყვილი ადამი და ევა ყოველმხრივ სრულყოფილნი, ეს ნათლად ჩანს დვთისა და იესო ქრისტეს დიალოგში, რომელიც ბიბლიაშია ჩაწერილი. დიალოგის თემა ეხება ისეთ გრანდიოზულ საკითხს, როგორიც არის ადამიანის შექმნა: „და თქვა ღმერთმა: შეგქმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და მსგავსად”<sup>1</sup> და თავის პირმშოსთან იესო ქრისტესთან ერ-

1 დაბადება 1:26

თად „შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ანარეკლად, შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად”<sup>2</sup> ურთიერთობების, სიყვარულისა და გამრავლების უნარით. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: „ინაყოფიერეთ და გამრავლდით და ადაგსეთ ქვეყანა”.<sup>3</sup>

შემდეგ კი ბიბლია გვამცნობს ღვთისა და ადამის დიალოგს: „გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი და უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გაჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო.” აქ სიტყვიერი კომუნიკაციის გარდა სახეზეა ბევრად მეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობის გაფრთხილება, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვსაუბრობთ მეტყველების აქტზე და თემას არ გადაუხვევთ.

შემდეგი დიალოგი: „ადამ, სადახარ?

„ბოლოს მან უპასუხა: შენი ხმა შემომესმა ბაღში და შემეშინდა, რადგან შიშველი ვიყავი და დავიძალე.

მაშინ ღმერთმა უთხრა: ვინ გითხრა, რომ შიშველი იყავი? იმ ხის ნაყოფი ხომ არ ჭამე, მე რომ გითხარი, არ ჭამო—მეთქი?

კაცმა მიუგო: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც ვჭამე.

მაშინ იქოვა ღმერთმა ქალს უთხრა: ეს რა ჩაიდინე?!?

ქალმა მიუგო: გველმა... მან მაცდუნა და მეც ვჭამე.

იქოვა ღმერთმა გველს უთხრა:...”<sup>4</sup> და ასე გრძელდება დიდ ხანს: „უთხრა ღმერთმა,” „გააფრთხილა” „მიუგო,” „ოქვა” და ს. შ. რაც ცხადყოფს მეტყველების უნარის და მისი წარმომავლობის ღვთისმიერობას.<sup>5</sup>

ადამი არა მარტო ღმერთთან საუბრობდა, მას პქონდა უნარი ახალი სიტყვების მოფიქრებისა. ეს იქიდან ჩანს, ღმერთმა რომ დაავალა მას დედამიწაზე არსებულთათვის სახელების დარქმევა: „გამოსახა იქოვა ღმერთმა მიწისგან

2 დაბადება 1:27

3 დაბადება 1:18

4 დაბადება 3:9–14

5 დაბადება 2:16, 17

კელის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი, რომელ  
სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის  
იქნებოდა”.<sup>6</sup>

ადამს ასევე სიტყვიერი ურთიერთობა ჰქონდა ევასთან.  
როცა მან პირველად იხილა ქალი, აღფრთოვანება ლექ-  
სად გამოხატა: „აი, ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი  
ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რადგან კაცისგან  
არის აღებული”.<sup>7</sup> ე. ი. ადამი მეტყველებდა, სხვის მეტყ-  
ველებასაც იგებდა, სიტყვებს, სახელებს საგანთა მიხედ-  
ვით იგონებდა. საჭირო შემთხვევაში აზრებს ლექსადაც  
გამოთქვამდა და გრძნობებსაც სათანადო ემოციებით გა-  
მოხატავდა. აქედან ნათელია, რომ მეტყველება ევოლუციის  
ნაყოფი არ არის. იგი ლვთისგან ბოძებული უნიკალური,  
პიროვნული საუნჯეა.

მეტყველება დასაბამიდან რომ იყო, ამაზე მოწმობს  
ადამიანის სამეტყველო აღჭურვილობაც. როგორც სპე-  
ციალისტები აღნიშნავენ, მეტყველება არის ურთულესი  
ფუნქციური სისტემა, რომელიც მრავალი კომპონენტის  
შეთანხმებულ, კოორდინირებულ, სინქრონულ მოქმედებას  
მოითხოვს. ესენია: ფონგტიკური (ბგერა, მარცვალი, სიტყ-  
ვა), სენსორული (აღქმა, შინაარსის გაგება), მნესტიკური  
(ბგერათა თანმიმდევრული დამახსოვრებელი), სემანტიკური  
(აზრობრივი და გრამატიკული სიზუსტე) კომპონენტები;  
საარტიკულაციო ანუ წარმოთქმის ორგანოები: ენა, ტუჩე-  
ბი, ყბები თავისი მაგარი და რბილი სასით: ექსპრესიული  
მეტყველების: უესტ-მიმიკების კუნთები, მოტორიკული კომ-  
პონენტი; სამეტყველო აპარატის ცენტრალური და პერი-  
ფერიული განყოფილებები. „ცენტრალური სამეტყველო  
აპარატი იმყოფება თავის ტვინის ნახევარსფეროებში და  
შემდგები კოპონენტებისაგან შედგება: მეტყველების ქერ-  
ქული ზონები (ცენტროები), ქარქვეშა კვანძები, გამტარი  
ნერვული გზები და მათი შესატყვისი ბირთვები. მეტყველე-

6 დაბადების 2:19

7 დაბადება 2: 23

ბის ცენტრალურ აპარატში დომინანტური მდგომარეობა უკავია ტვინის მარცხენა პემისფეროს. აქვეა სენსორული ანუ ვერნიკეს ცენტრო, მარცხენა პემისფეროს ზემო საფეთქლის ხვეულის უკანა ნაწილში. ხოლო მეტყველების მოტორული ანუ ბროკას ცენტრო კი ლოკალიზებულია მარცხენა პემისფეროს შუბლის წილის მეორე და მესამე ხვეულების უკან ქვედა ნაწილში.

პერიფერიულ სამეტყველო აპარატში ორ სისტემას არჩევენ: სუნთქვის ორგანო და სამეტყველო ორგანო. სასუნთქორგანოში შედის სასულე ანუ სასუნთქი მილი, ფილტვები, ტრაქეა, დიაფრაგმა და გულმკერდი. სამეტყველო ორგანოს კომპონენტებს: ხორხი და ზედსადგამი მილი. ხორხი ანუ ხრტილოვანი კოლოფი, რომელიც მოიცავს ფარისებრ, ბეჭდისებრ, ხორხსარქველ, პირამიდისებრ, ვრისბერგის და სანტრონინის ხრტილებს. ხორხის შიგნით მოთავსებულია მედერი იოგები ანუ სახმო სიმები. ჰაერნაკადი, რომელიც შემდეგ ბგერას წარმოშობს, სუნთქვის ორგანოებში იღებს დასაბამს და ბგერად გარდაიქმნება სამეტყველო ორგანოში.<sup>8</sup>

აქ მოკლედ აღწერილ სამეტყველო ორგანოთაგან თუნდაც ერთი დეტალის დაზიანება გამოიწვევს მეტყველების მოშლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა პირველ წევილს იმთავითვე სამეტყველო აპარატი ცენტრალური და პერიფერიული განყოფილებები თავთავიანთი კომპონენტებით მწყობრში ჰქონდათ. ასევე ცნობილია, რომ მათი შვილები კაენი, აბელი და მათ შედეგომი შთამომავლობა გამართულად მეტყველებდნენ. ბიბლიაში არ არის თაობა, რომელიც ვერ მეტყველებდა. დღემდე არ არის იმის მტკიცებულება, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში უტყვი თაობის არსებობას დაადასტურებდა. სამეტყველო აპარატის მოწყობილობის უნიკალურობა, მის გონიერ შემოქმედზე მიუთითებს და მეტყველების ევოლუციურ წარმომავლობაზე ნაკლებად, უფრო მეტიც, საერთოდ არც მიგვანიშნებს. ვერც იმას დაამტკიცებს ვინმე, რომ დასაბამიდან დღემდე საერთოდ ადამია-

8 მ. კოლბაია, დეფექტოლოგის საფუძვლები. თბ., 1989, გვ. 166–168

ნის სხეულს, და, კერძოდ სამეტყველო აპარატს რომელიმე ორგანო მოკლებია ან მომატებია, ან ფუნქცია შეუცვლია. აქ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მეტყველების უნარსა და მეტყველების კულტურაზე. მეტყველების კულტურა ნამდვილად არ არის თანდაყოლილი. ის არის გენეტიკურად მიღებული უნარის განვითარების გარკვეული, შეიძლება ითქვას, მაღალი დონე. რომელიც მიიღწევა მრავალმხრივი, საზოგადოებრივად დირექტული ცოდნა-გამოცდილების მიღების საფუძველზე. ამაზე უფრო ქვემოთ ვისაუბრებთ, ახლა კი იმაზე, თუ რას გვასწავლის ბიბლიური სიბრძნე მეტყველების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ენა – ეს პატარა, მინიატურული, მაგრამ საკვირველი ორგანო, ფლობს სიკეთისა და ბოროტების განუსაზღვრელ უნარს, პრობლემა მხოლოდ იმაშია, თუ რა დანიშნულებით გამოყიუნებთ მას. ბიბლია გვაფრთხილებს, რომ ენა ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. რადგან „ტკბილი ენა სიცოცხლის ხეა, ცბიერი კი სულის შემუსვრა“<sup>9</sup>. ამიტომ „მოერიდე ამქვეყნიურ ლაფბობას, რომელსაც უფრო და უფრო მიჰყავს ხალხი უღვთოებისაკენ“<sup>10</sup>.

ბრძენის ხელში სიტყვა მიზანს ხვდება მუდამ, რადგან მან იცის როდის, ვისთან რა თქვას. ქრისტეს მოწაფე იაკობი ენას ადარებს ერთ შემთხვევაში ლაგამს, მეორეში – ხომალდის საჭეს. როგორც ლაგამი იმორჩილებს ცხენს და საჭე – ხომალდს, ასევე ენას ჭეშმარიტი სიტყვით შეუძლია დაიმორჩილოს მთელი სხეული. „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია, მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეული.“... „ერთი პირიდან გამოდის ლოცვა-კურთხევა და წყევლა? ასე უნდა იყოს ჩემო ძმებო, განა მოედინება ერთი წყაროს თვალიდან ტკბილი და მწარე?“<sup>11</sup> და ასე უსასრულოდ არის ბიბლიაში მეტყველებასთან დაკავშირებული უტყუარი ინფორმაციები.

9 სოლომონის იგავნი 15:4

10 2ტიმოთე 2”16,17

11 იაკობი 3:3,4,2,10,11

რწმენა იმისა, რომ მეტყველება დგთიური უნარია, არ მოგვცემს უფლებას უფლისმიერი ბაგეები ბილწსიტყვაობას დავუთმოთ და ბოროტად გამოვიყენოთ.

მეტყველების საოცრებებს: სიტყვაპაზმულობას, მჭევრ-მეტყველებას, მუსიკას ყოველთვის აღფრთოვანებაში მო-ჰყავდა ადამიანები. მათზე წერდნენ ბრძენი ადამიანები, კლასიკოსები. საზოგადოებაში ორატორული ხელოვნების ანუ მჭევრმეტყველების პრიორიტეტულ მდგომარეობაზე მიუთითებს რიტორიკის საისტორიო წყაროები დემოსთენეს „ფილიპიკები,” არისტოტელეს „რიტორიკა,” ციცერონის „ორატორი,” თემისტიოსის „XXVII სიტყვა,” პვინტილიანეს „ორატორის დარიგებანი,” ანტონ I „წყობილ სიტყვაობა,” იოანე ბატონიშვილის „კალმასობა,” ს. დოდაშვილის „რი-ტორიკა,” ნ. კანდელაკის „ქართული მჭევრმეტყველება,” რომელშიც აიეტის, ფარტაზის, გუბაზის და სხვათა მჭევრ-მეტყველების გაუხერხარი ნიმუშებია ჩაწერილი; მწერლო-ბაში: იოანე საბანიძის „აბო თბილების” IV თავი – „ქ-ბაი წმიდისა ჰაბოისი,” გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება,” შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი” და ა. შ.

პლუტარქე ქერონელი თავის უბადლო „რჩეულ ბიო-გრაფიებში” ბერძენ და ორმაჟლ ორატორთა ბრწყინვალე გამოსვლებზე მოგვითხრობს. ვიცი, მკითხველს არ უყვარს ლირიკული გადახვევები, მაგრამ ძალიან მინდა აქ ციცე-რონის ერთ გამოსვლასთან დაკავშირებით პატარა ამო-ნარიდი მოვიყვანო. „ამბობენ, აპოლონიუსება, რომელმაც ლათინური ენა არ იცოდა, ციცერონს სთხოვა სავარჯი-შო სიტყვა ბერძნულად წარმოეთქვა წინასწარ; ციცერონი ხალისით დაეთანხმა, რადგან ფიქრობდა, აპოლონიოსი შეცდომებს ასე უკეთ გამისწორებსო. როცა ციცერონმა სანიმუშო სიტყვა წარმოთქვა, დამსწრენი აღფრთოვანდნენ და ორატორის ქებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ; აპოლო-ნიოს კი სიტყვის მოსმენის ღროს არავითარი სიხარული არ გამოუმჯდავნებია. ხოლო როცა ციცერონმა ლაპარაკი დაამთავრა, საკმაოდ დიდხანს იჯდა დაფიქრებული; ცი-

ცერონს ეწყინა. მაშინ აპოლონიოსმა ასე მიმართა: „მე, ციცერონო, გაოცებული ვარ შენი ხელოვნებით და გაქებ კიდევაც, მაგრამ ელადის ბედს დავსტირი; აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭევრმეტყველებაც, ეს ერთად-ერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით მრავალ მშვენიერებათაგან შემოგვრჩა”.<sup>12</sup>

როგორც რიტორიკის კლასიკოსები ამბობენ, მჭევრმეტყველების პროცესს ქმნის მიზნის საზოგადოებრივი ღირებულება, შინაარსის მიზანთან ადეკვატურობა, „ლამაზი აზრების შერჩეული სიტყვებით გამოხატვა” (ციცერონი). ბერძენი ორატორი დემოსტენე თავის სიტყვაში „გვირგვინის შესახებ” ამბობს: „ღირებულებას წარმოადგენს ორატორის სიტყვა არა თავისთვავად და არც მისი ხმის ჟღერადობა, არამედ ის, თუ რაოდენ იზიარებს იგი ხალხის გულისნადებს და რამდენადაც სძულს ან უყვარს ადამიანები.”

კინგტილიანე მჭევრმეტყველებისგან მოითხოვს სამ კომპონენტს: აზრის სისტორეს, სიცხადესა და სილამაზეს. ამ მახასიათებლებში ნათლად ჩანს განათლებულობის, ლოგიკური აზროვნების, ენის სრულყოფილად ცოდნის აუცილებლობა. იგი ერთ შემთხვევაში სიტყვას შხამსაწინაადმდეგო წამალს ადარებს, რომელიც მზადდება სხვადასხვა ნივთიერებებისგან: „განა არ იციოთ, რომ შხამსაწინაადმდეგო და სხვა წამლები, რომლებითაც ავადმყოფები ინკურნებიან, მზადდება სხვადასხვა ნივთიერებებისგან, რომლებიც ცალცალკე აღევეულნი, საპირისპირო მოქმედებებს ახდენენ, ხოლო შერეულად, თუმცა ეს ნაერთი თავის არც ერთ ნაწილს არ ჰგავს, თითოეულისაგან მისი სამკურნალო ძალა გამოდის? ანდა არ ხედავთ, უტყვი მწერები სხვადასხვა ყვავილთა წვენებისგან როგორ ამზადებენ ადამიანისათვის აზრმიუწვდომელ ნაერთს – თაფლს და, ნუთუ უნდა გაგვიკირდეს, რომ სიტყვა, ეს ფასდაუდებელი, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭი მოითხოვს მრავალ

12 პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები. თბ., 1975, გვ. 586-587

მეცნიერებას, ოომლებიც, თუმცა კი სიტყვაში არ ჩანან, მაგრამ საოცარ ფარულ ძალას ანიჭებენ მას და თავს უჩინრად გვაგრძნობინებენ”.<sup>13</sup>

შქერმეტყველების თეორიის მიხედვით, ორატორულ სტილს განაპირობებს ტროპი, ფიგურა და კეთილხმოვანება თავიანთი შემადგენელი სახეებით, ოოგორიცაა: მეტაფორა, ეპითეტი, შედარება, მეტონიმია, პერიფრაზი, გრადაცია, ინვერსია, ანაფორა, სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, ევფემიზმი, რიტმი, რიტორიკული შეძახილები და სხვა. შქევრმეტყველების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია არგუმენტები, დებულებები, დახვენები და ა. შ. ომელთა მეშვეობით ხდება დამტკიცება, დარწმუნება, ზეგავლენა. შქევრმეტყველების ტექნიკურ მხარეებად მოიაზრება ხმის სიმძლავე, სიმძლავრე, პაუზა, მახვილი, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია და სხვა.

მეტყველების კულტურის საოცრებაზე მინდა პირადი გამოცდილებიდან მოვიყვანო ერთი მაგალითი. ახალგაზრდობაში თუ რა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე ტელეწამყვანებმა: ჯულიეტა ვაშაქმაძემ და ლია მიქაძემ „მოამბე“ იქცა ჩემთვის ყველაზე ძვირფას გადაცემად. მათი დიმილიანი მოსალმება, სრული ინფორმირებულობა, ზეპირი მეტყველების საოცარი კულტურა, წონასწორობა და სიმშვიდე, მაყურებლისადმი და საქმისადმი ერთგულება და პასუხისმგებლური დამოკიდებულება, მუდმივად ფორმაში ყოფნა ისე მხიბლავდა, რომ ძალიან მინდოდა მეც მათნაირი ვყოფილვიყავი. მიბაძვა დავიწყე განათლების მიღებით. ძალიან ბევრს ვკითხულობდი. წაკითხულიდან საგულისხმო ადგილებს ვიწერდი და დღე და დამე ვიზეპირებდი მანამ, სანამ კარგად არ დავიმახსოვრებდი. ჩემი ინტელექტუალური წინსვლა ირგვლივ მყოფთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ზოგჯერ ქებასაც ვიმსახურებდი. ძალიან მინდოდა აუდიტორია მყოლოდა. რა თქმა უნდა,

13 მ. ფ. კვინტილიანე, ორატორის დარიგებანი. ნიკოლსკის თარგმანი, სანქტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 142

ამისათვის მასწავლებლობაზე უკეთესს რას ავირჩევდი. (არ გეგონოთ ჟურნალისტობა არ მიზიდავდა, მაგრამ ამის მიღწევა უფრო როგორც მესახებოდა. . . ). მორალურად უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით. ოქვენდამი კი, ძვირფასო ქალბატონებო, დღემდე არ გამნელებია მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა.

სიტყვასთან დაკავშირებით კიდევ ერთ პატარა პრაქტიკულ მაგალითს მოვიყვან. ერთხელ ბებიაჩემი გამიწყრა და მითხრა: „ხე, რომელიც ნაყოფს არ იძლევა, ჭრიან და ცეცხლზე წვავენო” და აკეცა ჩემი წიგნები და ერთ კუთხეში მიაწყო. ძალიან დამაფიქრა ამ სიტყვებმა და საქმეს უფრო სერიოზულად მოვეკიდე. არ ვიცი ბებიაჩემმა საიდან იცოდა ეს სიტყვები, მაგრამ დიდხნის შემდეგ მას ბიბლიაში რომ წავაწყდი, მათეს მესამე თავის მე-10 მუხლში, ჩემს გაოცებას საზღვარი არ პქონდა, მთელი სისრულით შევიგრძები სიტყვისა და მისი შემოქმედის ძალა.

„მოსწავლე თავისი მასწავლებლის სახეაო” პირველად რომ წავიკითხე პედაგოგიკის სახელმძღვანელოში, სიწითლემ გადამიარა სახეზე და ვიფიქრე, შევძლებ კი მე მასწავლებლობას? გარწმუნებთ ნამდვილად ადვილი საქმე არ არის, მაგრამ არც მიუღწევადი. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მასწავლებლის მეტყველების კულტურა, ორატორული ხელოვნება. როგორც დიდმა შოთამ თქვა: „გვედს ხვრელიდან გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი,” სმენითი შეგრძნებები სასწაულებს ახდენს. ერთ ჯგუფში, მეოთხე კურსზე, სადაც მხოლოდ გოგონები იყვნენ, საკუთარი გარეგნობით მოხიბლული ორი სტუდენტი სულ ერთ-მანეთოან ჩურჩულით, ან მობილური ტელეფონით იყვნენ გართული. რა თქმა უნდა, ეს მაღიზიანებდა და ლექციის ხარისხს დაბლა წევდა. ერთხელ პედაგოგიკის ლექცია დავიწყე მათოვის მოულოდნელად რობერტ ბერნსის ლექსით: „ჯერ შექმნა ყოვლის შემქმნელმა, ჯიში და მოდგმა კაცების, რა გაიწაფა ხელები და დაოსტატდა სავსებით, ხელობა დააგვირგვინა სუსტი და ნაზი არსებით!” სიტყ-

ვისა და აზრის მშვენიერებამ გაუხეშებულ ინტელექტზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა. ტაშის გრიალითა და მათებურ ჯანსაღი კომენტარებით ლექსის ეს ნაწყვეტი სასწარაფოდ ჩაიწერეს და მთხოვეს კიდევ ერთი პატარა ლექსი, ან ნაწყვეტი მეთქვა. ის ერთგვარი სიამაყე რომ ამ-პარტავნობაში არ გადასვლოდათ, შევარჩიე ისევ ბერნის პოეზიიდან რამდენადმე შთამაგონებელი ეპიტაფია: „წამკი-თხველო, გემცნას ჩემგან თქმული: აქ ძევს გვამი ჯონის – უფლის მონის; მისი გვამი, თორემ, აბა სული სიცო-ცხლეშიც არ ჰქონია ჯონის.” მათი ადეკვატური რეაქციი-დან ცხადად იკითხებოდა დაფიქრება იმაზე, რომ სჭირდე-ბოდათ თვალსაზრისის შესწორება.

მუსიკა – მატყველების ჩექურთმა, ხელოვნება, რო-გორც სამყაროს წესრიგის, ჰარმონიულობის გამოძახილი, ღვთიური სიბრძნისა და ძალის დამოწმება. ყოვლისშემო-ქმედმა პროპორციულად დაანაწილა განსხვავებული ნიჭი და უნარი, რომ მრავალფეროვნებისა და უსასრულობათა შემცნებაში ეპოვა ადამიანს ცხოვრების აზრი და მშვე-ნიერება. „მუსიკის მშვენიერებაზე მიუთითებენ მუსიკის ვირტუოზები. სანტიაგო არგუელიო ამბობს” „სამყაროს შექმნისას დემიურგოსი მუსიკოსია, მაგრამ არა მარტო მუსიკოსი, არამედ, საერთოდ ხელოვანი. ხოლო მის მიერ შექმნილი სამყარო – ხელოვნების ნიმუში. დიდოსტატი ხე-ლოვანი – დემიურგოსი ხელოვნების კანონების თანახმად აგებს კოსმოსს!”.<sup>14</sup>

პლატონი კიდევ უფრო ღრმად იჭრება მუსიკის სამყა-როში. მას მიაჩნია, რომ მთელი სამყარო თავისთავად, მისი ხილული ცითა და ვარსკვლავებით, მატერიალური თუ სულიერი სუბსტანციის წრებრუნვით, განვითარების უწყვეტი რიტმითა და შინაგანი კანონზომიერებით ღვთაე-ბრივი ხელოვნების, ყოვლისშემძლეს შემოქმედებითი აქ-ტის გრანდიოზული შედეგია; რომ ბუნების ჯადოქრულ ხიბლს, მის მომნუსხველ მშვენიერებას, სამყაროს მწყობრ

14 პლატონი „ტიმეოსი,” თბ., 1994, გვ. 190-191

და დახვეწილ წესრიგს არქიტექტურულ, მუსიკალურ და პლასტიკურ საწყისთა ერთობლიობა განაპირობებს.

ვაგნერი ასაბუთებს, რომ მუსიკა პარმონიულობის გამოხატვის უმაღლესი ფაქტია: „პარმონიის არსეს ადამიანის არავითარი სხვა, შემოქმედებითი უნარი არ შეესაბამება, ის ვერც სხეულის პლასტიკურ მოძრაობაში პპოვებს ასახვას, ვერც აზროვნების ლოგიკაში... პარმონია ადამიანის მიერ აღქმული, მაგრამ გონიერამიუწვდომელ სტიქიურ ძალას მოგვაგონებს.”<sup>15</sup>

კვინტილიანე მუსიკის ნიჭს, როგორც ღვთაებრივ ჯილდოს „სიძნელეთა ადვილად გადატანის,” შრომის გაადვილების, ცხოვრების გახალისების უებარ წამლად მიიჩნევს. მისივე თქმით, მუსიკალური ინსტრუმენტებითაც, რომლებიც არ წარმოოქვამენ სიტყვებს, მუსიკოსს შეუძლია შეაღწიოს მსმენელის სულ ში და გამოიწვიოს შესაბამისი გრძნობები; ტანის რიტმულ მოძრაობას, პარმონიულ რჩევებსაც მუსიკა განაპირობებს. აგრეთვე ამაღლებული, ძალზე მელოდიური და გრძნობიერი მუსიკის მოსმენა დადებითად მოქმედებს ფსიქიკასა და ზნეობრიობაზე, ამაღლებს სიმხნეებს, შეუპოვრობას, სიფაქიზეს, სინაზესა და კეთილშობილებას, ანგიოთარებს ესთეტიკურ გემოვნებას.

წერითი მეტყველება თავისი უნიკალურობით, მისივე შემოქმედის განუსაზღვრელ გონიერებას ირეკლამს. დამწერლობა აზრთხაცავია, რომლითაც თაობიდან თაობას ენახება და გადაეცემა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება, პირველ რიგ ში კი ღვთის სიტყვა, ჭესმარიტი შემეცნება ხილულთა და უხილავთა, ხელთქმნილთა და ხელთუქმნელთა შესახებ. ყოვლისშემოქმედი ღმერთი წერილობით გვესაუბრება. უმნიერელოვანეს კითხვებზე ნათელ, ცხად და ამომწურავ პასუხებს იძლევა. ბიბლიაში ჩაწერილი ინფორმაციებით ვეცნობით ღმერთს, მის ძეს იესო ქრისტეს, მსოფლიოს მაცდუნებელ სატანა-ეშმაკსა და მის დემონებს, რომლებმაც ამდენი ტანჯვა და

15 პლატონი „ტიმეოსი,” თბ., 1994, გვ. 190-191

უბედურება მოუტანეს ადამიანებს; სამყაროს შექმნისა და სიცოცხლის წარმოშობის ისტორიას; ზუსტად შესრულებულ ასობით და ბოლო, ჩვენს დროში შესასრულებელ წინასწარმეტყველებებს; ადამიანური ცხოვრების უნივერსალურ დვორურ კანონებს, პრინციპებს, ბრძნულ რჩევებსა და დარიგებებს და, რაც მთავარია დვორივსულიერი წერილი გვატყობინებს კაცობრიობის მომავალს – სასიხარულო ცნობას დვორის სამეფოს შესახებ „რომელიც არასოდეს არ დაიქცევა. ეს სამეფო სხვა ხალხს არ გადაეცემა. ის დააჭირევს და ბოლოს მოუღებს ყველა ამ სამეფოს, თავად კი მარადიულად იდგება“.<sup>16</sup> მერე რა იქნება? „მოსწმენდს მათ ყოველ ცრემლს თვალებიდან და ადარ იქნება სიკვდილი, აღარც გლოვა, გოდება და ტკივილი, რადგან წინანდელი ყველაფერი მოისპო“.<sup>17</sup>

ამრიგად, მეტყველება არის ის დიდი საოცრება, დვორური შემოქმედების უნიკალური ფენომენი, რომელსაც ვერც ერთი ხელთქმნილი საოცრება (ეგვიპტის პირამიდები, ზეპსის ოქროს ქანდაკება, სემირამიდას ბადები, ალექსანდრიის შუქურა, სოლომონის ტაძარი, არტემიდეს ტაძარი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლონები და სხვა არნახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ასტროლოგურ-კოსმოლოგიური მიღწევები, რომელმაც კაცობრიობას დღემდე ვერ მოუტანა მშვიდობა და ბედნიერება, ვერ შეედრება.

ამრიგად, მეტყველების უნარი დვორიტომებული, თანდაყოლილი საჩუქარია, ხოლო მეტყველების კულტურა კი – სწავლა-განათლების საშუალებით შექმნილი მაღალი, განვითარებული დონე, რომელიც შედგება ოთხი მირითადი კომპონენტისაგან, როგორიცაა: სათქმელის შინაარსის ცოდნა ანუ ინფორმაციულობა, ლოგიკური აზროვნება, ენის ზედმიწევნით ცოდნა თავისი გრამატიკული წყობით, ლექსიკური მარაგით და ადეკვატური შესტიკულაცია.

16 დანიელი 2:44

17 გამოცხადება 21:4

**რა პრის ცხოვრების აზრი და რა  
პატიორებია პედაგოგიკასა და გიგლიას  
შორის**

უფრნა-არყოფნის საკითხი, სიცოცხლის აზრი, ადამიანის დანიშნულება – ის მარადიული კითხვებია, რომელიც ებაღება ყოველ ადამიანს. პასუხი უამრავია, მაგრამ თვით პასუხები აჩენს კითხვას – რომელია აქედან ჭეშმარიტი?! დიდმა შოთამ გვითხრა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. აქ გასაგებია, რომ პოეტი გულისხმობს უზადო წუნდაუდებელ ცხოვრებას და ისიც დააკონკრეტა თუ რას გულისხმობდა ამ უზადო და წუნდაუდებელ ცხოვრებაში, კერძოდ: გულწფრელ სიყვარულს, მეგობრობას, რაინდობას, განსწავლულობა-გამჭრიახობას, ზეობას, სულიერობას, ესთეტიკურ გემოვნებას, ფიზიკურ ძალას. მაგრამ ამავდროულად ვეფხისტყაოსნის მთავარ დადებით გმირებს: ტერიელს, ავთანდილს, ფრიდონს იმდენი ადამიანი ჰყავთ ამოხოცილი, რამდენიც ლამის შაპ-აბაზს, მურვან ყრუს, თემურლენგს და სხვებს.

ტარიელი ერთეული ომის ერთ ეპიზოდს ასე იხსენებს: „კაცი კაცსა შემოვრტყოცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი“. ან კიდევ მძინარე სასიძოს მოკვლის ეპიზოდი: „ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შეგუტაქ“, აქ კონფუცის პრინციპი ხომ არ გამოკრთის: „მიზანი ამართლებს საშუალებას.“ ან ბიბლიურ პრინციპთან: „არ მოკლა კაცი“, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის და თუ მოდის, მაშინ არც ეს კატეგორიები ყოფილა მთლად ცხოვრების აზრი. ადამიანის დანიშნულების შესახებ ნიკოლოზ ბარა-

თაშვილის კონცეფცია: “არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არღა იზრუნოს”, სადავო თითქოს არაფერია. თუ ადამიანი თავის სამშობლოსა და ერის სამსახურში დგას, ძალიან კარგია. მაგრამ ნუთუ ადამიანმა იშრომოს, იბრძოლოს და თავისი მონაცოვრის „დაგემოვნებაც“ კი ვერ მოასწროს, ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, ნუთუ ეს არის ცხოვრების აზრი.

დიდი ილია ხალხის სამსახურს, სამშობლოსათვის ზრუნვას მიიჩნევდა ხელოვანის უპირველეს დანიშნულებად: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს, ერის ბედნიერი მომავლისათვის შეუპოვარ მებრძოლს, რომელსაც სამშობლოსთვის გულაღტკინებულს ერთი დღეც არ უცხოვრია მშვიდად, შებლზე ტყვია დაახალეს.

„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს მკლავი მომჭრეს, რათა კარგი აგიგია!“ ხალხის – სულიერი და მატერიალური სიმდიდრის, ეროვნული ღირსშესანიშნაობის შემოქმედის – ინტერესების დაცვა, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ნამდვილად ღირსეული საქმეა, მაგრამ თუ ეს არის ადამიანის დანიშნულების მთელი არსი, მაშინ ცხოვრება დიდი არაფერი ყოფილა. ნუთუ ტრილიონობით გალაქტიკა, ცა და დედამიწა და რაც მასშია, მხოლოდ იმიტომ შექმნა ღმერთმა, რომ ადამიანმა იშრომოს, იწვალოს, იტანჯოს და სამყაროს ხელოუქმნელი და ხელოქმნილის მცირედის მოხმარებაც კი ვერ მოასწროს, ისე ტკივილით, სიბერითა და სიკვდილით დატოვოს აქაურობა?!

ახლა შეიძლება ვინმე შემომედავოს, ხომ არის უამრავ ადამიანთა სია, რომლებსაც სიცოცხლეში არაფერი მოკლებიათ, ბედნიერად განვლეს თავიანთი ცხოვრების გზა და ნათელი კვალი დატოვეს თავიანთ ნავალზე. მაგალითად, სოლომონ ბრძენი. დიახ, სოლომონ ბრძენი უმდიდრესი კაცი იყო, დავით მემკვიდრე, მეფე-მსაჯული, ყო-

ველმხრივ უზრუნველყოფილს დიდება, სახელი, კარიერა, სიმდიდრე, წარმომავლობა – არაფერი მოკლებია, მაგრამ მან ამაში ვერ პპოვა ცხოვრების აზრი მანამ. . . და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ახლა თუ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ვიმსჯელებთ, ეს მოგვცემს საშუალებას ჭეშმარიტებამდე უფრო ადვოლად მივიღეთ. ადამიანის, ამ უნიკალური ღვთიური ქმნილების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 60–70 წლამდე მერყეობს, ხოლო იშვიათად თუ ვინმე აღწევს 100 წლამდე, ამ დროს ყვავის სიცოცხლე 300 წელს აღემატება, სეკვოიას ხისა და ზოგიერთი წიწვოვანი ბუჩქების სიცოცხლე 5000–მდე წელს აღწევს, გველიც კი გამოირჩევა თავისი დღეგრძელობით. მაშ, რა ხდება? ყოვლისშემოქმედისათვის ნუთუ ხე და ცხოველი უფრო ძვირფასია, ვიდრე თავის ანარეკლად შექმნილი ბიო–სოციალური არსება–ადამიანი?! ამ და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კითხვებზე უტყუარ პასუხებს იძლევა ბიბლია, რომლის შესახებ 2 ტიმოთეს მესამე თავის მე-16 მუხლში ვკითხულობთ: „მთელი წმინდა წერილი ღვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმართლეში ადსაზრდელად, რათა ღვთის კაცი ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მოზადებული იყოს ნებისმიერი კარგი საქმისათვის.“

და, სწორედ ბიბლიისა და ხელთუქმნელ სამყაროს მეშვეობით ვიგებთ ღვთისათვის ადამიანი თუ რაოდენ მნიშვნელოვანია და ძვირფასი, ყველაფერზე აღმატებული და საყვარელი. პირველი, ღმერთმა საცხოვრისად შექვიქმნა უმდიდრესი და ულამაზესი პლანეტა–დედამიწა და თქვა: „ინაყოფიერეთ, გამრავლდით, ააგსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას და თქვენ გემორჩილებოდნენ ზღვის თევზები, ცის ფრინველები და ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე<sup>1</sup>. მეორე, უძლიერესი მტკიცებულება იმისა, რომ ღმერთს ძლიერ უყვარს ადამიანები, ეს არის თავისი მხოლოდ შო-

1 დაბადება 1:28

ბილი ძის იესო ქრისტეს მსხვერპლად შეწირვა კაცობრიობისათვის, ამ უკანასკნელის ცოდვებისგან განთავისუფლებისა და გადარჩენის მიზნით: „ღმერთმა ქვეყნიერება ისე შეიყვარა, რომ თავისი მხოლოდ შობილი ბე მისცა, რათა ვისაც ის სწამს არ დაიღუპოს, არამედ მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს“.<sup>2</sup>

სამი ათასი წლის წინ მცხოვრები მეფე-მსაჯული, უმდიდრესი და შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე კაცი, ფსალმუნმოძღვრალ დავით მეფის მემკვიდრე – სოლომონ ბრძენი, მიუხედავად მატერიალური და თანამდებობრივი დიდებისა, გრძნობდა, რომ ბედნიერებისთვის რაღაც მთავარი აკლდა. იგი ბედნიერებასა და სიმშვიდეს ხან სიმდიდრეში, ხან ქვეყნიურ სიბრძნეში ეძებდა. მატერიალურ ამაოებაში დარწმუნებულმა, ცხოვრების აზრის პოვნა განათლებაში სცადა: „აპა, მოვიპოვე – წერს ის – და განვივრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნესა და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, უმეცრება და სისულელე, მივხვდი, ამასაც არა აქვს აზრი“.<sup>3</sup> მის შემდეგ „ვიწე პალევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი, რაიც მომხდარა ცისქვეშეთში და ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა. ის ბოროტება, რომელიც ვისილე მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს, ადამის ძეთა გულებიც ადსავსეა სიბოროტითა და სიშლეგეა ამათ გულებში“.<sup>4</sup>

რეალურ სინამდვილეზე დაკვირვების შედეგად სოლომონი მიხვდა, რომ „ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა; მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს“ ღმერთის გარეშე,<sup>5</sup> რომ ადამიანს გზას თავისი სიბრივე უმრუდებს, მისი გული კი ღმერთს ემდურვის, რომ „ბოროტეულთ მათივე ძალადობა წალეკავს. ბოროტეულნი დაემხობიან და

2 ოთანე 3:16

3 ეკლესიასტე 1:13,17

4 იქვე 6:1

5 იერემია 10:23

გაქრებიან“<sup>6</sup>, „მართალები დაიმკვიდრებენ დედამიწას“<sup>7</sup>

სოლომონმა შეიგნო, რომ ამაოება ყოფილა ქვეყნიური სიბრძნეც, რომ ბრძენსაც და უბუნურსაც ერთი ბოლო აქვთ და ყოველივე, რაც ღვთის მიერ შექმნილა, იარსებებს უპუნისამდე, მას არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება<sup>8</sup> ლოგიკური განსჯის შედეგად სოლომონმა გააკეთა შემდეგი დასკვნა: „ჰეშმარიტი ღვთის გეშინოდეს და მისი მცნებები დაიცავი, რადგან ეს არის ადამიანის ვალდებულება“<sup>9</sup>. ყველაფრის თავი და ბოლო. ყოველ საქმეს ჰეშმარიტი ღმერთი გაასამართლებს, ყველაფერს, რაც დაფარულია და გაარჩევს კარგსა და ცუდს, კეთილსა და ბოროტს. ბიბლიის სრულიად ცალსახად გვიხსნის, რომ ღვთის ქმნილებათა შორის უპირატესი და აღმატებულია მამაკაცად და დედაკაცად შექმნილი ადამიანი – მის ქმნილებათა გვირგვინი!

იესო ქრისტე თავად გვიყვება, რომ მისი დედამიწაზე ცხოვრების 33 წლიან პერიოდს ცხადი და ნათელი მიზანი ჰქონდა და მთელ ძალისხმევას ამ მიზანს ახმარდა, რომლის მთავარი აზრი იყო, რომ ხალხისთვის ჰეშმარიტება ესწავლებინა ღვთისა და მისი სამომავლო განზრახვების შესახებ: „მე იმიტომ დავიბადე და მოვედი ქვეყნიერებაზე, რომ ჰეშმარიტების შესახებ დამემოწმებინა“<sup>10</sup>. რა არის ეს ჰეშმარიტება? ქრისტე ქადაგებდა ღვის სამეფოს შესახებ, რომელიც გულისხმობს ღმერთის მიერ ჩამოყალიბებულ ზეციერ მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგას მის მიერვე არჩეული მეფე – იესო ქრისტე. ბიბლიის მიხედვით, კერძოდ იოანეს ხილვიდან ვგებულობთ, რომ იესო ქრისტე 1914 წლიდან მეფობს ზეცაში, რომელიც გაანთავისუფლა სატანისა და მისი დემონებისაგან: „გადმოგდებულ იქნა დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და

6 სოლომონის იგავნი 21:7; 11:7

7 ფსალმუნები 37:29

8 ეკლესიასტე 3:14

9 იქვე 12:13

10 იოანეს 18:37

სატანა ჰქვია და ოომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო. გადმოგდებულ იქნა დედამიწაზე და მისი ანგლოზებიც მასთან ერთად იქნენ გადმოყრილნი.“... „ვაი, მიწას და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი, დიდად განრისხებული, რადგან იცის, რომ დრო ცოტადა დარჩა“.<sup>11</sup> აი ეს არის მთავარი მიზეზი იმ უბედურებებისა და გაუთავებელი პრობლემებისა, რაც ხდება დედამიწაზე. ახლა ღმერთმა ქრისტეს მეშვეობით ბოლომდე უნდა მიიყვანოს საქმე. როგორც ზეცა განწმინდა სატანა-ეშმაკისა და მისი დემონებისგან, ასევე უნდა გაანთავისუფლოს დედამიწა დვოთისა და კაცობრიობის მტრისგან. თუ როგორ გააკეთებს ამას დვოთის ძე დედამიწაზე, ეს ჩაწერილია დანიელის 2:44-ში: „იმ მეფეების დროს ზეციერი ღმერთი დაამჟარებს სამეფოს, რომელიც არასოდეს დაიქცევა. ეს სამეფო სხვა ხალხს არ გადაეცემა. ის დააქცევს და ბოლოს მოუღებს ყველა ამ სამეფოს, თავად კი მარადიულად იდგება.“ მაგრამ მთავარია რა შედეგი მოჰყვება ამას დედამიწაზე. ამის პასუხიც ერთად წავიკითხოთ ისევ ბიბლიაში: „მოსწმენდს მათ ყოველ ცრემლს თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, აღარც გვლოვა, გოდება და ტკივილი, რადგან წინანდელი ყველაფერი მოისპო“<sup>12</sup> და შესრულდება დვოთის დანაპირები მარადიული სიცოცხლის შესახებ: „და აი დანაპირები, რომელსაც თვითონ დაგვპირდა – მარადიული სიცოცხლე“<sup>13</sup> დედამიწაზე სამოთხეში. სამოთხე, რომელსაც ბიბლია ედემის ბაზს უწოდებს, სადაც ყოვლისშემოქმედმა ადამიანთა პირველი წინაპარი წყვილი – ადამი და ევა დაასახლა: „გააშენა იქოვა ღმერთმა ბაზი ედემში. აღმოსავლეთით და იქ დაასახლა ადამიანი, რომელიც შექმნა. . . ედემიდან მდინარე მოედინებოდა ბაზის მოსარწყავად, იყოფოდა და ოთხ ნაკადად მიედინებოდა. პირველი არის ფიშონი. ის გარს უვლის ხავილას მთელ

11 გამოცხადება 12: 9, 12

12 იქვე 21:4

13 1 ოთხე 2:25

ქვეყანას, სადაც ოქროა. . . მეორე მდინარეა გიხონი. ის გარს უვლის ქუშის მთელ ქვეყანას. მესამე მდინარეა ხიდე-კელი. ის ასეურეთის აღმოსავლეთით მიედინება. მეორხე მდინარე კი ევფრატია<sup>14</sup>. ეს გეოგრაფიული მონაცემები ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანე, რომ ედემის ბაზი ანუ სამოთხე დედმიწაზე იყო და არა მის ფარგლებს გარეთ, როგორც ეს ადამიანთა დიდ ნაწილს ჰგონია.

ნუთუ დაფიქრებად არ ლირს, ვის ვემსახუროთ: სატანის ქვეყნიერებას, მაცდუნებელს, წუთიერსა და წარმაგალს, რომელსაც არაფერი შეუქმნია გარდა იმისა, რომ ცოდვისა და მის საზღაურად სიბერე და სიკვდილი მოაქვს, თუ ლერთს, ყოვლისშემოქმედს, რომელიც სულ მალე ბოლოს მოუდებს ბოროტებას, უსამართლობას და კაცობრიობის უბოროტეს მტერს – სატანას და დედამიწაზე მოიტანს ნამდვილ კურთხევებს, მარადიულ სიცოცხლეს, მშვიდობასა და ბედნიერებას.

მკითხველს ნამდვილად გაუჩნდება კითხვა: აქ რა შუაშია პედაგოგიკა? მართალიცაა და ჩვენც გიპასუხებთ. პიროვნების სრულფასოვნებაში რომ მთავარია მისი სულიერება, ამაზე საბედნიეროდ, დღეს არავინ დავობს. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ადამიანთა უმეტესობა სულიერობის არსში ბოლომდე ვერ არის გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო და მას ზნეობასთან აიგივებს. სინამდვილეში სულიერობა ყოვლისშემოქმედ ლერთოთან არის უშუალოდ დაკავშირებული და მას მხოლოდ ლერთი იძლევა სულიერების ერთადერთ წყაროს დავთივსულიერი წიგნის, ბიბლიის მეშვეობით. სულიერება ეფუძნება ლოთის, მისი მხოლოდშობილი ძისა და ოსტატის იქსო ქრისტესა და სატანა-ეშმაკის შესახებ ჭეშმარიტ ცოდნას და ამ ცოდნაზე დაფუძნებულ რწმენას. ობიექტური მიზეზი იმიტომ ვახსენე, რომ საუკუნეების განმავლობაში ბიბლიის წიგნები (66 წიგნისგან შედგება) ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი. დღეს, საბედნიეროდ და ლოთის ნებით, ის

14 დაბადება 2: 8,10-14

თითქმის მსოფლიოს ყველა ხალხთათვის ხელმისაწვდომი გახდა თავთავიანთ ენაზე. მაგრამ ყველა როდი სწავლობს. ზოგი, და, სამწუხაროდ უფრო მეტად ისინი, რომლებსაც ბიბლია წაკითხული არა აქვთ, დაუინებით ამტკიცებენ, რომ ბიბლიას მეცნიერებასთან კავშირი არა აქვს და ის მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებში უნდა ისწავლებოდეს და არა – საეროში. ჯერ ერთი, სრულებით არ ეწინააღმდეგება ბიბლია მეცნიერებას. პირიქით ის წარმოადგენს „მეცნიერული სიბრძნის წყაროსა და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს.“ მაგალითად, პედაგოგიკური მეცნიერება ბიბლიასთან სრულ თანხმობაშია. ამის დამადასტურებელი პარალელები ბევრია ბიბლიაში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ბიბლია: „მოელი წმინდა წერილი დვოისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმართლეში აღსაზრდელად, რათა დვოის კაცი ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მომზადებული იყოს ნებისმიერი კარგი საქმისათვის“.<sup>15</sup>

პედაგოგიკა: „პედაგოგიკა არის საზოგადოებრივი მეცნიერება სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ“.<sup>16</sup>

აღზრდის მიზანშიც პედაგოგიკა ბიბლიას ეთანხმება. ზემოთ მოყვანილი მუხლის მეორე ნაწილში ნათლად ჩანს აღზრდის მიზანი, რომ ადამიანი ყველაფერში უნდა ერკვეოდეს და ყოველმხრივ უნდა იყოს მომზადებული ნებისმიერი კარგი საქმისათვის.

ახლა მოვუსმინოთ პედაგოგიკას: აღზრდის მიზანია ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.

რაც შეეხება კონკრეტულად სულიერ აღზრდას, ამის შესახებ ბიბლია ამბობს: „გულში ჩაიბეჭდე სიტყვები (მცნებები – გ.ხ.), რომლებსაც დღეს გიბრძანებ: ჩაგონე შენს

15 2 ტიმოთე 3: 16

16 იხ. პედაგოგიკის ნებისმიერი სახელმძღვანელო

ვაჟს და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას“.<sup>17</sup> „არ მოშორდეს შენს ბაგეს კანონის ეს წიგნი. იკითხე ის დღედადამ, რათა გულდასმით შეასრულო ყველაფერი, რაც მასში წერია; მაშინ წარგემართება გზა და მაშინ იმოქმედებ ბრძნულად“.<sup>18</sup> აქ არსად არ ჩანს, რომ ეს მე, როგორც საერო პირს, არ მეხება.

დმერომა თავისი ძე იესო ქრისტე განა მთელ კაცობრიობას, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, არ შემოგვწირა?!

განა მეცნიერება თვითონ არ ამბობს, რომ ის იკვლევს სამყაროს განვითარების ჩვენგან, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებულ უზოგადეს ობიექტურ კანონებსა და კონკრეტულ კანონზომიერებებს?! და, თუ მეცნიერის მიზანია ობიექტურად არსებულის აღმოჩენა, მაშინ ამ არსებულის შემოქმედი სხვა ყოფილა ჩვეზე ბევრად დიდი, რომელსაც ცოტა რაღაცით ვგავართ.

აბა, წარმოიდგინეთ ეს უზარმაზარი სამყარო, ცა და დედამიწა და რაც მათშია, ყველაფერი ემყარება არსებობისა და მოძრაობის, განვითარების, ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირებულობის ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ კანონებსა და პრინციპებს, მკაცრად განსაზღვრულ წესებსა და ნორმებს. ე. ი. ვის უნდა დაედგინა ეს კანონები, პრინციპები, წესები და ნორმები თუ არა მას, ვინც შექმნა მთელი სამყარო.

ბელგიელი პროფესორი დევი ლოუსი წერს: „ჩვენი რწმენა არ არის ბრმა და არ უარყოფს მეცნიერულ ფაქტებს... ინჟინრები ცდილობენ ცოცხალ ორგამნიზმში მიმდინარე განსაცვიფრებელი მექანიზმების ანალოგი შექმნას“.<sup>19</sup> ადამიანებმა ტექტნიკური საოცრებები: გემი, თვითმფრინავი, მობილური, კომპიუტერი და სხვა, სწორედ, ღვთის ქმნი-

17 კანონი 6:6,7

18 იესო ნავეს ძე 1:8

19 ბრ. „გამოიღვიძეთ“, ოქტომბერი, 2013, გვ. 7

ლებათა ანალოგიით შექმნეს. მაგალითად სპუპერმა 1973 წ. მობილური ტელეფონი ადამიანის ყურის ანალოგიით შექმნა.

მაშასადამე, სწორია დებულება: რომ „ბიბლია წარმოადგენს მეცნიერული სიბრძნის უბადლო წყაროსა და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს“,<sup>20</sup> რომელიც არანაირად არ ეწინაღმდეგება მეცნიერებას. მეცნიერება იკვლევს იმას, რაც დმერთმა შექმნა და დაადგინა კანონებისა და პრინციპების, ნორმებისა და წესების სახით.

---

20 ქ. საგუშაგო კომისიი, 15 აგვისტო, 2014, გვ. 31

## სეცუაციები – გონიერი მართველი

გონება არის მთელი „მე”-ს ბრძენი მმართველი, კანონიერი მპრეზიდენტელი, ორგანიზმის „შინაგანი გარემოს” მომწევესრიგებელი, ცალკეული ორგანოების ან ორგანოთა სისტემების ფუნქციონირების რეგულატორი, ქცევისა და მოქმედების მარიენტირებელი. გრძნობები კი თვალთათქმის, გულთათქმის, ხორციელი სურვილების და ცდუნებების მშობელი. გონს დიდი ჯაფა ადგება თავნება გრძნობების მოსათვინიერებლად. მაგრამ მიზანი ან მიიღწევა, ან არა. მიზნის მიღწევას გონების განსწავლულობის ხარისხი, მოცულობა და ჭეშმარიტება განაპირობებს. რეალური სინამდვილე კი სავსეა გაუწვრთნელი გონების დასაბინდავად. ეგოცენტრიზმი, მატერიალიზმი, კარიერიზმი, ფლობისა და განდიდების მანია ისე იპყრობს ადამიანის გულსა და სულს, რომ სწორი განსჯის უნარი ეკარგება. აბა, წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ ადამიანი – ეს უნიკალური ღვთიური ქმნილება იქამდე ეცემა, რომ მთლიანად კარგავს პიროვნულ-მორალურ სახეს. ზიანს აყენებს თავისთავსაც და სხვასაც. მრუშობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, კორუფცია, მკვლელობა, ქურდობა, გაუპატიურება, სქესობრივი აღრევა და სხვა ათასი სისაძაგლე ლამის არის ნორმად იქცეს. ამ უბედურებათა მიზეზი ძალიან მარტივად არის ახსნილი ბიბლიაში. „...მთელი ქვეყნიერება კი ბორტის ხელშია”.<sup>1</sup> გამოცხადების მე-12 თავის მე-9 და მე-12 მუხლებში ვკითხულობთ: „გადმოგდებულ იქნა დიდი დრაკონი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია

და რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მთელი მსოფლიო. გად-  
მოგდებულ იქნა დედამიწაზე” თავის ანგელოზებით. „ვაი,  
მიწასა და ზღვას, ვინაიდან თქვენთან ჩამოვიდა ეშმაკი,  
დიდად განრისხებული, რადგან იცის, რომ დრო ცოტალა  
დარჩა.” მიუხედავად დამარცხებისა, ის მაინც იბრძვის „და-  
ძრწის როგორც ბრდდვინავი ლომი” რომ ადამიანები გააუ-  
ბედუროს. „ახდენს დიდ ნიშნებს და ცეცხლიც კი ჩამოაქს  
ციდან დედამიწაზე ადამიანთა თვალწინ” და „შეცდომაში  
შეჰყავს დედამიწის მკვიდრნი ცრუ ნიშნებით”.<sup>2</sup> როგორ  
უნდა დავიცვათ თავი ამ ბოროტი სულისგან. ნიკოლოზ  
ბარათაშვილმა ადვილად სძლია ბოროტ სულს თავისი  
დაუმორჩილებით: „განვედი ჩემგან, პო, მაცდურო, სულ  
ბოროტო!” („სულო ბოროტო,” 1843 წ).<sup>3</sup>

პიროვნების, როგორც სამყაროს უნიკალური ქმნილე-  
ბის, ღირსება მისი სიბრძნე და გონიერებაა. ბრძენ და  
გონიერ ადამიანთა საზოგადოებაში, მკვიდრობს წესრიგი  
და ჰარმონია, სამართლიანობა, მშვიდობა და ბედნიერება,  
სილამაზე და მშვენიერება. მაგრამ ეს ღირსებები თან-  
დაყოლილი არ არის. თანდაყოლილია უნარი, პოტენციური  
შესაძლებლობები. მისი განვითარება და ხასიათის თვისე-  
ბებად ჩამოვალიბება ხდება სწავლების, შემეცნების გზით.  
სოლომონ ბრძენი წერს: „შემეცნება გონების სრულქმნაა,  
სრულქმნილება კი ღმერთთან მიახლოება.” ამიტომ იქვე  
გვაძლევს რჩევას: „ყური გქონდეს სიბრძნისკენ მიპყრო-  
ბილი და გული გონიერებისაკენ გეწეოდეს: რომ მოუწო-  
დებდე ჭკუას და გონებას გააღვიძებდე, რომ ვერცხლივით  
მისი შოგნის წადილი გქონდეს და განძივით დაუწეუბდე  
ძებნას... მაშინ მიხვდები, რა არის სიმართლე, სამართლი  
და სამართლიანობა, ყოველი კეთილი საქმე”.<sup>4</sup>

ბიბლია ადამიანს ღვთის ტაძარს უწოდებს და მოითხოვს  
მისი სიწმინდის დაცვას. „თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტა-

2 გამოცხადება 13:13,14

3 სატანის ბოროტი ხაქმექებისა და მისი აღსასრულის შესახებ იხილეთ  
გ. ხუხუს წიგნი – ბიბლია, პედაგოგიკა და ჩვენ. თბ., 2009

4 სოლომონის იგავები 2:2–4, 9

ძარს, ღმერთი დააზიანებს მას, რადგან წმინდა დვთის ტა-  
ძარი და ეს თქვენ ხართ”.<sup>5</sup> დვთის ტაძრის დაცვა სხეულისა  
და სულის სიწმინდის დაცვაა. სულის სიწმინდეს სხეულის  
სიწმინდე განამტკიცებს. ნათქვამია: „ჯანსაღი სული ჯან-  
საღ სხეულში”-ო. ეს კი ნიშნავს გულისთქმისა და უზომო  
ხორციელი ტკბობისგან თავშეკავებას, პატიოსნებასა და  
კდემამოსილებას. უზომო ხორციელ გულისთქმებთან და-  
კავშრებით ბიბლიაში წერია: „ხორცის საქმეები აშკარაა.  
ეს არის: სიძვა, უწმინდურება, თავაშვებულობა, კერპთაყ-  
ვანისმცემლობა, სპირიტიზმი, მტრობა, დავა, ეჭვიანობა,  
„განრისხება, შუღლი, განხეთქილება, სექტანტობა, შური,  
გადამეტებული სმა, ღრეობა და სხვა მსგავსი საქმეები....  
ასე მოქმედნი დვთის სამეფოს ვერ დაიმკვიდრებენ“.<sup>6</sup>

სწორად განსწავლული გონება ამაღლებს განსჯის  
უნარს, აფაქიზებს გრძნობებს, არეგულირებს ემოციებს  
ამაღლებს ზომიერების შეგრძნებას და ასუფთავებს სინ-  
დისს – უტყუარსა და უკომპრომისო მსაჯულს. მაგრამ  
აქვე ჩნდება კითხვა: რას გულისხმობს სწორად განსწავ-  
ლულობა. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში  
ყვლაზე დიდი უბედურებების, ომების, ნგრევების, ძალა-  
დობის ინსპირატორები იყვნენ და არიან განათლებული,  
ენების მცოდნე, წიგნიერი ადამიანები. მაგალითად: ბაბი-  
ლონის მეფე ნაბუქოდონოსორი, ალექსანდრე მაკედონელი  
(არისტოტელეს მოწაფე), სისასტიკით ცნობილი იმპერა-  
ტორები, მსოფლიომპყრობელები, თემურ ლენგი, მურვან  
ყრუ, შაჰაბასები, ნაპოლეონ ბონაპარტი, ჰარი ტრუმენი,  
რომლის კისერზეა ნაგასაკი და ხიროსიმა, ადოლფ ჰიტ-  
ლერი (ასი მლიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა)  
და ა.შ. მექრთამეები, კორუმპირებული ადამიანები, მათი  
აბსოლტური უმრავლესობა, განათლებულები და მაღალი  
თანამდებობის პირები არიან.

ჩვენი სინამდვილეც ხომ სავსეა განათლებულ, მაგრამ

5 1 ქორინთელი 3:17

6 გალატელები 5:19–21

ცოდვილ და უბადრუეკი ადამიანებით, რომლებსაც უბე-  
დურება მოაქვთ ქვეყნისთვის, ერისთვის, მსოფლიოსთვის.  
ადამიანთა არადამიანურობით შეწუხებული მეცნიერები  
ეძებენ არსებული პრობლემის მიზეზსა და გამოსავალს,  
მაგრამ პრობლემა არ იხევს უკან. სამართლიანობა მოი-  
თხოვს, რომ ითქვას, ამაში ადამიანურობის ანუ აღზრდის  
მეცნიერებას არ მიუძღვის ბრალი. არც ერთ მეცნიერებაში  
არ დაწერილი იმდენი, რამდენიც პედაგოგიკურ მეცნიე-  
რებაში. დღეს ვერავინ იტყვის, (ეს ბევრჯერ ვთქვით და  
ახლაც ვიმეორებო), რომ პედაგოგიკური ცოდნის დეფიცი-  
ტია. პრობლემა ცოდნის მარაგში კი არ არის, პრობლე-  
მა მისი გამოყენების პროფესიონალიზმშია, პედაგოგიურ  
ხელოვნებასა და ოსტატობას რომ ვუწოდებთ. არ არის  
ლოგიკურ-ორგანული კავშირი აღზრდის მეცნიერებასა  
და პრაქტიკას შორის. დარღვეულია ბავშვის ბუნებასთან  
აღზრდის შესაბამისობის უნიკალური პედაგოგიური კანო-  
ნი, ასაკობრივი პერიოდიზაციის, მისაწვდომობის, თანმიმ-  
დევრობისა და სისტემატურობის პრინციპები. რატომდაც  
ბავშვის აღზრდას თავიდანვე ჭკუის სწავლებით, დარიგე-  
ბებით, აკრძალვებითა და დასჯით ვიწევებთ. ჩვენი უპირატე-  
სობების უმართებლო გამოყენებით მორჩილებას ვთხოვთ  
უმწეო ბავშვს. ის ფსიქიკური და ემოციური ზიანი, რომე-  
ლიც ამ დროს ადგება მას, მხედველობიდან გვრჩება. ეს  
იმას არ ნიშნავს, რომ ჭკუის სწავლებისა და დარიგებების  
უფლება არა აქვს მშობლებსა და აღმზრდელ-მასწავლე-  
ბლებს, რომლებიც აღსაზრდელის საკეთილდღეოდ შრო-  
მობენ. საქმე იმაშია, რომ სენტენციები გონების ენაა და ის  
ბავშვებს არ ესმით. გაუგებრობა კი დაბნეულობას, დაბა-  
ბულობას იწვევს. ეს კი უფროსების მიმართ ბავშვებში  
პროტესტის გრძნობას აჩენს და თავდაცვის ბუნებრივ ინს-  
ტიქტს აძლიერებს. ამიტომ თქვა ჟან ჟაკ რუსომ, ბავშვებს  
რომ ესმოდეთ სენტენციები, გონების ენა, მაშინ აღზრდა  
არც იქნებოდა საჭირო-ო. სენსუალიზმის თეორიიდან გა-  
მომდინარე, შეგვცნების პირველ ეტაპს შეგრძნებები წარ-

მოადგენს. ამიტომ პედაგოგიკის ყველა კლასიკოსი და არა მარტო ისინი, პირველ ადგილზე აყენებენ შეგრძნებებსა და აღქმებს. აღზრდის საწყის ეტაპზე ჩვევების გამომუშავებაა უმთავრესი და არა წესებისა და ნორმების დაზეპირება. როგორც რუსომ თქვა: „გაუგებარ ენაზე საუბრით პატარებს ვაჩვევთ ცარიელი სიტყვებით გამოძრომას, ჭარბსიტყვაობას. თავს ყოვლისმცოდნედ წარმოაჩენენ, როგორც მათი დამრიგებლები, რითაც ხელს ვუწყობთ იყონ მოკამათე და ჯიუტები”<sup>7</sup>.

ბავშვებში სწორი ქცევისა და მოქმედების ჩვევების გამომუშავების პედაგოგიური საშუალებაა საგნებისა და საქმის ჩვენება და კეთება. საგნის გაცნობა, ქცევისა და მოქმედების პროცესში ბავშვის ნებაყოფლობით ჩართვა. მისი თანდაყოლილი ცნობიმოყვარეობისა და მიმბადველობის დაურკებელი სურვილისთვის სწორი მიმართულების მიცემა. ბავშვი თავიდანვე ავლენს ლტოლვას გარემომცველ სამყაროსადმი, ყველაფერს უყურებს, აკვირდება, ეპოტინება, ხელს ჰკიდებს, თავისკენ ექაჩება. რაც უფრო მეტი, მრავალფეროვანი და ინტენსიური იქნება ეს შეგრძნებები, მით უფრო გაიზრდება ინფორმაციულობა და შესაბამისად უფრო დროულად და ადვილად წარიმართება მისი გონებრივი განვითარება. ასეთი მიდგომით, თანმიმდევრობისა და სისტემატურობის დიდაქტიკური პრინციპის საფუძველზე ბავშვი ბუნებრივად გადაგვყავს არცოდნიდან ცოდნისაკენ, მარტივიდან როცელისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულ და ლოგიკურ აზროვნებისაკენ ისეთი დოზით, რაოდენობით, მოცულობითა და ინტენსივობით, რაც მის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ფსიქო-ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შეესაბამება.

კვინტილიანება და კომენსკის მოთხოვნათა შესაბამისად, თუ საგანსა და მისი სახელის შესახებ ინფორმაციას ბავშვს ერთდროულად მივაწვდით, ვუჩვენებთ მას სხვა-

7 ქან ქაკ რუსო, ემილი, წგ-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა, ი.ან ამოს კომენსკი, კ. ლოკი, ქანქაკ რუსო, ი. გ. პესტალოცი, მ. 1989, გვ229

დასხვა ადგილას სხვადასხვა კუთხით და ვავარჯიშებთ მის ხატვაში მოქმედების სათანადო ნიმუშის ჩვენებით, ვახატვინებთ სხვადასხვა ზომებში, ფერებში. მერე თავისივე ნახატებიდან ავარჩევინებთ მისთვის სასურველს და ანალოგიურს ვახატვინებთ ისევ ახალ სუფთა ფურცელზე, ეს ბავშვს დაეხმარება ღრმად და მტკიცედ გაიცნობიეროს და დაიმახსოვროსის საგანი. შერჩეული ნახატების შესახად მივუჩენთ სპეციალურ ფაილს ან კუთს და ასე ვხატავთ და ვაგროვებთ ბავშვის ნამუშევრებს. პარალელურად ვესაუბრებით მის შემოქმედზე, დანიშნულებაზე. შესაბამის სიტუაციაში, მაგალითად, სტუმრებთან ბავშვს ვთხოვთ გვაჩვენოს თავისი ნახატები. დათვალიერების შედეგ გულწრფელად მოვუწონებთ, შევაქებთ. კარგი იქნება სტუმრის ან ჩვენი მხრიდან გავაპეოებთ ძალიან მოზომილ კომპლიმენტებს, ან კიდევ რომელიმე დიდ მხატვარზე და ჩვენზედაც მოკლედ მოვუყვებით, თუ როდის და როგორ დავიწყეთ ხატვა.

ამგვარი მიღებომით, კერძოდ, ყურადღებისა და დროის დათმობით, გულისხმიერებით, თანადგომითა და რაც მთავარია, თანამშრომლობით ბავშვს ვაჩვენებთ მისდამი ჩვენს პატივისცემასა და სიყვარულს, ვაჩვევთ შრომისმოყვარებას, აკურატულობასა და წესრიგს, სტუმართმოყვარებას, განვაწყობთ ყოვლისშემოქმედი დათისადმი პატივისცემით.

აღზრდისადმი კომპლექსურ მიღებომასთან დაკავშირებით კომენსკის პედაგოგიური დებულებაც სწორედ სიტყვისა და საქმის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს: „საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ერთი შრომით ორმაგი, სამმაგი საქმე კეთდებოდეს, მაგალითად: ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ სიტყვები და საგნები, კითხვა და წერა, სტილზე მუშაობა და გონების განვითარება, სწავლა და სწავლება, სახალისო და სწრიოზული და კიდევ ბევრი რამ, რასაც კი მოვისაზრებთ”... რომ „არაფერი არ უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“<sup>8</sup>

8 იან ამოს კომენსკი, რჩ. პედ. თხ., დიდი დიდაქტიკა, 1949, გვ. 209, 215

როგორც ცნობილია, ადრეულ ასაკში ბავშვის ქცევის, მისი აქტივობის მთავარ ფორმას თამაში წარმოადგენს. სწორედ, ამით აიხსნება ამ საკითხთან დაკავშირებული თქმატური სიუხვე პედაგოგიკურ ლიტერატურაში. არსად ისე ნათლად არ ვლინდება ბავშვის ბუნება, როგორც ეს ხდება თამაშის პროცესში. რაც განპირობებულია ნებაყოფლობითობის, არჩევანის თავისუფლების, ინიციატივისა და დამოუკიდებლობის პედაგოგიური პრინციპით. ამგვარ თავისუფალ ატმოსფეროში ხდება ბავშვის გრძნობების, ხასიათის ფარული თვისებების თავისუფალი გამოვლინება, რაც საშუალებას იძლევა ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, განვითარების ასაკთან ადეკვატურობის სწორად განსაზღვრისა და თანამშრომლობისათვის ადეკვატურ პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავების და გამოყენების თვალსაზრისით.

ტიპიური პრობლემა, რასაც უჩივიან მშობლები და პედაგოგები, ეს არის ბავშვის სიჯიუტე. ცნობილია, რომ ადამიანს თანდაყოლილი აქვს ურთიერთობების როგორც დადებითი ასე უარყოფითი უნარები, მაგრამ ვითარდება ის, რომელსაც მიეცემა განვითარებისათვის მეტი შესაძლებლობები. ამას განაპირობებს აღზრდის სისტემა და სტილი. სიჯიუტე, ცხადია, უარყოფითი თვისებაა და პრინციპულობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ პრობლემის არსი ყველაზე კარგად უან უკ რუსომ ახსნა თავის გაუხუნარ „ემილში“. რუსოს აზრით, სიჯიუტის გამოვლენა მიუთითებს ბავშვის მიერ თავისი სისუსტის, უმწეობის, ზოგჯერ არასრულფასოვნების შეგრძნების დაფარვის მცდელობაზე; ან სათანადო ყურადღების, სიყვარულის, კომუნიკაციების დეფიციტზე. რადგან ადამიანს როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ არსებას გენეტიკურად, ბუნებრივად აქვს სოციოგენური მოთხოვნებიც თანდაყოლილი: სწრაფვა განვითარებისაკენ, ურთიერთობისაკენ დიდობისაკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად უნდა ყურადღებას აქცევდნენ,

აფასებდნენ, „უყვარდეთ, ენდობოდნენ, ანგარიშს უწევდნენ, თანამშრომლობდნენ, თანაუგრძნობდნენ და ა. შ. მაგრამ ამ სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება ერთბაშად შეუძლებელია. ის დაკავშირებულია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან, დროის, ნების, ძალისხმევისა და მის შედეგად მიღებული გარკვეული ცოდნა-გამოცდილების ბაზასთან. მაგრამ ეს არ იძლევა იმის უფლებას, რომ ბავშვს ბავშვობა წავართვათ და მისი განვითარება დაჩქარებულ რეჟიმში გადავიყვანოთ. რაც შედეგად, რუსოს აზრით, მოუმწიფებელ ნაყოფს მოგვცემს, რომელსაც არც გემო აქვს, არც სიმწიფე და მალევე ცუჭდება, ასევე „მივიღებთ ნორჩ მეცნიერსა და დაბერებულ ბავშვს”.<sup>9</sup> ეს აზრი, ბავშვის დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებით, „უფრო ადრე კომენსკიმ ასე გამოოქავა: „არაფერში არ უნდა ვიჩქაროთ... ბარტყები რომ მალე გამოიჩეკოს, ამისთვის ფრინველი პვერცხებს ცეცხლში როდი ყრის, არამედ თანდათანობით ათბობს ბუნებრივი სითბოთი”.<sup>10</sup>

აღზრდაში ყველაზე დიდ შეცდომას ვუშვებთ მაშინ, როცა თავიდანვე ოჯახში არ ვიწყებთ ამ პროცესს, სადაც ყველაზე ბუნებრივი აღზრდებები მშობლები არიან, იმის გამო, რომ ის მხოლოდ სკოლის პრეროგატივად არის მიჩნეული. სკოლაში მისული ბავშვი კი სკოლისთვის მოუმზადებელია, რასაც შედეგად მოსდევს ხან აკადემიური სისუსტე, ხან კიდევ ზნეობრივი შეუთავსებლობა.

9 ქან-ქაკ რუსო „ემილი ანუ აღზრდის შესახებ” წგ-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა იან ამოს კომენსკი, ჯლოკი, ქან-ქაკ რუსო, ი. გ პეტრიაშვილი, მ. 1989, გვ. 205

10 იან ამოს კომენსკი, რჩ. პეტ. თხზ., დიდი დიდაქტიკა, 1949, გვ. 159

## თავისუფლება თუ პალაზუდება?

„ცოდნით კერ მოლბებს, არავინაა ისე კელური,  
ოღონდ ხწავლას მან მოთმინებით მიაჟროს კური”  
(პორაციუსი)

დმერთმა ადამიანი არჩევანის თავისუფლებით შექმნა. მას ბუნებაში ჩაუდო თავისუფლებისკენ სწრაფვა. ამიტომ თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი, ენდოგენური მდგომარეობაა. ბავშვის თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ მას უფლება აქვს მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალიური გამოვლინებისა და განვითარებისათვის პქონდეს შესატყვისი პედაგოგიური, სოციალურ-ეკონომიური და მორალური პირობები; მიიღოს მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, ფიზიკური და ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების აღეკვატური განათლება და აღზრდა პიროვნების სრულფასოვნების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, რაც, როგორც იაკობ გოგებაშვილმა ოქვა, გულისხმობს გონებრივ სიმაღლეს, ზეობრივ სისპენდაკესა და სიკეთეს; მის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას. თუმცა კაპიტალისტური სისტემის ბუნებაში არ ჯდება ადამიანთა მასობრივი და ყოველმხრივი განვითარების რეჟიმი. რადგან მისი მთავარი მიზანია კონკურენტუნარიანი ტექნიკურატების, ნებისმიერ ფასად მოგებას დახარბებულ, ფლობის მანიოთ აღტკინებულ, ადამიანურ გრძნობებისაგან დაცლილ, დგომისნიერებას მოკლებულ, უსულებულო თაობების გამოჭედვა, რომლებსაც არ გაუჭირდებათ სხვაზე ბატონობა, თავისი გნებააშლილი ამბიციების დაკმაყოფი-

ლებისათვის დამანგრეველი ომების გაჩაღება, სხვის უბე-  
დურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება.

ეს პრობლემა დასაბამიდან დღემდე მძინვარებს დედა-  
მიწაზე. პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა დღემდე  
ეძებს შშვიდობიან გამოსავალს, მაგრამ ამაოდ დღითიდღე  
მძაფრდება მდგომარეობა. ბოლო არ უჩანს ომებს, ძალა-  
დობას, სიღარიბეს, დაავადებათა ეპიდემიებს, აღვირახ-  
სნილ გარყვნილებას, სიძულვილსა და უსამართლობას.  
ამის მიზეზი ცოდნის დეფიციტი არ არის. პრობლემა მის  
გამოუყენებლობაშია. პროგრესულად მოაზროვნე კაცო-  
ბრიობამ, ჰეშმარიტმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს არსე-  
ბული პრობლემების მიზეზები და გამოსავალი. მაგრამ  
არასოდეს არსად არ ყოფილა მათი იდეების პრაქტიკუ-  
ლი განხორციელების რეალური შესაძლებლობა, პოლი-  
ტიკური ნება. პედაგოგიკისა და მხატვრული აზროვნების  
კლასიკოსები, მიუხედავად გაუგონარი რეპრესიებისა და  
დეკნისა, ათასგარი დამამცირებელი წინააღმდეგობებისა  
და დაბრკოლებებისა, ქედს არ უხრიდნენ უსამართლო-  
ბასა და ძალადობას, ბევრი ფიზიკურადაც გაანადგურეს,  
მაგრამ მათ დიდებულ სახელსა და ამაღლებულ იდეებს  
ვერაფერი მოუხერხეს. იაკობ გოგებაშვილი ორჯერ მიიყვა-  
ნეს თვითმკვლელობამდე, ილია ჭავჭავაძეს შუბლზე ტყვია  
დაახალეს, ტერენტი გრანელს წამებით სული ამოხადეს,  
ჰეშმარიტს, მართალს, პატიოსანს არ აჭაჭანებენ დღემდე;  
იან ამოს კომენტარის ოჯახი მის ქვეყანაში 30 წლიან სამო-  
ქალაქო ომის მძინვარების შედეგად ჩეხეთში მოდებულმა  
შავმა ჭირმა იმსხვერპლა, ორჯერ გადაუწეს სახლკარი  
და რაც მასში იყო და იძულებით გაქცეული ხან პოლო-  
ნეთს აფარებდა თავს, ხან იტალიას, ხან კიდევ გერმა-  
ნიას. მაგრამ ქედი ვერ მოახრევინეს. სადაც და რა მძიმე  
მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო, კიდევ უფრო მეტი  
ინტენსივობით განაგრძობდა კალმითა და სიტყვით სა-  
მართლიანობის, ბუნებრივი თავისუფლებისა და სოცია-  
ლური თანასწორობისათვის ბრძოლას. ის აღზრდასა და

ქრისტიანულ მორალში ხედავდა გამოსავალს: „არ არსებობს – წერს „დიდი დიდაქტიკის“ ავტორი – ამქვეყნად არავითარი იმაზე ჰეშმარიტი გზა ადამიანთა გახრწნილების აღმოსაფხვრელად, ვიდრე ახალგაზრდობის სწორი აღზრდაა!“<sup>1</sup> ინტელექტგაჩახახებულმა კაცმა კოპერნიკის წიგნი – „ციურ მნათობთა შესახებ“ გზის ფულით იყიდა და გერმანიიდან პრაღამდე ფეხით ჩამოვიდა.

ჟან-ჟაკ რუსოს წიგნები ცეცხლის ალში გაახვიეს, ხოლო მათი ავტორის დაპატიმრების სანქცია გასცეს მხოლოდ იმის გამო, რომ თანასწორობისა და თავისუფლების იდეებს აღიარებდა, რომ მან გაბედა და ოქვა: ძირს სოციალური უთანასწორობა; ფილოსოფობი გლეხივით უნდა მუშაობდეს და გლეხი ფილოსოფობისივით აზროვნებდესო. ეპენევაში გაქცეულ რუსოს მეგობრებმა გზაში შეატყობინეს, რომ იმ წუთში მისი წიგნები იქაც, დედაქალაქის ცენტრში ცეცხლში იძუგებოდა.

ადამიანის უფლებების, მისი ბუნებრივი თავისუფლების თავგანწირულ დამცველთა რიგებში იყვნენ ასევე მსოფლიოს სხვა გამოჩენილი მეცნიერები და ხელოვანები, განსაპუთრებით პედაგოგიკოსები, მაგრამ მათ არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლიათ თავისუფალი აღზრდის საწინააღმდეგო აზრები. თუმცა აღზრდისადმი შიშველი ეგზისტენციალური, პრაგმატული მიღვომები მათთვის მიუღებელი იყო.

თავისუფალი აღზრდა ორ ფაქტორს გულისხმობს. ესენია: სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი. პირველი არის ფიზიკური და ფსიქიკური ზრდა-განვითარების ბუნებრივი, მემკვიდრეობითობით მიღებული პოტენციური შესაძლებლობა, ხოლო მეორე, ამ პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლინებისა და განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური გარემო პირობების შე-

1 იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებები. თბ., 1949, გვ. 16

ქმნა, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილი განათლებისა და აღზრდის მიღებას, სიცოცხლის უსაფრთხოებას, სიტყვის, პროფესიის არჩევანის, შრომის, დასვენების, კანონიერ, ბუნებრივი ქორწინებისა და შეგნებული ცხოვრების, საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის თავისუფლებას.

აი, როგორ ესმის პედაგოგიკურ მეცნიერებას თავისუფალი აღზრდის არსი! მაგრამ, სამწუხაროდ ყველა როდი ფიქრობს ასე.

თავისუფლება – ეს არის ბუნებრივი, ღვთიური, საყველთაო და მარადიული, უნიკალური ღირებულება თავისი ზუსტი, სწორი, რეალური გაგებით, რომელსაც აქვს მყარი საზღვრები, მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერება და მოითხოვს უაღრესად დახვეწილ, კომპეტენტურ მიღგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია ხელმიშვებულობა, ქაოსი და ანარქია. რადგან ყველაფრის წარმოშობას, განვითარებას, მოძრაობას თუ არსებობას წესრიგი უდევს საფუძვლად. სწორედ ამას გულისხმობდა კომენტარი თავის „უნიკალურ ფრთიან გამონათქვამში: „წესრიგი სამყაროს სულია” („პორიადოკ დუშა ვეშეი”).

როგორც ფიზიკური ზრდისთვის სჭირდება ბავშვს თავისუფალი მოძრაობა, წიმააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ნერგი გაიღუნება რაიმე სიმძიმის მოწოდის გამო და ფორმა დაუმახინჯდება, იგივე მოუვა ბავშვს სხეულთა თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვის გამო. ასევე სჭირდება მას თავისუფლება შინაგანი პიროვნების, სულიერი ზრდის, მოელი „მექს” სრულფასოვანი ჩამოყალიბებისათვის. ეს თავისუფლება არის განვითარების ის შინაგანი ტენდენცია, რომელსაც ბავშვი ავლენს დაბადებისთანავე მოთხოვნილებების სახით. მათი დაკმაყოფილებისათვის იმთავითვე იწყებს აქტიურობას ჯერ ტირილისა და უესტიკულაციების ენით, შემდეგ კი სიტყვებისა და ქცევების მეშვეობით.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ადსაზრდელის ბუნება, მისი ინდივიდუალური თავისებურება, ხასიათი, ტემპერამენტი და, საერთოდ მისი ფსიქიკურ – ინტელექტუალუ-

რი შესაძლებლობები „საჭიროა მათი კარგად გაცნობა, რომ ვიცოდეთ თუ რომელი პედაგოგიურ მიღების რეჟიმი მოუხდებათ მათ. რადგან თითოეულს აქვს თავისი გონიერივი საწყობი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს მისი მართვა“<sup>2</sup>. ამისთვის საჭიროა ბავშვზე მიზანმიმართული სისტემატურ-პედაგოგიური დაკვირვება მისი ქცევებისა და მოქმედებების თავისუფალ პირობებში.

გამოკითხულ მასწავლებელთა და მშობელთა აბსოლუტური უმრავლესობა უჩივის ბავშვთა სიჯიუბეს, დაუმორჩილებლობას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ზღვარგადასულ, უკომპლექსო, ასაკთან შეუფერებელ, ზეობრივ ნორმებთან და წესებთან არაადეკვატურ ქმედებებს.

ბავშვები კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათთვის არავის სცალია, მათ არავინ არ უსმენს, მათ მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევენ, მათ სურვილებს არ ითვალისწინებენ, რომ უფროსები ზედმეტად კონსერვატორები არიან, დროს ჩამორჩნენ და ა. შ.

ეს არის ის ტიპიური მოცემულობა, რაც პრობლემას ქმნის ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეში, როგორიცაა აღზრდა, უმწეო ჩვილის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება, რასაც განაპირობებს სამი ძირითადი ფაქტორი: ბიოლოგიური, სოციალური გარემოსა და აღზრდის ფაქტორი.

მშობლები არიან პირველი და ბუნებრივი აღმზრდები, რომლებსაც აქვთ მოვალეობა და პასუხისმგებლობა და აქედან გამომდინარე, ფართო უფლებებიც. დვთის ნებით მშობლებმა მოვალინეს ბავშვი ამქვეყნად და ისინი დიდ ძალოსხმევას ახმარენ მას. ხარჯავენ დროს, ენერგიას, ფინანსებს, იცავენ მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას, ასწავლიან ქცევებს, ურთიერთობებს

2 ქან-ქაპ რუსო „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ წგ-ში პედაგოგიური მემკვიდრეობა იან ამოს კომენტარი, ჯ.ლოკი, ქან-ქაპ რუსო, ი. გ პესტალოცი, მ. 1989, გვ. 227

გარემომცველ სინამდვილესთან თანატოლებთან, უფროსე-ბთან, ბუნებასთან და რაც მასშია: ფლორა, ფაუნა და ა. შ. გადასცემებ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას და ამზა-დებებ სკოლისათვის. მშობელთა ეს მოვალეობები და პა-სუხისმგებლობა ანიჭებს მათ უფლებას შვილს მოსთხო-ვონ, თვალყური ადევნონ, მიუთითონ, შეუსწორონ, საჭირო შემთხვევაში დასაჯონ კიდევ ისევ მის საკეთილდღეოდ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნებით მონიჭებული უფლებით მშობლებმა ბოროტად ისარგებლონ. მათ აუ-ცილებლად უნდა დაიცვან მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობის, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემის, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის პედაგოგური პრინციპები.

პედაგოგიკის მეცნიერებას და მის პრაქტიკულ სინამდ-ვილეში დადგენილია, რომ აღმზრდელობითი პროცესი იწყება ბავშვის მუცლადყოფნიდან და გრძელდება მის სრულწლოვანობამდე ოჯახში, საბავშვო ბაღსა და საშუა-ლო სკოლში მის დამთავრებამდე. მაგრამ ისიც ცნობი-ლია, რომ აღზრდის სრულფასოვნება დამოკიდებულია იმ საძირკვლის ხარისხსა და სიმტკიცეზე, რომელსაც საფუძ-ველი ეყრდნა ოჯახში. როგორც თესლის მაგალითზე თქვა კომენსიმ, ისე ბავშვშიც იმთავითვე ჩადებულია ყველა ის მონაცემები, განვითარების ის პოტენციური შესაძლე-ბლობები, რაც საჭიროა მის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ბავშვი, როგორც ბიო-სოციალური არსება, დაბადებისთანავე ავლენს ამ მემკვიდრეობით მი-დებულ განვითარების ბუნებრივ ტენდენციებს სამყაროს-თან ურთიერთობის მოთხოვნილებისა და მისი დაგმაყოფი-ლებისათვის ბრძოლის სახით. ეს მოთხოვნილება მოიცავს ბიოლოგიურ, ფსიქიკურ, მორალურ, სოციალურ და ყოვე-ლივე იმ სფეროებს, რაც მათში იგულისხმება. როგორც ჟან-ჟაკ რუსომ თქვა თავის „უკვდავ „ემილში,” ბავშვს თავი-დანვე მხოლოდ ადამიანური მოთხოვნილებები აქვს და ეს

არის მისი პირველი ბუნება, ხოლო კულტურა, რომელსაც ადამიანი წლების განმავლობაში სწავლა-განათლებისა და აღზრდის გზით იძენს, ეს მისი მეორე ბუნებაა. შეძენილი ცოდნა-გამოცდილების ხარისხი განაპირობებს მეორე ბუნების თვისობრიობას. როცა მეორე ბუნება ანუ სოციალური დეპერმინანტი პირველ ბუნებას ანუ ადამიანურს ემთხვევა, მაშინ საქმე გვაქვს სრულფასოვნებასთან. რადგან პირველი, ადამიანური ბუნება უნაკლოა და სრულიად ჯანსაღი თუ გამონაკლისებს არ ჩავთვლით. ბავშვი თავის ბუნებრივ მოთხოვნებს გამოხატავს თავისივე ენით. ეს კი ტირილია. ტირილის ენას კი, როგორც წესი, ყველა მშობელი კარგად იგებს. ტირილი თანდათანობით ჩვევაში გადადის. ბავშვი ინსტიქტურად გრძნობს, რომ მისი ამ სპეციფიკური ენის წყალობით, ადგილად აღწევს მიზანს. ზრდასთან ერთად, ამ ბიოლოგიური მოთხოვნილებების წიაღში ვითარდება სოციალური მოთხოვნებიც სხვებთან ურთიერთობებში. ქვეცნობიერი მიმბამველობისა და ცნობისმოყვარეობის ძალით აქტიურდება სოციოგენური მოთხოვნები. ითხოვს ყურადღებას, მოსმენას, ხელში აყვანას, თამაშს; ეპოტინება საგნებს, ცდილობს ყველაფრის დასაკუთრებას, რასაც ხელს მოკიდებს, აგდებს, ამტვრევს, ხევს, ჭმუჭნის და ა. შ. დადლილი და გაბრაზებული მშობელი მიმართავს დასჯას აკრძალვებით, დაშინებით, ყვირილით, საგნის ხელიდან აგლეჯვით და გადანახვით. ბავშვი იწყებს ტირილს, თანდათანობით იმადლებს ხმას, ეცემა იატაგზე, ვარდება ისტერიკაში, ვერავინ ვერ აწყნარებს. ბავშვის გაჯიუტებით იძულებული მშობელი მიდის დათმობაზე, როგორმე დააწყნაროს ზღვარსგადასული პატარა. ბავშვი იცნობიერებს სიჯიუტის „მომგებიანობას“ და მსგავს სიტუაციაში აქტიურად მიმართავს ამ მეორდს მანამ, სანამ გაუდის. ამასობაში დაუმორჩილებლობა გადადის ჩვევაში და ეს უარყოფითი თვისება იქცევა მის მეორე ბუნებად, ტვინის ბიო-ქიმიური სტრუქტურის ნაწილად. თავისი კაპრიზების გატანას მიზეულ ბავშვს, ზრდის კვალობაზე ეზრდება

მოთხოვნებიც. როგორც რუსო ამბობს, ჯერ მოითხოვს იმ ჯოხს, რომელიც შენ გიკავია, მერე – საათს, ფრინველს მის წინ რომ დაფრინავს, მოითხოვს ვარსკვლავებს, მოითხოვს ყველაფერს, რასაც კი დაინახავს. თქვენ ხომ ღმერთი არა ხართ, ეს მოთხოვნები როგორ უნდა დააკმაყოფილო?” რუსო ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბავშვებს ვასწავლოთ შეუძლებლისა და შესაძლებლის მისაღებისა და მიუღებლის, სასარგებლოსა და უსარგებლოს გარჩევა, იმის მიღება რაც სჭირდება და არა ის, რაც უნდა.

„ბუნებას სურს, რომ ბავშვები იყვნენ ბავშური.” ამიტომ ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონის საზღვრებს არ უნდა გავცდეთ. მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ ბავშვმა რომ დაიჯეროს, მისთვის რა შეიძლება და რა არა?! ბავშვი ინტუიტურად გრძნობს მასსა და ჩვენს შორის განსხვავებას და ის ბრაზობს იმიტომ, რომ რაც ჩვენ შეგვიძლია, ის მას არ შეუძლია, მაგრამ იხტიბარს არ იტეს და სურს თავისი უპირატესობა დაგვიმტკიცოს. ამას ის ახერხებს თავისი უკვე ჩამოყალიბებული მეთოდებით: ტირილითა და ექსტიკულაციებით, რომელსაც ამწვავებს სიტუაციის მიხედვით იმ დოზით, სანამ თავის იმპულსურ ქცევას არ დაიკმაყოფილებს. აქ უკვე თხოვნას ენაცვლება ბრძანება და ბავშვი მშობლებს ხელიდან გლეჯს მართვის სადავეებს. მშობლები აშკარად კარგავენ თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას. მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ არა უიმედო, თუ მივმართავთ აღზრდის მეცნიერებას – პედაგოგიკას. მართალია, აღზრდის უნივერსალური რეცეპტები არ არსებობს, მაგრამ არსებობს პედაგოგიური კანონების, პრინციპების, მეთოდების, ფორმებისა თუ საშუალებების უმდიდრესი არსენალი და შესაბამისი პედაგოგიური რეკომენდაციები, რომელთა შემოქმედებითად გამოყენება, მოცემულ კონკრეტულ სიტუაციის შესატევისად მორგება უეჭველად გვაპოვნინებს გამოსავალს.

საწყის ეტაპზე მთავარია, ბავშვი მოგვენდოს ჩვენ შეგრძ

ნებების და არა სენტენციების საფუძველზე. (სენტენციები გონების ენაა, გონებრივ განვითარებას წინ უძღვის შეგრძნებები და ადქმები. ამიტომ ჯერ მისთვის ადრეა გონების ენის გაგება) მაგალითად, ბავშვს უნდა სკამის გადაადგილება, მაგრამ ის მძიმეა და მის ძალებს აღემატება. ცოტა ხანს ვაცლით, საკუთარი ძალების მოსინჯვას. შემდეგ ვთავაზობთ დახმარებას. ერთმხარეზე თვითონ უკიდია ხელი, მეორეზე ჩვენ და ასე, ერთობლივი ძალით სკამს ვდგამთ მისთვის სასურველ ადგილას. თანაც ვეუბნებით: კარგად რომ შეჭამ, მალე შენც დიიდი გაზრდები და მერე თვითონ ასწევ სკამებს. ამგვარ საუბრით ბავშვი ჭამისა და ჩვენს მიმართაც დადგებითად განეწყობა. ერთხელ, ასეთი საუბრების შემდეგ, ბავშვის მამა ავად იყო და დედამისმა საჭმელი საწოლში მიუტანა, მაგრამ უარი თქვა ჭამაზე. ბავშვმა უთხრა: „მამიკო, მამიკო, შეჭამე და მერე დიდი გაიზრდებიო.“ დედის მიბაძვით, ბავშვმა ზუსტად იგივე უთხრა მამას შესაბამის დროსა და სიტუაციაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვს ეს შეგონება მიღებული და გათავისებული აქვს.

ბავშვს შემდეგში მოუნდა დიდი წიგნის აღება, მაგრამ სიმძიმის გამო ვერ ასწია. მაშინათვე დედას მიმართა თხოვნით დახმარებისათვის. რა თქმა უნდა, დედა სიამოვნებით დაეთანხმა, შემთხვევაც მარჯვედ გამოიყენა და უთხრა: მალე შენც დიდი გახდები და თვითონ ასწევ ამ და სხვა უფრო დიდ წიგნებსაც და მის წაკითხვასაც ისწავლიო. ამ დროს მისი მეოთხე კლასელი და მარიამი იქვე მაგიდასთან იჯდა და საგმაოდ სქელტანიან წიგნს „მიო, ჩემო მიოს“ კითხულობდა. ბავშვმა შეხედა მარიამს და დედას ჩაეკითხა: „მარიამივით“-ო. პატარამ მარიამის მაგალითში დაინახა დედის ნათქვამის არსი.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანო. დედამ ბავშვებს უთხრა: ახლა წავიდეთ მეორე ბებიასთან, ძალიან ენატრებითო. სიხარულით წამოიშალნენ ბავშვები და დაიწყეს თავის ფორმაში მოვანა. ჩვენმა ცდის პირმა აიხირა დედამისის ქოშებით წასვლა, თხოვნამ არ გაჭრა. ჩვენც დაგ-

თანხმდით. დედამისმა და მარიამმა ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს და პატარა თავის ნებაზე მიუშვეს. ცოტა ხანს იარა, მაგრამ ქუჩაში სიარული რომ გაუჭირდა, თქვა: „ეს არ მინდა”-ო. „— კარგი, მაშინ შენი ტუფლები ჩაიცვი. თავის დაქნევით დაუთანხმა შეთავაზებას. და მათთან ერთად ბუნებრივად განაგრძო გზა.

პედაგოგიკის კლასიკოსების მოსაზრებით, ნებისმიერ ქცევაში ქცევის შედეგების ობიექტური ღირებულება ცნობიერდება და შესაბამისად „მინდასა” და „მჭირდებას” შორის მიმართება სწორდება. აქ მოყვანილი მაგალითებიც ამის დასტურია.

განრიდების მეთოდსაც აქვს თავისი პედაგოგიური ეფექტები. გაჯიუტებული ბავშვის ჭირვეულობას ბოლო არ უჩანს. ის მისივე ნაცადი მეთოდებით ცდილლობს როგორმე თავისი გაიტანოს, პუბლიკის ყურადღება მიიქციოს და თავი მსხვერპლად წარადგინოს. მ დროს მისი უსაფრთხოების გათვალისწინებით, კარგ შედეგს იძლევა მისი ამ დიდი მცდელობის უშედეგობა, თავის ხრიკებთან მარტოდმარტო დატოვება, სრული კონტრასტის შექმნა. კონტრასტის რეჟიმი აიძულებს რეაგირებას. ჯერ მაღლად მზერას მიმოავლებს ირგვლივ, მერ გადავა უფრო აქტიურ ქმედებებზე და ათვალიერებს სიტუაციას და, როცა რწმუნდება, რომ გაჯიუტებული გოგონა არვის აინტერესებს, თავად იდებს ზომებს და პირველი დგამს ნაბიჯს შერიგებისაკენ. სულში გამოზაფხულებამ მოზომილი, გააზრებული საზეომო ხასიათი, უნდა მიიღოს, რომ ბავშვმა აშკარად იგრძნოს კარგი ურთიერთობის სიტკბო.

თეორიისა და ადზრდის პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორც კომენსკიმ თქვა: „ცოტაა ისეთი მშობლები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ შვილებს რაიმე სიკეთე შეასწავლონ ან იმიტომ, რომ თვითონაც არაფერი არ უსწავლიათ, ან იმიტომ, რომ გართული არიან სხვა საქმეებით და ამაზე არ ზრუნავენ”.<sup>3</sup> კომენსკის ამ პედაგოგიურ დებულებასთან

<sup>3</sup> იან ამოს კომენსკი, რჩ. პედ. თხ. თბ., 1949, გვ. 22

სრულ თანხმობაშია დღეგანდელი რეალობა. თანამედროვე მშობლებს უამრავი პრობლემა აქვთ, რაც ხელს უშლის მათი მთავარი მოვალეობის, მშობლიური ფუნქციების შესრულებაში. როგორიცაა: სოციალურ-პოლიტიკური გარემოს მოუწესრიგებლობა, ფინანსური პრობლემები, სიყვარულის დეფიციტი, გრძნობითი-ემოციური სფეროს შეუთავსებლობა და, რაც მთავარია, პედაგოგიური კულტურის დაბალი დონე.

პედაგოგიური კულტურის უკმარისობა იმაში გამოიხატება, რომ აღზრდისა და გაზრდის ცნებებს ვერ ანასხვავებენ, ჰგონიათ, რომ აღზრდა მხოლოდ სკოლის საქმეა. იმას კი ვერ აცნობიურებენ, რომ ამასობაში აღზრდა 6-7 წლით დაგვიანებულია და სკოლაში მიდის სწავლისთვის მოუმზადებელი, ხელმიშვებული, საქმაოდ გაუხეშებული და მასწავლებლის თავის ტკივილად ქცეული მოზარდი; არ იციან ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღზრდის პარამეტრები და მიმართულებები, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პირობები, ნაკლებია სკოლისა და ოჯახის ერთობლივი, სისტემური მუშაობა და ათასი სხვა ხელშემშენებლი გარემოებანი.

ბავშვის გადამეტებულ აქტიურობას, ჯიუტობას, დაუმორჩილებლობას ბავშვური კაპრიზებით ხსნიან და გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სკოლაში წაგა, გაიზრდება და მწყობრში ჩადგება. სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან პედაგოგიური ჩარევით მდგომარეობის შესაძლო ჩარევით პრობლემის მოგვარების ნაცვლად, სკოლის იმედით უფრო ამწვავებენ პრობლემას.

ამრიგად, აღზრდაში მთავარია დრო და ადგილი; ოჯახში აღზრდის პრიორიტეტულობა; გაზრდისა და აღზრდის ცნებებზე ზუსტი წარმოდგენა; სკოლამდელ ასაკში აღზრდა სენტენციების ნაცვლად შეგრძნებებისა და აღქმების, პირადი და სხვათა გამოცდილების, სიყვარულისა და ლოგიკის საფუძველზე.

## სოლომონ ბრძანის დარიგებანი

„შემეცნება გონების სრულქმნაა,  
სრულქმნილება კი ღმერთთან მიახლოება”  
(სოლომონის სიბრძნე 6:24)

სამი ათასი წლის წინ მცხოვრები მეფე-მსაჯული, უმდიდრესი და შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე კაცი, ფსალმუნმომდერალ დავით მეფის მემკვიდრე – სოლომონ ბრძენი, მიუხედავად მატერიალური და თანამდებრივი დიდებისა, გრძნობდა, რომ ბედნიერებისა და სულიერი სიმჭვიდისათვის რაღაც მთავარი აკლდა. ამ დანაკლისს იგი ხან სიმდიდრეში, ხან ამქვეყნიურ სიბრძნეში ეძებდა.

მოინდომა და უთვალავი სიმდიდრის პატრონი გახდა. თუ როგორ, ამის შესახებ თვითონვე მოგვითხრობს: „ავიგე სახლი, ჩავყარე ვაზი, გავიშენე ჩემთვის ბაღები და წალკოტები, დავრგე ხეხილი ყოველგვარი, წყალსატევები მოგაწყე... შევიძინე მონა-მხევალნი... მყავდა ცხვარ-ძროხა იმათზე მეტი, ვისაც კი ჩემს წინ უმეფია იერუსალიმში. დავაგროვე ოქრო და ვერცხლი,... გავიჩინე მგალობელნი, კაცი და ქალი და სიამენი ხორციელნი, ულამაზეს ხარჭათა დასი.... არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა,... მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ, და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარის ნაბერი და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში”.<sup>1</sup>

მატერიალურის ამაოებაში დარწმუნებულმა სოლომონმა ცხოვრების აზრის პოვნა სცადა განათლებაში. „აჲა,

<sup>1</sup> ეკლესიასტე 24:8, 10, 11

მოვიპოვე – წერს იგი – და განვიმრავლე ცოდნა უოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემს უწინარეს იერუსალიმში და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნესა და ცოდნას. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, უმეცრება და სისულელე, მივხვდი, ამასაც არა აქვს აზრი”<sup>2</sup>.

მის შემდეგ სოლომონი კიდევ უფრო შეაწუხა უკმარისობის გრძნობამ და ჩავარდა ახალ საგონებელში: რაღა ქნას ადამიანმა, რომელსაც უკვე უველაფერი უქმნია ქვემდებად?! ან იმან, რომელსაც უველაფერი მზად დახვდა?! გარდა ამისა, იგი უველგან და უველაფერში უსამართლობასა და ბოროტებას აწყდებოდა. ოუმცა მას ფარ-ხმალი არ დაუყრია და დაიწყო ინტენსურად ჭეშმარიტების კვლევა-ძიება. „გიწყე – ამბობს ის – კვლევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა უოველივესი, რაიც მომხდარა ცისქვეშეთში და ვცანი: ამაო არის უველაფერი და ქარის დევნა. ის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში, რომ უველას ერთი ხვედრი აქვს, ადამის ძეთა გულებიც აღსავსეა სიბოროტით და სიშლეება ამათ გულში”<sup>3</sup>.

სოლომონი აშკარად ხედავდა, რომ ბედნიერება და სიმშვიდე არც სიმდიდრეში იყო და არც ქვეყნიურ სიბრძნეში. „ნახავ კაცს – განაგრძობს სოლომონი – იღწვის, არ იშურებს სიბრძნესა და ცოდნას, მაგრამ მისი ნაღვაწი სხვას ხვდება წილად, ვისაც არასოდეს არ უღვაწნია ამ საქმისათვის და იქვე ასკვნის მეფე-მსაჯული: ამაოება არის ესეც და უდიდესი ბოროტება.

სოლომონი თქმატური თანმიმდევრობით აღწერს იმ ბოროტებებს, რაც სუფევდა მის ირგვლივ: „კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას, მართლის ადგილი მტკუან კაცს ეპურა”<sup>4</sup>, „რჯულის გამტეხნი ბოროტეულს აქებენ, რჯულის დამცველნი კი ეწინააღმდეგებიან”<sup>5</sup>. კითხულობ ამ ბრალდებებს და არ

2 ეპლესიასტე, 1: 13, 16, 17

3 იქვე, 6:1; 9:3

4 იქვე, 3:16

5 სოლომონის იგავები 28:4

შეიძლება არ გაგახსენდეს სოლომონიდან 3000 წლის  
შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი: „ვაჲ, სოფელსა  
ამას და მისთა მდგმურთა,” სადაც ავტორი გაბედადულად  
ამხელს ქვეყნად არსებულ უსამართლოებასა და უზნეო-  
ბას. წუთისოფელს უწოდებს ბოროტებისა და სიცრუის  
ჭურჭელს, სადაც გამეფებულია ჩაგვრა, მტრობა და შუდ-  
ლი, სადაც სიკეთეს გმობენ და ბოროტების განადიდებენ:

„ვაჲ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,  
ბოროტებისა და სიცრუის ჭურთა,  
კეთილმოყვარების დათრგუნვის მსურთა,  
უსაფუძვლოთა,  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობითა და ხვეჭით!  
აქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,  
სძრახვენ კეთილმოქმედო შურით შეკრულნი,  
ზოგნი გამდიდრებულნი,  
გარნა რითა, მმანო?!  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.  
სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,  
შეუწეალად, მხეცებრ, კაცოა მხევლობენ,  
მდიდრდებიან, რომელნიცა მძღვლობენ  
და ყვავილოვნობენ,  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.”

სამწუხაროდ, XXI საუკუნეში კითხულობ რა ამ და სხ-  
ვათა ბრალდებებს, გგონია, მათი ავტორები თითქოს შენი  
თანამედროვეენი არიან.

ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად სოლომონი მიხვდა,  
რომ „ადამიანი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს ღმერ-  
თის გარეშე,” რომ მკვირცხლობა ნებაზე არაა რბოლა, არც  
მამაცთა ნებაზე ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც  
გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა  
მადლი, რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს.  
„მაშინ ვთქვთ გულში: ღმერთი განსჯის მართალსა და  
მტყუანს, როცა ყველაფერსა და ყოველ საქმეს დაუდგება  
თავისი ჟამი.... ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა,

რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ”.<sup>6</sup>

მიუხედავად ჟამთა სიავისა, რამდენიმე ბიბლიური წიგნების დამწერი, ოპტიმისტურად გამოიყერება. მას სწამს, რომ ყოვლისშემოქმედი ღმერთი ყოველთვის არ მოითმენს ადამის ძეთა უმსგავსოებას და თავის დროზე ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ბოროტებას დედამიწაზე, როგორც ეს მოხდა წარლვნის დროს. სოლომონი მიხვდა, რომ ადამიანს თავისი სიბრივე უმრუდებს გზას, მისი გული კი უფალს ემდურის. რომ ბოროტეულო მათივე ძალადობა წალებავს.... ბოროტეულნი დაემხობიან და გაქრებიან, მართალი კი საუკუნოდ იცოცხლებენ. ლოგიკური განსჯის შედეგად სოლომონმა თავისთავს უთხრა: მეც უგუნურის ბედი მეწევა, რით ვარ მე სხვებზე ბრძენი. ამაოება ყოფილა ქვეყნიური სიბრძნეც; ვაგლახ, რომ ბრძენსაც და უგუნურსაც ერთი ბოლო აქვთო.

დიდი აკლევა-ძიებისა და განსჯის შედეგად სოლომონმა შეიცნო, რომ ყოველივე ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნით-უკუნისამდე ისე, რომ არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება, ამიტომ თქა: „მოვისმინოთ ყვალაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი, რადგან ყველა საქმეს სამჯავროზე გამოიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს”.<sup>7</sup>

უგუნურივით რომ არ დასჯილიყო სოლომონი, ღმერთს მიმართა თხოვნით, რომ ღვთიური სიბრძნე მოემადლებინა მისთვის, რათა სიმართლით განესაჯა მისი ერი. „ამიტომ – წერს იგი – შევევედრე ღმერთს და მომცა მე გონება, მოვუხმე და გადმოვიდა ჩემზე სიბრძნის სული. კვერთხსა და ტახტს ვამჯობინე იგი და სიმდიდრეც არად ჩავაგდე მასთან შედარებით. მას ვერც პატიოსანი თვალი შევა-დარე, რადგან ყოველი ოქრო მის თვალში ქვიშის ნამ-

6 ეპლენიასტე 9:11; 3:17, 18

7 იქვე, 12: 13,14

ცეცია, ვერცხლი კი ტალახად შეირაცხება მის წინაშე. ჯანის სიმრთელეზე და სილამაზეზე მეტად შევიყვარე და შუქსაც ვამჯობინე, რადგან ჩაუქრობელია მისი ნათელი, ყოველი სიკეთე მასთან ერთად მოვიდა ჩემთან და მის ხელშია ყოველი სიმდიდრე”<sup>8</sup>.

სოლომონმა დვთის კურთხევით მიიღო შთაგონება, რომ სიბრძნის დასაბამი სწავლის ჭეშმარიტი სურვილია, რომ იგი ამოუწურავი საგანძურია კაცთაოვის და მისი მომხვეჭელნი ღმერთს უმოყვრდებიან განსწავლის ნიჭის წყალობით, რადგან „შემეცნება გონების სრულქმნაა, სრულქმნილება კი – ღმერთთან მიახლოება”<sup>9</sup>. ამიტომ – წერს სოლომონ მეფე – „გულს ვიდე, რომ შემეცნო, გამომეკვლია რა არის სიბრძნე და გონიერება, რათა მცოდნოდა, რომ უმეცრება ბოროტებაა, რომ ბრძენი კაცი გონებით ჭვრებს, უგუნური კი ბნელში დავალს”,<sup>10</sup> რომ სულელნი სიბრიყვეს იმკვიდრებენ, გონიერნი კი ცოდნით არიან დაგვირგვინებულნი”<sup>11</sup>.

დაკვირვებული ქმაწვილი იმასაც მიხვდა, რომ სიბრძნე მემკვიდრეობით, მზამზარეულად არ გადაეცემოდა შთამომავლობას, რომ იგი დვთითბოძებული სწავლის ნიჭის ამოქმედებით შეიძინებოდა. მან იცოდა, რომ სწავლა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ სიბრძნე სხვაგვარად არ მოვიდოდა. „როცა გულს ვიდევ – გკითხულობთ ეკლესიასტეს 8:16-ში – შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ, არც დღე, არც ღამე”.

სოლომონის მონდომება, შრომა და ერთგულება ღმერთმა დააფასა და იგი გახდა ყოვლის შემცნობი: „მან მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა, და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული, შუახანი, მზებულობათა მონაცელეობა და არეთა შენაცვ-

8 სიბრძნე სოლომონისა 7:7-11

9 იქვე, 6:24

10 ეკლესიასტე 7:25; 2:14

11 იგავები სოლომონისა 14:16, 18

ლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა . ყოველივე შევიცანი დაფარულიც და გაცხადებულიც, რადგან სიბრძნით განმასწავლა ყოველთა შემოქმედმა”.<sup>12</sup>

სოლომონი თავად აკეთებს დასკვნას, თუ რატომ შეისმინა ღმერთმა მისი ვედრება და გარდმოუვლინა ასეთი კურთხევები: „ნიჭმომადლებული ყმაწვილი ვიყავი და წილად მხვდა კეთილი სულიც. უფრო კი სიკეთის გამო იყო უბიწო სხეულში რომ შევედი მივხვდი, თუ ღმერთი არ მომცემდა, სხვა გზით მას ვერ მოვიჩვეჭდი და რომ უკვე სიბრძნე იყო იმის შეგნება, თუ ვისგან იყო ეს ნიჭი”,<sup>13</sup> რომ „ყოველი სიბრძნე უფლისგან არის”.<sup>14</sup>

სოლომონ ბრძენზე დიდი არც მანმადე და არც მის შემდეგ დღემდე რომ არ ჰყოლია კაცობრიობას, ამას მის-სივე ნამოღვაწარი: კანონიკური და არაკანონიკური წიგნები ადასტურებს. „იგავები” „ეკლესიასტე” „ქებათა-ქება” ბიბლიის უმნიშვნელოვანები ნაწილებია კაცთა მოდგმის დასამოძღვრად, ადამიანის დანიშნულების, ცხოვრების აზრის შესაცნობად, რამეთუ ბიბლიია ანუ მთელი წმინდა წერილი დვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმართლეში აღსაზრდელად”;<sup>15</sup> ასევე მის აღმატებულ სულიერობაზე მიუთითებს მისი არაკანონიკური წიგნები, როგორიცაა: „სიბრძნე სოლომონისა,” „სიბრძნე ზირაქისა”.

უკვე სიბრძნე მომდლებული სოლომონი სხვებს უჩვენებს გზას სიბრძნისაკენ, აცხადებს თუ რა არის სიბრძნე და როგორ უნდა მოვიპოვოთ იგი: „გული მიაქციე შეგონებას და ური ცოდნის სიტყვებს”<sup>16</sup> „შეიძინე სიბრძნე”

12 სიბრძნე სოლომონისა 7:17-21

13 იქვე, 8:19-21

14 სიბრძნე ზირაქისა 1:1

15 2 ტიმოთე 3:16

16 იგავები 23:12,13

„შეიძინე გონიერება,” მოისმინე დარიგებები, კვნესაში ოომ არ გაატარო შენი მომავალი, როცა მთელი სხეული და-გიუძლურდება. მაშინ იტყვი: „როგორ მძღვდა დარიგება. ჩემი გული არაფრად აგდებდა შეგონებას! ჩემს მოძღვართა ხმას არ ვუსმენდი და ჩემს მასწავლებელს ყურს არ ვუგ-დებდი. ადვილად ვებმებოდი ყველანაირ ცუდ საქმეში, კრგ-ბულსა თუ თავყრილობაში”.<sup>17</sup>

სოლომონი, თავის მწარე გამოცდილებიდან გამომ-დინარე, მის მსგავსად სხვაც რომ არ გაებას ცდუნების მახეში, ურჩევს: „თუ ყურს მიაპყრობ სიბრძნეს”. . . „და ვერცხლივით მოძებნი და დამალული განძივით მოიძიებ”,... „მაშინ მოიპოვებ დვთის შემეცნებას”... და „მიხვდები, რა არის სიმართლე, სამართლი და სამართლიანობა”. „თუ სიბრძნე შევიდა შენს გულში,... გონიერება დაგიფარავს და შეგნება დაგიცავს”.<sup>18</sup>

უკვე დვთიური სიბრძნით განსწავლული სოლომონი – მეფე და მსაჯული იძლევა სასიცოცხლო მნიშვნელობის გაფრთხილებასა და დარიგებას. ამ მხრივ მის წიგნებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „იგავები” და „ეპლუ-სიასტე”.

„იგავების” წიგნი იწყება იგავთა მნიშვნელობისა და საჭიროების ახსნით: „ეს არის ისრაელის მეფის, დავი-თის მის, სოლომონის იგავები სიბრძნის შესაცნობად და დასარიგებლად, რომ ჩასწვდე სიტყვებს, რომლებშიც გა-გების უნარი ვლინდება. მიიღო დარიგება, რომლისგანაც მომდინარეობს: წვდომის უნარი, სიმართლე, სამართლია-ნობა, პატიოსნება; რათა გამოუცდელებს მიეცეთ წინდახე-დულება, ახალგაზრდებს კი – ცოდნა და ჭკუა.”, ბრძენი შეისმენს და მეტს ისწავლის და დვთის გონივრული მითი-თებებით იხელმძღვანელებს, რომ უკეთ გაიგოს ბრძენთა სიტყვები და მათი გამოცანები’ (იგავები 1:1-6). ავტორი იძლევა დვთის კონკრეტულ რჩევა – დარიგებებს. რადგან

17 იქვე 5:11-14

18 იგავები 2:2,4,5, 10, 12

მხოლოდ ღმერთმა იცის თუ რა სჭირდება ადამიანს, მის ამ უნიკალურ ქმნილებას, რა არის მისთვის საუკეთესო: „წუ შეეკვრები ცოდვილებსა და ბოროტებს, რომლებსაც სისხლისღვრისკენ გაურბით ფეხები; იმათ, ვინც უსამართლო მოგებას იხვეჭს; ვისაც სძულს ცოდნის მიღება; რომლებიც ღმერთს გაურბიან და არ უსმენენ მის რჩევებს; ასეთები განადგურდებიან; ის კი, ვინც მისმენს, უსაფრთხოდ იცხოვრებს, უბრდურების შიში არ შეაწუხებს”.<sup>19</sup> „თუ ჩემს სიტყვებს მიიღებ და ჩემს მცნებებს განძივით გაუფრთხილდები,... მაშინ გაიგებ ვინ არის იგჰოვა და გაიგებ რა არის სიმართლე, სამართლიანობა და პატიოსნება. სიბრძნეს რომ შეიძენ, ჭეუა დაგიცავს და გამჭრიახობა დაგიფარავს” ყოველგვარი ბოროტებისგან;<sup>20</sup> „შვილო, ჩემს კანონს ნუ დაივიწყებ და გულით დაიცავი ჩემი მცნებები, რადგან ეს შეგმარებს დღეგრძელობას, სიცოცხლის წლებსა და მშვიდობას”. . . „მიენდე ღმერთს მთელი გულით და საკუთარ გონებას ნუ დაეყრდნობი”. . . „ნუ იქნები ბრძენი საკუთარ თვალში. იგჰოვასი გეშინოდეს და ზურგი აქციე ბოროტებას”... „ბედნიერია კაცი, რომელმაც სიბრძნე იპოვა და კაცი რომელმაც გამჭრიახობა შეიძინა”.<sup>21</sup>

იგავებში ჩაწერილი სოლომონის პირით გაცხადებული ღვთის დარიგებები: უდვოთოთ და ბოროტაგან განრიდება, სიკეთისა და სიყვარულის თესვა, სამართლიანობა, თავმდაბლობა და შრომისმოყვარეობა ის დამცავი ზნეობრივი კატეგორიებია, რომელსაც მოაქვს გამარჯვება, ბედნიერება და მშვიდობა. ღმერთი არ იწონებს სიზარმაცესა და უგუნურებას. ასეთ ადამიანებს ურჩევს მიბაძონ ჭიანჭველას, რომელსაც „არც მეთაური პყავს, არც თავგაცი და არც მმართველი”. მაგრამ შეუცდომლად აკეთებს იმას, რაც სჭირება არსებობისთვის „ზაფხულში ამზადებს საკვებს და მკის დროს აგროვებს საზრ-

19 იგავები 1:33

20 იქვე 2: 1, 9, 11)

21 იქვე 3: 1,2; 5, 6

დოს,” ადამიანს კი ვერ გაურკვევია თავისი ფუნქციები. ზარმაცებსა და გულხელდაკრეფილებს აძლევს გაფრთხილებას და სიფხიზლისკენ მოუწოდებს: „როდემდე უნდა იწვე ზარმაცო? როდემდე უნდა გემინენოს? ცოტა ხანს კიდევ იძინებ, ცოტა ხანს კიდევ ჩათვლებ, ცოტა ხანს კიდევ იწვები გულხელდაკრეფილი და სიღარიბე ყაჩაღივით მოგადგება, სიღუხვირე – შეიარაღებული კაცივით”.<sup>22</sup> და იქვე განაგრძობს სოლომონი ღვთისთვის საძულველი ქცევების დაკონკრეტებას: „არის ექვსი რამ, რაც სტულს იეოპას; შვიდი რამ, რაც სისაძაგლეა მისი სულისათვის: ამაყად მომზირალი თვალები, მატყუარა ენა, უდანაშაულო სისხლისმღვრელი ხელები, ავისმზრახველი გული, საბოროტოდ მარდი ფეხები, ტყუილებისმფრქვეველი ცრუმოწმე, და-ძმას შორის შედლის მთევსელი”. ღმერთს სურს, რომ თავის ქმნილებებს სრულყოფილებს, ბედნიერებსა და კუთილმოქმედებს ხედავდეს. ამიტომ აძლევეს რჩევა-დარიგებებს, ასწავლის ჭეშმარიტებას, აძლევს მცნებებსა და კანონებს, რადგან „მცნება ლამპარია, კანონი – სინათლე, შეგონება და დარიგება კი – სიცოცხლის გზა”<sup>23</sup> და ამას აკეთებს ისევ და ისევ მათ საკეთილდღეოდ თავის მორჩილ და ერთგული ადამიანების საშუალებით. სოლომონიც ერთ-ერთი ამათგანია, რომელსაც ღმერთი იყენებს თავისი სიტყვის გასაცხადებლად.

სოლომონის იგავები გარდა რჩევა-დარიგებებისა, მცნებებისა და კანონებისა, აგრეთვე შეიცავს უმნიშვნელოვანებს ცნობებს ღვთის ძის იქსო ქრისტეს შესახებ. რომ ის არის ღვთის პირველი შემოქმედება, რომელთანაც ერთად შემდეგში შექმნა მთელი სამყარო, ცა და დედამიწა და, რაც მასშია. „იქოვაძ შექმნა – ვკითხულობთ იგავების მე-8 თავის 27-31-ე მუხლებში – მე ვარ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი; მის უძველეს საქმეთა შორის უპირველესი ვარ. უხსოვარი დროიდან დამადგინა, თავიდანვე,

22 იგავები 6: 6-11

23 იქვე 6:23

დედამიწის შექმნამდე. . . როცა ჯერ არც დედამიწა ჰქონდა შექმნილი, არც დია სივრცე და არც მიწის პირველი მტვერი. მე იქ ვიყავი, როცა ცას ქმნიდა,... როცა დედამიწას საფუძველს უყრიდა. მაშინ მე მის გვერდით ვიყავი, როგორც ოსტატი.... დედამიწის ნაყოფიერება მახარებდა და მიყვარდა ადამიანის მოდგმა.”

ბიბლიის II ნაწილში „ახალი აღთქმა” იესო ქრისტე მოხსენებულია როგორც სიტყვა, ღვთის პირმშო, ოსტატი, ამინი, მიქაელი და ა. შ. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „დასაწყისში იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი, ის დასაწყისში ღმერთთან იყო. ყველაფერი მისი მონაწილეობით გაჩნდა, მის გარეშე არაფერი გაჩენილა. მის მონაწილეობით გაჩნდა სიცოცხლე.” კოლოსელების პირველი თავის მე-15-17-ე მუხლებში წერია: „ის (ქრისტე – გ. ხ.) უხილავი ღვთის ანარეკლია, პირმშო ყველა ქმნილებას შორის. მისი მონაწილეობით შეიქმნა სხვა ყველაფერი ზეცაში და დედამიწაზე, ხილული და უხილავი... ის არის ყველაფერზე „უწინ.” გამოცხადების მე-3 თავის მე-14 მუხლში ქრისტე მოხსენებულია „ამინის” სახელწოდებით, რომელშიც იგულისხმება: დაე, ასე იყოს! ე. ი. მან უნდა აღასრულოს ღვთის განზრახვა „აი, რას ამბობს-თქო ამინი, ერთგული და ჭეშმარიტი მოწმე, ღვთის შემოქმედების დასაწყისი.” გამოცხადების მე-12 თავში, სადაც ასახულია ქრისტესა და მისი ანგელოზების მიერ მსოფლიოს მაცდუნებლის სატანა-ეშმაკისა და მისი დემონების დამარცხება, იესო ქრისტე მოხსენებულია, როგორც მიქაელი. ეს და მრავალი სხვა ბიბლიური მონაცემები ადასტურებს სოლომონის ზემოთ მოხსენიებული ცნობის სიზუსტეს.

„იგავები” იმდენ სასარგებლო და მარადდირებულ დგომურ სწავლებებს შეიცავს, ბიბლიის სხვა 65 წიგნზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ ბევრად აღემატება უმაღლეს განათლებას ნებისმიერ დარგში. მისი გულდასმით წაკითხვა და სიღრმეებში წვდომა, გაგება, დამახსოვრება და გამოყენება ყოველგვარ ხიფათისგან დაიცავს ღმერთზე დაიმედებულ

ადამიანს ახლაც და მომავალშიც – განკითხვის დიდ დღეს.

წმინდა სულით შთაგონებულ სოლომონს დვთის აზრები პირდაპირ გადმოაქვს ქადალდზე სიკეთესა და ბოროტებაზე, გონიერებასა და უგუნურობაზე, სიმართლესა და პატიოსნებაზე „რომ მართალი გასაჭირს გადაურჩება, მის ნაცვლად ბოროტი ჩავარდება გასაჭირში”; „მართლებს უმწიდვლება წარუძღვება, ვერაგებს კი მათივე უკულმარობა დაღუპავს;” „ვინც მტკიცედ იცავს სიმართლეს, სიცოცხლის გზას ადგას, ხოლო ვინც ცუდისკენ ისწრაფვის, სიკვდილის გზას ადგას”.<sup>24</sup> ღმერთს უყვარს თავის მსგავსად და ანარეკლად შექმნილ ადამიანთა მოდგმა, და ყველაფერს აკეთებს მათი განსწავლისა და გადარჩენის მიზნით. თავისი ძის იქსო ქრისტეს სიცოცხლე გაიღო ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად და გადასარჩენად. ამასთან დაკავშირებით იოანეს 3:16-ში ვკითხულობთ: „ღმერთმა ქვეყნიერება ისე შეიყვარა, რომ თავისი მხოლოდშობილი ბე მისცა, რათა ვისაც ის სწამს, არ დაიღუპოს, არამედ მარადიდული სიცოცხლე ჰქონდეს.” დედამიწაზე მარადიულ სიცოცხლესთან დაკავშირებით სოლომონიც საუბრობს. „მართალს მოლოდინი ახარებს, ბოროტის იმედი გაქარწყლდება”.<sup>25</sup> სიცოცხლის მარადიულობა დაიჯერა კაცმა მაშინ, როცა მის დროს ბიბლიის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაწერილი. დღეს, როცა დვთის სიტყვა, მთელი ბიბლია (66 წიგნი) ხელთა გვაქვს და მთელ მსოფლიოში ბიბლიის ინტენსიური შესწავლები მიმდინარეობს სულიშმინდით აღმრულთა მიერ, მაგრამ, როგორც ქრისტემ იწინასწარმეტყველა – „ვიწროა ჭიშკარი და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლემდე მიჰყავს და ცოტანი პპოვებენ მას”,<sup>26</sup> – მართლაც ადამიანთა მცირე ნაწილი ავლენს რწმენას ამ დვთიური ჭეშმარიტებისადმი.

სოლომონის იგავებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი

24 იგავები მე-10 და მე-11 თავები

25 იქვე 10:28

26 მათე 7: 14

უპავია გონიერებასა და უგუნურობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გონიერია ის, ვინც ღვთის დარიგებებს ისმენს, ხოლო ვისაც სტულს შეგონებები, უგუნურია.

ამრიგად, სოლომონი დააფიქრა წუთისოფლის ბოროტებამ, ცხოვრების ამაოებამ და ღმერთს შეევედრა ჭეშმარიტების პოვნაში დახმარებოდა. შესმენილიქნა დაბნეული ახალგაზრდის გულწრფელი ლოცვა და აღიძრა ღვთიური სიბრძნის მისაღებად; ღვთის შემწეობითა და საკუთარი ძალისხმევით განისწავლა ღვთიური შემეცნებით, სიბრძნითა და გონიერებით გამორჩეული აღგილი დაიკავა კაცობრიობის ისტორიაში.

სოლომონი როგორც მეფე და როგორც ბიბლიური პერსონაჟი, თავისი მტკიცე რწმენითა და მაღალი სულიერებით, თვალსაჩინო მაგალითია სიბრძნისა და გონიერებისა.

## ნაბავოდოდონის სიზმარი

„მარადიული ხიცოცხლის მისაღებად უნდა  
გეცნობოდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ დმკრთს,  
და მას, ვინც შენ გამოგზავნე, იქსო ქრისტე“  
(იოანგ 17:3)

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდოსორმა სიზმარი ნახა საზარელი. მაშინათვე მოიხმო სიზმრის ამხსნელები: მოგვები, შემლოცველები, ჯადოქრები, ქალდეველები, მთელი ქვეჩნის ბრძენკაცები. უბედურება ის იყო, რომ გაჯიუტებული მეფე სიზმრის ახესნას, მისი მოყოლის გარეშე მოითხოვდა. მან ქალდეველებს უთხრა: „თუ არ გამაგებინებთ სიზმარსა და მის ახესნას, ასა-ასო აიკუწებით და ოქვენი სახლები საპირფარეშოებად იქცევა ხალხისათვის, თუ მომიჯვებით საზმარს და ამიხსნით მას, ძღვენს, საზუქარსა და დიდებას მიიღებთ ჩემგანო“.<sup>1</sup> მეფის ახირებით თავზარდაცემული ქალდეველები მთელი ძალით ცდილობდნენ მის დარწმუნებას, რომ ეს ამქვეყნად, გარდა დმერთისა, კაცთაგან შეუძლებელი იყო. პასუხით განრისხებულმა მეფემ ბრძანება გასცა ბაბილონელ ბრძენკაცთა დახოცვის შესახებ. ბრძანება შეეხო ისრაელ ტყვეებსაც: მეფის კარზე დაწინაურებულ დანიელს და მის მეგობრებს: ხანანიას, მიშაელსა და აზარიას. (მათ, ტყვეობაში მყოფ ახალგაზრდებს ბაბილონელებმა სახელები შეუცვალეს, დანიელს ბელტემაცარი, ხანანიას – შადრაქი, მიშაელს – მეშაქი და აზარიას აბედნეგო უწოდეს).

დანიელი, ქალდეველთა ენითა და კულტურით განსწავლელი ახალგაზრდა, დვთის სიბრძნით, ხილვისა და

1 დანიელი 2:5,6

სიზმრის გაგების „უნარითაც იყო უზენაესისგან დაჯილდოებული. ამის შესახებ ბიბლიაში კითხულობთ: „ამ ოთხ ბავშვს ჭეშმარიტმა დმერთმა მისცა ცოდნა და წვდომის უნარი ყოველგვარი დამწერლობისა და სიპრძნის გასაგებად. ამასთანავე დანიელს ყოველგვარი ხილვისა და სიზმრის გაგებაც შეეძლო”.<sup>2</sup> დანიელი ეახლა ნაბუქოდონოსორს და სიზმრის მოყოლა და ახსნა აღუთქვა და თხოვა ამისთვის ცოტა დრო მიეცა. შინ დაბრუნებულმა დანიელმა ეს ამბავი თავის მეგობრებს უამბო, რომ ზეციერი დათისთვის წყალობა ეთხოვათ ამ საიდუმლოს გამჟღავნების გამო, რათა ბაბილონელი ბრძენები და თავიანთი თავიც გადაერჩინათ. ყოვლისშემოქმედმა შეისმინა მის მორჩილთა ლოცვა და დანიელს გაუმჟღავნა საიდუმლო დამის ხილვაში. დვთის მიერ საიდუმლოგამხელილმა დანიელმა მოითხოვა მეფის ბრძანების შეჩერება და სანამ სიზმრის მოყოლასა და ახსნას დაიწყებდა, ნაბუქოსოდორს უთხრა, რომ ეს უნარი მხოლოდ დვთისგანაა და ადამიანთა ძალებს აღემატება: „მაგრამ ზეცაში არის ღმერთი, საიდუმლოთა განმცხადებელი. ის ამცნობს მეფე ნაბუქოდონოსორს, თუ რა უნდა მოხდეს უკანასკნელ დღეებში”<sup>3</sup>. ამ პატარა ეპიზოდში ორი მნიშვნელოვანი ინფორმაცია დევს: დანიელმა თავმდაბლობა გამოავლინა და თვითონ არ მიიწერა ეს უნარი და, მეორე, დვთის ძალით ხსნის გლობალურ და ხანგრძლივ წინასწარმეტყველებას, რომელიც ქრისტეს მიერ ნაწინასწარმმეტყვლებ უკანასკნელ დღეებში”,<sup>4</sup> ანუ ჩვენს დროში უნდა დასრულდეს.

დანიელმა დაიწყო მსოფლიომპყრობელის მიერ ნანახი სიზმრის მოყოლა:

– შენ ხედავდი ერთ უცხოდ გაბრწყინებულ უზარმაზარ ქანდაკებას, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, მკერდი და ხელები – ვეცხლისა, მუცელი და ბარძაყები სპილენძისა,

<sup>2</sup> დანიელი 1: 17

<sup>3</sup> იქვე, 2:28

<sup>4</sup> იხ. მათეს 24-ე და 2 ტიმოთეს მე-3 თავი

წვიმები – რეინისა, ფეხები – ნაწილობრივ რეინისა, ნაწილობრივ თიხისა. ხელისუკვრელად ადგილიდან მოწყდა ლოდი, დაეცა ამ ქანდაკებას რეინისა და თიხის ტერფებზე და მთლიანად დაიფშვნა: „მაშინ რეინა, თიხა, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო, ყველა ერთიანად დაიმტვრა და ზაფხულში კალოდან ატაცებულ ბზეს დაემსგავსა. ქარმა წაიღო ისინი, მათი კვალიც კი არ დარჩენილა. ის ქვა კი, რომელიც ქანდაკებას დაეცა დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა დაფარა”<sup>5</sup>.

სიზმრის შინაარსის გადმოცემის შემდეგ დანიელმა მისი ახსნა დაიწყო: იმ ქანდაკების ოქროს თავი შენ ხარ, მეფეთ მეფეო, ზეციერმა ღმერთმა მოგცა სამეფო, ძლევამოსილება, ძალა და დიდება და მან დაგაყენა შენ მმართველად. მართლაც, მსოფლიომპყრობელი ძვ. წელთა აღრიცხვით 607 წელს იერუსალიმის განადგურების შემდეგ გახდა უძლეველი იმპერიის ფლობელი და ყოველივე მას დაექვემდებარა.

დანიელი განაგრძობს სიზმრის ახსნას. შენს შემდეგ სხვა სამეფო აღსდგება, შენზე უდარესი. ეს იქნება ვერცხლის მკერდით და ხელებით წარმოდგენილი სამეფო. „სიზმრის ახსნიდან, დაახლოებით 60 წლის შემდეგ დანიელმა იხილა ნაბუქოდონოსორის დინასტიის აღსასრული. ის შეესწრო ძვ. წ. 539 წლის 5-6 ოქტომბრის ღამეს მიდია-სპარსეთის ჯარის მიერ უძლეველი ბაბილონის დამარცხებასა და ნაბუქოდონოსორის შვილიშვილის, მეფე ბელშაცარის სიკვდილს”<sup>6</sup>. ასე დაეცა ნაბუქოდონოსორის სიზმარში ნანახი ქანდაკების ოქროს თავით წარმოდგენილი სამეფო, რომლის შესახებ დგთის წინასწარმეტყველმა ესაიამაც დაახლოებით 200 წლით ადრე იწინასწარმეტყველა ბაბილონის დაცემისა და სამუდამოდ გაუკაცრიელობის შესახებ დამპყრობის სახელდებით.<sup>7</sup>

5 დანიელი 2:35

6 წიგნი ყერად იღეთ დანიელის წინასწარმეტყველება. გერმანია, 1999, გვ. 51

7 იხ. ესაიას მე-13, 21, 44, 45, 13 თავები

შესამე სამეფო, რომელიც სპილენძის მუცლით არის წარმოდგენილი, მთელ ქვეყანაზე გაბატონდებოდა. შემდეგ-ში ამ წინასწარმეტყველების აღსრულება დაუკავშირდა ალექსანდრე მაკედონელის სახელს, რომელმაც დროის უმოკლეს მონაკვეთში მოახერხა თითქმის ნახევარი მსოფლიოს დაპყრობა. 331 წელს მიდია-სპარსეთის დამხობის შემდეგ საბერძნეთი იქცა უძლეველ იმპერიად. მაგრამ, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, 32 წლის ალექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ ეს „უზარმაზარი იმპერია ოთხმა მხედარმთავარმა გაინაწილა... ბოლოს კი ოთხივე მათგანი რომის იმპერიამ დაიპყრო. ამ „სპილენძის“ მსოფლიოპყრობელმა მხოლოდ ძვ. წ.ა. 30 წლამდე იარსება”.<sup>8</sup>

თანმიმდევრობით განაგრძობს დანიელი სიზმრის ახ-სნას. მან ნაბეჭდონოსორს უთხრა, რომ რკინით წარმოდგენილი მეოთხე სამეფო მესამე სამეფოზე უფრო ძლიერი იქნებოდა: „მეოთხე სამეფო რკინასავით მაგარი იქნება. როგორც რკინა ამტვრევს და აქუცმაცებს კველა-ფერს, როგორც რკინა ამსხვრევს, ისევე დაამტვრევს და დაამსხვრებს კოველ მათგანს”? როგორც სხვა, ისე ეს წინასწარმეტყველებაც მთელი სიზუსტით შესრულდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ რომის იმპერია საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს აზანზარებდა. უფრო მეტიც, რომის იმპერიამ ა. წ. 33 წელს დვოის ძე, ჩვენი უფალი იესო ქრისტე წამების ბოძზე გააკრა, ხოლო 70 წელს მიდია სპარსეთის მეფის, კიროსის მიერ აღდგენილი იერუსალიმი და მისი ტაძარი გაანადგურა.

კერპის რკინის ფეხებით წარმოდგენილი რომის იმპერიისა და მისი დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ მსოფლიოპყრობელებთან დაკავშირებით გამოცხადების 17:10-ში ნათქვამია, რომ შვიდი სამეფოდან „ხუთი დაეცა, ერთი

8 წგ-ნი უურად იდეთ დანიელის წინასწარმეტყველება! გერმანია, 1999, გვ. 55

9 დანიელი 2:40

არის. სხვა ჯერ კიდევ არ მოსულა, მაგრამ როცა მოვა ცოტა ხანს დარჩება.” ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1763 წლისთვის უკვე ბრიტანეთის იმპერია მდგინვარებს. „1776 წლისთვის ამერიკაში არსებულმა მისმა 13-მა კოლონიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და, შედეგად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები შეიქმნა. მაგრამ მოგვიანებით ბრიტანეთი და შეერთებული შტატები როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს მოკავშირეებად იქცნენ. ამგვარად, ინგლის-ამერიკის კავშირი ბიბლიური წინასწარმეტყველების მიხედვით, მეშვიდე მსოფლიომპყრობელად მოგვევლინა”.<sup>10</sup> თუ ვინმეს ამის საპირისპირო მოსახრება აქვს, იმასაც დიდი სიმოვნებით მოვისმენთ.

რაც შეეხება ქანდაკების ნაწილობრივ რკინისა და ნაწილობრივ თიხის ტერფებს, დანიელი ამბობს: „როგორც იხილე, ტერფები და ფეხის თითები ნაწილობრივ მეთუნის თიხის იყო და ნაწილობრივ რკინისა. ეს სამეფო დაყოფილი იქნება, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ექნება რკინის სიმაგრე, რადგან შენ ხახე, რომ სველ თიხასთან რკინა იყო შერეული. როგორც ფეხის თითები იყო ნაწილობრივ რკინისა და ნაწილობრივ თიხისა „ისე ეს სამეფოც ნაწილობრივ ძლიერი იქნება და ნაწილობრივ მყიფე. როგორც სველ თიხასთან შერეული რკინა იხილე, ასევე შეერევიან მისი ნაწილები ადამიანთა შთამომავლებს, მაგრამ ისინი ვერ შეეწებებიან ერთმანეთს, ერთი – მეორეს, როგორც რკინა ვერ შეერევა თიხას”.<sup>11</sup> ამის პრეცედენტი უკვე იყო ეწ. საბჭოთა კავშირი და, ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობა შეერთებას არ გულისხმობს.

ჩვენ ისევ მივყვეთ ბიბლიურ წინასწარმეტყველებას – ნაბუქოდონოსორის სიზმრის საზარელ დასასრულს. დანიელმა მეფეს უთხრა: შენ „უყურებდი ვიდრე ქვა ხელის

<sup>10</sup> წე-ნი ურად იდეთ დანიელის წინასწარმეტყველება, გერმანია, 1999, გვ. 57

<sup>11</sup> დანიელი 2:41-43

შეუხებლად არ მოწყდა ადგილიდან, ქანდაკებას არ დაეცა რკინისა და თიხის ტერფზე და არ დაამტვრია. მაშინ რკინა, თიხა, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო, ყველა ერთიანად დაიმტვრა... ის ქვა კი, რომელიც ქანდაკებას დაეცა, დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა დაფარა”.<sup>12</sup> მთიდან ხელისუკვრელად მოწყვეტილმა ლოდმა, რომელმაც მთელი დედამიწა დაფარა, ეს იყო ღვთის სამეფო, რომელთანაც დაკავშირებით დანიელმა იწინასწარმეტყველა: „იმ მეფების დროს ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც არასოდეს დაიქცევა. ეს სამეფო სხვა ხალხს არ გადაეცემა. ის დააქცევს და ბოლოს მოუღებს ყველა ამ სამეფოს, თავად კი მარადიულად იდგება”<sup>13</sup> და იქვე 45-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა გააგებინა მეფეს, ნაბუქოდონოსორს, რაც მომავალში უნდა მოხდეს.

ჩვენ, სწორედ, იმ დროში ვცხოვრობთ ნაბუქოდონოსორის სიზმრის ბოლო ნაწილი რომ უნდა შესრულდეს. ეს კარგად ჩანს ორი მთავარი არხით: ბიბლიისა და მსოფლიოში არსებული რეალური სინამდვილის მეშვეობით. განსაკუთრებით იქსო ქრისტეს წინასწარმეტყველებებში, რომელიც ჩაწერილია მათეს 24-ე და 2 ტიმოთეს თავებში; ასევე ის, რაც ხდება დედამიწაზე სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ზეობრივი თვალაზრისით.

შესრულებული ბიბლიური წინასწარმეტყველებები, რომლის უტყუარობას მხარს უჭერს მეცნიერება, (განსაკუთრებით ისტორიული და არქეოლოგიურური მეცნიერება), გვარწმუნებს, რომ სულ მაღალ ასეთივე სიზუსტით შესრულდება დარჩენილი ბოლო ბიბლიური წინასწარმეტყველე – ბაც. ხელისუკვრელად მოწყვეტილი ლოდი, რომელიც დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა დაიჭირა, ასიმბოლოებს დვითის სამეფოს, რომლის მოსვლაზე ლოცულობს მთელი საქრისტიანო: „ჩვენო ზეციერო მამა, განიშმინდოს შენი სახელი. მოვიდეს შენი სამეფო და იყოს შენი ნება რო-

12 დანიელი 2:34,35

13 იქვე 2:44

გორც ზეცაში, ისე დედამიწაზე” (მათე 6:9,10). რას მოიტანს დვთის სამეფო ანუ ზეციერი მმართველობა? მთელ მსოფლიოში იქნება ერთი სამეფო, ერთმმართველობა, ერთი ენა, სამართლიანობა და მარადიული მშვიდობა. „მოსწმენდს მათ ყოველ ცრემლს თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, აღარც გლოვა, გოდება და ტკივილი, რადგან წინანდელი ყველაფერი მოისპო”.<sup>14</sup>

ბიბლიაში ჩაწერილი, მთელი სიზუსტით შესრულებული წინასწარმეტყველებიბის ცოდნა ხელს უწყობს დვთისადმი რწმენის გაღრმავებასა და განმტკიცებას, სულიერი ხედვის განვითარებასა და მომავლისადმი ოპტიმისტური განწყობის ამაღლებას.

---

14 გამოცხადება 21:4

## 06პლუზიური განათლების რეალობა და არსპექტივები

„კველაფერში, როგორც თქვენ  
გინდათ, რომ მოგექცენ სხვები,  
თქვენც ისევე მოუქციოთ მათ“  
მათგ 7:12

ინკლუზიური განათლების იდეა პუმანიზმისა და დე-  
მოკრატიზმის ნათელი გამოხატულებაა. თუ რამდენად  
მოხერხდება ამ იდეის ობიექტივაცია, ეს კი მეცნიერთა  
საგანგებო მსჯელობის საგანია. კანონი და მეცნიერება  
მძლავრი ბერკეტებია სულიერი აღმშენებლობის უზრუნ-  
ველსაყოფად, მაგრამ შესატყვისი პედაგოგიური კანონზო-  
მიერებების, პრინციპებისა და მეთოდიკის ოპტიმიზაციისა  
და ინტეგრაციის, სპეციალიზირებული პედაგოგიური კა-  
დრების, ცოდნის წყაროების უზრუნველყოფით ასევე მატე-  
რიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის, ობიექტური და  
სუბიექტური ფაქტორების ურთიერთდამთხვევის შემთხვე-  
ვაშია შესაძლებელი მიზნის მიღწევა. ეს კი მოითხოვს ისე-  
თი პედაგოგიური საშუალებების მოძიებას, რომელიც არა-  
თანაბარი მხარეების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების  
პროცესს ობიექტური კანონზომიერების გარკვეულ ჩარ-  
ჩოში მოაქცევს. სწავლის უნარშეზღუდულ და შეუზღუდავ  
ბავშვთა ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის  
ერთიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართვა და  
მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების  
გათვალისწინების საფუძველზე მართვა და ხელმძღვანე-  
ლობა ერთ გაკვეთილზე ერთი მასწავლებლის ძალებს

ნამდვილად აღემატება. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ აგმაყოფილებს იმ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნებს, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრება უყენებს მას და რომელიც პედაგოგიკის და ფსიქოლოგიკის მეცნიერებისათვის ანბანს წარმოადგენს.

ამას მოწმობს ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები სკოლის მოსწავლეთა და სკოლადამთავრებულთა მიერ სამართალდარღვევის, აკადემიური ჩამორჩენილობის, ეთიკური ნორმებისა და ესთეტიკური კულტურის უგულებელყოფის, ძალადობის, სისახტიკისა და აგრესიულობის მრავალრიცხოვანი ფაქტები. მაგალითად, 2010 წელს მოსწავლეთა მიერ ჩადენილია 336-ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთა შორის 16 მკვლელობაა; ბოლო ადგილი განათლების დონის მიხედვით, რომელიც აჩვენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 17 ქვეყანაში ჩატარებულმა პედაგოგიურმა გამოკვლევებმა სკოლებში; მასწავლებელთა სერთიფიცირების სავალალო შედეგები; სკოლაში მანდატურების შეფანის აუცილებლობის ფაქტი და ა. შ. საკმარისი ნივთმტკიცებაა იმისა, რომ ჯერ ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ვერ მოუსწრიათ თავიანთი პრობლემების მოგვარება. ინკლუზის დამატებით, პრობლემა ნამდვილად არ შემსუბუქებულა. რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებმაც ეს-ეს არის დაამთავრეს სკოლა და არ იციან, რომ შოთა რუსთაველი მეფე იყო თუ პოეტი, ერთ ტრიაში 100 კგ. თუ 1000, არსებითი სახელი საგანია თუ მოქმედება; ნებანდარეჯანი რომ სხვადასხვა ჰგონიათ: ან დები ან მეგობრები; „ვეფხისტეოსნის“ ავტორი ერთს ჭავჭავაძე ჰგონია, მეორეს რომ წერეთელი?! ასეთი მწირი განათლების ადამიანებმა უპრობლემოდ მოახერხონ ინკლუზიურებთან შეგნებული ურთიერთობის დამყარება. სამწუხაროდ, მსგავსი მაგალითების მოყვანა უფრო უხვად შეიძლება, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეგ არის

ჩვენი სკოლები და მეტი არაფერი. ცხადია, რომ ბევრად მეტია წარმატებული, ნათელი, ღირსეული მხარები, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მიღწეულით დაგვამაყოფილდეთ და უარყოფით მხარეებზე თვალი დავხუჭოთ. მით უმეტეს, როცა ინკლუზიურ განათლებას ეხება საქმე. რადგან ეს ისეთი დელიკატური სფეროა, რომ ერთი ცდომილება და, შეიძლება უარყოფითად შემობრუნდეს პროცესი. გულნარების ბავშვების სკოლიდან მასობრივი გადინება დაიწყოს.

რეალური სინამდვილე გვგარნახობს, რომ სწავლის უნარშეზღუდულთა უფლებების დაცვისა და განვითარების, მათი მორალური და სოციალური ადაპტაციისათვის მხოლოდ კანონი და მეცნიერება საკმარისი არ არის. ამ ორმა დიდმა ძალამ კარგად რომ იმუშაოს, საჭიროა პროცესის ყველა მონაწილეთა მოსაზრებების შეჯერება და გათვალისწინება, თითოეულის შინაგანი ხმის მოსმენა და პატივისცემა. რეალობის სუზტი აღქმის უნარი.

აღნიშნული პრობლემის სპეციალურმა გამოკვლევებმა საქმაოდ დამაფიქრებელი სურათი აჩვენა. როგორც წესი, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესის უშუალო მონაწილენი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და საზოგადოება ერთი დიდი სუბიექტის – სახელმწიფოს მმართველობის საზღვრებში. პროცესზე უშუალო დაკვირვებისა და მის მონაწილეებთან პირადი საუბრების ანალიზის საფუძველზე შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. დავიწყოთ მოსწავლეებით.

განსაკუთრებული სასწავლო დახმარება რომ არ სჭირდებათ ისეთ ბავშვებს ცალ-ცალკე დავუსვით კითხვა: რა არის შენს კლასში ისეთი, რაც არ გსიამოვნებს? გამოკითხულთა (117 ბავშვი) 86% პირველ ადგილას ინკლუზიურ ბავშვებთან ურთიერთობა დაასახელა, ხოლო 14% პირველ ადგილზე მისნაირ უნაკლო ბავშვები დაასახელა, ინკლუზიურები კი – მეორე ადგილზე. 54 მშობლიდან ზოგმა

მოქრძალებით, ზოგმა აშკარად უკმაყოფილება გამოხატა. მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს მათი ნათქვამებიდან: „ბაქვეთილზე მეტი დრო მიაქვთ ამ ბავშვებს და ეს განაცუდია, მაგრამ ჩემს რომ აკლდება, მე რა ვქნა“. „მათ დიდი დრო სჭირდებათ“ „მასწავლებელი სულ იმათ უზის, კითხვაში ეხმარება, აწერინებს, ახალგვინებს, მიტოვებულები კი ხმაურობენ“ „აწუხებს“ „თმებს უწერავს“ „რვეულს უჯდაბნის“. „ჩემი შვილი ორჯერ წააქცია, ატირებული მოვიდა სახლში“ და ა. შ. მსგავსი ჩივილები ხშირად ისმის.

მეორე კითხვაზე: „შენი შვილი როგორ ურთიერთობაშია განსაკუთრებული საჭიროების მქონე თანაკლასელებთან?“ გვიპასუხეს: „ჩემიც ხომ ბავშვია, ცდილობს თავის დაცვას“. „ეცოდება და დახმარებასაც შესთავაზებს ხოლმე, მაგრამ ისევ ჩეუბობენ“. მშობელთა უკმაყოფილებას გარკვეული საფუძველი გააჩნია, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ გამოკითხულთაგან არც ერთ მშობელს კმაყოფილება არ გამოუხატავს.

რაც შეეხება შეძლებაშეზღუდულ ბავშვთა მშობლებს, ისინი მკვეთრად სამ კატეგორიად გაიყვნენ. ერთნი ფიქრობენ, რა ჩემი ბრალია, სკოლა ყველასია და კეთილინებონ და მიხედონ.

მეორე კატეგორიის პოზიცია უფრო მეტად მადლიერებას შეიცავს. „ძალიან კმაყოფილი ვარ“ „მასწავლებლები ჩემს ბავშვს კარგად ექცევიან“ „მადლობის მეტი რა მეთქმის, მაქსიმალურად ზრუნავენ ჩემს შვილზე“ „მერიდება, მასწავლებელი ჩემს შვილს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე სხვებს, ღმერთი გაახარებს“. „მე მიჭირს ჩემს შვილთან ურთიერთობა, სხვისოვის, მით უმეტეს, რა მძიმე ტვირთია, ხომ მესმის, მაგრამ რა ვქნა, ეს მე არ მომითხოვია“. „მე ვინ მკითხავს, თუ არა, მირჩევნია სპეციალიზირებულ სკოლაში სწავლობდეს. იქ მთელი სასწავლო დრო და სივრცე მათ ეკუთვნით, აქ კი – ნახევარი, თუმცა იმას ვერ ვიტყვი ასეთ ბავშვებზე არ ზრუნავენ“ და ა. შ.

მოტანილი მაგალითები იძლევა საშუალებას, ვიფიქროთ,

რომ გამოკითხულ მშობელთა უმეტესობას, 64%-ს მაინც ურჩევნია ჩვეულებრივი ზოგადსაგანათლებლო სკოლაში დაღიოდეს მისი ბავშვი, რადგან მიაჩნია, რომ ბავშვის იმიჯი ასე უფრო მაღალი იქნება საზოგადოების თვალში.

შესამე კატეგორიის მშობელები, რესპონდენტთა 7% თვლის, რომ ბავშვის არასასურველი მდგომარეობა მისი ბრალი არ არის, და, მისი აზრით, ქრისტიანებს ერთმანეთის ატანა უნდა შეგვეძლოს. ამ ასკექტში მშობელი მართალია, მაგრამ აქ მშობელსა და მასწავლებელს კი არ ეხება საქმე, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი თვით მოსწავლეებია. თუ რამდენად კომფორტულია მოსწავლეთა ორივე მხარე-თათვის მოედი სასკოლო პერიოდი ერთად სწავლებისა.

პვლევის თემასთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოყენები, მასწავლებლებმა, ცხადია, უფრო მეტი თავშეკავებულობა და თავაზიანობა გამოავლინეს, მაგრამ ქვეტექტებში აშკარად იგრძნობოდა პრობლემურობა. საუბარში, რამდენად ეფექტურად გამოსდით ინტერაქციურ კლასებში პედაგოგიური მუშაობა, ისინი იმ პირად ძალის ხმევაზე, რასაც ეს პროცესი მოითხოვს, თითქმის არ ჩივიან. მხოლოდ იმას წუხან, რომ საქმე ყოველთვის კარგად ვერ გამოსდით. ძირითად პრობლემას იმაში ხედავენ, რომ გაკვეთილზე პარალელური მეცადინეობა ვერ ხერხდება: „სანამ ერთ ბავშვთან, ან ერთ ჯგუფთან ვარ, სხვა დანარჩენი გამორთულია სასწავლო პროცესიდან“. .... თუ ინკლუზიურთან მარტო ვმუშაობ, ისინი ადვილად მომყვებიან. საკმარისია, სხვებისკენ გავიხდო და ის ავტომატურად გამორთულია. ყველაზე რთული ნაწილია სასწავლო პროცესში ხელახლა მათი ჩართვა.“

შეორე კითხვაზე: „როგორ პედაგოგიურ ფორმებს, კანონებსა და პრინციპებს მიმართავთ ინკლუზიურ კლასებში?“

მივიღეთ შემდეგი პასუხები: „ვიყენებ დამატებით მეცადინეობას.“ „მივმართავ ფსიქოლოგს“. „ვცდილობ დაგაინტერესო მოსწავლეები და მიმყვას ექსკურსიებზე.“ „საუ-

ბრებით.“ „დარიგებებით“. „დამოძღვრით“. „ჯგუფური მუშაობით“. „განმარტებებით“. „თვალსაჩინოებებით.“ „შეგნებულობის პრინციპით“. „წახალისებითა და თანამშრომლობით“. „ტექნიკური საშუალებების გამოყენებით“. „მშობლებთან გასაუბრებით“. „გაკვეთილი დავუკავშირო ცხოვრებისეულ მაგალითებს“. „ვიყენებ განხილვას“. „პროექტზე ორიენტირებული სწავლითა“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ამ პასუხებში არ არის დაცული მოვლენების კლასიფიკაცია დასმული კითხვების შესაბამისად. წესით, ჯერ უნდა დასახელებულიყო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ძირითადი და დამხმარე ფორმები. შემდეგ ინდივიდუალურ-პერსონალური, წყვილური, ჯგუფური, ფრონტალური ანუ კოლექტიური ქვეფორმები.

არ არის დასახელებული აღზრდისა და განვითარების არც ერთი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი და ის ძირითადი პედაგოგიური პრინციპები, რომელთა გათავალისწინების გარეშე წარმოუდგენელია პედაგოგიური პროცესის მეცნიერულ საფუძველზე წარმართვა, განსაკუთრებით ინკლუზიურ კლასში. სწორი იყო პედაგოგიკის კლასიკოსი ადოლფ დისტერვეგი ამასთან დაკავშირებით რომ დაწერა: „პედაგოგიური კანონებისა და პრინციპების უცოდინარობა უტიფრობაა, ხოლო მისი გამოუყენებლობა ბარბაროსობა“-ო.

ინკლუზიური განათლების პრაქტიკული რეალიზაციისთვის მასწავლებლები არც თეორიულ და არც პრაქტიკულ ასპექტში ჯერ-ჯერობით ჯეროვნად არ არიან მომზადებული.

პრობლემას ისიც ართულებს, რომ აქ განსხვავებული ტიპისა და სახეობის შეძლება შეზღუდულობასთან ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა სირთულის ნაკლის მქონე ბავშვებთან გვაქვს საქმე, როგორიცაა: გონებრივი, ფიზიკური და ემოციურ – ნებისყოფითი სფეროს განვითარების შეფერხებულობა, მორა-

ლური გადახრები, სადაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გა-  
თვალისწინებული მათი ინდივიდუალური თავისებურებები,  
განსაკუთრებული დახმარების საჭიროების შესატყვისი  
პედაგოგიური მიღებულები, ტექნიკური სისტემები, დიდაქტი-  
კური თვალსაჩინო მასალები, გამართული მატერიალური,  
სანიტარულ-ჰიგიენური სისტემები, რომელთა რეალობა  
ჯერ-ჯერობით ძალიან შორს არის იდეალურისგან. მასწა-  
ვლებლებს ორმაგი ჯაფა ადგებათ. ისინი ხომ ჯერ-ჯე-  
რობით მომზადებული არარიან ამ მიმართულებით. არც  
სათანადო სპეციალური განათლება აქვთ და არც გამო-  
ცდილება, არც შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა მთელი  
არსებით ცდილობებს სიტუაციას მოერგონ და ბავშვი არა-  
ფრით არ გაანაწერონ.

ამიტომ მიგვაჩნია ინკლუზიურ განათლებაზე ასე თითქ-  
მის ერთბაშად გადასვლა ცოტა ნაადრევად. მითუმებებს  
მაშინ, როცა ძირითადი სახელმძღვანელო ჯერ-ჯერობით  
არ არის შექმნილი, თუმცა დამხმარე ლიტერატურის სი-  
ნაკლებებს არ განვიცდით. მაგალითად, 500-ზე მეტ გვერ-  
დიანი წიგნი „ინკლუზიური განათლება“ საინტერესო ინ-  
ფორმაციებს შეიცავს ამ მხრივ, მაგრამ იგი წარმოადგენს  
სხვადასხვა ავტორთა, ძირითადად ფსიქოლოგთა, აღნიშ-  
ნულ საკითხთან დაკავშირებული სტატიების ნაკრებს სხ-  
ვადასხვა ასპექტში ან უმეტეს შემთხვევაში მსგავსი საკი-  
თხების დუბლირებას, მოსაზრებებსა და შეხედულებებს  
იდეების და კონცეფციების დონეზე და არა მწყობრ მეც-  
ნიერულ პედაგოგიურ სისტემას. მასში არ არის გამოყე-  
ნებული ამა თუ იმ სახის სწავლის უნარშეზღუდულობის  
შემსწავლელი ფუნდამენტურ მეცნიერებათა, როგორიცაა:  
სურდოპედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა, ოლიგოფრენიკე-  
დაგოგიკა, ლოგოპედია, მიღწევები. მკრთალადაა ასახული  
საკორექციო კომპენსატორული, საპრევენციო, სარეაბილი-  
ტაციო თუ პროფილაქტიკური პედაგოგიური საშუალებები.  
მთელი ყურადღება გადატანილია ტოლერანტულ ურთიერ-

თობებზე, კომუნიკაციაზე. რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი.

რაც შეეხება ტერმინებსა და იარღიყებს, ცხადია, იგი არ უნდა გამოვიყენოთ ინკლუზიურ ბავშვებთან ურთიერთობებში, მაგრამ თუ მეცნიერებამ თავისი ენით, ცნებებითა და ტერმინოლოგიებით არ მოგვაწოდა მისი კვლევის ობიექტისა და საგნის მდგომარეობა, მაშინ როგორ უნდა მოგვცეს ზუსტი დიაგნოსტიკა, როგორ უნდა მოვახერხოთ „მკურნალობა“ და შედეგების პროგნოზირება. ცნებები ხომ „წარმოდგენებს ემყარება, წარმოდგენები კი შეგრძნებებს“ (ა. დისტერვეგი), ხოლო შეგრძნებები – რეალურ სინამდვილეს. ვეთანხმები, რომ საზოგადოებაში, ურთიერთობებში მათი გამოყენება არ არის საჭირო. აქ ევფემისტურ ხერხს უნდა მივმართოთ ფაქტის, თუ მოვლენის აღსანიშნავად. მაგრამ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში თუ ზუსტი ცნებები არ გამოვიყენეთ, როგორ უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს მეცნიერება ინკლუზიური განათლების შესახებ. სწავლის უნარშეზღუდულობა ხომ რაღაც ნაკლიოთ არის გამოწვეული. ამ ნაკლის თავისი სახელი თუ არ დავარქვით, როგორ მოვხსნით პრობლემას. შიშით ვერც ლექტორს და ვერც სტუდენტს კრინტი ვერ დაუძრავს მდგომარეობის გამომხატველ, ადეკვატურ ტერმინებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინკლუზიური განათლების არსი ჰუმანიზმის მაღალი გამოხატვებაა. მაგრამ ერთბაშად სხვადასხვა ტიპისა (გონებრივი, ფიზიკური, ემოციურ-ნებისმოფითი და მორალური ნაკლი) და სახეობის სწავლის უნარშეზღუდული, განსაკუთრებული დახმარების საჭიროების მქონე ბავშვების განურჩევლად მდგომარეობის სიმძიმისა, ერთბაშად ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადაყვანა, ჩვენი აზრით, ნაადრევია სხვადასხვა ფაქტორებისა და მიზეზების გამო.

სკოლა არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც სჭირდება ინკლუზიურ განათლებას. ინკლუზიური განათლების წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროა:

1. სათანადო, გამართული სასკოლო და საკლასო მატერიალურ – ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
2. სპეციალიზირებული მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრები;
3. ზოგადი პედაგოგიკისა და მისი დარგის დეფექტოლოგიის სპეციალური ქვედარგების: ოლიგოფრენო პედაგოგიკის, სურდოპედაგოგიკის, ტიფლოპედაგოგიკის, ლოგოპედიისა და სხვა თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ძირითადი სახელმძღვანელოს შექმნა, რომლშიც მწყობრ, მეცნიერულ სისტემად იქნება ჩამოყალიბებული არსებული ნაკლის ტიპები, სახეები, წარმომავლობა, მიზეზები, შედეგები, სიპრომები, საკორექციო, კომპენსატორული, საპრევენციო, პროფილაქტიკური, სარეაბილიტაციო და სხვა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საშუალებები;
4. მასწავლებლის შრომის ადგენატური ანაზღაურება.

## მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პულტურის ამაღლების მაცნიერული საფუძველი

„ისე აღზარდე შენი შვილის ხედი,  
რომ წინ წარუძღვე ჭეშმარიტება.  
უკან რჩეს კვალი განათებული”  
ო. ჭავჭავაძე

კაცობრიობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია მეცნიერებულ-ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით სულიერ და ზნეობრივ ფასეულობათა შესახებ. დღითიდღე თვალსაჩინო ხდება როგორ ეცემა და უფასურდება ეს უმაღლესი და მარადიული პიროვნული კატეგორიები. გაუხერხებულმა სინდისმა დაკარგა თავისი უნიკალური მაკონტროლებელი და მსჯავრმდებელი ფუნქცია. როგორც ქრისტემ იწინასწარმეტყველა, ადამიანები გახდნენ „საკუთარი თავის მოყვარულები, ფულის მოყვარულები, თავდაჯერებულები, ამპარტავნები, ღვთისმგმობელები, მშობლების ურჩები, უმაღურები, ორგულები, თბილ გრძნობებს მოკლებულები,... ცილისმწამებლები, თავშეუკავებლები, სასტიკები, კარგის მოძულებები, გამცემები, თავნებები, გაყოფოჩებულები, უფრო სიამოვნებათა მოყვარულები, ვიდრე ღვთისა”<sup>1</sup> და სიმართლისა.

ადამიანის მძიმე სულიერი და ზნეობრივი შედეგების საშუალებით შესაძლებელი გახდა გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების დადგენა, რომელიც მრავლადაა, სამწუხაროდ. პედაგოგიკურ მეცნიერებაში მოძიებულია და

დადგენილი აღზრდაში ის ხელისშემშლელი გარემოებები, როგორიცაა: არსებული არასახარბიელო სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება, პედაგოგიური კულტურის დაბალი დონე. არანაკლებ საზიანო სუბიექტური მიზეზები: სასკოლო პრაქტიკასთან სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის არაადეკვატურობა, აღზრდისადმი სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მოშვებული დამოკიდებულება, საზოგადოების განვითარებაში აღზრდის პრიორიტეტულობის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ბოლომდე გაუცნობიერებლობა და ა. შ.

მთელი კაცობრიობა თანხმდება იმაში, რომ ადამიანი არის სამყაროს უნიკალური ქმნილება, ქვეყნის ფასდაუდებელი საუნჯე, რომელსაც თანდაყოლილი აქვს განვითარების, სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების პოტენციური შესაძლებლობა, ფიზიკური და ფსიქიკურ-ინტელექტუალური უნარები, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ამიტომ მიაჩნდა კვინტილიანეს გონებრივი შესაძლებლობების გამოუყენებლობა მიუტევებელ ცოდვად. ის წერს: „სამარცხვინოა და სიმდაბლე, რომ ადამიანი არ ზრუნავდეს გონების გამდიდრებაზე“. გონების გამდიდრების მთავარი გზა არის შემეცნება სწავლა-განათლებისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ემყარება სენსუალიზმის თეორიას. გარდა შემეცნებისა და სააზროვნო ოპერაციების უნარისა, არაფერია ცნობიერებაში, რაც არ ყოფილა შეგრძნებაში. მაშასადამე, გრძნობათა ორგანოებსა და ტვინს შორის არსებული კავშირი არის ის უნიკალური ბუნებრივი მექანიზმი, რომელიც ოპტიმალურ-ინტენსიური პედაგოგიური ზემოქმედებით, უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ პარმონიულ განვითარებას, მის გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას. ამიტომ აღზრდა, როგორც საზოგადოებრივი, ისტორიული და მარადიული მოვლენა, აღიარებულია სრულფასოვანი პიროვნების აღზრდის ერთეულთ, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად, მემკვიდრეობითობის, მეგა, მაკრო და სხვა

სოციალურ და ბუნებრივ გარემო ფაქტორებს შორის. აქედან უშეალო სააღმზრდელო ინსტიტუტებია ოჯახი და განათლების მთელი სისტემა, მაგრამ მთავარი სიმძიმე მაინც სკოლაზე მოდის. თუმცა ჩვენ ამჯერად შევეხებით ოჯახს – როგორც აღზრდის პირველ, სისხლ-ხორცეულ და შეუცვლელ სფეროს, სადაც საფუძველი ეყრება ყველა იმ ცოდნა-გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების ელემენტებს, რომელიც შემდეგ ვითარდება, ღრმავდება და მტკიცდება სკოლის პირობებში და ყოველივე ეს ადამიანს სჭირდება ყოველდღიურად დამოუკიდებელი და შეგნებული ცხოვრებისათვის. ბავშვი, როგორც მიმბაძველი და ცნობისმოყვარე ბიო-სოციალური არსება, ხარბად ითვისებს ახლო გარემოცვის ცხოვრების წესს, იმას რასაც ხედავს, ისმენს და, ამ ბუნებრივ, თვალსაჩინო მაგალითებზე აგებს თავის ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს, აზროვნებას, მეტყველებას, ქცევებსა და მოქმედებებს. მშობლები შვილებისათვის წარმოადგენენ შეუვალ ავტორიტეტს და მათ სიტყვას კანონის ძალა აქვს გარკვეულ დრომდე. მის ხანგრძლივობას განაპირობებს მშობელთა ნამდვილი, მორალური სახე, მათი ეთიკური, ესოებიკური და პედაგოგიური კულტურის დონე, მშობლიური მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება. თუ ბავშვი მოტყუებული აღმოჩნდა, წამსვე ინგრეგა მშობელთა ავტორიტეტი „ყოვლისმცოდნეობის“ მითი და პოზიტიურის ადგილზე აღმოცენებას იწყებს უარყოფითი ემოციები, ჩნდება პროტესტის გრძნობა, რომელიც ვლინდება ნებატიურ ქცევებსა და მოქმედებებში, მაგალითად: ურჩობა, უნდობლობა, უპატივცემლობა და ა. შერთი სიტყვით იწყება მინი ომი. ბავშვი ხდება უმართავი, სასტიკი, აგრესიული. ან პირიქით, პასიური, დათრგუნული, ხელჩაქნეული, დაძაბულ-შეჭირვებული, დეპრესიული.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში გაჩენილ ბზარს შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. მაგალითად: ელემენტარული პედაგოგიური ცოდნის დეფიციტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მშობლებს საკმარისად არა

აქვთ გაცნობიერებული ის, რომ ბავშვებს ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან ერთად აქვთ სოციოგენური მოთხოვნებიც, რომ უსმენდნენ, ენდობოდნენ, პატივსცემდნენ, აფასებდნენ, ანგარიშს უწევდნენ, უგებდნენ, უთანაგრძნობდნენ, აქვთ სწრაფვა დიდობისკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, ქვეცნობიერად მიღრეცილნი არიან გარესამყაროსთან ურთიერთობისაკენ, ბუნებრივობის, ლამაზის, ჰარმონიულისა და წესრიგისაკენ, ფერისა და ფორმისაკენ. ის შინაგანად იბრძვის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის. მაგრამ თუ ოჯახის პირობებში ვერ იკმაყოფილებს თავის სამართლიან მოთხოვნებს, ხელს კი არ ჩაიქნევს, (თუმცა შეიძლება ასეც მოხდეს!), არამედ მის გარეთ იწყებს სხვა გზების ძებნას და, სამწუხაროდ პოულობს კიდევაც თავის დღეში ჩავარდნილ თანაზოლებს. იქმნება გარკვეული ასოციალური ჯგუფი, რომელიც ყველაფრის ნებას რთავს საკუთარ თავს ყურადღების მისაქცევად. გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება ის ანტისოციალურ ჯგუფად ჩამოყალიბდეს.

ჟეორე მიზეზი, რის გამოც მშობლები ვერ ახერხებენ ჯანსაღ ურთიერთობას შვილებთან, ეს არის გადამეტებული საპრევენციო აქტიურობა, შიში იმისა, ვაი, თუ ვერ დაიცვან შვილები მოსალოდნელი საფრთხეებისგან, როგორიცაა: ცუდ წრეში მოხვედრა, მოწევა, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების მიღება, ავტოავარია, ძალადობა, ქურდობა, პარკებში ხეტიალი, დროის უმიზნო ფლანგვა, პორნოგრაფიული და საშინელი ძალადობის ამსახველი ფილმების ყურება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, გაუპატიურება, ძარცვა, უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება და სხვა ათასი სისაძაგლე, რომელიც ნარ-ეგალივითაა მოღებული მთელ მსოფლიოში. ცხადია, მშობელთა გადამეტებული პროფილაქტიკური ზომები, გაუთავებელი წუხილი და წუწუნი საფუძველსმოკლებული ნამდვილად არ არის და ეს დადებითი მოტივით არის ნაკარნახევი, მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ მეორე მხარე – შვილი, რას გრძნობს ის

მშობელთა მიერ ამ აკვიატებული განწყობითა და მკაცრი პროფილაქტიკური ზომების დაწესებით. იგი ფიქრობს, რომ უსამართლოდ იზღუდება, ირდვევა მისი უფლებები, ართმევენ დვოთოთ მონიჭებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, არ ენდობიან და პატივს არ სცემენ, რადგან მას ზემოთ ჩამოთვლილი უმსგავსოებიდან ჯერ არც ერთი არ ჩაუდენია.

საპრევენციო-პროფილაქტიკური ზომების მიღება ზომიერად და დროულად აუცილებელია კველა შემთხვევაში ეს იქნება პედაგოგიური, მორალური თუ სამედიცინო თვალსაზრისით, მაგრამ ის მძიმე ტკირთად კი არ უნდა დააწვეს ბავშვს, დაუმსახურებელ სასჯელად კი არ უნდა აღიქვას, არამედ როგორც იან ამოს კომენსკიმ თქვა, აღსაზრდელმა „დასჯა ისე უნდა მიიღოს, როგორც ექიმის მიერ გამოწერილი მწარე წამალი”.<sup>2</sup>

ცნობილია, რომ მძიმე პროფილაქტიკურ ზომებს მიმართავენ უფრო მეტად ის მშობლები, რომლებსაც არა აქვთ ახლო ურთიერთობა შვილებთან. არ იცნობენ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს, არ იცნობენ მათ სამეგობროს, კლასელთა, სკოლელთა თუ უბნელთა წრეს, დღენიადაგ თავიანთი საქმეებით არიან გართული და დრო არ რჩებათ შვილებთან ურთიერთობისათვის. ეს უკანასკნელი კი, ურთიერთობა ადამიანებთან, საზოგადოებასთან, გარემომცველ სინამდვილესთან, თანაარსებობის თანდაყოლილი მოთხოვნილებაა და ბრძოლა მისი დაკმაყოფილებისათვის სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი მდგომარეობაა. მაგრამ ბავშვს ამ სამართლიანი, სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება თავისი ასაკისა და შესაბამისად, გამოუცდელობის გამო ცალმხრივად, სხვათა დახმარების გარეშე არ შეუძლია. რადგან, როგორც ცნობილია, აღზრდა, სწავლება ორმხრივი პროცესია: შვილი და მშობლები, მოსწავლე და მასწავლებელი, მოქალაქე და საზოგადოება.

ხშირად მიმართავენ მშობლები აგტორიტარიზმის მე-

2 იან ამოს კომენსკი, რჩ. პედ. თხ. თბ., 1949, გვ. 297

თოდს. ფიქრობენ, რომ ყველაფერი უნდა აკონტროლონ. მათ ბრძანებებსა და განკარგულებებს შვილები უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ. „ვთქვი და მორჩა” „მე ასე მინდა” „არსადაც არ წახვალ” და ა. შ. იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ შვილებსაც აქვთ თავიანთი „მე”, თავიანთი სულიერი სამყარო. არადა, მათ ისე ექცევიან, როგორც ნივთს. სხვების თვალწინ შეუძლიათ ბავშვს სიტყვიერი და არც თუ იშვიათად ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენონ. ასეთი მშობლები ნამდვილად ვერ იქნებიან შვილებისთვის ავტორიტეტი. შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში ნამდვილი, უმეტესად კი მოჩვენებითი მორჩილება გამოავლინონ, მაგრამ მათ მხედველობიდან რჩებათ მთავარი, რომ როგორც ჯაინოტმა თქვა: „მდინარეებისა არ იყოს, გრძნობების შეჩერება შეუძლებელია, მხოლოდ მათი მიმართულების შეცვლა შეიძლება. მღელვარე გრძნობების უარყოფას არ გირჩევთ, ამან შეიძლება უბედურებამდე მიგვიყვანოს. აუცილებელია მათი რეალურობისა და ძალაუფლების აღიარება”.<sup>3</sup> დიახ, გაუთავებელი ბრძანებებითა და აკრძალვებით ბავშვს არ უნდა ვაფიქრებინოთ, ბოლოს და ბოლოს როდის დავისვენებ ამათგან!-ო.

მშობლიურ უთიეროობაში არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა, თუ თვით პრობლემის არსი, ტიპი, მიზეზი, მოტივი ცხადია და გაგებული. ჩვენ უფრო მეტად შედეგებს ვებრძვით, მიზეზი კი ხელუხლებელი, არხეინად განაგრძობს „ნგრევას.” ბავშვი როცა წინააღმდეგობაში მოდის უფროსებთან, ეს უტყუარი სიპრომია იმისა, რომ მის სოციოგენურ მოთხოვნების დაკმაყოფილებას რაღაც ბარიერი შეექმნა. ბარიერი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: არ მოვუსმინეთ, ვერ გაუგეთ, მისი ასაკობრივი მოთხოვნილებები და ინდივიდუალური თავისებურებები ვერ გავითვალისწინეთ, მისი დადებითი მხარეები სათანადოდ ვერ შევაფასეთ, საკმარისი უურადღება და პატივისცემა ვერ გამოვიჩინეთ, საჭირო დროს თანაგრძნობა და თანადგომა

3 ჰაიმ ჯ. ჯაინოტი, მშობლები და შვილები, თბ., 1991, გვ. 51

ვერ აღმოუჩინეთ, მის გრძნობებთან, სულიერ და ემოციურ მდგომარეობასთან იდენტიფიცირება ვერ მოვახერხეთ, მეგზურობა-წინამდობა ვერ გავუწიეთ, სიტუაციის შესაბტყისი კომუნიკაცია ვერ დავამყარეთ; მისი ნდობა და პატივისცემა ვერ დავიმსახურეთ. ჩვენ გამოღმა დავრჩით, ის კი – გადმა. „მარტოდ შთენილს“ კი დარჩა ორი გზა: ან უველაფერზე უარი თქვას, (ამ მიზეზით, სამწუხაროდ, თვითმკვლელობებიც ბევრი მოგვისმენია!) თავისთავში ჩაკეტილი დეპრესიაში ჩავარდეს, ან პირიქით, უერთდება ანტისოცუალურ ჯგუფს და მათთვის უკვე არ არსებობს არც უსაფრთხოებისა და არც უსულგულობის ბარიერი. აბსოლუტურად თავისუფალია (როგორც გიჟი) თავის ქმედებებში. მორალური დევების სფეროში მოქცეული, შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ აღმოჩნდეს. (ამის მაგალითებიც უხვად გვაქვს, სამწუხაროდ, არასრულწლოვანი პატიმრების სახით).

ოჯახურ აღზრდაში არანაკლებ პრობლემატურია მშობელთა მხრიდან გადამეტებული ლოილობა. უველაფრის ნებას რთავენ ბავშვს, უველა სურვილს უსრულებენ. ბოლოს არასასურველი შედეგით გაპკირვბულნი სვამენ კითხვას: „რა დავაკელით?!“ პასუხი მარტივია – აღზრდა! ბიბლია გვირჩევს: „ყმაწვილი თავისი გზის დასაწყისშივე გაწვრთნი და სიბერეშიც არ გადაუხვევს მას“.<sup>4</sup> არანაკლებ საყურადღებოა აგრეთვე პ. ბუასტის შემდეგი სიტყვები: „ბავშვს კერპად ნუ აქცევ, თორემ, რომ გაიზრდება, თაყვანისცემას მოითხოვს“-ო.

თანამედროვე მსოფლიოში ოჯახის უველაზე დიდ პრობლემად იქცა საინფორმაციო, საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებები – ტელევიზია, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი თავისი ინტერნეტით. ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად არის განხილული ჩვენს მიერ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პედაგოგიური შრომების კრებულში

4 სოლომონი იგავები 22:6

„მეცნიერება და სკოლა”, №1, 2010, გვ. 40-48. ამიტომ აქ მოკლედ ვიტყვით, რომ აღსაზრდელს სწორი პასუხი უნდა ჰქონდეს კითხვაზე: „ტექნიკა კურთხევად თუ წყევლა”. რომ მის შემეცნებით და ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებას მისი გამოყენების კულტურა განაპირობებს. რაც გულისხმობს იმის ცოდნას, თუ რა არის, ღირებული, ამაღლებული, სასარგებლო, აზროვნების გამაჯანსაღებელი, მოსაწონი; ხოლო მისი ბოროტად გამოყენება, რა ზიანს აყენებს პიროვნებასა და საზოგადოებას, მთელ კაცობრიობას და რა ვერაგულ მიზანს ემსახურება უხამსობის, გარყვნილების, ძალადობისა და სხვადასხვა სისაძაგლეების ამსახველი სურათები, კინოფილმები, მუსიკალური კლიპები, ზღვარგარდასული ქორეოგრაფიული ნომრები და ა. შ. სამედიცინო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ პორნოგრაფიის ყურება ბიოქიმიურ ცვლილებებს იწვევს ტვინში და მისი ქიმიური სტრუქტურის ნაწილი ხდება, რაც ადამიანს უპარგავს გააზრებულად, შეგნებულად მოქმედების უნარს. ეს კი საფრთხეს უქმნის ბავშვის ფსიქიკურ, სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, საღად აზროვნებას, ქცევისა და მოქმედების კულტურას.

ოჯახურ აღზრდაში ხელშემშლელ ფაქტორთა და მიზეზთა შორის არანაკლებ მძიმეა ეკონომიკურ სფეროს უარყოფითი გავლენა, ზემდიდრებისა და დარიბების არსებობა. მით უმეტეს, როცა ყველამ იცის, რომ პატიოსანი შრომით, სხვისი წილის ურცხვად მიზაცება-მითვისების გარეშე, ვერავინ გახდება დიდი სიმდიდრის ფლობელი, ფიგურალურად რომ ვთქვათ „მსოფლიოს მბრძანებელი!” (როგორც მათ პგონიათ). მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ჭკუა თავშია და არა სიმდიდრეში. უფრო მეტიც ფულით ვერ იყიდი მშვიდობას, სიყვარულსა და ბედნიერებას, სიტყვის მორალურ უფლებას. ეს საკითხი სქელტანიანი მონოგრაფიის ან საღოქტორო დისერტაციის აქტუალური თემაა. ჩვენ აქ ვეხებით მის მხოლოდ ერთ, აღმზრდელობით ასპექტს, რომ ეს მატერიალური უთანასწორობა უსამართ-

ლობაა, უსამართლობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება კი შეუთავსებადი. მიზანმიმართულად გადარიბებული, (ვგულისხმობ ალექ დალესის, მალთუსისა და სოროსის ცნობილ ანტიკაცობრიულ პროგრამას) პარტიული და რელიგიური ნიშნით დისკრედიტებული ოჯახები მოელ დროსა და ძალას ლუკმაპურის ძიებაში ხარჯავენ და აღზრდის საქმე, ცხადია, განზე რჩებათ. ეს კი სერიოზულ ზიანს აყენებს პირველ რიგში აღსაზრდელს და, რა თქმა უნდა, ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას. ჩნდება სიძულვილი, პროტესტი, დაპირისპირება, იწყება ეროვნული ერთიანობის ორგანული რდვევა (ამას მოწმობს 3 მილიონიან ქვეყანაში 300-მდე პარტიის არსებობა. არსებობს ერთი საქართველო და ერთი ქართველი ერი. მის სამას ნაწილად დაყოფა-დაქუცმაცება, ეს სატანის მახეა და წარმატებით იყენებს კიდეც!) და, ცხადია, რომ ასეთ სოციალურ გარემოში, როცა არსებობისათვის იბრძვის ოჯახი, ადგილი არ რჩება სრულფასოვანი თაობის აღზრდისათვის.

ასევე უნდა აღინიშნოს ერთერთი საკმაოდ გახშირებული გარემოების შესახებ. ვგულისხმობთ გადახრებს ემოციურ-ნებისყოფით სფეროში, რომელიც ცნობილია ნევროპათიისა და ფსიქოპათიის სახელწოდებით. ნევროპათიურ სიპრომებად მიჩნეულია ჭარბემოციურობა, ნერვული აგზებადობა, რაც გამოიხატება ჰიპერაქტიურობაში: მოუსვენრობა, უმიზნო ზედმეტი მოძრაობა, გუნება-განწყობილების ხშირი და უმიზეზო ცვლილება, ყურადღების გაფანტულობა, ჭირვეულობა, მუდმივი უკმაყოფილება და ა. შ.

ნევროპათიურობის მეორე საპირისპირო სახეს წარმოადგენს ჰიპოაქტიური, ანუ პასიური ჯგუფი, რომლის ნიშნებია: გაუბედავობა, ზედმეტი სიმორცხვე, უკონტაქტობა, საკუთარი არასრუფასოვნების განცდა, გულჩათხრობილობა, გარემოსთან ადაპტაციურობის ნაკლებობა, დაღლილობა, აკადემიური ჩამორჩენილობა და ა. შ. ორივე შემთხვევა გაზომვადია და ექვემდებარება სათანადო სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ზემოქმედებას, მაგრამ

პრობლემა იმაშია, რომ მშობლები დროულად არ იღებენ საჭირო ზომებს. პირველ შემთხვევას ბავშვის სიცელქეს, ანცობას მიაწერენ და ჰგონიათ, რომ პატარაა, გაიზრდება და მწყობრში ჩაჯდება. მეორე შემთხვევას იმით ხსნიან, რომ მერე რა?! უბრალოდ მორცხვი და გაუბედავი, წენარი ბავშვია, თანდათანობით გათამაძება. ყველაზე უარესი ის არის, რომ მშობელთა ნაწილს არ სურს გაახმაუროს ბავშვის მდგომარეობა და დახმარებისათვის არ მიმართავს სპეციალისტებს, ექიმს, ფსიქოლოგს, პედაგოგს, რასაც მოსდევს მდგომარეობის გაუარესება.

რაც შეეხება ფსიქოპათიას ნევროპათიისაგან განსხვავებით, ის უფრო მეტად ტვინთან არის დაკავშირებული და გამოხატულებაც განსხვავებული აქვს. დეფექტოლოგთა დასკვნების მიხედვით ნევროპათს თუ შეგრძნების ზღრუბლი აქვს დაწეული და ზედმეტი მგრძნობელობა აწუხებს, ფსიქოპათს აღგზნება-შეკავების ბალანსი აქვს დარღვეული და ის მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოიის მწყობრიდან, კარგავს აზროვნებისა და ქცევის კონტროლს და შეიძლება არაადეკვატური დანაშაული ჩაიდინოს. თუ დროულად არ იქნა მიღებული მაკორექტირებელი სამედიცინო, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ღონისძიებები, შეიძლება ბავშვს ჩამოუყალიბდეს ხასიათის უარყოფითი თვისებები, როგორიცაა: აგრესია, კონფლიქტურობა, შურისძიება, ანგარიშსწორება და სხვა. ასევე ინსტიქტებისა და ვიტალური მოთხოვნილებების გაუკუდმართება: უზომო ჭამა, ზიზღვის გრძნობის დეფიციტი, უსუფთაობა, სადიზმი, მოურიდებლობა, ფსევდოლოგიური მიდრეკილება, ვირტუალური ამბების შეთხვა და ა. შ. და, ამ უკანასკნელს იმით ხსნიან სპეციალისტები, რომ მისი მიზანია გაამართლოს თავისი საქციელი, ან გააზვიადოს, რათა ჰპოვოს თანაგრძნობა, შებრალება, ან მიიღოს მატერიალური სარგებლობა, მიიქციოს ყურადღება, რაც შემდეგში ჩვევაში გადადის და ხდება პროფესიონალი მატყუარა.

ორივე შემთხვევა: ნევროპათია და ფსიქოპათია აფერხებს

აღსაზრდელის გონებრივი-ინტელექტუალურ განვითარებას, ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურის ფორმირებას, გარესამყაროსთან ადეკვატურ ურთიერთობას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ბავშვის ემოციურ მდგრამარეობას.

ოჯახური აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით პედაგოგისა და ფსიქოლოგის მეცნიერებაში იმდენი გამოკვლეული და შესწავლილი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, მიზეზები და მათი ნიუანსებია ცნობილი, რომ მათი სტატისტიკური ჩამოთვლაც კი შეუძლებელია ერთ საჟურნალო სტატიაში. ჩვენ, უბრალოდ, ვცდილობთ მარტივად ვაჩვენოთ ყველაზე ტიპიური პრობლემების არსი და მისი შემსუბუქების მეცნიერებასა და პრაქტიკაში აპრობირებული და საყოველთაოდ მიღებული პედაგოგიური რეკომენდაციები და მათი გამოყენების ტექნიკოლოგიები. ხელი შევუწყოთ მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებას, იმ უმდიდრესი პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების არსენალიდან, რაც კაცობრიობას დაუგროვებია. (მადლობა დმერთს, როგორც აბრაამ ლინკოლინმა თქვა: არსებობს წიგნები, რომ „მოაგონონ ადამიანს, მისი ორიგინალური აზრები არც ისე ახალია!”).

პასუხისმგებლობის მქონე, კაცომოყვარე, ჯანსაღი სულიოთ აღვხილი და გონებრივად მოწიფული, როგორც იტყვიან ხოლმე, რესპექტაბელური პიროვნების აღზრდა ორმხრივი, ურთულესი, საოცრად დელიკატური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ეყრდნობა განვითარების ობიექტურ კანონებსა და პედაგოგიურ პრინციპებს. რომელთა, როგორც დისტერვეგმა თქვა, გაუთვალისწინებლობა არის დანაშაული: „ბავშვის განვითარების კანონებისა და პრინციპების არ ცოდნა უტიფრობაა, ხოლო მისი უგულებელყოფა – ბარბაროსობა”. რუდოლფ შტაინერმაც იგივე გვითხრა, ოდონდ უფრო მშვიდად: „მხოლოდ ადამიანური ბუნების განვითარების კანონთა მყარ ცოდნას შეიძლება დაეფუძნოს აღზრდის ჭეშმარიტი ბალავერი და

განსწავლის საქმე”.<sup>5</sup> პედაგოგიკის თეორიში ეს კანონი ასეა ფორმულირებული: „ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონი.” ამ კანონის ახსნას და მის პრაქტიკულ ობიექტივაციას ახდენს პედაგოგიურ პრინციპთა კომპლექსი პედაგოგიური სიტუაციების შესატყვისად. მაგრამ არის პრინციპთა კომპლექსი, რომელიც აღნიშნულ კანონთან მუდმივად ორგანულ კავშირშია. მაგალითად: ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, მისაწვდომობის, თანმიმდევრობისა და სისტემატურობის გათვალისწინების პრინციპები.

„პევე გამოიკვეთა ერთი საკითხი: „პედაგოგიური კანონები და პრინციპები”, რომლის შესახებ გარკვეული, მაგრამ აკადემიური ცოდნა უნდა ჰქონდეთ მშობლებს. უპირველეს ყოვლისა, მათთვის ნათელი უნდა გახდეს ასაკობრივი პერიოდიზაციის არსი და ეტაპობრივი განვითარების კრიტერიუმები, რომ სწორად განსაზღვროს იდეალურისა და რეალურის, მიღწეულისა და მისაღწევის ასაკთან და აღზრდის მიზანთან შესაბამისობა. გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს განვითარების მამოძრავებელ შინაგან და გარეგან ძალთა შესახებ, ასევე რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებაში გადასვლის პედაგოგიური პირობებთან დაკავშირებით. რომ იზრუნოს ბავშვის ინტენსიური შეგრძნებებით სამყაროს შესახებ შთაბეჭდილებებით გამდიდრებისათვის, მისაწვდომობის პედაგოგიური პრინციპის გათვალისწინებით. ასაკობრივი განვითარების სტადიები ყველა ბავშვისთვის თითქმის ერთნაირია ზოგადად, რაც კარგ საშუალებას აძლევს მშობელს შეადაროს თავისი ბავშვი კარგად განვითარებულ მის თანატოლს, რომ ადვილად დაინახოს განსხვავება იდეალურსა და რეალურს შორის, რომ მიზანმიმართულად იმოქმედოს გამოვლენილი ხარვეზის ამოსავსებლად.

აღმზრდელობითი გავლენის ეფექტურობას ბავშვის ინ-

<sup>5</sup> რედოლფ შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, მ. ქოსტავას თარგმანი, თბ., 1990, გვ. 12

დივიდუალური თავისებურებების, ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაწავლა და მიღებულ მონაცემთა ოპტიმალური გათვალისწინება განაპირობებს. რადგან მდგომარეობასთან სააღმზრდელო ღონისძიებათა სისტემის ადეპვატურობა ქმნის სწორ სამუშაო რეჟიმს მიზნის მისაღწევად.

მშობლებს უნდა მიეწოდოს სრული და ნათელი ინფორმაცია სააღმზრდელო ღონისძიებათა სისტემის შესახებ. იმის შემდეგ, რაც მათ მიიღეს საჭირო ინფორმაცია ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონისა და მის სარეალიზაციო პრინციპების არსთა შესახებ და დაადგინეს თავიანთი შვილის ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობები, ე. ი. წარმატებით გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი, მაგრამ აღზრდის პროცესის დასაწყებად ეს არ არის საკმარისი. ახლა აუცილებელია სამუშაო გეგმის ანუ პროექტის შედგენა, რომლის შინაარსი უპასუხებს კითხვას: რა ვასწავლოთ? სკოლამდელი ასაკისათვის შეიძლება საორიენტაციო წარმატებით გამოვიყენოთ იან ამოს კომენტარის დროისა და სივრცის დიმენსიონებს გაურჩებული „დედობრივი სკოლის იდეის“ პროგრამა. პედაგოგიკის კლასიკოსი მეცნიერულად ასაბუთებს, რომ პირველი 6 წლის განმავლობაში ბავშვმა შეიძლება მიიღოს გარკვეული ცოდნა ბუნების მეტყველებაში, ფიზიკასა და ოპტიკაში, ასტრონომიასა და გეოგრაფიაში, ისტორია-ქრისტოლოგიასა და არითმეტიკა-გეომეტრიაში, სტატისტიკაში, მექანიკასა და დიალექტიკაში, გრამატიკასა და რიტორიკაში, პოლიტიკასა და ზეოგანაში, რელიგიაში. ქედან გამომდინარე, შეიძლება ბავშვმა იცოდეს თუ რა არის მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, წვიმა, თოვლი, ყინვა, ქვა, რკინა, ხე, ბალახი, ფრინველი, ცხოველი, თევზი და ა. შ.

ბავშვი ოპტიკის საფუძვლებს ეცნობა სიბნელის, სინათლის, ჩრდილის, აგრეთვე ფერების გარჩევით; ასტრონომიულ ელემენტებს, თუ რას ნიშნავს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დრუებელი; დედამიწის რელიეფის: მთის,

მინდორის, ვაკის, მდინარის, სოფლის, ციხე-სიმაგრის, ქალაქის და მისთანათა შესწავლით ბავშვს გარკვეული წარმოდგენა ექმნება გეოგრაფიული ცოდნის შესახებ.

ქრონოლოგიურ აზროვნებას საფუძველი ეყრება მაშინ, როცა აღსაზრდელს ასწავლიან, თუ რას ეწოდება სათი, დღე, კვირა, თვე, წელიწადი, ან კიდევ წელიწადის დროები და ა. შ.

ისტორიის საწყის საფუძვლებს სწავლობს ბავშვი ჟელი, საინტერესო და მისაწვდომი ამბების, წინაპრების გმირული საქმეების მოყოლით.

არითმეტიკისა და გეომეტრიის ელემენტების შემეცნებას კი იწყებს თვლით, ანგარიშით, მეტ-ნაკლებობის შეჩნევით, ზომების: დიდი-პატარა, გრძელი-მოკლე, ფართო-ვიწრო, სქელი-თხელი, და ა. შ. გარჩევთ; საზომი ერთეულების: თანამედროვე ენიო რომ ვთქვათ: მილიმეტრი, სანტიმეტრი, მეტრი, კილომეტრი, კუბურმეტრი და სხვა.

სტატისტიკისა და მექანიკის საფუძვლებს ბავშვი იცნობიერებს: გადატანა-გადმოტანის, მოწესრიგების, აშენების, აწყობის „ნგრევის” პროცესში. კომენსკი ამიტომ ურჩევს აღმზრდელებს არ დაუშალონ ბავშვებს ამგვარი მოძრაობა, რამეთუ ასეთი საქმიანობა, მისი აზრით „სხვა არაფერია, თუ არა ნიჭიერი ბუნების მისწრაფება ხელოვნურად შექმნას საგნები,” რასაც, მისივე თქმით, პირიქით, წახალისება და ხელმძღვანელობა სჭირდება.

დიალექტიკურ აზროვნებას კომენსკის მიხედვით საფუძვლი ეყრება კითხვა-პასუხების დასმა-გაცემის დროს. ხოლო გრამატიკის საწყისებს ეჩვევა ბავშვი, როცა იწყებს დედაქანაზე სწორად ლაპარაკს. რაც შეეხება რიტორიკის, პოეზიისა და მუსიკის ელემენტების შეთვისებას, ბავშვი მას იწყებს შესაბამისი ინტონაციითა და უესტიკულაციით ლამაზად, სწორად წარმოთქმით, ლექსების, საგალობლებისა, ფსალმუნებისა და საღვთო სიმღერების მოსმენითა და შესწავლით.

სამეურნეო ცოდნის – განაგრძობს კომენსკი – ელე-

მენტებს იძენს ბავშვი ოჯახში მშობლებთან შრომით საქ-  
მიანობაში მონაწილეობით, სახლის არქიტექტურული გან-  
ლაგების, საოჯახო ნივთების, ეზოს მოწყობის, სამეურნეო  
იარაღების გაცნობითა და მოხმარებით.

პოლიტიკური ცოდნის საწყისებსაც სწავლობს ბავშვი,  
როცა იგებს თუ ვინ არის ქალაქის მერი, სენატორი, მოსა-  
მართლე, ნოტარიუსი ჩვენ შეგვიძლია აქ ჩავამატოთ თანა-  
მედროვე წოდებები, ტიტულები: პრეზიდენტი, პრემიერ-მი-  
ნისტრი, გუბერნატორი, მასწავლებელი, ექიმი, ინჟინერი და  
სხვა.

კომენსკი რელიგიას, კერძოდ ქრისტიანულს, განიხი-  
ლავს როგორც ზენობრივი აღზრდის საფუძველს. იგი  
ასახელებს ზენობის იმ შინაარს, რომელიც ბავშვმა აუცი-  
ლებლად უნდა ისწავლოს ოჯახში 6 წლის განმავლობა-  
ში, მაგალითად: ზომიერება, სისუფთავე, უფროსებისადმი  
პატივისცემა, გულწრფელობა, სამართლიანობა, სიმართლე  
და პატიოსნება, ღვთისა და მოყვასის სიყვარული, შრომა,  
მოთმინება, თავაზიანობა, ზრდილობა, მადლიერება, მეგო-  
ბრობა და ა. შ.

სამასი წლის წინათ შედგენილ კომენსკისეულ პედაგო-  
გიურ ბადეს თუ განვახალებოთ თანამედროვე ღირებული  
მიღწევებით და შესაბამისობაში მოვიყვანოთ დღევანდელ,  
პიროვნულად და საზოგადოებრივად ღირებულ მოთხოვ-  
ნებთან და გამოვიყენებოთ შემოქმედებითად, პედაგოგიური  
კანონებისა და პრინციპების გათვალისწინებით, უქმედელად  
აღზრდისადმი ასეთი მიღომით, მტკიცე საფუძველს ჩავუწ-  
რით ჩვენი შვილების სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყა-  
ლიბებას, მათ ბედნიერ მომავალს.

როგორც კვინტილიანემ თქვა, დედ-მამის მშობლიური  
და მოქალაქეობრივი მოვალეობაა თავიანთი აღსაზრდე-  
ლები ხელჩაჭიდებული და ფეხაწყობილი გაიყვანონ და-  
მოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე. თუმცა ამ ვიწრო  
გზაზე მშობლები მარტო არ არიან. მათ ჰყავთ საიმედო  
და ძლიერი მოკავშირე სკოლის, პედაგოგიური კოლექტი-

ვის სახით. ოჯახის როლი არც სასკოლო ასაკში მცირდება. პირიქით, სკოლის წარმატების საწინდარი ისევ ოჯახია. სკოლაში მიღებული სასწავლო ინფორმაციების ინტელექტუალურ საკუთრებად გადაქცევას სჭირდება მასალის დამოუკიდებლად დამუშავება, ზეპირი და წერითი სამუშაოების შესრულება, გაგება, შენარჩუნება, დამახსოვრება, უნარ-ჩვევებში გადაყვანა, რაც დიდი შრომისა და ოფლის, სპეციალური ვარჯიშის გზით მიიღწევა. ეს კი მოითხოვს ოჯახურ სიმყუდროვეს, მშობლების თანადგომას, მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას, მათი სიხარულისა და წესილის გაზიარებას, მოსმენას, სითბოსა და სიყვარულს, წახალისებას, გამხნევებას. ეს კი არავის შეუძლია ისე, როგორც მშობლებს.

სკოლამდელ ასაკში ოჯახში მიღებული აღზრდის ხარისხი განაპირობებს ბავშვის შემდგომი განვითარების ნორმალურ, ბუნებრივ მსვლელობას ამ პერიოდის ასაკობრივი თავისებურებების გამო. როგორც კონკრეტურ ამბობს: „როგორც პირველი წლების განმავლობაში ხის დერო მაშინვე გამოიღებს ყველა მთავარ ტოტს, რომელიც შემდეგ მხოლოდ იზრდება, ასევე ბავშვიც.” ეს „ტოტები” ანუ მახასიათებლები, როგორც რ. შტაინერი წერს, არის: ფიზიკური (წონა და ზომა), ეთერული (მაღისა და ენერგიის) და ასტრალური ანუ ემოციურ-გრძნობითი სხეულის (სიხარული, მწუხარება, სწრაფვა, სურვილი, მოთხოვნები და ვნებები ცნობისმოყვარეობა და მიმბადველობა) ზრდა-განვითარების ინტენსიურობა, რომელიც თვალსაჩინო ხდება ყველასათვის. სწორედ, მათი ერთობლივ-თანმიმდევრული და სისტემური განვითარების პროცესში ყალიბდება „მე”, პიროვნება.<sup>6</sup>

ოჯახში ჩაყრილი აღზრდის მტკიცე საფუძველი განაპირობებს სკოლის მუშაობის წარმატებას. მშობლები, რომელებსაც გაცნობიერებული აქვთ აღზრდის სირთულე და

6 რედოლფ შტაინერი, ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, თბ., 1990, გვ. 18

პასუხისმგებლობა შვილის, ერისა და დვთის წინაშე და ფლობენ ელემენტარულ პედაგოგიურ ცოდნას, განწყობილ-ნი არიან, გააკეთონ შესაძლებლობის მაქსიმუმი, შედეგიც არ აყოვნებს. ასეთი მშობლების შვილები გამორჩეული მოსწავლეები არიან სკოლაში.

ამრიგად, კიდევ ერთხელ შევიხესენეთ საშინაო-ოჯახური აღზრდის როლი სრულფასოვანი პიროვნების ფორმი-რებაში; ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელნიც ხელს უშლიან მშობლებისა და შვილების ჯანსაღ ურთიერთობებს. ვაჩვენეთ მეცნიერებაში დადგენილი და პრაქტიკით აპრობირებული ზოგიერთი პედაგოგიური საშუალებები და მათი გამოყენების ტექნოლოგიები, რომელთა საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი პედაგოგიური რეკომენდაციები:

1. მშობლებმა უნდა გავიცნობიეროთ, რომ შვილს არ უთხოვია ჩვენთვის მისი გაჩენა. ეს ჩვენი სურვილი და დვთის ნება იყო. ამიტომ მის სრულფასოვან აღზრდაზე უშუალო პასუხისმგებლები ვართ ჩვენ, მისი მშობლები. რაც გვაძლევს უფლებას სიყვარულით, პატივისცემით, ტაქტიანად მოვთხოვთ გაითვალისწინოს ჩვენი მისთვის სასარგებლო, საჭირო, აუცილებელი და შესრულებადი რჩევები;

2. შვილებთან კარგი ურთიერთობის გაღრმავების, განვითარებისა და შენარჩუნებისათვის საჭიროა კარგი და ვიცნობდეთ მას, ვინ არის ის, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები ახასიათებს, რისკენ არის მიღრევილი და რა დახმარება სჭირდება. რაც არის სწორი დიაგნოსტიკა ექიმისათვის, იგივეა ის აღმზრდელისათვის. ბავშვი თუ მშვიდია, კეთილი, დამთმობი, გაწონასწორებული, ინტელექტუალური და ო. შ. ის ადვილად იდებს ქცევის ნორმებსა და წესებს; მაგრამ ბავშვი თუ ჭარბებოციურია, გაუწონასწორებელი, ჯიუტი, ხარბი, ეგოისტი, თავნება, პრეტენზიული, დვარმლიანი, მატყუარა, ხელმრუდი ან კიდევ სხვა, აქ აკრძალვებით, მუქარით, დაშინებით ვერაფერს გავხდებით. სიტუაციის შესატყვისად, დადებით და უარყოფით მა-

გალითებზე ბუნებრივი და მეგობრული საუბრებით იქამდე უნდა მივიყვანოთ, რომ თავად გააკეთოს სწორი დასკვნები. მივცეთ საშუალება შედარებისა და შედეგების ანალიზის გზით მოახდინოს ქცევების ობიექტური შეფასება და დაიმუხტოს დადგებითი ემოციებით;

3. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად დავეხმაროთ ბავშვს უარყოფითი მუხტებისგან გამოთავისუფლებული ცნობიერება და გრძნობები თანდათანობით ამოივსოს, ზემოთ ნაჩვენები კომენსაცისეული პროგრამის ანალოგიურად, ჭეშმარიტი ცოდნა-გამოცდილებით მანამ, სანამ ისევ სატანა-ეშმაკი დაგვასწრებს ამის გაკეთებას. ეს უნდა იყოს უწყვეტი, თან-მიმდევრული და სისტემურ-ციკლური პროცესი;

4. ბავშვმა თავისი კარგი ყოფაქცევით რომ გაიხაროს, მიიღოს მორალური კმაყოფილება და ესთეტიკური სიამოვნება, მისი მოქმედება აუცილებლად უნდა წახალისდეს: ქებით, მოწონებით, მადლობით, თუ საჭიროა, საჩუქრით, ნდობის გამოცხადებით, რაიმე ორიგინალურ ღონისძიებებზე დაპატიჟებით და ა. შ., რაც მას მეტ სტიმულს მისცემს, შეუქმნის ღირებულ მოტივებს და ადრავს მოქმედებისკენ;

5. აღზრდა უდიდესი მოვლენაა თავისი ამაღლებული შედეგებით, მაგრამ მისი პროცესი სრულებით არარის ადვილი. იგი გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს: დროს, ძალას, ენერგიას, მატერიალურ მდგომარეობას, ფინანსებს, განსაკუთრებულ ურთიერთობებს: სურვილს, სიყვარულს, სითბოს, სათნოებას, მოთმინებას, სულგრძელობას, თავშეკავებას, მოქნილობას, შემოქმედებით მიღომას და ა. შ. მაგრამ ეს არარის საკმარისი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი იმართვება თავისი კანონებით, პრინციპებით, მეთოდებითა და განსაზღვრული ტექნოლოგიებით. რაც იმას ნიშნავს, რომ მშობლებსაც უნდა პქონდეთ ცოდნის გარკვეული მინიმუმი აღზრდის თეორიაში;

6. ჩვენი ღრმა რწმენით, რეალურმა სინამდვილეზ აჩვენა იმის საჭიროება, რომ აღდგეს მშობელთა პედაგოგიური

კულტურის ამაღლების უმდიდრესი ტრადიცია, რომელიც არსებობდა „მშობელთა აკადემიის” სახელწოდებით და დაარსდეს სპეციალური კვარტალური უურნალი „მშობლები და შვილები.” ეს იქნება სახელმწიფოს მხრიდან ოჯახების მიმართ კეთილი ნების გამოვლინება, თანამედროვე მშობლებისათვის კი – ღირებული მოვლენა. ხოლო რაც შეეხება მთავარ ადრესანტებს, ჩვენს შვილებს, მათთვის კი – ღირსეული მომავალი!

## ს ა რ ჩ ე ბ ი

1.	შესაგლი	3
2.	პედაგოგიკა – მეცნიერებათა მეცნიერება	5
3.	მასტაგლებელი – პედაგოგიკა – მოსწავლე!	14
4.	მასტაგლებელი ანტიპურ ღროში და დღეს	28
5.	მასტაგლებელი – პაციონირების მეზობელი	41
6.	აღზრდის ფაქტორი პიროვნების ფორმირებაში	56
7.	აღზრდის პროგლემის მიზანთა მიზანი	71
8.	გარგანტუას ხელახლა აღზრდის ამბავი XXI საუკუნის ბადასახედიდან	84
9.	ჯენტლმენის აღზრდის ისტორია	94
10.	ბუნებრივი აღზრდის პონდევცია შან-შარ რუსოს „მმილში”	113
11.	მეტყველება – სამყაროს საოცრება	136
12.	რა არის ცხოვრების აზრი და რა პავშირებია პედაგოგიკასა და გიგლიას შორის	148
13.	სეცენტოები – ბონების მდე	158
14.	თავისუფლება თუ ძალაუფლება?!	166
15.	სოლომონ ბრძენის დარიგებანი	177
16.	ნაბუქოვის სიზმარი	189
17.	06კლუბი განათლების რეალობა და პერსპექტივები	196
18.	მოგლებებისა და შვილების ურთიერთობის პულტურის არაღლებაის მეცნიერული საფუძველი	205